ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარინე წიკლაური

ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ცნობიერების დისკურსი და რეცეფცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

განათლების მეცნიერებათა დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თამარ შარაბიძე
თანახელმძღვანელი: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თამაზ კარანაძე

თბილისი
2017

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 4

I თავი

ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსის არსი და თეორიული წანამძღვრები 13

1.1 საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში 13

1.1.1 „მოქალაქე“ და „მოქალაქობა“ ქართულ სამწერლობო ტრადიციაში 17

1.1.2 მოქალაქეობის თეოლოგიური საფუძვლები (წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე) 20

1.2 ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსი ეროვნული ცნობიერების კონტექსტში 24

1.3 მოქალაქეობრივი ცნობიერების მოტივი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში („რამ შემქმნა ადამიანად“,„ჩემი ვედრება“, „სტუმარ-მასპინძელი“) 28

1.3.1 თვითშეწირვის მოტივი ლექსში „ჩემი ვედრება“ 30

1.3.2 ღირსების დაცვა (ბოროტთან შეწინააღმდეგების მოტივი) 34

II თავი

მოქალაქეობრივი ცნობიერების ინტერნაციონალური და ეროვნული იდეალი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“) 39

2.1 „კოსმოპოლიტიზმის“ ვაჟასეული გაგება 39

2.2 ვაჟა-ფშაველასა და XVIII-XIX საუკუნეების ფილოსოფოსთა ნააზრევი მსოფლიო მოქალაქეობის შესახებ (იმანუელ კანტი,იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე,ნიკოლაი ბერდიაევი) 43

2.3 ვაჟა-ფშაველას კოსმოპოლიტური ნააზრევი და თანამედროვე სოციოლოგთა შეხედულებები (ჩარლზ ტეილორი, მარტა ნუსბაუმი, მაიკლ უოლცერი) 47

2.4 მოქალაქეობრივი ცნობიერების გლობალური კრიზისი თანამედროვე განათლების სისტემაში (დეჰუმანიზაციის პრობლემა) 51

III თავი

მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოში 54

3.1.ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების ისტორია მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების კუთხით 54

3.2. მოქალაქეობრივი აღზრდის დეფინიცია საქართველოს განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა) 58

3.2.1 სამოქალაქო განათლების მიზნები და ამოცანები თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (ეროვნული სასწავლო გეგმა) 61

თავი **IV**

ვაჟა-ფშაველას სასკოლო ნაწარმოებები მოქალაქეობრივი აღზრდის სამსახურში-სწავლების კონცეფცია 64

4.1 კვლევის ზოგადი აღწერა 64

4.2 სასწავლო კონცეფციის ზოგადი აღწერა 66

4.3 მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება ბუნებისადმი მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების სწავლებით დაწყებით კლასებში (მოთხრობა „ია“– სამოდელო გაკვეთილი) 72

4.4 პიროვნების მოვალეობა და პასუხისმგებლობა ვაჟა-ფშაველას ლექსში „კაი ყმა“ (სწავლების საბაზო საფეხური – IX კლასი) 81

თავი **V**

კეთილმოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება ვაჟა-ფშაველას პოემების სწავლებით საშუალო საფეხურზე 92

(X-XII კლასებში) 92

5.1 პოემების სწავლების საკითხების ზოგადი აღწერა 92

5.1.1 პოემა „ალუდა ქეთელაურის“ მთავარი სათქმელის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები (მოსწავლეთათვის კრიტიკოსთა ნააზრევის მიწოდება) 94

5.1.2 „ალუდა ქეთელაურის“ სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე სახელმძღვანელოებში 103

5.1.3 ალუდა ქეთელაური – კეთილმოქალაქეობის მესიტყვე (პოემის სწავლების კონცეფცია) 108

5.2 პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ – საზოგადოების გაუკეთესების დასაწყისი (ღვაწლით დაგვირგვინებული მოქალაქეობა) 128

5.2.1.„სტუმარ-მასპინძლის“ კონცეფციის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები 129

5.2.2 „სტუმარ-მასპინძელი“ ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე სახელმძღვანელოებში 133

5.2.3 „სტუმარ-მასპინძელი“– სწავლების კონცეფცია 136

5.4 პოემა „ბახტრიონი“ - ლუხუმის „ზემოქალაქობა“ 152

5.5 წერილის „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ სწავლება თანამედროვე სახელმძღვანელოებში 157

თავი **VI**

სამეცნიერო და პედაგოგიური სფეროს წარმომადგენლებთან (ექსპერტებთან)ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების დისკურს-ანალიზი 161

დასკვნები 175

რეკომენდაციები 177

გამოყენებული ლიტერატურა 181

დანართი **1.**
დანართი **2.**
დანართი **3.**

შესავალი

მოქალაქეობრივი ცნობიერება სახელმწიფოს ძლიერების ფუნდამენტია. ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერებით აღჭურვილი საზოგადოება იდენტობას შეინარჩუნებს და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს თანამედროვე გლობალურ სივრცეში.

მოქალაქეობრივი შეგნების ფორმირება მრავალ ქვეყანაში განათლების სისტემის პრიორიტეტადაა მიჩნეული. მისი ჩამოყალიბება თანხვდება სულიერი და ზნეობრივი აღზრდის მიზნებს. განათლების მეცნიერებების მკვლევრები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო აღზრდა ზოგადი განათლების ძირითადი მიზანია. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ამ მიზანზე ორიენტირებული საგნები და პროგრამები, თუმცა მედიასა და სამეცნიერო წრეებში წამოჭრილი პოლემიკა და საგანმანათლებლო რეფორმის ირგვლივ არსებული აზრთა სხვადასხვაობა ცხადყოფს, რომ მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება შეუძლებელია მხოლოდ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნილი მშრალი კანონებისა და კონვენციების დასწავლით. ახალი თაობისათვის მოქალაქეობრივი ღირებულებების გაღვივება ერის კანონზომიერი განვითარების, მემკვიდრეობითი ნიშნით აღბეჭდილი ცნობიერების გადაცემას უნდა ეფუძნებოდეს.

მე-19 საუკუნის დიდი ქართველი ჰუმანისტის,ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ცნობიერების აღმზრდელობით მნიშვნელობას არაერთი სტატია თუ რეფერატი მიეძღვნა, მაგრამ მისი კვლევა თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მიმართებით საგანგებო მონოგრაფიული შესწავლის საგანი ჯერ არ გამხდარა. სწორედ ეს განაპირობებს ნაშრომის სიახლესა და აქტუალობას. გამოკვლევაში ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსი ქართული ცნობიერების კონტექსტშია განხილული და მისი რეცეფცია იდენტობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს გზად არის მიჩნეული.

სამეცნიერო ლექსიკონების განმარტების თანახმად, სიტყვა „მოქალაქე“ მრავალ ასპექტს მოიცავს: სულიერს, ფსიქოლოგიურს, სოციალურს,

სამართლებრივს, პოლიტიკურს, სარწმუნოებრივს, ზნეობრივ-ეთიკურსა და სხვას. ყველა ეს ასპექტი გადაჯაჭვული და ურთიერთგანმაპირობებელია. მხოლოდ ზნეობრივი, ფსიქოლოგიურად განწყობილი პიროვნება „შედგება“ თავისი ქვეყნის და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ღირსეულ მოქალაქედ.

მოქალაქეობრივი ცნობიერების განმსაზღვრელი ნიშანია ეგოიზმისაგან დაცლილი, საზოგადოებრივ სიკეთეზე ორიენტირებული ხედვა და აზროვნება. ამასთანავე, მოქალაქეობა აუცილებლად გულისხმობს პიროვნულობას. მოქალაქეობა პიროვნულობის ზედა ზღვარია. პიროვნების კონცეპტის გააზრებისას ვეყრდნობით დიდი რუსი ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის, ვლადიმირ ლოსკის განსაზღვრებას: „პიროვნება – ეს არის ადამიანის ბუნებაზე დაუყვანლობა“(„Боговидение“).

ტერმინი „დისკურსი“ (ლათინურიდან discursus „საბუთი, მსჯელობა“) აღნიშნავს: „ნებისმიერ გამიზნულ წერილობით გამოთქმას, ტექსტს“(ლექსიკონი 2015), „დისკურსიული“ არის გაშუალებული, გონებისმიერი, მსჯელობაზე დაფუძნებული ტექსტი, რომელიც შედგება ლოგიკური მსჯელობების ჯაჭვისაგან. ტერმინი „რეცეფცია“ ნაშრომში გააზრებულია, როგორც მიღება, მხატვრული ტექსტის ზემოქმედება: „რეცეფცია – ლათ. receptio „მიღება, ზემოქმედება რაიმე პოეტური ნაწარმოების, მუსიკის“ (ლექსიკონი 2014:248).

შესაბამისად, ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსი მოიცავს პოეტის ერთიან, მონოლითურ მსოფლმხედველობრივ სისტემას, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული, ავტორის ხანგრძლივი განსჯისა და ფიქრის შედეგად ჩამოყალიბებული შეხედულებებისაგან. ვაჟა-ფშაველას მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპებით ნასაზრდოებ შემოქმედებაში არაფერია კონტექსტიდან ამოვარდნილი, წინააღმდეგობრივი. მისი სათანადო რეცეფცია ეროვნულ და სულიერ ფასეულობებზე ორიენტირებული, სამშობლოს დამცველი და უსამართლობასთან მებრძოლი თაობის აღზრდის გზაა.

სხვადასხვა დარგისა და ქვეყნის მოაზროვნეები მიიჩნევენ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება თანამედროვე ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს მიემართება: „თანამედროვე ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს სწორედ

ვაჟასნაირი ღრმა და უაღრესად თანამედროვე ხედვის ხელოვანთან სიახლოვე აკმაყოფილებს, რათა მან ერთიანობაში შეძლოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შეფასება და წარმოსახვა“ (ევგენიძე 2011:54). კრიტიკოსმა თამაზ ჩხენკელმა ვაჟა-ფშაველა მომავლის პოეტად დასახა: „ვაჟა-ფშაველა მომავლის პოეტია. ვაჟა განუზომლად ახლოს დგას ჩვენთან, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, ხოლო მომავალი თაობა კიდევ უფრო მიუახლოვდება მას“ (ჩხენკელი 2009:230). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წერს: „ვაჟა-ფშაველა არამარტო თავისი ეპოქის განსაკუთრებული მოვლენაა, იგი ღირსება და დიდებაა ზოგადად ქართული მწერლობისა და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურისაც...სიღრმითა და სიბრძნით გამორჩეული მისი პუბლიცისტური წერილები, სულისშემძვრელი პროზა თუ უბადლო პოეზია დღესაც საოცრად თანამედროვე და დამატყვევებელია. იგი ხავსს არასოდეს მოიკიდებს, რადგან მარადიულობასთან არის წილნაყარი“(ილია II: 2011).

საქართველოს ყოფილი განათლების მინისტრი, ფილოლოგი თამაზ კვაჭანტირაძე მიიჩნევს: „ვაჟა-ფშაველა მთელი ერის მასწავლებელია. მაგრამ ვაჟამ რომ მთელ ერს ასწავლოს, ამისათვის ჯერ თავად ვაჟა უნდა ვასწავლოთ და კარგადაც ვასწავლოთ ბავშვს“ (კვაჭანტირაძე 2008:158). ვაჟა-ფშაველას ამაღლებული პოეტური სამყარო ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად, ზნეობრივ აღზრდასაც ემსახურება, რადგან „უმაღლეს სფეროებს ნაზიარები მისი [ვაჟას -მ.წ.] აზრი არასოდეს მომწყდარა მასაზრდოებელ ფესვს - იგი მუდამ დამძიმებულია ამქვეყნიური, მიწიერი, მოქალაქეობრივი საზრუნავით“ (კვაჭანტირაძე 2008:160,ხაზი ჩვენია-მ.წ.). ამრიგად, ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ცნობიერების რეცეფცია ჰარმონიული პიროვნების აღზრდას ემსახურება: „სულიერ ფორმირებაში პლატონი და არისტოტელე ადამიანის გონებრივ,ზნეობრივ და ესთეტიკურ ფორმირებას გულისხმობენ. მაშასადამე, პლატონისა და არისტოტელეს მიხედვით, ჰარმონიული აღზრდა გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას(ჭკუასელი ქ./ჭკუასელი ი. 2012:9).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოქალქეობრივი ცნობიერება მოიცავს არა მხოლოდ გონისმიერ, არამედ ემოციურ ასპექტებსაც. ბოლო დროს

განსაკუთრებით აქტუალური ხდება ემოციური ინტელექტის, „გულის კულტურის“ განვითარება და ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას იშვიათად დაეძებნება ანალოგი მსოფლიო ლიტერატურაში. მისი ძლიერი პოეტური ბუნებისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შთამბეჭდავი შეფასება მოგვცა ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვაჟას ნაწარმოებების მთარგმნელმა დონალდ რეიფილდმა: ,,არა მგონია, რომ ვაჟას განსაკუთრებით უმძიმდა მცირე ხალხის პოეტად ყოფნა, და მაინც, უმისოდ – უცეცხლოდ – ჩემს ინგლისურ პოეზიას სცივა – და ასეთი ვულკანი გვჭირდება"(რეიფილდი 1978:172).

უცხოელი მკვლევრის მიერ ვაჟა-ფშაველას პოეზიის დაკავშირება ,,ცეცხლთან" და ,,ვულკანთან" ხატოვან-მეტაფორული კონტექსტის მიღმა იმას გულისხმობს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზია ცნობიერების ამამაღლებელი ძლიერი პოეტური სტიქიაა, რომელიც ადამიანის გაუკეთესებისკენაა მიმართული. მძლავრი ემოციური იმპულსი არათუ ხელისშემშლელი, არამედ აუცილებელი მახასიათებელია მოქალაქისა და ამ გამოკვლევის მიზანი სწორედ იმის ჩვენებაა, რომ მოქალაქეობრივი ცნობიერება არამხოლოდ მშრალ რაციონალისტურ, არამედ გრძნობისმიერ ასპექტებსაც მოიცავს. აუცილებელია, მოსწავლეებს მიეწოდოს ცოცხალი, ხელშესახები მაგალითები, რადგან „წლების მანძილზე ჩატარებული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ სწორედ 13-14 წლის ასაკშია ყველაზე მეტად საჭირო ზნეობრივი საზრდო, ლიტერატურული ენით „საუბარი“ ზნეობრივ კატეგორიებზე“(თაბორიძე 2000:60).

კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა შემდეგნაირად ყალიბდება: თანამედროვე ზოგადსაგანმათლებლო სკოლაში მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება არ ხორციელდება (ან ნაკლებად ხორციელდება) მდიდარი და სიცოცხლისუნარიანი ეროვნული პოტენციალის, მათ შორის, ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ნააზრევის, გამოყენებით, კერძოდ:

- ლიტერატურის, კონკრეტულად კი, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლება ნაკლებად წარიმართება მოქალაქეობრივი ცნობიერების ასპექტების აქცენტირებით;

- სიტყვა „მოქალაქის“ მნიშვნელობა სასწავლო პროცესში არ არის გააზრებული ეროვნულ ფესვებზე და ქართულ სამწერლობო ტრადიციაზე დაყრდნობით;
- ადამიანის უფლებების აქცენტირების ფონზე უკანა პლანზე გადაწეული და თითქმის უგულებელყოფილია პიროვნების პასუხისმგებლობის რაობა;
- ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლებისას არ არის (ან: არასათანადოდ არის) ხაზგასმული ის, რომ პოეტი საზოგადოებისამი დაუმორჩილებლობის, ანტიმოქალაქეობისაკენ კი არ მოგვიწოდეს, არამედ ზემოქალაქეობისაკენ (ჭეშმარიტი მოქალაქეობისაკენ);
- ზოგადად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სასკოლო პროგრამა გადასახედი და შესაცვლელია

სამუშაო ჰიპოთეზის პუნქტების გათვალისწინებით, კვლევის უმთავრესი მიზანია ვაჟა-ფშაველას სასკოლო ნაწარმოებების მნიშვნელობის განხილვა-ანალიზი მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების კუთხით და ამ ანალიზზე დაყრდნობით ახალი სასწავლო კონცეფციის შემუშავება.

კვლევის ეტაპები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- რა პრინციპებს ეფუძნებოდა და ეფუძნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.
- მიეწოდება თუ არა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცალკეული ნაწილები შესაბამის გარემოს (ასაკობრივ ჯგუფს, სწავლების საფეხურს) და ხდება თუ არა მათი ანალიზი შეკითხვების თანმიმდევრული ფორმულირებით.
- ისწავლება თუ არა ამომწურავად ვაჟას შემოქმედება ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და როგორ უნდა ისწავლებოდეს იგი.

კვლევა წარიმართება ორი მიმართულებით:1. ლიტერატურული. 2. საგანმანათლებლო-სასწავლო, რომელთაგან პირველს, კვლევის სტრატეგიიდან გამომდინარე, თეორიული საფუძვლის ფუნქცია ენიჭება, ხოლო მეორე ემსახურება

კვლევის უმთავრეს მიზანს – ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო კონცეფციის, მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას.

ამ ორი მიმართულებიდან თითოეულს სპეციფიკური მიზნები და ამოცანები გააჩნია, შესაბამისად, მეთოდოლოგიაც განსხვავებულია.

ლიტერატურული კვლევის ამოცანაა ჩვენება და დასაბუთება იმისა, რომ მოქალაქეობრივი მოტივი წამყანი მოტივია პოეტის შემოქმედებაში, რადგან ფაქტორი ვაჟა-ფშაველას მზარდი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა არის არა მარტო სასწაულებრივი პოეტური გენია, არამედ მისი პიროვნული, მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ჩატარდა სამაგიდე კვლევა– ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მოქალაქეობრივი მოტივის არსისა და რაგვარობის გამოსაკვეთად შევისწავლეთ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა, ავტორის შემოქმედების განხილვის ადრეული (ალექსანდრე ჭეიშვილი, გრიგოლ კიკნაძე, იუზა ევგენიძე, თამაზ ჩხენკელი, აკაკი ბაქრაძე, სულხან ჟორდანია, რევაზ სირაძე) და თანამედროვე (თამარ შარაბიძე, მანანა კვაჭანტირაძე, გიგი ხორნაული, მიხო მოსულიშვილი, ლევან ბებურიშვილი, ზაზა შათირიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, პაატა ჩხეიძე, ლევან გიგინეიშვილი, ზაზა აბზიანიძე) განხილვები (მონოგრაფიები, სტატიები, მოხსენებები).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარი, პროფესორი გრიგოლ კიკნაძე მიიჩნევს: „ვაჟას თხზულებათა სიძლიერე მარტო მის პოეტურ ალღოსა და ნიჭზე არ არის დაფუძნებული. ვაჟას შემოქმედება მისი, როგორც მოაზროვნე-მოქალაქის, პოეტური წარმონაქმნია“ (კიკნაძე 1957:4, ხაზი ჩვენია -მ.წ.). ხოლო პროფესორი იუზა ევგენიძე წერს: „ვაჟა-ფშაველას პოეტურ განწყობილებებს ღრმა მოქალაქეობრივი შეხედულებები და აზრები ჰკვებავდა, რადგან ვაჟა თვით იყო თავისი დროის დიდი მოქალაქე. ამ მხრივ, იგი ღირსეული მემკვიდრეა ილიასა და აკაკის სახელოვანი მამულიშვილური ტრადიციებისა... ვაჟას სახით უკომპრომისო ხასიათისა და შეუვალი მოქალაქეობრივი პრინციპის პიროვნება ჰყავდა ჩვენს ქვეყანას“ (ევგენიძე 1996:10, ხაზი ჩვენია- მ.წ.).

ლიტერატურული კვლევის მეთოდები – ლიტერატურული მიმართულებით კვლევა-ძიება ეყრდნობა ჰერმენევტიკულ და ლიტერატურის თეორიაში

დამკვიდრებულ კლასიკურ მეთოდს – მხატვრული ნაწარმოების სისტემურ აღწერასა და ანალიზს, როგორც ზოგადი (იდეურ-თემატური, ისტორიული, შედარებითი), ისე კონკრეტული (გვარისა და ჟანრის, სპეციფიკური კომპონენტების) კანონზომიერებების შესწავლისა და დადგენის მიზნით.

ამ მეთოდის გამოყენებით დისერტაციაში წარმოდგენილია მცდელობა მოქალაქეობრივი ცნობიერების გრძნობისმიერი, შინაგანი, მახასიათებლების აღწერისა ვაჟა-ფშაველას პოეტური (ლექსები: „რამ შემქმნა ადამიანად“, „ჩემი ვედრება“) და ეპიკური („ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ ეპიზოდები) ნიმუშების ანალიზის მეშვეობით.

სასწავლო-საგანმანათლებლო მიმართულებით გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები:

- სამაგიდე კვლევა – საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვა მოქალაქეობრივი ცნობიერების დეფინიციის კუთხით
- მასწავლებელთა გამოკითხვა (მიზნობრივი შერჩევა)

ხოლო სასწავლო კონცეფციის შემუშავების შემდეგ:

- ჩაღრმავებული ინტერვიუ განათლების ექსპერტებთან და პედაგოგებთან

ამასთან, სამაგიდე კვლევა მოიცავდა დოკუმენტების ანალიზს, სახელმძღვანელოთა აღწერა-ანალიზსა და მასწავლებელთა გამოკითხვას. ამის საფუძველზე შევიმუშავეთ მეთოდური რესურსი – ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების კონცეფცია (სამოდელო გაკვეთილების სცენარებით) და ექსპერტებთან ინტერვიუ წარვმართეთ ამ კონცეფციის ირგვლივ. მათი რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით გამოვიტანეთ საბოლოო დასკვნები და შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

ნაშრომის სრტრუქტურა. დისერტაცია შედგება 6 თავისა და რამდენიმე პარაგრაფისაგან. I თავი ლიტერატურულ მიმართულებას ეძღვნება და განიხილავს ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ცნობიერების დისკურსის არსსა და თეორიულ წანამძღვრებს ქართული ლიტერატურული ტრადიციის წიაღში, ჰაგიოგრაფიიდან

მოყოლებული – ვაჟა-ფშაველას ეპოქის ჩათვლით, ასევე მე-20 საუკუნეშიც. გატარებულია თეზა, რომ ესაა ერთიანი მაგისტრალური ხაზი „ჩვეულებისაებრ მამულის სლვისა“(იოვანე საბანისძე).

II თავში ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ განხილულია განათლების თანამედროვე პრობლემებთან მიმართებით, აღწერილია სამოქალაქო განათლების კრიზისი თანამედროვე ეპოქაში (დეჰუმანიზაციისა და დესოციალიზაციის პრობლემა). ვაჟა-ფშაველას კოსმოპოლიტური ნააზრევი XVIII-XIX საუკუნეების ფილოსოფოსთა შეხედულებებისა (იოჰანგ ვოლფგანგ გოეთეს, იმანუელ კანტის, ნიკოლაი ბერდიაევის) და თანამედროვე სოციოლოგთა (მარტა ნუსბაუმის (Martha Nussbaum); ჩარლზ ტეილორის (Charles Margrave Taylor) და მაიკლ უოლცერის (Michael Waltzer) მოსაზრებების კონტექსტშია განხილული. აზრი კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთშემავსებელ და ურთიერთგანმაპირობებელ ცნებებად მიჩნევის შესახებ არ არის მხოლოდ ერთი პოეტის, თუნდაც გენიოსის, კუთვნილება, არამედ კაცობრიობის პროგრესული ნაწილის ღრმა ფილოსოფიური დაფიქრება-განსჯის შედეგი. ვაჟა-ფშაველას გენიალური პუბლიცისტური წერილის „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმის“ ყოველი დებულება ღრმა ანალიზისა და განსჯის, ავტორის მოქალაქეობრივი პოსტულატების „გზაშესაყარია“.

III, IV და V თავები მოიცავს სასწავლო-საგანმათლებლო მიმართულებას. წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების კონცეფცია მოქალაქეობრივი ცნობიერების მახასიათებლების ფორმირების კუთხით (სწავლების საფეხურების გათვალისწინებით). კონცეფციის ფარგლებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემულია მოქალაქეობრივი ცნობიერების თვალსაზრისით გამორჩეული ვაჟას საპროგრამო ნაწარმოებების (მოთხრობა „ია“, ლექსი „კაი ყმა“, პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“) სწავლების სამოდელო გაკვეთილები.

VI თავში მოცემულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელ ექსპერტთა ინტერვიუების დისკურს-ანალიზი. შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

ვფიქრობთ, ამგვარად შედგენილი სასწავლო კონცეფცია და მიღებული დასკვნები დააინტერებს და დახმარებას გაუწევს სკოლის მასწავლებლებს როგორც ვაჟას მოქალაქეობრივი დისკურსის გადაცემის, ასევე,ზოგადად, მისი შემოქმედების სწავლების საკითხების (კონცეპტუალური თუ მეთოდური) თვალსაზრისით.

I თავი

ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსის არსი და თეორიული წანამძღვრები

ამ თავში თეორიული სამაგიდე კვლევის მეთოდით განხილულია ვაჟა-ფშაველას მკვლევართა ნაშრომები, წარმოდგენილია პოეტის რეფერატი (გორის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდან), რომელიც ადასტურებს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟა ლიტერატურის სოციალურ დანიშნულებას. დისერტაციის ამ მონაკვეთში ასევე განხილულია მოქალაქეობრივი ცნობიერების შინაგანი, სულიერი ასპექტები ვაჟას საპროგრამო ლექსების („რამ შემქმნა ადამიანად“, „ჩემი ვედრება“) მხატვრულ-იდეური ანალიზის მეშვეობით.

1.1 საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მრავალმხრივი (ტექსტოლოგიური, ენობრივი, ლიტერატურული, პოეტიკური, შედარებითი და ა.შ.) შესწავლის თვალსაზრისით, ფასდაუდებელია ღვაწლი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტისა, რომლის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი გრიგოლ კიკნაძე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევრები და პედაგოგები გარკვეული საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე – შთამბეჭდავი სურათებითა და ფრაზებით გატაცება ემოციურ, ზეაწეულ განწყობილებას იწვევს, რის გამოც კვლევა ზოგჯერ ნამდვილი მეცნიერების მიზნებს სცილდება და ,,სიტყვებით ლამაზობაში“ გადაიზრდება. ამ გარემოების გათვალისწინებით, გრიგოლ კიკნაძემ საგანგებოდ განსაზღვრა ვაჟა-ფშაველას კვლევის მიზანი: ,,მის [ვაჟას] შემოქმედებაზე მსჯელობისას ლიტერატურათმცოდნეები არ უნდა მოწყდნენ მის წიაღს, არ უნდა გაიტაცოს ისინი ერთი შეხედვით მომხიბვლელმა, მაგრამ სინამდვილეში შემთხვევითმა ასოციაციებმა და დაუსაბუთებელმა ანალოგია-

პარალელებმა. და რაც მთავარია, ვაჟას შემოქმედებაზე საზეიმო ლაპარაკი საქმემ უნდა გააძევოს" (კიკნაძე V,2009:292).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლებისას გრიგოლ კიკნაძის ნააზრევი გამორჩეულად გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მისი მეცნიერული ღვაწლისა და უდიდესი ავტორიტეტის გამო, არამედ იმ მიზეზითაც, რომ ის თავად იყო პრაქტიკოსი პედაგოგი 20 წლის ასაკიდან ჯერ ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, შემდეგ – ბათუმის სკოლაში, დაბოლოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ,,ყველაზე უფრო მასწავლებლობა მიყვარდა და მიზიდავდა, ახლაც მჭირს ეს ,,ავადმყოფობა‘‘, აღნიშნავდა კრიტიკოსი თავის ავტობიოგრაფიაში (კიკნაძე V, 2009:301).

გრიგოლ კიკნაძის, იუზა ევგენიძის, ლადო მინაშვილის, დავით წოწკოლაურის, თამაზ ჩხენკელისა და სხვა მკვლევრების მიერ სიღრმისეულად შესწავლილი და გამოვლენილია ის მოტივები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. თითოეული მოტივი გარკვეულწილად პერსონიფიცერებული, გამოკვეთილად გამოხატულია რომელიმე კონკრეტული გმირის სახით და მის სახელს ატარებს, მაგ. : სულიერი ამაღლების მოტივი (ალუდა ქეთელაური); პიროვნული ღირსების დაცვის მოტივი (ჯოყოლა); შეუპოვრობა-გაუტეხელობის მოტივი (ზვიადაური, ამირანი); სინდისის მოტივი (აფშინა, გოჩი, წიწოლა); ობლობისა და მარტოობის მოტივი (შვლის ნუკრი,ია, კვირია, პატარა მწყემსი). „ეს მოტივები ცალ-ცალკე კი არ ძევს, არამედ ურთიერთთან შერწყმულნი და ურთიერთგამაღრმავებელნი არიან. ეს მოტივები მყარი მოტივებია, რადგან ისინი თანაბარი ძალით მჟღავნდებიან ვაჟას ლირიკასა, ეპოსსა და პროზაში" (ევგენიძე 1977:83). თუმცა ამ მართლაც „მყარად შერწყმულ“ მოტივთა შორის თვალში საცემად გამოირჩევა წამყვანი მოტივი, რომელიც მოიცავს და აერთიანებს ყველა დანარჩენს. ეს არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების „მოტივთა მოტივი“ - სოციალურ-მოქალაქეობრივი მოტივი.

გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველა ,,განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება სოციალურ პრობლემებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჟას მეტად ცოცხალი, საზოგადოებრივად აქტუალური ინტერესები გააჩნია‘‘ (კიკნაძე 1957:24).

როგორც შესავალში აღინიშნა, იმავე აზრს ავითარებენ იუზა ევგენიძე და თამაზ კვაჭანტირაძეც. მკვლევარი დავით წოწკოლაური მიიჩნევს: „ვაჟა-ფშაველა თავის სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში ხშირად გამოკვეთდა აზრს ხალოვანის, პოეტის მოვალეობაზე, საერთოდ კი ლიტერატურის საქვეყნო-საზოგადოებრივ ღირებულებაზე“(წოწკოლაური 2010:295).

ვაჟა-ფშაველას უმთავრესი პოემების („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „გველისმჭამელი“, „ბახტრიონი“) პროტაგონისტები მრავალმხრივ ამჟღავნებენ საკუთარ მოქალაქეობრივ ცნობიერებას. ისინი გამოირჩევიან მაღალი სულიერებით, ჯანსაღი პიროვნული დამოუკიდებლობითა და მყარი მოქალაქეობრივი პოზიციით. ამავდროულად, ღრმად, სისხლხორცეულად განიცდიან სოციუმისადმი მიკუთვნებულობას და საკუთარი საზოგადოების ზნეობრივ განვითარებას მსხვერპლად ეწირებიან, სიცოცხლესაც კი თმობენ.

ვაჟას გმირი უცდომლად ჭვრეტს და სათანადოდ აცნობიერებს საკუთარი არჩევანის თანამდევ შედეგებს, კერძოდ, იმას, რომ საზოგადოება ძნელად მიიღებს (ან ვერ მიიღებს) მის სიმართლეს. ამისი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ „ალუდა ქეთელაურიდან“, როდესაც თემისაგან სიცრუის მთქმელად და ქისტისაგან გამოქცეულად შერისხული ალუდა ხატობაზე განრისხებულ ბერდიას ლმობიერად, ხვეწნანარევი ტონით მიმართავს:

„ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო“ (ვაჟა-ფშაველა 1986 : 122).

თუმცა ხევისბრისგან უარის მიღების შემდეგ ალუდა „მგლის ფერს დაიდებს“ და თვითონ აღასრულებს მსხვერპლშეწირვას, რასაც მოჰყვება მისი მოღალატედ („სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირებად“) გამოცხადება და თემისგან მოკვეთა. მაგრამ ამის გამო ალუდა არ ბოროტდება და არ უწყრება თემს (საზოგადოებას), რადგან ხედავს, რომ თემი არ არის მზად და ვერ აცნობიერებს ჰუმანურ პრინციპებს, ამავე მიზეზით ვერ მაღლდება მოქალაქეობრივ საფეხურებამდე. სოფლისაგან მოკვეთილი ალუდა ქეთელაური პოემის ბოლოს საკვირველ მიმტევებლობასა და

დიდსულოვნებას ავლენს, როდესაც დედისა და ცოლისაგან „თემის წყევას“ ღვთისთვის მიუღებელ, „ჯვრის საწყენ“ საქციელად მიიჩნევს:

„დიაცნო. ნუ ხართ ყბედადა!

მოდით, მომყევით, ვიდინოთ,

ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,

ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,

ნუ გადიქცევით ცეტადა!“ (ვაჟა-ფშაველა 1986 : 126).

ეს სიტყვები ადამიანის სულიერი სიმაღლის მანიშნებელია, იმ სიმაღლისა, რომელიც უახლოვდება ჯვარცმული უფალი იესო ქრისტეს შეგნებასა და ლოცვას საკუთარი მტრებისა და მაწყევართათვის: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკა 23,34). როდესაც კაცი აცნობიერებს საკუთარ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, თავის აწონილ-დაწონილ არჩევანს, იგი, როგორც წესი, ლმობიერია სხვების მიმართ და მათ სისუსტესა და გონებრივ სიბნელეს მიმტე-ვებლობით ეკიდება.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვაჟა-ფშაველა სოციალური პოეტია. მას უწინარესად აინტერესებს ადამიანის შინაგანი ბუნება, მაგრამ არა ცალკე აღებულისა და იზოლირებულის, არამედ საზოგადოების აქტიური წევრის. სწორედ ეს არის ვაჟას მსოფლმხედველობის უმთავრესი პოსტულატი. „შემდგომად მომავალ მოძმეზე“, სხვათა გაუკეთესებაზე ზრუნვის გარეშე,ვაჟას აზრით, პოეტის შემოქმედება ფუჭი და უსარგებლოა.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სტუდენტი ვაჟას რეფერატი ბარათაშვილისა და ბაირონის შესახებ, გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროს შესრულებული. ეს რეფერატი ზეპირად შემოგვინახა ალექსანდრე გარსევანიშვილმა, რომელიც სემინარიაში დაესწრო ვაჟას გამოსვლას. ვაჟა-ფშაველას სადავოდ მიაჩნია აზრი ბარათაშვილისა და ბაირონის პოეტური მემკვიდრეობის მსგავსების შესახებ. ის ყურადღებას ამახვილებს ბაირონის პესიმიზმზე და დაასკვნის: „ისინი [ბაირონის გმირები - მ.წ.] ეძებენ პიროვნების ხსნის საშუალებას არასწორი გზით: მათ ვერ იპოვეს საზოგადოების გარეშე გამოსავალი და უნაყოფოდ ჩაიარა მათმა სულისკვეთებამ. ბარათაშვილის მხედარმა კი ასეთი გამოსავალი იპოვნა... ვიმეორებ, ჩვენმა მგოსანმა, როგორც სოციალური გრძნობის მატარებელმა, სწორი გზა

მონახა...მართალია, ბარათაშვილის გმირიც საზოგადოებას შორდება, მაგრამ მგოსანი გულის სიღრმეში მაინც გრძნობდა, რომ პიროვნების ცხოვრება საზოგადოების გარეშე უაზროა და უნაყოფო...მოქალაქე, რომელიც თავის მოძმეებს არ შველის და მხოლოდ თავისთვის მოქმედობს, ცოცხალი ლეშია და ქვეყნისთვის ზედმეტი ბარგია. პიროვნების მოღვაწეობა ფასდება მხოლოდ მისი თავდადებული მოღვაწეობით საზოგადოებრივ სფეროში და არა მის გარეშე" (მოსულიშვილი 2011: 62-63.ხაზი ჩვენია - მ.წ.).

შესაძლოა, ალექსანდრე გარსევანიშვილმა ზედმიწევნითი სიზუსტით ვერ შემოგვინახა ვაჟას რეფერატი, თუმცა მის მთავარ მიმართულებას უდავოდ შესაბამისად წარმოაჩენს. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ვაჟას პიროვნება საოცარი ურყეობითა და სიმტკიცით გამოირჩეოდა, შეუძლებელია, მას სტუდენტობისდროინდელი პოზიცია შეეცვალა. თუმცა ზემოაღნიშნიშულის ყველაზე უტყუარი მოწმე თვით ვაჟას შემოქმედებაა.

1.1.1 „მოქალაქე" და „მოქალაქობა" ქართულ სამწერლობო ტრადიციაში

მოქალაქეობრივი ცნობიერების არსისა და მახასიათებლების განსაზღვრა, უპირველესად, თვით ტერმინის – მოქალაქე (მოქალაქობა) – ქართული სამწერლობო ტრადიციის გათვალისწინებით განმარტებას მოითხოვს. დიდ ქართველ ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანთან „მოქალაქე" განმარტებულია, როგორც „ქალაქში მყოფი" (ორბელიანი:1991) და გამოყოფილია მისი მახასიათებლები – „მოქალაქობითი ყოფაქცევა და სახლის შჯულობითიცა", რაც გულისხმობს ერთობის, „სახლის" წესებით, ანუ „შჯულით" განსაზღვრებულ ქცევასა და ცხოვრებას.

,,ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონში" მოქალაქე და მოქალაქობა ძველი ქართული რედაქციების ყველა თხზულების ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობითაა განსაზღვრული: ,,მოქალაქე - ქალაქში მცხოვრები, гражданин; ,,მე კაცი ურიაი ვარ, ტარსელი, კილიკისაი, არა უცნაურისა ქალაქისა მოქალაქე, საქმე 21,39" (ლექსიკონი 2009:252); ხოლო მოქალაქეობა ცხოვრებას, მოღვაწეობას ნიშნავს: ,,გონებითა კეთილითა ვმოქალაქობ, საქმე 23,28"(იქვე). ძველქართულ ტექსტებში

„გონებით კეთილმოქალაქობა“ სულის გადარჩენის, სასუფევლის დამკვიდრების გზაა: „ხოლო ჩუენი მოქალაქობა ცათა შინა არს, - ფილიპ. 3,2“ (იქვე). „საქართველოს სამოთხის“ შემდგენელი და გამომცემელი მიხეილ საბინინი (საბინაშვილი) თავისი წიგნის შესავალში დახმარების გამო სამადლობელს უძღვნის სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარ ნინას და „ზეცის მემოქალაქედ“ მოიხსენიებს: „ზოგი [იგულისხმება ზოგიერთი ჰაგიოგრაფიული ტექსტი-მ.წ.] მიბოძა სძალმან ქრისტესმან და ზეცისა მემოქალაქემან მცხეთის სამთავროს დედათ მონასტრის წინამძღუარმან ნინა“(საბინინი 2015:7). იოანე ოქროპირის სააღდგომო საგალობელში გვხვდება ფრაზა: „აღდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქეობს“. იოვანე საბანისძემ (VIII საუკუნე) ქართველთა ერთადერთ ჭეშმარიტ გზად „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“, ანუ ქრისტიანული მოქალაქეობის ერთგულება გვიანდერძა.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში მოქალაქობა წმინდანის ცხოვრებას მოიცავს. გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ტაო-კლარჯეთის მაშენებლის, წმინდა მამა გრიგოლის ეპითეტი – **„უდაბნოთა ქალაქმყოფელი“** – არა მხოლოდ ფიზიკურ აღმშენებლობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი სიცარიელის მადლით შეცვლას, სულიერი „უდაბნოს“ ქალაქად, ანუ კეთილ ღვაწლად, გარდაქმნას გულისხმობს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველქართულ ტექსტებში მოქალაქობა აქტიურ, დინამიკურ პროცესს გამოხატავს – ზესწრაფვას სულიერი **„**განაშენიანებისკენ**“,** ქალაქყოფისკენ**.**

სამართლებრივი თვალსაზრისით, მოქალაქეობა უცილობლად გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობას: „მოქალაქის სტატუსი სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანს აძლევს გარკვეულ უფლებებს და მას ასევე აკისრია კანონით განსაზღვრული მოვალეობები“(ლექსიკონი 2011:129). მაშასადამე, მოქალაქეობა გულისხმობს უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში ტერმინ „მოქალაქის“ ისტორული მნიშვნელობაა მოცემული: „მოქალაქე (Гражданин) – ეს სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ზოგჯერ მოქალაქეებად მოიხსენებენ ქვეყნის ან სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას (გერმ. Staatsbürger), ზოგჯერ ამ წოდებას ანიჭებენ

მხოლოდ გარკვეული კატეგორიის წარმომადგენლებს და ამ შემთხვევაში Гражданин არის სინონიმი სიტყვისა горожанин (ამგვარი რამ შეინიშნება გერმანულ ენაშიც). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სიტყვას, როდესაც ის გამოიყენება, როგორც სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების აღმნიშვნელი ტერმინი, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, თანამედროვე ეპოქამდე. საბერძნეთსა და რომში მოქალაქეს (πολίτης, cives) უწოდებდნენ არა ამა თუ იმ ქალაქის ყოველ მცხოვრებს, არამედ მხოლოდ სამოქალაქო ერთობის წევრს"(ბროკაუზი-ეფრონი:1890-1907).[1]

ზემოაღნიშნულ ლექსიკონში ნათქვამია, რომ ძველ საბერძნეთში სიტყვა πολιτεία (მოქალაქე) გულისხმობდა მთელ ერთობლიობას უფლებებისას, რომელთაგან უმთავრესი იყო ქორწინების, უძრავი ქონების შეძენის, სარჩელის აღძვრის, საერო შეკრებებში მონაწილეობის, თანამდებობის დაკავების უფლებები. რომში გამოიყოფოდა მოქალაქის ორგვარი უფლება: 1.საჯარო (jura publica) და კერძო (jura privata). პირველი მოიაზრებდა ძირითადად პოლიტიკურ უფლებებს, მეორე კი ქორწინებისა და უძრავი საკუთრების ფლობისას. ამის გამო რომის მოქალაქეები იყოფოდნენ რომის სრულუფლებიან და არასრულუფლებიან წევრებად.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ სიტყვა „მოქალაქე" გამოიყენებოდა არა მხოლოდ პოლიტიკური კანონმდებლობის სფეროში, არამედ სასაუბრო მეტყველებაშიც, მან ჩაანაცვლა მიმართვის ფორმები "monsieur" და "madame". ამგვარი მიზნით გამოიყენებოდა სიტყვა „მოქალაქე" საბჭოთა პერიოდშიც, იგი ერთგვარ მიმართვის ფორმას წარმოადგენდა.

ამრიგად, ისტორიული და ლიტერატურული ტრადიციების, ასევე სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით, ტერმინი „მოქალაქეობა" მოიცავს, ერთი მხრივ, სულიერ მახასიათებლებს (სულიერი სრულყოფის გზას), მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს. ეს ორი მხარე ავსებს და ერწყმის ერთმანეთს. მოქალაქე პასუხისმგებელია როგორც ღვთის, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ქართულ ჰაგიოგრაფიაში სწორედ ამიტომ მოიხსენიებიან გრიგოლ ხანძთელი და სხვა კეთილმოღვაწენი „ზეცისა კაცებად და ქუეყანისა ანგელოზებად", ანუ მიწისა და ცის შუამავლებად, მიწიერი და ზეციური

[1] თარგმანი ჩვენია-მ.წ.

მოვალეობების აღმსრულებლებად. ახალ ქართულ ტექსტებში (აკაკი წერეთლის ,,თორნიკე ერისთავი‘‘, ალექსანდრე ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა‘‘ და სხვა) ეს ჰარმონია გამოხატულია ფორმულით **„**ხმა ღვთისა **-** ხმა ერისა**“.**

1.1.2 მოქალაქეობის თეოლოგიური საფუძვლები (წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე)

მოქალაქეობის თეოლოგიურ საფუძვლებს უღრმავდება წმინდა იოანე ოქროპირი მათეს სახარების განმარტებაში: „რომელსაცა გესმიან სიტყუანი ესე და მეცნიერ ხარ საიდუმლოთა ამათ, გულისჴმა-ყავ ყოველივე ესე და მოიგე მოქალაქობაჲ ღირსი სიყუარულისა მის, რომლითა შეგიყუარა უფალმან“(ოქროპირი I,2014:185). ქრისტესმიერი სიყვარულის ღირსი მოქალაქეობა მძიმე გარჯით, საკუთარი ვნებების ჯვარცმით მიიღწევა: „ჯუარს-აცუ თავი შენი სოფლისა და სოფელი თავისა შენისა და ცხოვრებდ მოქალაქობითა მის ზეცისაჲთა“(იქვე). წმინდა იოანე ოქროპირი გვეუბნება, რომ „თავი“ ჩვენი, ანუ უფალი, ზეცაში მკვიდრობს, იგი იმისათვის მოვიდა ამქვეყნად, რათა ჩვენი ბუნება ზეცას აიყვანოს, „მუნ გვიღირს აღსვლაი“. მაგრამ მანამდე აქვე, ამსოფლადვე (რომელსაც აჩრდილად და სიზმრად მოიხსენიებს წმინდა მამა) ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც ზეცის მკვიდრებმა: „პირველ აღსვლისა ესრეთ ვიყვნეთ ქუეყანასა ზედა, ვითარცა მკჳდრნი ზეცისანი, სადა იგი არს სამკვიდრებელი ჩუენი“(იქვე). ამრიგად, წმინდა იოანე ოქროპირი „ზეცისა მემოქალაქობის“ დამკვიდრების გზად მიიჩნევს „თავისა თვისისა“ ჯვარცმას, ანუ თავგანწირულ, თავგამეტებულ მსახურებას და ასევე სოფლისა დავიწყებას, ანუ ამქვეყნიური, პირადული საზრუნავის დათრგუნვას. ასე შეუერთდება ადამიანის სული ზეცისა ქალაქს, ანუ საკუთარ წიაღს, თავის „სახლს“.

„ამისთჳს გლოცავ, საყვარელნო, ვაჩვენოთ მოქალაქეობაჲ კეთილი და უბრწყინვალესი მზისა, რაჲთა უფროჲსად იდიდებოდის ღმერთი ჩვენ მიერ“(ოქროპირი I,2014:244). ამ სიტყვებში ჩანს მოქალაქეობის არსი და დანიშნულება – კეთილმოქალაქემ ისე უნდა გაუკვალოს და გაუნათოს ადამიანებს გზა ღვთისაკენ, როგორც მზემ. „მოვიგოთ უკუე სათნოებაჲ, ვიქმნეთ მშჳდ და მდაბალ სულითა,

ვიქმნეთ მოწყალე და წმიდა გულითა და მშჯდობისმყოფელ. უკუეთუ ესრეთ ვიყვნეთ, უმეტესღა სასწაულთა საქმისა მოვიდენ ყოველნივე ჩუენ მიერ დიდებად ღმრთისა“(იქვე). მოქალაქობის მიზანი არის ყოველის მიყვანა ღმერთთან. იოანე ოქროპირის თქმით, წინააღმდგომი და მაგინებელიც კი „გულსა შინა მათსა იგინიცა მაქებელ ჩვენდა იქმნენ...აღეხილნიან თუალნი წინააღმდგომთა მათთანი და იხილიან ჭეშმარიტებაჲ და უფროჲსად მაქებელ იქმნიან მოყუარეთა მათ და მონათა ღმრთისათა“(იქვე). ამ სიტყვებში გაცხადებულია უმთავრესი დანიშნულება მოქალაქეობისა – მას შეუძლია, გულგაქვავებული, გაბოროტებული ადამიანებიც კი მიაქციოს ღვთის გზაზე, ჭეშმარიტების მადიდებლად აქციოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიის უმთავრესი სულისკვეთება სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა , „სტუმარ-მასპინძელში“ თვით „რკინის მკვნეტელ“ თემსაც კი ეტყობა გარდატეხის კვალი, „ბახტრიონში“ კაცობრიობის მტერი გველი დააგდებს ბოროტების გზას, „გოგოთურ და აფშინაში“ ავაზაკი აფშინა ფერისცვალებას განიცდის. ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზი კი ისაა, რომ მათ საოცრად ღირსეული ადამიანები იხილეს, გმირობის მომსწრენი გახდნენ და შეიცვალა მათი ცნობიერება.

კეთილმოქალაქენი ქრისტეს გზას იმეორებენ, ითმენენ კიცხვას, შეურაცხყოფას, გვემას, განდევნას. ფიზიკურად მარცხდებიან, მაგრამ სულიერ საუნჯეს მოიპოვებენ და, რაც მთავარია, სხვასაც აზიარებენ. მამა იოანე ოქროპირი ზეციური იერუსალიმის მოქალაქეებად სახელდებს მათ: „იქმენ სიონ ახლად, მაღალთა მათ ხილვათა ტაძრად, იქმენ მოქალაქე ზეცისა იერუსალჷმისა და უფროჲსღა ქალაქ მეუფისა დიდისა, რაჲთა შეიწყნარო ქრისტე შენ შორის“(ოქროპირი II, 2014:279).

ამრიგად, სახარების სწავლების ოქროპირისეული განმარტებით, მოქალაქეობის თეოლოგიური საფუძვლები ქრისტეს ცხოვრებით განისაზღვრება. მოქალაქეობრივი ღვაწლი ჯვრისმტვირთველობას, სხვათათვის გაღებულ სიკეთეს უტოლდება. ყოველი დიდი შემოქმედის მოღვაწეობაც სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა, უფლისმიერ ღვაწლს მიემსგავსება, რადგან, იოანე ოქროპირის თქმით, უფალმა შეუძლებელი რამე კი არ მოგვთხოვა, არამედ „ადვილი მოქალაქობაჲ განგჯწესა, რომელ ნებაჲ ხოლო გჯჴმს სულისაჲ, და მეყსეულად წარემართების; არცა

მახჯლნი უჴმან, არცა საჭურველნი“(ოქროპირი II, 2014:543). ჭეშმარიტად, კაცის საქმე უფლისმიერ ღვაწლთან შედარებით „ადვილად“ მოჩანს, რადგან ქრისტეს წინამძღოლობით, გამხნევებით და „ნებაი სულისაის“ მიყოლით წარემართება.

მოქალაქეობის არსისა და რაობის, მისი თეოლოგიური საფუძვლების საყურადღებო განმარტებებს გვთავაზობს მეოცე საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი, თეოლოგიის დოქტორი - წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე წერილთა სერიაში „შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა (განმარტება „მამაო ჩვენოსი")“ – ესაა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებები, რომლებიც, უმთავრესად, ემიგრაციაში მყოფი ქართველებისადმია მიმართული.

გრიგოლ ფერაძის ნაშრომში მოცემულია მოქალაქეობის შინაგანი, სულიერი მახასიათებლები. ეს ასპექტები განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟა-ფშაველას ეპიკური გმირების მოქალაქეობრივი პოზიციების გამოსაკვეთად. გრიგოლ ფერაძე სიღრმისეულად მსჯელობს მოქალაქეობის სულიერ საწყისებზე, სიტყვის ეტიმოლოგიაზე, ჭეშმარიტი მოქალაქის თვისებებზე, საინტერესოდ განმარტავს პატრიოტიზმის ცნებას. მამა გრიგოლის მთავარ პოსტულატად იკვეთება შემდეგი თეზა: „მიზანი მოქალაქის ცხოვრებისა და მოქალაქობისა უნდა იყოს ღმერთი" (ფერაძე 1988:41). ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მოქალაქის მთავარი მახასიათებელია „შეგნება", თავისი სამშობლოს „შეგნებული წევრობა“: „მოქალაქე ნიშნავს სამშობლოს ყოველ შეგნებულ წევრს, მოქალაქე არ ნიშნავს მას, ვისაც კერძო საკუთრება აქვს თვის გარეშე, არამედ მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას"(ფერაძე 1989:80). მაშასადამე, „თვის გარეშე არსებული", ანუ გაუაზრებელი, შინაგანი განსჯისა და ფიქრის გარეშე მიღებული, მექანიკურად აღსრულებული ვალდებულებები კი არ განაპირობებს მოქალაქეობრივ ცნობიერებას, არამედ – გრძნობითი და გონებითი აღქმა-გააზრება ცხოვრების მნიშვნელობისა და საკუთარი მოვალეობებისა. ვაჟა-ფშაველას პოემების მხატვრული სახეების დინამიკა სწორედ განცდა-გააზრების კუთხით წარიმართება („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“) და არაცნობიერიდან შეგნებისა და მყარი მოქალაქეობრივი არჩევანის სფეროში გადადის.

სწორედ „შეგნებას“, ანუ საკუთარი მოვალეობებისადმი ცნობიერ დამოკიდებულებას მიიჩნევს მოქალაქის უმთავრეს მახასიათებლად ვაჟა-ფშაველაც: „მე რომ მკითხავდნენ, ქვეყნის საბედნიეროდ რას ისურვებდიო, მე ვიტყოდი: შეგნებას-მეთქი... ცხოვრების ავ-კარგი სწორედ ამ შეგნება-შეუგნებლობაზეა დამოკიდებული. კაცობრიობას თავის თავის სასიკეთოდ რაც რამ დაუწერია, დაუწერია მაშინ, როდესაც გონს მოსულა, მაგრამ საუბედუროდ ყველა ერი არ ყოფილა ამ დროს შეგნებული: ერთი ერი წინ უსწრებს მეორეს შეგნებით“(ვაჟა-ფშაველა1979:196). მაშასადამე, „შეგნება“, „გონს მოსვლა“ თითოეული წევრისა ერის წინსვლის უმთავრესი წანამძღვარია.

გრიგოლ ფერაძე ყურადღებას ამახვილებს სიტყვა ,,მოქალაქის" საკუთრივ ქართულ მნიშვნელობაზე: „ესაა სიტყვა მძიმე და შინაარსიანი. ეს სიტყვა სხვა ერებს არა აქვთ ... ,,ცხოვრება და მოქალაქეობა" - ესაა სათაური ყოველი წმინდანის ცხოვრებისა...სიტყვა მოქალაქეობა ჰგულისხმობს წმინდანის სულიერ ცხოვრებას: მის ბრძოლას თავის თავთან, თავის წრესთან და სიბნელესთან, ე.ი. ბრძოლას იმ აზრების და პრინციპების განხორციელებისთვის, რომელნიც მას თავის მიზნად დაუსახავს"(ფერაძე 1989:80). ავტორი მიჯნავს სიტყვებს ,,მოქალაქეობა" და ,,მოღვაწეობა", მისი აზრით, მათი მიჩნევა სინონიმებად მცდარია და რუსული ენის გავლენითაა განპირობებული: ,,მე მგონია, ეს უკვე ერთგვარი ცდაა რუსულის მიხედვით შესწორებისა, რომელსაც სიტყვა ,,მოქალაქეობა‘‘ არა აქვს"(იქვე). მისი აზრით, ,,მოღვაწეობა" იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ის შედეგია მოქალაქეობისა. ეს უკანასკნელი კი ,,უბრალო და მარტივი" (ფერაძე) ფენომენია. ამის შემდეგ გრიგოლ ფერაძე კონკრეტულად აყალიბებს საკითხს, დაწვრილებით ჩამოთვლის მოქალაქის თვისებებს და გვთავაზობს უაღრესად საყურადღებო დასკვნას: „მოქალაქეობა არა მხოლოდ ყოველი წმინდანისა არის ბრძოლა თავის წრესთან, დროსთან ან თავის-თავთან, არამედ მოქალაქეობა ყოველი მოქალაქისა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას; მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიან თვალით საგნების დანახვას, წინდახედულებას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ

განათლებული ადამიანისა, მოქალაქეობა მოითხოვს სხვისი აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანობის ძებნას და დაფასებას"(ფერაძე 1989:80-81).

დაბოლოს, გრიგოლ ფერაძის მიერ განსაზღვრული მახასიათებლები მოქალაქეობის ზოგად, ზედროულ ფენომენს მიემართება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ვაჟას გმირები სრულად ფლობენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას. ვაჟა გვთავაზობს ამა თუ იმ თვისების კონკრეტულ, ხელშესახებ გამოვლინებებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების წამყვანი სოციალურ-მოქალაქეობრივი მოტივი სწორედ ,,ადამიანში ადამიანობის ძებნისა და დაფასების" სურვილითაა ნაკარნახევი.

1.2 ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსი ეროვნული ცნობიერების კონტექსტში

მე-19 საუკუნეში მოქალაქეობრივი ცნობიერების მაგისტრალური ხაზი, როგორც წინაპართა გზის („ჩვეულებისაებრ მამულისა სლვის“) კანონზომიერი გაგრძელება, ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა და განავითარა. ვაჟას მოქალაქეობრივი აქტიურობა ილიას და აკაკის გზის გაგძელებაა. გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავდა ვაჟას შესახებ: ,,მას ახლებურად უნდა ეთქვა ის, რაც სხვა სახით და სხვა სიტყვიერი სამოსით არსებითად უკვე თქვეს ვაჟას წინაპრებმა, ქართული სიტყვის გიგანტებმა – ილიამ და აკაკიმ" (ვაჟა-ფშაველას კრებული III, 1991:15).

ვაჟა-ფშაველასა და ილია-აკაკის ანათესავებთ პოეტური იდეალები, თუმცა მათი გაცხადების შემოქმედებითი მანერა, რა თქმა უნდა, განსხვავებული და თავისთავადი აქვთ. ვაჟას მხატვრული სტილიც კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოქალაქეობრივია იმ გაგებით, რომ საკუთარი პიროვნების აქცენტირების მაგიერ სხვის თანგრძნობასა და თანალმობას ემსახურება. ვაჟას პირველმა მკვლევარმა, გრიგოლ ყიფშიძემ, შეძლო, ამოეცნო დიდი პოეტის ეს უძირითადესი თავისებურება: ,,ლექსში, პოემაში ჰქრება ვაჟა, ჰქრება მისი პიროვნება, აღარა სჩანს მისი სახე, როგორც ინტელიგენტისა. თავის შემოქმედების დროს პოეტი მთლად გადასულია იმის სულსა და გულში, ვისაც გვიხატავს და იმისივე ენით გვიყენებს თვალწინ ბუნების სურათებსაც, ყოველგვარ საფიქრელსა და საგონებელსაც‘‘ (ყიფშიძე

1991:315). გრიგოლ ყიფშიძის შენიშვნა არა მხოლოდ პოეტის შემოქმედებით მანერას ეხება, არამედ, ზოგადად, განსაზღვრავს ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობის ფორმასა და ცხოვრების წესსაც. იმავეს შენიშნავს გრიგოლ კიკნაძეც: „ვაჟამ შეძლო ისე ეამბნა უფაქიზეს გრძნობათა შესახებ, რომ თავისი პიროვნება მიეჩქმალა“ (კიკნაძე 1957:227). ნამდვილი მოქალაქეობა საკუთარი პიროვნების „მიჩქმალვით“, თვითუარყოფით, სხვებთან ერთობის განცდით მიიღწევა. სწორედ ასეთი თავმდაბლობით აღჭურვილ პიროვნებას ევლინება საოცარი მართლჭვრეტის უნარი, ჭეშმარიტების წვდომის ნიჭი და გამორჩეულობა.

საქმეში ჩაუხედავი მკვლევრები და ზოგჯერ ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნეებიც მხატვრული სტილის განსხვავებას, ამა თუ იმ საკითხზე პოეტთა აზრის სხავადასხვაობას ხშირად პირადი დაპირისპირებების სიბრტყეზე განიხილავენ და საკამათო, მცდარ დასკვნებამდე მიდიან. ამგვარი დასკნების მაგალითებით გაჯერებულია თანამედროვე ინტერნეტსივრცე, ვაჟა-ფშაველას გენიალურობის წარმოჩენას ილიასა და აკაკის ღვაწლის მიჩქმალვის ფონზე ცდილობენ ხოლმე. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ მოსაზრებას, რომელიც უაღრესად ნიჭიერ თანამედროვე მკვლევარს ეკუთვნის და ეს ცხადყოფს, რომ ამგვარი ტენდენცია, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, მაინც არსებობს.

პროფესორი ზაზა აბზიანიძე მიიჩნევს: „ლექსი „ჩემი ვედრება“ ისეთივე პროგრამული ნაწარმოებია ვაჟასთვის, როგორიცაა ილიას „პოეტი“ ან აკაკის ამავე სახელწოდების ლექსი“ (აბზიანიძე 2011:17-18). შემდეგ კი მკვლევარი წერს: „ვაჟას შემოქმედებითი მრწამსის გაცხადებაში ვერ შევხვდებით ვერც ბიბლიური მოსეს ალუზიებს, ვერც ერის წინამძღოლობის ამბიციას... „ჩემს ვედრებაში“ გაცხადებული სურვილი „ბალახად“ თუ „ცხვრად“ ყოფნისა – არა თუ ძლიერებასთან მიტმასნებასა და „მგელობას", არამედ ამ ფარის „მწყემსობასაც“ კი გამორიცხავს, „ჩემი ვედრების“ ხაზგასმული თავმოდრეკაც, ზეციურ მეუფესთან არა თანამოსაუბრის, არამედ ცხოვრების უსამართლობით შეძრწუნებული მავედრებლის მუხლმოდრეკაც – ერთგვარი შეფარული პოლემიკაა მისი დროის ორ უდიდეს ქართველ მოღვაწესთან“ (აბზიანიძე 2011:19).

ამრიგად, მკვლევრის თქმით, ილიას სიტყვები ,,ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“ და აკაკის ,,სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“ ბიბლიური მოსეს ალუზია და ,,ერის წინამძღოლობის ამბიცია“ ყოფილა. ზაზა აბზიანიძე მიიჩნევს, რომ ვაჟას ,,ჩემი ვედრების“ დომინანტური თეზა უპირისპირდება ილიასა და აკაკის მიერ დანერგილ მსოფლმხედველობრივ ყალიბს. მეცნიერს მოჰყავს მაგალითები პოეტების ურთიერთობიდან. ერთი მხრივ, ის იხსენებს ვაჟასა და აკაკის პოლემიკას ენობრივი საკითხების გარშემო და, მეორე მხრივ, ვაჟას ურთიერთობის გაფუჭებას ილიას ,,ივერიასთან“ ე.წ. ,,სტუდენტთა კასის“ საქმის გამო.

1894 წელს „ივერიის“ პუბლიცისტმა ,,მეველემ“ (დავით მიქელაძემ) პოლემიკა წამოიწყო ვაჟა-ფშაველასთან. ზაზა აბზიანიძე იმოწმებს ამ პოლემიკის ფარგლებში ვაჟას მიერ გაზეთ ,,კვალში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილს (,,ივერია“#201 და მეველე“, კვალი,1894), რომელშიც ვაჟა აკრიტიკებს ,,მეველეს“ და მის ნააზრევს მიაწერს ,,დიდებულ ზევსს, ოლიმპსა ზედა მჯდომარეს“. ზაზა აბზიანიძის აზრით, ვაჟა-ფშაველა ამ სიტყვებში ილია ჭავჭავაძეს გულისხმობს: ,,ვაჟას პათეტიკური ტირადის ჩაკვირვებულ მკითხველს აქ უკვე ციტირებული სტრიქონების ალუზია გაუჩნდება, დიახ, სწორედ ამ სტრიქონებისა ,,ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ“ (აბზიანიძე 2011:21).

გაუგებარია, რატომ მოიხსენიებს მკვლევარი ილიასა და აკაკის ღვაწლს ოდენ ,,ამბიციად“ ან ერის წინამძღოლობის ზნემაღალ მისწრაფებაზე მსჯელობისას რატომ ივიწყებს ვაჟა-ფშაველას სიტყვებს ლექსიდან ,,სიმღერა“ (,,მთას ვიყავ“):

,,მთას ვიყავ,მწვერვალზე ვიდექ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა,
საკითილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა “(ვაჟა-ფშაველა 1979:109).

ეს ლექსი, რომელიც პოეტური სათქმელითა და ალეგორიული ქვეტექსტით უახლოვდება აკაკის მაჯამას „აღმართ-აღმართ“, აშკარად ამტკიცებს, რომ ზეციური მეუფის თანამოსაუბრეობა და ერის ზნეობრივი წინამძღოლობა ისევე იყო ვაჟა-ფშაველას მისწრაფება, როგორც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა. მეტიც, ეს მისწრაფება სრულიად არ გამორიცხავს ღვთის წინაშე თავდრეკასა და „ბალახად“ მოვლინების სურვილს (ანუ თავმდაბლობას).იგი მოიცავს ღმერთმიმსგავსებულობას, ეკლიან გზასა და მძიმე მოქალაქეობას. ილიასა და აკაკისაც, ვაჟას მსგავსად, სწორედ „ცხოვრების უსამართლობით შეძრწუნებული მავედრებლის მუხლმოდრეკა“ (რასაც ავტორი მხოლოდ ვაჟა-ფშაველას უკავშირებს) ახასიათებდათ და თავიანთი შემოქმედებით ისინიც ამ უსამართლობას უპირისპირდებოდნენ.

კვლევის დასასრულს ლიტერატორი აღნიშნავს, რომ ილიასა და ვაჟას შორის არსებული წყენა გაქრა იმ მარადიული ღირებულებების ფონზე, რომლებიც მათ აერთიანებდათ. ზაზა აბზიანიძეს ამ შერიგების არგუმენტად მოჰყავს ვაჟას უკვდავი სიტყვა, წარმოთქმული ილიას დაკრძალვაზე – ილიას ფენომენის გაიგივება საქართველოსთან.

უთუოდ გასაზიარებელია ზაზა აბზიანიძის კვლევის ინ ნაწილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ „ვაჟას თავმოდრეკა და ბალახად ყოფნის სურვილი – ესაა გაცნობიერებული არჩევანი ხელოვანის მოკრძალებული პოზიციისა და არამც და არამც დაქვეითებული თვითშეფასების გამოვლინება“, მაგრამ დაუჯერებელია ის, რომ 22 წლის ვაჟა-ფშაველა დაუპირისპირდა თავის ორ უდიდეს თანამედროვეს, რომლებიც „პედესტალზე აღიმართნენ და ღმერთებივით ლაპარაკობდნენ“ (აბზიანიძე 2011:21)[2]. თუკი შემოქმედებით მანერაზე ვიმსჯელებთ, ვაჟას იგი მართლაც განსხვავებული, ილიასა და აკაკისაგან გამორჩეული ჰქონდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, პირადი უთანხმოება, თუნდაც ხანმოკლე და შერიგებით დასრულებული, ამ კონტექსტში მოსატანი არ არის. კიდევ უფრო შორს მიდიან ვაჟასა და აკაკის „დაპირისპირებაზე“ მსჯელობისას და გამუდმებით უსვამენ ხაზს აკაკის მიერ ვაჟას

[2]იხ.ზაზა აბზიანიძის სტატიის ინგლისური რეზიუმე (თარგმანი ჩვენია-მ.წ.).

დაუფასებლობას.[3] ეს საკითხი განსაკუთრებით საფრთხილოა სწავლების პროცესში, დაბეჯითებით ახსნასა და განმარტებას მოითხოვს.

ამრიგად, ნამდვილი პიროვნებისა და მოქალაქის ილიასეული გმირების – ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის – სახეები ერთგვარ „გაგრძელებას“ პოვებს ვაჟასთან. ვაჟასა და ილიას კეთილმოქალაქე გმირების უმთავრესი მახასიათებლებია: ჭეშმარიტების შეგრძნება და არდაფარვა (საზოგადოებაში „ტირაჟირება“), ღირსების გრძნობა, ბოროტთან შეწინააღმდეგება, პასუხისმგებლობის ძლიერი განცდა-გააზრება, საკუთარი ღვაწლის „მიჩქმალვა“, ფარული სასიკეთო შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ.

1.3 მოქალაქეობრივი ცნობიერების მოტივი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში („რამ შემქმნა ადამიანად“„ჩემი ვედრება“, „სტუმარ-მასპინძელი“)

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მოქალაქეობრივ მოტივს ღრმა ფესვები აქვს, იგი შემოქმედის შინაგანი სამყაროდან მომდინარეობს და მისი უმთავრესი სულიერი მოთხოვნილების მხატვრული რეალიზაციაა. ამ მოთხოვნილებას (მისწრაფებას) ვაჟას საპროგრამო ლექსთაგან განსაკუთრებით ათვალსაჩინოებს „რამ შემქმნა ადამიანად“ და „ჩემი ვედრება“.

ლექსში „რამ შემქმნა ადამიანად“ წარმოჩნდება ორი პოეტური ფენომენი – ადამიანობა და წვიმად ყოფნა. ლირიკული გმირი წვიმად ყოფნას ნატრობს:

„რამ შემქმნა ადამიანად,

რატომ არ მოვედ წვიმადა?“(ვაჟა-ფშაველა 1986 : 87).

ხომ არ ნიშნავს ეს ადამიანად მოვლინების გმობას, არმიღებას? ადამიანი „ოხრად და ტივლად“ არის განწირული ამქვეყნად, საცდურით გარშემორტყმულს, სჭირდება „სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა“. მაგრამ ასეთი უიმედო და მფრთხალი ყოფა მხოლოდ ხორციელებას მიჯაჭვული ადამიანის ხვედრია. ლექსის ლირიკული გმირი არ კმაყოფილდება მწარე რეალობით, „ოხრად და ტივლად” ყოფნით, იგი ხსნას სულიერ ამაღლებაში ეძებს. სწორედ „წვიმაა“ ნამდვილი ადამიანობის

[3] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. პროფესორ ჯულიეტა გაბოძის წერილი „მედლის ორი მხარე. აკაკისა და ვაჟას „ორსაუკუნოვანი“ პოლემიკა.სიმპოზიუმის მასალები 2011:52.

უმთავრესი გამოხატულება, იგი „ცის შვილია“, „ღრუბელთ გულ-მკერდის მძივი“, „მზის მოტრფიალე“, „ცისა და ხმელეთის წილი“. ვაჟას ლექსი თავისი უმთავრესი სულისკვეთებით უახლოვდება ბარათაშვილის „მერანს“, საეტაპო ლექსს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ორივე გმირს სწყურია მიწიერი დასაზღვრულობის გადალახვა, ქროლა, „ზეაღჭრა“ და თავგანწირვა. ორივეს ამოძრავებს მწველი სულიერი წყურვილი მარადისობასთან შერწყმისა:

„მზის მოტრფიალე ვივლიდი,

სიკვდილის გამაწბილადა,

მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი,

მე მექნებოდა წილადა“ (ვაჟა-ფშაველა 1986 : 88).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ლექსებს აახლოებს „შემდგომად მომავალ მოძმეზე“ ზრუნვის, ანუ საყოველთაო სარგებლის მოტანის მოტივი. წვიმის ოფლით ირწყვება და ხარობს მომაკვდავი არემარე და ეს დიდ სიხარულს განაცდევინებს პოეტს. თავის თავში დაუტევნელი სიყვარული ბუნებასთან შერწყმის სურვილად გადმოიღვრება:

„გავიხარებდი, მთა-ბარსა

ოდეს ვნახავდი მწვანედა,

მორწყულსა ჩემის ოფლითა,

ყვავილებს შიგნით, გარეთა“(ვაჟა-ფშაველა 1986 : 88).

სამყაროს სიყვარული ფიზიკური სიახლოვის, „მოფერების" სურვილად გადაექცევა პოეტს : „და განახლებულ ბუნებას ყელ-ყურზე მოეხვეოდა“.

ეს მოტივი ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან" ვლინდება. გავიხსენოთ, ავთანდილის გალობა ბუნებაში განეფინება, გმირის შინაგანი, სულიერი ენერგია უსულო საგნებსაც კი სიცოცხლეს ანიჭებს, მხეცებსაც სმენად განაწყობს. იგივე მოტივი გვხვდება ბარათაშვილთან, რომელიც „განთიადის მორბედ" მზედ ყოფნას ნატრობს, რათა გააცოცხლოს „შავარნო" (დამჭკნარი მდელო), გაახაროს მისი ამოსვლის მომლოდინე ტყეთა ფრინველნი და ვარდნი („არ უკიჟინო, სატრფოო"). უახლეს ქართულ ლიტერატურაში ყველაზე შთამბეჭდავად ეს მოტივი გალაკტიონსა და ტერენტი გრანელთან იჩენს თავს. გალაკტიონთან წაშლილია ზღვარი პოეტის გულსა და სამყაროს შორის:

„საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,

ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული" („მე და ღამე").

ტერენტი გრანელი კი პირდაპირ აცხადებს: „მინდა ვიყო ყველგან, როგორც ღმერთი" (მინიატურა „გულიდან სისხლის წვეთები") – ეს მკრეხელური სურვილი როდია, არამედ თავის თავში დაუტევნელი სიყვარულით ანთებული წყურვილია სამყაროში განფენისა, კოსმოსთან შეერთებისა.

ასე რომ, ვაჟას ლექსში „რამ შემქმნა ადამიანად“ წვიმად ყოფნა ადამიანობის უარყოფა კი არ არის, არამედ, პირიქით - მისი მიღება და აღიარება, ღვთის ხატების დაცვა და არდაკარგვა, რაც მხოლოდ მოყვასზე ზრუნვით, თვითშეწირვით მიიღწევა. მოქალაქეობის არსის განმარტებისას წმიდა გრიგოლ ფერაძე წერდა: „მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება, თვისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათებლად“(ფერაძე 1989:80). ვაჟა-ფშაველას ლირიკული გმირი უთუოდ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მატარებელია.

1.3.1 თვითშეწირვის მოტივი ლექსში „ჩემი ვედრება“

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის, მის შემოქმედებაში განფენილ მოტივთა ერთგვარი „გზაშესაყარია“ ლექსი „ჩემი ვედრება“. მას უდიდეს შეფასებას აძლევს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე:„ვაჟას სულის არაერთი გასაღები მის შემოქმედებაში მრავლადაა მიმობნეული, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას მის ერთ ლექსზე - „ჩემი ვედრება“ შევაჩერებ. ეს არის უმაღლესი ქრისტიანული აზროვნების ნაყოფი, თავმდაბლობის, სიყვარულის, ერთგულების, ვაჟკაცობის, სინაზის საგალობელი, რომლის ავტორიც ჭეშმარიტი მეგობარია ღვთისა და არა მხოლოდ კარგად მოაზროვნე შემოქმედი.

„ბალახი ვიყო სათიბი,

არა მწადიან ცელობა,

ცხვრადვე მამყოფე ისევა,

ოღონდ ამშორდეს მგელობა...

მხოლოდ მაშინ ვერ ბედნიერ,

როცა ვარ შეწუხებული“.

ამ სიტყვების სიღრმეს ბევრნი ვერც მიხვდებიან, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩვენს ქვეყანას დღესაც არც თუ ცოტა ჰყავს ასეთი შვილები, ამ წესით რომ ცხოვრობენ. სწორედ ამგვარი ადამიანები იყვნენ და არიან მარილნი სოფლისანი"(ილია მეორე 2006. ხაზი ჩვენია - მ.წ.).

პატრიარქის მიერ ნახსენები „ჭეშმარიტი მეგობარი ღვთისა“ მოქალაქეობრივი ცნობიერების წმიდა გრიგოლ ფერაძისეულ განმარტებას ეხმიანება, როდესაც იგი ჩამოთვლის მოქალაქის თვისებებს და აღნიშნავს, რომ სიმდაბლე „არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებული ადამიანისა“.

ყურადღება გავამახვილოთ პატრიარქის მიერ ციტირებულ ტაეპებში ნახსენებ მხატვრულ სიმბოლოებზე – „ცხვარი“ და „ბალახი“. სწორედ „ცხვრად“ და „ბალახად“ ყოფნა, წუხილს მიღმა განცდილი ბედნიერება აქცევს ადამიანს „მარილად სოფლისა“. ეს ვაჟასეული სიმბოლოები ქრისტიანული თვალთახედვითაა გასააზრებელი. „ბალახი სათიბი“ უკავშირდება სახარებისეულ „ველის შროშანსა“ და „თივას“: „განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ - იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.უკეთუ თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა - მე უფროჲს თქუენ, მცირედმორწმუნენო?“ (მათე 6,28-30).

მოყვანილ უფლისმიერ სწავლებას ამგვარად განმარტავს მღვდელი გრიგოლ დიაჩენკო: „თეთრი შროშანები მრავლად იზრდება ნაზარეთის სანახებში, და მის სიმშვენიერეს ყრმობიდანვე ხედავდა უფალი იესო. ნათქვამის აზრი აქ მარტივი და ცხადია: თუკი უმნიშვნელო ქმნილებას, როგორიც ველის ყვავილია, ღმერთი ასეთი სიმშვენიერით მოსავს, განა უარს ეტყვის აუცილებელ სამოსზე თავის მორწმუნეებს...მრავალი ადამიანი დროის, სახსრებისა და საკუთარი გულის მისწრაფებათა უდიდეს ნაწილს იმას უთმობს, თუ როგორ ჩაიცვას და როგორ შეიმკოს მოკვდავი სხეული!..ასეთი უგუნური მზრუნველობა მიწისაგან შექმნილი სხეულის შესამკობად იმ დროს, როცა ამ ადამიანთა უკვდავი სული სავალალო სიშიშვლესა და ქრისტიანულ სათნოებათაგან მოკლებაშია, ცხადყოფს მათს ურწმუნოებას და ქვეყნიურ სიამეთაკენ სწრაფვას“ (დიაჩენკო:2001).

უმნიშვნელო არსება – ველის შროშანი ხორციელების დამარცხების, სულის გამარჯვების სიმბოლოა. ვაჟა-ფშაველას „ბალახად" ყოფნას დანატრული გმირი ქვეყნიურ სიამეთაგან თავისუფალი ქრისტიანია, ის ამქვეყნადვე გრძნობს ცათა სასუფევლის ნეტარებას.

ლექსს „ჩემი ვედრება" წმინდა წერილთან მიმართებით განიხილავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარი თამარ შარაბიძე. ის მსჯელობს „ნათლისა" და „ცეცხლის“ სიმბოლურ საღვთისმეტყველო გააზრებაზე: „ვაჟა სულიწმიდას აღიქვამს, როგორც ზეციურ სატრფოს, რომელიც ცეცხლს უკიდებს პოეტის გულს და მადლს ჰფენს“ (შარაბიძე 2005:64).

პოეტის მიზანი „სულ ბოლო ამოქშენამდე“ უფლის არდავიწყებაა: „არ დამეკარგოს გულიდან მე შენი სახსოვარია“. უფლისმიერი მადლის მოპოვება კი მხოლოდ აქტიური ქმედებით, მცნებების დაცვით მიიღწევა. ვაჟასთვის მცნების დაცვა არის ტანჯვის დროს შეუდრეკელობა, დაჩაგრულების მცველობა, თავის დამდაბლება, უანგარო „საკეთილო“ შრომა:

„მაშრომე საკეთილოდა,

თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი ,

შვილთ საგმოდ არ გამიხადო,

ჩემი მუდმივი სამყოფი" (ვაჟა-ფშაველა I 2002:67).

თამარ შარაბიძე პარალელს ავლებს ვაჟა-ფშაველას ლექსში წარმოდგენილ სათნოებებსა და მოსეს მცნებებს შორის: „პოეტი ბიბლიის ანალოგიით „გონების საბანზე“ სთხოვს უფალს იმ „ღრმა და მწვავე ფიქრის“ დაწერას, რომელიც მოსეს ქვის ფიცარზე დაუწერა ღმერთმა თავისი ხელით. „გონების საბანზე დაწერა“ – ეს შესანიშნავი მხატვრული სახე – შესაძლოა სწორედ ჩვენ მიერ აღნიშნული ბიბლიური ამბიდან მომდინარეობდეს. ვაჟა მის ორიგინალურ გააზრებას გვაძლევს და სასულიერო შინაარსის სათქმელს განსხვავებული მიზანდასახულობით იყენებს; ამ შემთხვევაში იმ ღვთაებრივი მცნებების აღსაქმელად, რომლის მიხედვითაც ადამიანი ვერ გაძღება კეთილი საქმის კეთებით, ვერასოდეს დაისვენებს, მუდამ „შეძრწუნებული“ და „შეწუხებული“ იქნება, მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს ბედნიერად“ (შარაბიძე 2005:65).

„ჩემს ვედრებაში“ ვაჟა-ფშაველა წერს:

„როცა გულს ცეცხლი მედება,

გონება მსჯელობს საღადა,

მაშინ ვარ თავისუფალი,

თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა“ (ვაჟა-ფშაველა I 2002 : 68).

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში თავისუფლება უფლისადმი ნებაყოფლობითი სიყვარულისა და მორჩილების გამოხატულებაა. ამასთანავე, ლექსში ნახსენები ტრფობის შეშით ანთებული ლამპარი („გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა, მნათობს ტრფობისა შეშითა“) სახარებისეულ „ათი ქალწულის იგავს“ უკავშირდება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თამარ შარაბიძე აღნიშნავს, რომ „ჩემი ვედრების“ თემა და მხატვრულ სახეთა სისტემა აშკარად ამჟღავნებს ნათესაობას სასულიერო პოეზიასთან: „ვაჟას მხატვრული სახეები აზრობრივ-ლოგიკურ კონსტრუირებას არ ექვემდებარება, მაგრამ მათი გამართლება ლირიკულ ხილვებშია. სახეთა სტრუქტურას აქ ემოციური გადასვლები ქმნის და არა აზრობრივი,რაც ნიშანდობლივია ძვ.ქართული მწერლობისათვის“ (შარაბიძე 2005:67).

ვაჟას ამ ლექსში, ისევე, როგორც ზოგადად მის პოეზიაში, პოლითემატურობა იჩენს თავს. თუმცა წამყვანი, ძირითადი თემა ბედნიერების ქრისტიანული განცდაა. ავტორს ბედნიერებად მიაჩნია სხვის სარგოდ მუდმივი ფხიზლობა, დაჩაგრულების მცველობა. ეს გამოვლინებაა, ხილული მხარეა შინაგანი „წვისა“, ტანჯვისა, რომელიც ძნელი ასატანია, მაგრამ მით უფრო სასურველი, სანატრელია პოეტისათვის: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“. პოეტს მწველ შინაგან წყურვილად ჰქცევია სიკეთის (თუნდაც, დაუფასებელისა და სხვების მიერ დაუნახავის) კეთება. უგრძნობლობა და „ჩამქრალი სულიერება“ კი სიკვდილის ტოლფასია მისთვის:

„ნუ მავლევ ქვეყანაზედა.

გაციებულის ლეშითა,

თვალებში მადლდაკარგულსა.

შუბლზედ გაკრულის მეშითა“ (ვაჟა-ფშაველა I 2002 : 67).

ამრიგად, ამ ლექსში კიდევ ერთხელ მჟღავნდება კეთილმოქალაქეობის უმთავრესი ნიშანი – აქტიური შინაგანი „წვა“ სხვისთვის გასანათებლად (გრიგოლ ფერაძე).

1.3.2 ღირსების დაცვა (ბოროტთან შეწინააღმდეგების მოტივი)

ლექსში „ჩემი ვედრება" საყურადღებოა,როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ბალახის" და „ცხვრის" სიმბოლოები. ისინი ქრისტიანული სახისმეტყველებითი კუთხითაა გასააზრებელი, ცალკერძ „ბალახი“ და „ცხვარი“, როგორც ზვარაკის (საზოგადო სიკეთისათვის შეწირულის) გამოხატულება, მეორე მხრივ – „ცელობა“ და „მგლობა“ – ავსულობისა და მტაცებლობის სიმბოლოები.

მკვლევრებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქართულ პოეზიაში ვაჟა-ფშაველამ ვაჟკაცური, სტიქიურად ძლიერი სულისკვეთება შემოიტანა. ამიტომაც უწოდებენ მას „მთას“ (ტიციან ტაბიძე - "მთა წმინდა ისე არავის ეკადრება,როგორც ამ მართლაც წმინდა მთას"), „ვულკანს" (დონალდ რეიფილდი -„ასეთი ვულკანი გვჭირდება“), „თავჩაჩქანიან რაინდს“(კონსტანტინე გამსახურდია), „ცალთვალა ციკლოპს", „მთის არწივსა“ და ა.შ. ყველანი მასში ხედავდნენ, და დღესაც ვხედავთ, საკვირველ მებრძოლს, წმიდა გიორგისეულ მხედარს, ბოროტების წინააღმდეგ შემართულს:

„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა შეუდრეკელი,
მოუღალავი მკლავითა,
რაც უნდა ჭირი მომკერძო.
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა“ (ვაჟა-ფშაველა I 2002 : 88).

ამ სიტყვებში მოჩანს ბოროტებასთან არშერიგება, სიბილწესთან არდაზავება და უმტკიცესი სულიერი არჩევანი ღვთის მცნების ერთგული გმირისა. ბუნებრივია, ამგვარი სულისკვეთების ადამიანი „ცხვრად" და „ბალახად" ყოფნაში უმწეო მდგომარეობას არ გულისხმობს და არასოდეს „შეაჭმევინებს“ თავს „მგელს“, არც „ცელს“ მოუდრეკს მორჩილად კისერს. „მგლობა“ და „ცელობა“ უგრძნობლობის გზაზე „შადგომის“ („ბახტრიონი“), მოყვასის არშებრალებისა და გულგაყინულობის გამომხატველი სიმბოლოებია. ვაჟა გმობს და „ზავით არ შაეკვრის“ ამგვარ ცხოვრებას.

ბოროტებასთან დაუღალავი ბრძოლა თვით ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისეული არჩევანიცაა და მისი „კაი ყმების“ (ჯოყოლას, ლუხუმის, კვირიას, გოგოთურის, ქიჩირის, ივანე კოტორაშვილის, მინდიასა და სხვათა) ქცევის განმაპირობებელი უმთავრესი მოტივიც.

ბოროტებასთან, უსამართლობასთან ბრძოლა მაღალი მოქალაქეობრივი ცნობიერების გამოხატულებაა. მოქალაქეს კანონი ავალდებულებს, დაიცვას თავისი ქვეყანა და თანამოქალაქეების კეთილდღეობა. ესაა „ხმა ერისა“, ხოლო „ხმა ღვთისა“, რომელსაც ვაჟა-ფშაველა „სხივგამომღებელს“ ეძახის („ნუ დაუძვირებ ოცნებას,/შენს ხმას სხივგამომღებელსა“–„ჩემი ვედრება“), მოქალაქეს მოუწოდებს, რომ არა მხოლოდ ფიზიკურად დაიცვას ადამიანები, არამედ მათი სულიერების გაუკეთესებას, ამაღლებას ემსახუროს. ესაა „საკეთილო“ შრომა, უფრო ხშირად, დაუფასებელი, უფრო მეტიც - ზოგჯერ გაკიცხვისა და ამქვეყნიური ტანჯვის მომტანი. ამიტომაც ამბობს ვაჟა-ფშაველა:

"მაშრომე საკეთილოდა,

თუნდ არ მოვიმკა ნაყოფი"(ვაჟა-ფშაველა I 2002 : 67).

ვაჟა ამქვეყნიურ „ნაყოფსა" და პატივს გულისხმობს, თორემ, ზოგადად, გარჯისა და სიკეთის გამარჯვებისა რომ არ სწამდეს, ხელს არ მოჰკიდებდა კალამს და არ დაგვიტოვებდა საზოგადოების გაუკეთესების რწმენით აღსავსე მაგალითებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალი, რომელშიც მჟღავნდება ვაჟას უმთავრესი სატკივარი და, ამასთანავე, იმედი. სტუმარმასპინძლობის მგმობელი, სიძულვილით შეპყრობილი ჯარეგელები „ცქერით ვერ ძღებიან“, როცა ხედავენ სამი გმირის - ზვიადაურის, ჯოყოლასა და აღაზას - ამაღლებულ საღვთო ნადიმს:

„ვაჟკაცობისას ამბობენ,

ერთურთის დანდობისასა,

სტუმარ-მასპინძლის წესზედა

ცნობის და დაძმობისასა.

როცა მათ ხედავს ერთადა

კაცი ვერ ძღება ცქერითა…“(ვაჟა-ფშაველა 1986 : 203).

ვაჟა-ფშაველას უმთავრესი სატკივარი ის არის, რომ „კურუმი, შავი ფერის ჯანღი“ ავსებს ადამიანების გულს და ხელს უშლის მართლჭვრეტას, მადლის მიღებას. თუმცა პოემის უკანასკნელი მხატვრული სახე – უფსკრულს დამაცქერალი „ყელმოღერებული“ პირიმზე – ვაჟას იმედის გამოხატულებაა, იმედისა, რომ საზოგადოება გამოიღვიძებს, სულიერი მშვენიერება (პირიმზე) მტრობას (უფსკრულს) დაამარცხებს, გულით ნაგრძნობ ჭეშმარიტებას (ცქერით რომ ვერ ძღებიან) ჯარეგელები „გასაქანს“ მისცემენ, ისევე, როგორც ალუდა ქეთელაურმა გაუღო გული ჭეშმარიტებას („გული გამიწყრა, არა ჰქნა, რაც საქნელია ძნელადა“) და გულით ნაგრძნობი შემდეგ უკვე გონებითაც გაისიგრძეგანა – „მტერობისა“ და „სისხლში ცხოვრების“ სიბილწე გააცნობიერა.

პირიმზე ვაჟას შემოქმედების თანამდევი სიმბოლოა. მას ზოგჯერ „კუზი ეტყობა წელზედა“ („დაბერებულა პირიმზე,/კუზი ეტყობა წელზედა“ – „ბახტრიონი“), ზოგჯერ კი წელში გამართული, ყელმოღერებული და ამაყია. „პირიმზე“ თვით ვაჟა-ფშაველას სულიერი განწყობის გამომხატველია და უკავშირდება „ჩემი ვედრების“ სიმბოლოს – „სათიბ ბალახს“, რად ყოფნასაც ნატრობს პოეტი. შესიტყვება „ბალახი სათიბი" საოცარ თავმდაბლობას, უმანკოებასა და სულიერ მშვენიერებას გულისხმობს. ბალახს ხანმოკლე, მსწრაფლწარმავალი სიცოცხლე აქვს, არაფრით გამორჩეული, „ჩვეულებრივი“. მაგრამ მის გარეშე სამყარო უშნო და უფერული იქნებოდა, შეუმოსავი, განძარცვული და ცივი. ბალახი და მინდვრის ყვავილი პირიმზე მარადიული სამყაროს სამკაული და „მსახურია“. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ გმირის – ელიზბარ ერისთავის – სიტყვებში „ხის ფოთოლს“ ენიჭება იგივე მხატვრული დატვირთვა: „რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და, რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს“ (წერეთელი 1986 : 358).

აკაკი წერეთლის „ხის ფოთოლი“ და ვაჟა-ფშაველას „სათიბი ბალახი“ ერთგვაროვანი სიმბოლოებია, მარადიულის მსახურებისა და დიდი საქმისათვის შეწირულის მანიშნებელი. ეს სიმბოლოები კეთილმოქალაქეობისა და კეთილმო-ღვაწეობის გამომხატველია.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში გამოვლენილი მოქალაქეობრივი ცნობიერების ფესვები ქართულ ჰაგიოგრაფიაშია მოსაძიებელი და იმთავითვე მოიცავს ორმაგ (მრჩობლ) მსახურებას. ჰაგიოგრაფიის გმირი ფიზიკური და სულიერი „უდაბნოს", ანუ გაპარტახებული გარემოსა და სულიერი სიცარიელის „ქალაქყოფას" ემსახურება.მათ სულიერად ენათესავებიან ვაჟა-ფშაველას გმირები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამორჩეული, სულიერად ამაღლებული გმირების ძერწვა ვაჟასთვის საშუალებაა და არა მიზანი. იგი ცალკეული პიროვნებების აპოლოგეტად როდი გვევლინება, მისთვის უმთავრესია საზოგადოება და ის სულიერი სარგებელი, რომელიც ამ გმირებს მოაქვთ მოყვასისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც.

ეს მოსაზრება ალუდას, ჯოყოლას, მინდიას პიროვნულობას როდი აკნინებს, არამედ, პირიქით, ჭეშმარიტ კეთილმოქალაქეთა და კეთილმოღვაწეთა რიგში აყენებს. ამ მხრივ ისინი ამჟღავნებენ შინაგან კავშირს ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა „ტალანტების გამამრავლვებელ" პერსონაჟებთან, რომელთა სულიერი ნათლის ძალმოსილება გამოხატულია სახარებისეული ციტატით: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ხჳმირსა, არამედ ზედა სასანთლესა დადგინ, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა" (მათე 5,15-16). ვაჟას ზნეობრივი გმირები სანთლებივით „იწვიან" და მაგალითს აძლევენ საზოგადოებას, ღრმა კვალს ტოვებენ მის გულსა და გონებაში.

წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე მოქალაქეობას ციხისმცველობას ადარებს: „მოქალაქეობა ადამიანისა სწარმოებს არა ტყეებსა და ღრეებში, არამედ ადამიანთა შორის. თვით სიტყვა „მოქალაქე", რომელზედაც ჩვენ გვქონდა საუბარი, ჰგულისხმობს ქალაქს, ე.ი. შემოღობილ, შემოზღუდულ ადგილს. „ქალაქი" პირველი ხმარებით ნიშნავს ციხეს (საპყრობილეს კი არა, არამედ ციხეს) და ამ ციხეში, რომ მტრები არ დაესიონ, სცხოვრობს ეს მოქალაქე"(ფერაძე 1989:82). გრიგოლ ფერაძე მოქალაქეობას ჯარისკაცობას უკავშირებს, ვაჟა-ფშაველა ამავე მხატვრულ დატვირთვას სძენს „სათიბი ბალახისა" და „ცხვრის" სიმბოლოებს. აკაკი წერეთელთან „ხის ფოთოლი" ასრულებს ამ ფუნქციას. ყველა შემთხვევაში მოქალაქეობა განიცდება, როგორც „რიგითი" არსების, ერთობის შემადგენელი ნაწილის მოვალეობა, თავმდაბლობით განსაზღვრული და განცდილი.

მართალია, ვაჟას გმირები საზოგადოებასთან ჭიდილში ფიზიკურად მარცხდებიან, მაგრამ იმარჯვებენ სულიერად, რადგან, საბოლოოდ, საზოგადოების ,,გამოღვიძებას‘‘, მის სულიერ პროგრესს ეწირებიან. სწორედ ეს არის ადამიანის მოქალაქეობრივი ვალი. ასეთი ადამიანი საზოგადო სიკეთის ქმნას თავმდაბლობით, აფიშირების გარეშე იტვირთებს ხოლმე და არა საკუთარი გამორჩეულობის, ხალხის მხსნელად მოვლინების აქცენტირებით. სახარებაში წერია: ,,რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი აღმაღლდეს". ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობა ამ ურყევი ჭეშმარიტების კიდევ ერთი დადასტურებაა.

II თავი

მოქალაქეობრივი ცნობიერების ინტერნაციონალური და ეროვნული იდეალი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“)

2.1 „კოსმოპოლიტიზმის“ ვაჟასეული გაგება

გორის სემინარიაში სწავლის წლებში ვაჟა დაუღალავად კითხულობდა ფილოსოფიურ ლიტერატურას. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ვრცელი ბიოგრაფიული გამოკვლევების ავტორები: სოლომონ ყუბანეიშვილი, გიგი ხორნაული, მიხო მოსულიშვილი, როსტომ ჩხეიძე - ყურადღებას ამახვილებენ ვაჟას განსაკუთრებულ განსწავლულებაზე იმ დროის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ საკითხებში. გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროს ,,მან შეისწავლა ჰერაკლიტე, სოკრატე, პლატონის ,,რესპუბლიკა“, ეპიკურე. გადაიკითხა ბეკონი, კანტი, ბორელი, დრეპერი, ლებბოკი, სპენსერი, ,,მცენარეული მეტამორფოზა" გოეთესი და ბოლოს მიუბრუნდა ჰომეროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ბაირონსა და ფოხტს“(ხორნაული 2014:71-72). ეს ჩამონათვალი უთუოდ მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, როგორ ყალიბდებოდა ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებები.

ვაჟა-ფშაველას თეორიულ-ფილოსოფიურ ნააზრევს სტატიები და მონოგრაფიები მიუძღვნეს მეცნიერებმა: სერგი დანელიამ, კონსტანტინე კაპანელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ კიკნაძემ, დავით წოწკოლაურმა, ზურაბ გურულმა და სხვებმა. შესწავლილია ვაჟას საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები. დასაყრდენი, საფუძველთა საფუძველი მისი თეორიული ნააზრევისა არის იმ პრინციპთა ერთგულება, რომლებიც მან ჩამოყალიბა წერილში ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“(1905 წ.).

,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ვაჟა-ფშაველას ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის ნაყოფია. ამ წერილში მან გენიალურად განსაზღვრა ორი ცნების -

„კოსმოპოლიტიზმისა“ და „პატრიოტიზმის“ ურთიერთგამომდინარეობის და ურთიერთმომცველობის მკაფიო თეზისი: „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია" (ვაჟა-ფშაველა 1986:676). ვაჟა-ფშაველას ამ სიტყვებმა, ისევე როგორც ზოგადად მისმა ნააზრევმა, თანამედროვე ეპოქაში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა.

საინტრესოა, რა მნიშვნელობით იყენებს იგი სიტყვას „კოსმოპოლიტიზმი“. სტენფორდის ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ მეცნიერები ამ ტერმინს მიმართავენ როგორც პირდაპირი, ისე მეტაფორული მნიშვნელობითაც. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნე ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ „შინაარსი, რომელიც მასში [სიტყვაში „კოსმოპოლიტიზმი“–მ.წ.] არის ნაგულისხმევი, უფრო მოსახერხებელია სიტყვა „ჰუმანიზმით“ აღვნიშნოთ და მაშინ ყველაფერი თვალსაჩინო გახდება: პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი ერთმანეთიდან გამომდინარეობს, გულისხმობს ერთმანეთს და წარმოადგენს ეფექტიან წამალს კანიბალობის, როგორც ნაცისტური, ისე კოსმოპოლიტური სახესხვაობის წინააღმდეგ“(ბერძენიშვილი 2003:10).

ვაჟა-ფშაველას სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების მკვლევარი, პროფესორი ჯიბო ლომაშვილი კი წერს, რომ „ამ ტერმინს [კოსმოპოლიტიზმს] ვაჟა ყოველთვის „ინტერნაციონალურის“ გაგებით ხმარობს“ (ლომაშვილი 1986:59).

ჩვენი აზრით, ტერმინს ვაჟა-ფშაველა პირდაპირი მნიშვნელობით მოიმარჯვებს და არა მეტაფორულად. პოეტი უთუოდ კარგად იცნობდა ევროპულ ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისებს კოსმოპოლიტიზმის შესახებ.

სტენფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ლექსიკონში დაწვრილებითაა მიმოხილული ტერმინ „კოსმოპოლიტიზმის" ისტორია. ნათქვამია, რომ სიტყვა „კოსმოპოლიტიზმი“ წარმოებულია ბერძნული სიტყვისგან *kosmopolitês* („მსოფლიოს მოქალაქე“) და არაეთგვაროვან განმარტებებს მოიცავს მორალურ და სოციალურ-პოლიტიკურ ფილოსოფიაში. აქვე აღნიშნულია, რომ მიუხედავად „ბუნდოვანი არსისა“(იხ. „The nebulous core“) ყველა კოსმოპოლიტური შეხედულება აღიარებს, რომ ყოველი ადამიანი არის ერთიანი საზოგადოების წევრი, მიუხედავად მისი

პოლიტიკური მდგომარეობისა: ,,კოსმოპოლიტიზმის განმარტებათა უმრავლესობა მსოფლიოს მოქალაქეთა უნივერსალურ ერთობას განიხილავს, როგორც პოზიტიურ იდეალს კულტურული მსოფლიოს ფუნქციონირებისათვის, მაგრამ რამდენიმე მათგანი კოსმოპოლიტურ თეორიას ლოკალური პოლიტიკური ვალდებულებების უარყოფის საფუძვლად მიიჩნევს''[4].

ვაჟა-ფშაველას თეორია კოსმოპოლიტიზმის პირველ, პოზიტიურ, გაგებას ეყრდნობა. საპირისპირო გააზრება, ცნების ნეგატიური განმარტება იყო წარმოდგენილი უცხო სიტყვათა საბჭოურ ლექსიკონებში. თანამედროვე მეცნიერი, მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ გურული 2014 წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო ინტერდისციპლინურ კონფერენციაზე აღნიშნავდა: ,,ინტერნეტის საძიებელ პროგრამაში თუ ქართულად მოიძიებთ კოსმოპოლიტიზმის განმარტებას, ე.წ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი ამ განმარტებას ამოგიგდებთ: „რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფობას და ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის“ დაწესების იდეას'' (გურული 2014:18).ზურაბ გურული განაგრძობს, რომ ვაჟა-ფშაველამ თავისი წერილით ტერმინ ,,კოსმოპოლიტიზმის'' უმართებულო გაგების გაცამტვერება სცადა. მეცნიერის აზრით, ვაჟასეული განმარტება პროგრესულად მოაზროვნე დასავლური აზრის, უპირველესად კი, იმანუელ კანტის მოსაზრების ანალოგიურია.

ნეგატიური გაგება ,,კოსმოპოლიტიზმისა'' არა მხოლოდ საბჭოთა ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. თანამედროვე ჰოლანდიელი მეცნიერი, გრონინგემის უნივერსიტეტის პროფესორი პოლინ კლეინგელდი იმანუელ კანტისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევის[5] შესავალში მიმოიხილავს ,,კოსმოპოლიტიზმის" ორივე კონცეფციას (,,პოზიტიურსა" და ,,ნეგატიურს"). ნეგატიური გაგებით, კოსმოპოლიტი არის „მოქალაქე არსაიდან, ის

---

4 http://plato.stanford.edu/entries/cosmopolitanism/# (თარგმანი ჩვენია - მ.წ.)

5 იხ. Pauline Kleingeld, Kant and Cosmopolitanism, The philosophical ideal of world citizenship, Cambridge University press, 2015 (თარგმანი ჩვენია - მ.წ.).

ესწრაფვის ვალდებულებებისგან თავისუფალ, უსაყრდენო ცხოვრებას, თვითკმაყოფილია საკუთარი იდენტობით, კრებს და არჩევს კულტურის „მარცვლებს“ მთელი მსოფლიოდან და თავის გარშემო მყოფ „ფესვგადგმულ" მოკვდავებს განურჩეველი შემწყნარებლობით ეპყრობა“ (კლეინგელდი 2015:5).

მსოფლიოს მოქალაქეობის „ნეგატიური“ გააზრების ფუძემდებლად ითვლება კინიკოსი ფილოსოფოსი დიოგენე სინოპელი (ძვ. წ აღ.V-IV სს). როდესაც ჰკითხეს, სადაური იყო, დიოგენემ უპასუხა: „მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ". კლეინგელდის აზრით, „დიოგენეს პასუხი უკავშირდება „მსოფლიოს მოქალაქეობის" ნეგატიურ კონცეფციას, ის აღიარებს პიროვნების უკიდურეს ინდივიდუალიზმსა და გულგრილ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ჩვეულებების მიმართ. ვალდებულებებისაგან თავისუფალი, ძონძებში გამოწყობილი ზურგჩანთიანი დიოგენე წინასახეა ულტრამობილური თანამედროვე მოხეტიალისა, რომელსაც არ გააჩნია თავისი ქალაქი, ქვეყანა, სახლი, მხოლოდ მომდევნო დღისთვის ცხოვრობს“(კლეინგელდი 2015:2, თარგმანი ჩვენია- მ.წ).

კლეინგელდის თქმით, კოსმოპოლიტიზმის „პოზიტიური" კონცეფცია განავითარეს სტოიციზმის წარმომადგენელმა ფილოსოფოსებმა. სტოიკოსთა აზრით, „კოსმოპოლიტიზმი" მოიცავს ერთიან, უნივერსალურ მორალურ ღირებულებებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები განსხვავებული რელიგიისა თუ პოლიტიკური შეხედულების ადამიანებისათვის.

გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი (1724-1804) ეთანხმება სტოიკოსთა კონცეფციას კოსმოპოლიტიზმის შესახებ. კანტი იცავს მორალური კოსმოპოლიტიზმის თეორიას, მაგრამ ავითარებს მის ახალ ასპექტებსაც: პოლიტიკურს, ეკონომიკურსა და კულტურულს. კანტის თანამედროვეთაგან ბევრი მეცნიერი მტრულად ეკიდებოდა ტერმინ „კოსმოპოლიტიზმს". აკადემიურ ფრანგულ ლექსიკონში (მეოთხე გამოცემა, 1762) „კოსმოპოლიტი“ განმარტებულია, როგორც „ის, ვინც არ იღებს ქვეყენას" და იქვე: „კოსმოპოლიტი არ არის კარგი მოქალაქე". ჟან-ჟაკ რუსოს თქმით, კოსმოპოლიტები „ტრაბახობენ, რომ ყველა უყვართ იმ მიზნით,

რომ მოიპოვონ უფლება, არავინ უყვარდეთ". მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ საკითხისადმი მე-18 საუკუნის გერმანულ ლიტერატურულ სკოლაშიც[6].

იმანუელ კანტმა მიიჩნია, რომ სტუმართმოყვარეობასა და სხვის პატივისცემაზე დამყარებული კოსმოპოლიტიზმი ერთადერთი გზაა მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამასთანავე, კანტის აზრით, მსოფლიო კულტურასთან ზიარების მიზნით სულაც არ იყო საჭირო დაუსრულებელი მოგზაურობა სხვადასხვა კუთხეში, იგი მშობლიური კენინსბერგიდანაც შესანიშნავად შეიმეცნებდა სამყაროს. ამრიგად, კანტი კოსმოპოლიტური მსოფლიოს მომხრეა, მაგრამ კოსმოპოლიტი ადამიანის მოვალეობად პატრიოტიზმს მიიჩნევს. ამგვარ პოზიციაზე დგას ვაჟა-ფშაველაც.

2.2 ვაჟა-ფშაველასა და XVIII-XIX საუკუნეების ფილოსოფოსთა ნააზრევი მსოფლიო მოქალაქეობის შესახებ (იმანუელ კანტი,იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე,ნიკოლაი ბერდიაევი)

კოსმოპოლიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერმიმართების ვაჟასეული ხედვა თანხვედრაშია არა მარტო იმანუელ კანტის, არამედ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ასევე ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევთან. ამგვარი მოქალაქეობრივი ცნობიერება ერთადერთი ჭეშმარიტი საყრდენია თანამედროვე მცირე ერების თვითმყოფადობისა და,ზოგადად, მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. ამიტომ მას ყოველთვის ებრძოდნენ არაპროგრესული ძალები (საბჭოთა იმპერია) და, სამწუხაროდ, დღესაც ჰყავს მოწინააღმდეგენი.

„მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყველა ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად

[6] იხ.Kleingeld 2015,გვ.5.

მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე", – წერდა ვაჟა-ფშაველა (ვაჟა-ფშაველა V 1961:214).

პროფესორი ზურაბ გურული აღნიშნავს, რომ ვაჟამ ბუნებრივად და დამაჯერებლად დააკავშირა ერთმანეთთან ჭკუა-გონება და გრძნობა-ღირსება, როდესაც პატრიოტიზმი გრძნობის საქმედ გამოაცხადა, კოსმოპოლიტიზმი კი - მხოლოდ ჭკუის ნაყოფად: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს“(ვაჟა-ფშაველა V 1961:214).ზურაბ გურული პარალელს ავლებს კანტის მოსაზრებასთან: ,,1795 წელს თავის ესსეში – „სამარადჟამო მშვიდობა” იმანუელ კანტმა კოსმოპოლიტიზმი მიიჩნია ადამიანების ომისაგან გადარჩენის მთავარ პრინციპად და ე.წ. უნივერსალური თავაზიანობისა და სტუმართმოყვარეობის ბაზისურ ცნებად. „დედამიწა თანაბრად ეკუთვნის კაცობრიობას და ჰუმანიზმის საყოველთაო მემკვიდრეობა საბოლოოდ მიიყვანს კიდეც ადამიანებს კოსმოპოლიტურ კონსტიტუციასთან“ (გურული 2014:19).

ვაჟა-ფშაველას წერილზე მსჯელობისას მეცნიერი განაგრძობს: ,,თუ ისევ გავატარებთ პარალელებს კანტის განცხადებასთან, აღმოვაჩენთ, რომ კოსმოპოლიტიზმი სწორედაც რომ პატრიოტიზმის არსის გააზრებაა, ამ ცნების სიღრმეში ჩახედვის მცდელობაა“ (გურული,იქვე). ჰოლანდიელი მეცნიერი პოლინ კლეინგელდი აღნიშნავს: „კანტი იცავს ორივეს – პატრიოტიზმსაც და კოსმოპოლიტიზმსაც. კანტს აქვს რამდენიმე გასაოცარი პასაჟი, რომელშიც ამტკიცებს, რომ კოსმოპოლიტი ვალდებულია (ხაზი ავტორისაა) პატრიოტულად იღვაწოს... ლექციებში ,,Metaphysics of Moral Vigilantius“ (1793-94) კანტი საუბრობს ,,მსოფლიო პატრიოტიზმსა და ლოკალურ პატრიოტიზმზე“ და აცხადებს, რომ ,,ორივე მათგანი კოსმოპოლიტის ვალდებულებაა“...კანტი აღიარებს ,,კოსმოპოლიტურ კონსტიტუციას“ (ნაშრომი ,,On the common saying“-1793) და ,,პატრიოტული აზროვნების წესსაც“. ამის მსგავსად, ,,მორალის მეტაფიზიკაში“ (Methaphysics of

morals-1797) ის იცავს კოსმოპოლიტურ იდეალსაც და პატრიოტიზმსაც“ (კლეინგელდი 2015:26)[7] .

კანტის თანამემამულეს, იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს მიეწერება ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტური ტერმინის „მსოფლიო ლიტერატურის“ შემოღება (1827 წელი). ირმა რატიანის განმარტებით, „გოეთე ფიქრობდა, რომ სხვა ენებისა და ლიტერატურების ცოდნა, მათი სიღრმისეული გაგება, მათი გავლენების ქვეშ მოქცევის მზაობა სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს მიიყვანდა საერთო გაგებასა და მშვიდობასთან“(რატიანი 2015:263). თუმცა ამ გლობალური ტერმინის ფუძემდებელიც „თავისი კოსმოპოლიტიზმის საფუძვლებს ნაციონალური ცნობიერების შრეებიდან აყალიბებს და ერთი წუთითაც არ ივიწყებს ეროვნული ლიტერატურის (მის შემთხვევაში, გერმანულის) მისიას ამ მასშტაბურ ლიტერატურულ მოდელში“(რატიანი 2015:264). გოეთეს შემდგომი ეპოქის შვილი ვაჟა-ფშაველა, მეცნიერის თქმით, ზუსტად ხედავს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კოსმოპოლიტური მიდგომის არასწორ ინტერპრეტაციას. ვაჟა მიიჩნევდა, რომ არ უნდა დაკარგულიყო მსოფლიო კულტურის „ქართული ფრთა“ და წუხდა პატრიოტული მუხტის მოდუნებისა და მარქსისტების მიერ დანერგილი ეროვნული ნიჰილიზმის, ზნეობრივი ღირებულებების დევალვაციის გამო.

ის, რაც ვაჟას ძლიერ აფიქრებდა, 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო მტკივნეული გახდა. პროფესორი ირმა რატიანი მიიჩნევს, რომ ვაჟას წერილის ადრესატი არა მხოლოდ ეროვნულღირსებააყრილი ქართველი ადამიანია, არამედ სულიერი გადაგვარების საფრთხის წინაშე მყოფი მთელი კაცობრიობა: „ეს ნარკვევი [„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ - მ.წ.] ასეთივე წარმატებით მიემართება მთელ თანამედროვე მსოფლიოს, „მკვდარი ღმერთის“ (ნიცშე) დროების მოქალაქეებს“ (რატიანი 2015:267). 21-ე საუკუნის ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი (Jean Baudrillard,1929-2007) მიიჩნევს: „ღმერთის მკვლელმა“ კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა“. თუკი მე-20 საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის გამორჩეული, 21-ე საუკუნეში ამგვარი გამორჩეულობის ნიშანი „ადამიანის სიკვდილი“ იქნება“

[7] თარგმანი ჩვენია-მ.წ.

(ბოდრიარი, ციტატა მოყვანილია კახა ქეცბაიას წიგნიდან „განათლების სოციოლოგია“, 2014:266-267).

ვაჟა-ფშაველას სიტყვები მართლაც გაფრთხილებად ჟღერს: „ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ერთდროულად მტკიცებაც იყო და გაფრთხილებაც, რომელსაც არა მხოლოდ ქვეყნის ტკივილი ამოძრავებდა, არამედ ღირებულებათა საყოველთაო კრიზისის ტრაგიკული განცდა“(რატიანი 2015:271).

ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ურთიერთმიმართების ვაჟასეული პოზიცია თანხვედრაშია დიდი რუსი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის, ნიკოლაი ბერდიაევის, მოსაზრებასთან. ვაჟასა და ბერდიაევის აზრობრივი შეხვედრა მეცნიერულად დაასაბუთა თანამედროვე მკვლევარმა ლევან ბებურიშვილმა. მკვლევარი დეტალურად განიხილავს ვაჟას წერილის დებულებებს და უაღრესად ხელშესახები იდეური მსგავსებით აღბეჭდილ ანალოგებს უძებნის ბერდიაევის ნაშრომებიდან. ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევს თანმხვედრი შეხედულებები აქვთ მშობლიური მიწისადმი განსაკუთრებული მიჯაჭვულობის, ეროვნულსა და ინტერნაციონალურს შორის ხელოვნურად წარმოქმნილი კონფლიქტის, კულტურის როლის გააზრებისას: „ვაჟა-ფშაველასა და ნ. ბერდიაევის შეხედულებათა პარალელური განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მივიდეს გამორჩეული ანალიტიკური ტალანტით დაჯილდოებული ორი დიდი მოაზროვნე მსგავს დასკვნებამდე ისე, რომ არ იცნობდეს ერთმანეთის ნააზრევს“ (ბებურიშვილი 2016:144).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვაჟას წერილი 1905 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ბერდიაევის ნაშრომები: „ნაციონალობა და კაცობრიობა“, „ერის შესახებ“, „კაცობრიობის ერთიანობა და ნაციონალიზმი“ 1917-1918 წლებში. გავიხსენოთ ვაჟას სიტყვები: „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად.“(ვაჟა-ფშაველა 1964: 253).

ბერდიაევის სიტყვები კი იდენტური იდეის სხვაგვარი სიტყვებით ფორმულირებაა: „ყველაფერი რაც კი კულტურაში შემოქმედებითია, ეროვნული გენიის ბეჭედს ატარებს... კულტურაში ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო არ

შეიძლება ერთმანეთს უპირისპირდებოდეს... დოსტოევსკი რუსული გენიაა... იგი რუსული სულის სიღრმეებს უმზეურებს მსოფლიოს. მაგრამ ყველაზე რუსი რუსთა შორის ამავე დროს ყველაზე ყოვლადსაკაცობრიო, ყველაზე უნივერსალურიც არის რუსთა შორის...“ (ბერდიაევი 1993: 54-55,107-108).

ამრიგად, იდენტობის განმსაზღვრელი ეროვნული ხაზი არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ინდუქციური წესით განაპირობებს კოსმოპოლიტურ იდენტობას – მოქალაქე ეკუთვნის და ემსახურება თავის ერს და ამ გზით – მთელს კაცობრიობას, დიდ და გლობალურ ერთობას.

2.3 ვაჟა-ფშაველას კოსმოპოლიტური ნააზრევი და თანამედროვე სოციოლოგთა შეხედულებები (ჩარლზ ტეილორი, მარტა ნუსბაუმი, მაიკლ უოლცერი)

წინა თავებში აღვნიშნეთ, რომ ე.წ. „ნეგატიური“ კოსმოპოლიტიზმი უარყოფს და აკნინებს პატრიოტიზმის ცნებას. ამ მხრივ გამოირჩევა თანამედროვე გლობალისტური მიდგომები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სახალხო დამცველის ჟურნალ „სოლიდარობის“ 2010 წლის 1-ლ ნომერში წარმოდგენილი საინტერესო პოლემიკა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ მარტა ნუსბაუმსა **(Martha Nussbaum)** და მის ოპონენტებს შორის.

ამერიკელებზე, რომლებიც ამაყობენ საკუთარი იდენტობითა და მოქალაქეობით, მარტა ნუსბაუმი წერს: „თაგორთან და მის გმირ ნიკილთან ერთად[8] მეც ვფიქრობ, რომ აქცენტი პატრიოტულ სიამაყეზე მორალურად სახიფათოა და, საბოლოოდ, მას შეუძლია ხელი შეუშალოს ზოგიერთი ღირსეული მიზნის მიღწევას... მე წარმოვაჩენ, რომ ამ მიზნებს უკეთ ის იდეალი შეიძლება ემსახუროს, რომელიც მეტად შეესაბამება თანამედროვე მსოფლიოში ჩვენს მდგომარეობას, ეს არის კოსმოპოლიტის ძველი იდეალი, იდეალი ადამიანისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მთელი მსოფლიოს ადამიანთა ერთობის ერთგულია“(ნუსბაუმი:2010).

მარტა ნუსბაუმი კოსმოპოლიტური განათლების მომხრეა და საყოველთაო ჰუმანიზმის იდეებს ავითარებს, ხოლო „პატრიოტიზმს“ „მარტივ გრძნობებთან“

[8] იგულისხმება ბენგალიელი მწერლის - რაბინდრანათ თაგორის რომანი „სახლი და მშვიდობა“

აიგივებს და ზოგადსაკაცობრიო იდეალების განხორციელების ხელისშემშლელ ბარიერად აცხადებს: ,,დიოგენემ იცოდა, რომ მოწოდება, ვიფიქროთ როგორც მსოფლიოს მოქალაქეებმა, გარკვეული აზრით იყო მოწოდება, დავტოვოთ პატრიოტიზმისა და მარტივი გრძნობების კომფორტი, სამართლიანობისა და სათნოების თვალსაზრისით შევხედოთ ჩვენი ცხოვრების წესს. დაბადების ადგილი ყოველთვის შემთხვევითია; ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ ერში შეიძლება დაიბადოს...ყველაფერში ზოგადსაკაცობრიოს უნდა ვხედავდეთ და უპირველეს ყოვლისა მის მთავარ თვისებებს – გონსა და ზნეობრიობას – უნდა ვცემდეთ პატივს"(ნუსბაუმი,იქვე).

ნუსბაუმის გლობალისტური შეხედულების ეს პასაჟი ეწინააღმდეგება ვაჟა-ფშაველას მოსაზრებას, რომ ადამიანის დაბადების ადგილი ,,შემთხვევითი" არ არის და ძლიერი შინაგანი, ემოციური მიჯაჭვულობითაა ნასაზრდოები: ,,ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ, რომ ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთ ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს!"(ვაჟა-ფშაველა V 1961:214)

ვაჟა კატეგორიულად გამორიცხავს მწერლის ნიჭის ნაყოფიერ განვითარებას ეროვნული სულისკვეთების გარეშე.ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ეპიზოდი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული წიგნების ავტორები (სოლომონ ყუბანეიშვილი, გიგი ხორნაული) გვთავაზობენ იოსებ იმედაშვილის საინტერესო მოგონებას: როდესაც ვაჟა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ხელმოცარული დაბრუნდა თბილისში, ძმებ ყიფშიძეებს ილიასთვის უთხოვიათ, ვაჟას ფული ვუშოვოთ და ბერლინის უნივერსიტეტში გავგზავნოთო: ,,ილიას შუბლი შეუჭმუხნია: ,,ბატონებო, ვაჟა პეტერბურგიდან იქნებ ბედმაც დააბრუნა, ახლა გერმანიაში უპირებთ გაგზავნას? ძლიერ კარგი, მაგრამ იცით კი რა გამოვა? თავი გაანებეთ, გერმანიაში იქნებ არაფერი გამოუვიდეს, უკეთეს შემთხვევაში ფილოსოფიას დაეწაფება, მაშინ ფანდურს მაღლა ჭერში შესდებს. ვაითუ, ვერც ფილოსოფოსად ივარგოს,ფანდურიც სამუდამოდ დაემსხვრას. მაგას

ჰონორარი დაუნიშნეთ, ისევ მთაში წავიდეს და წეროს – თავისებური ფანდურის ჟღერით დაგვატკბოსო“ (ხორნაული 2014:132).

იოსებ იმედაშვილის მოგონება ორი თვალსაზრისითაა საინტერესო. ერთი მხრივ, ის ასახავს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ვაჟას მიმართ – ილია ვაჟა-ფშაველას ბედის, მისი შემოქმედებითი მიმართულების განმსაზღვრელ ფიგურად წარმოგვიდგება. მეორე მხრივ, მასში იკვეთება ილიას შეხედულება ეროვნული წიაღის უპირატესობის შესახებ. რა თქმა უნდა, ილიას ვერ მივიჩნევთ უცხოეთში განათლების მიღების მოწინააღმდეგედ, მაგრამ ვაჟა-ფშაველას სახით მან დაინახა რაციონალურად უკვე ჩამოყალიბებული გენია, რომელიც სრულყოფილ რეალიზებას მხოლოდ მშობლიურ გარემოში შეძლებდა. ,,დევს დევის ძუძუ გაზრდისო“, – წერდა ილია პუბლიცისტურ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. თუკი გავიხსენებთ ვაჟას განსაკუთრებულ მიჯაჭვულობას ჩარგლისადმი, მის სიკვდილისწინა მონატრებას და მშობლიურ კუთხეში დაკრძალვის ანდერძს, დავრწმუნდებით, რომ ილიამ მართლად განჭვრიტა ვაჟას გენიის გასაქანი.

,,ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად, მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე“ (,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“) - ამ გენიალური ფრაზით ვაჟა-ფშაველა აშკარად ამჟღავნებს სრულ თანხმიერებას ილიას მოსაზრებასთან - ნიჭი სრულყოფილ გასაქანს მხოლოდ მშობლიურ წიაღში პოვებს და შემდეგ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობამდე მაღლდება.

ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ფილოსოფიური შეხედულება თავისუფალია ყოველგვარი უტოპიური, საფუძველს მოკლებული და ზოგჯერ ზომიერების ზღვარდაკარგული მოსაზრებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ნუსბაუმის შემდეგი რიტორიკული შეკითხვა: ,,შეიძლება ჩემს ქალიშვილს მივაღებინო ძვირადღირებული განათლება კოლეჯში, როდესაც მთელ მსოფლიოში ბავშვები შიმშილობენ და მათ დასახმარებლად ეფექტიანი სააგენტოები არსებობს?

შეუძლიათ კი ამერიკელებს მშვიდად დატკბნენ თავიანთი ცხოვრების მაღალი დონით, როდესაც ყველა საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ მსოფლიოს არ შეუძლია უზრუნველყოს მოხმარების ასეთი დონე? "(ნუსბაუმი,იქვე).

რა თქმა უნდა, ზემოხსენებულ რთულ საკითხებზე ყველა ქვეყნის მოქალაქემ უნდა იზრუნოს, მაგრამ არა საკუთარი შვილისა თუ თვისტომის უარყოფით, არამედ მათზე ზრუნვის პარალელურად. თანამედროვე კანადელი ფილოსოფოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჩარლზ ტეილორი **(Charles Margrave Taylor**) იზიარებს მარტა ნუსბაუმის კოსმოპოლიტური განათლებისა და საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვის იდეებს, მაგრამ არ ეთანხმება პატრიოტიზმის ცნების დაკნინებაში და, ამ მხრივ, ვაჟა-ფშაველას პოზიციას ეხმიანება: „რჩება შთაბეჭდილება, რომ ნუსბაუმი კოსმოპოლიტურ იდენტობას პატრიოტიზმის ალტერნატივად გვთავაზობს. თუ ეს ასეა, მაშინ იგი ცდება, რადგან თანამედროვე მსოფლიოში პატრიოტიზმი აუცილებელია... ჩვენ არა მარტო კოსმოპოლიტიზმი გვჭირდება, არამედ პატრიოტიზმიც... თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები საერთო თვითმმართველობას საჭიროებენ“ (ტეილორი:2010, ხაზი ჩვენია- მ.წ.).

ნუსბაუმის მოსაზრებას ასევე აკრიტიკებს პრინსტონის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა პროფესორი მაიკლ უოლცერი **(Michael Waltzer)** : „მე ცოტა მაკვირვებს მისი [ნუსბაუმის-მ.წ.] კოსმოპოლიტური მრწამსის თავდაჯერებულობა... XX საუკუნეში დანაშაულებს სჩადიოდნენ როგორც გაუკუღმართებული პატრიოტები, ისე გაუკუღმართებული კოსმოპოლიტები. და თუ ფაშიზმი ამ უკუღმართობებიდან პირველს წარმოადგენს, მაშინ მეორეს წარმოადგენს კომუნიზმი მის ლენინისტურ და მაოისტურ ვერსიებში. განა რეპრესიული კომუნიზმი განათლების უნივერსალიზაციის ნაშიერი არ არის?..პარტიკულარიზმი, რომელიც გამორიცხავს უფრო ფართო ლოიალობას, წაახალისებს ამორალურ ქცევას, მაგრამ ასევე იქცევა კოსმოპოლიტიზმიც, რომელიც უფრო ვიწრო ლოიალობას უარყოფს. ერთიც და მეორეც სახიფათოა, კამათისთვის სხვა ტერმინებია საჭირო“(უოლცერი:2010).

ამრიგად, ნუსბაუმის შეხედულებები კოსმოპოლიტიზმის საჭიროების შესახებ მისაღებია და საკამათო არ არის არც მისი თანამედროვე მეცნიერების, არც

წინამორბედების თვალსაზრისით, მაგრამ დაუსაბუთებელია მისი აზრი პატრიოტიზმის ,,მარტივ გრძნობად'' მიჩნევის შესახებ. დღევანდელ გლობალისტურ სამყაროში სწორედ ძლიერი ეროვნული დასაყრდენი და პატრიოტული სულისკვეთება განაპირობებს სახელმწიფოს თვითმყოფადობას.ამას ქადაგებდა ვაჟა-ფშაველა.

2.4 მოქალაქეობრივი ცნობიერების გლობალური კრიზისი თანამედროვე განათლების სისტემაში (დეჰუმანიზაციის პრობლემა)

თანამედროვე სამყაროში მოქალაქეობრივი ცნობიერების კრიზისია. მსოფლიო განათლების სისტემის ცენტრალური პრობლემა სულიერებისა და ადამიანური ღირებულებების დეფიციტია: „რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში დგას განათლების კრიზისის პრობლემა... ჩამოყალიბდა და კიდევ უფრო ღრმავდება დისპროპორცია ადამიანურ კულტურასა და თანამედროვე სწავლა-განათლების სისტემებს შორის, საზოგადოების მიღწევებსა და „მასების კულტურას“ შორის“(ქეცბაია 2014:7).

ქართველი მეცნიერის, კახა ქეცბაიას, თქმით, იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში მოქალაქეობრივი ცნობიერების კრიზისია, ქართულმა სახელმწიფომ და განათლების სისტემამ გეზი უნდა აიღოს არა განურჩევლად ყველაფერი უცხოურის თარგმნასა და დანერგვაზე, არამედ ეროვნული პოტენციალის ქმედით გამოყენებაზე.

კარგი მოქალაქის ცნება გადაჯაჭვულია ზნეობასთან, ღირსებასთან, პიროვნულობასთან: „მოქალაქეობრივი ცნობიერების განმსაზღვრელი სათნოებები და მიდრეკილებები მჭიდროდაა დაკავშირებული ზნეობრივი პიროვნების ცნებასთან“(ენციკლოპედია:2013,თარგმანი ჩვენია-მ.წ.). ამ კავშირს უცხოელი მეცნიერები აღნიშნავენ შესიტყვებით – „კარგი ხასიათი“ (good character). „ხასიათის განათლება“ (character education) დღეს პრიორიტეტულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. „ხასიათის განათლება“ გულისხმობს ზნემაღალი, ტოლერანტი, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდას, რომელიც მექანიკურად

კი არ აღასრულებს ვალდებულებებს, არამედ შეგნებულად, გაცნობიერების კვალად. ასეთი მოქალაქე არასოდეს კარგავს ინდივიდუალობას, თვითმყოფად ხასიათს.

მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების გზებსა და მეთოდებს თანამედროვე დემოკრატიული მოთხოვნების კონტექსტში იკვლევენ მეცნიერები: ემი გუტმანი (Amy Gutmann), უილიამ გალსტონი (William Galston), ჰარი ბოუტი (Harry C. Boyte), ნობელიანტი ელინორ ოსტრომი (Elinor Ostrom), რიჩარდ ბატისტონი (Richard Battistoni), ბენჟამინ ბარბერი (Benjamin Barber), ჯონ დიუი (Jon Dewey). ისინი მოქალაქეობრივი შეგნების კრიზისსა და ზნეობრიობის დეფიციტს განათლების სისტემის არასწორ მენეჯმენტს უკავშირებენ.

წიგნში „განათლების სისტემა – სამსჯავროზე“ (Philip Marcus – „Education service – on the judgment – future strategy“) ამერიკელი მეცნიერი ფილიპ მარკუსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აშშ-ის სკოლის პრობლემების (მკვლელობა, თვითმკვლელობა, ნაადრევი აბორტი, ნარკომანია, ალკოჰოლოზმი, ვანდალიზმი და ა.შ) მზარდ დინამიკას. ავტორი დაასკვნის: „ამ პათოლოგიებმა ასეთ დონეს ახლა მიაღწია, არადა, პედაგოგებისათვის ისინი გაცილებით ადრე, 60-იანი წლებიდან იყო ცნობილი. ხასიათი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დისციპლინა. კარგი ჩვევის ქცევა უფრო განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას, ვიდრე კანონები და წესები“ (მარკუსი 2000).

მოქალაქის უმთავრესი თვისებების - სათნოებისა და ღირსების - დაკარგვა პიროვნულობის ნიველირებაზე მეტყველებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს დეფიციტი დიდ საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. რიჩარდ ბატისტონი აღნიშნავს: „ჩვენი დემოკრატიული სისტემის ჭკნობა გამოწვეულია „სამოქალაქო განათლების კრიზისითა“ და ჩვენი განმანათლებლების მარცხით მოქალაქეების აღზრდის სფეროში“(ბატისტონი:1985:4-5.თარგმანი ჩვენია-მ.წ.). მეცნიერი მიიჩნევს, რომ დაკარგულია მოქალაქეობრივი ხასიათის ცენტრალური შტრიხი – თანამონაწილეობისკენ მიდრეკილება (disposition to participate).

თანამედროვე განათლების სისტემაში აქცენტი სწავლებიდან პიროვნების განვითარების კონცეფციებზე გადავიდა: „სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს პიროვნებაზე. აქ ურთიერთობებიც პიროვნულ დონეზე უნდა განიხილებოდეს. სხვა

მხრივ, ტექნოლოგიის განვითარებას მოსდევს ადამიანის ტოტალური, ე.წ. ტექნიკური გაუცხოება, რაც აქრობს ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას ცოდნისადმი. გაუცხოებული ადამიანები კი ადამიანურს, ღირებულს ვერაფერს შექმნიან“(ქეცბაია 2014:64).

ამ პრობლემებზე წერენ პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსები – ჟან ბოდრიარი (1929-2007) და ჟან-ფრანსუა ლიოტარი (1924-1998).

ჟან ლიოტარი მიიჩნევს, რომ „პოსტმოდერნიზმი ინტელექტუალთა სასაფლაოა“: „შემოქმედისა და მოაზროვნის ადგილი ე.წ.ექსპერტმა დაიკავა, პიროვნება კი ზომბით იქნა ჩანაცვლებული, რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია და მხოლოდ სიტუაციების შესაბამისი უნარ-ჩვევების ამარაა დარჩენილი, განათლების სისტემა კი მსგავსი უნარ-ჩვევების ფორმირებაზეა ორიენტირებული“ (ქეცბაია 2014:272).

დეჰუმანიზაციას მოსდევს დესოციალიზაცია, საყოველთაო ღირებულებებისა და საზოგადო სიკეთის ნიველირება, ურთიერთგაუცხოება და ანტიმოქალაქეობრივი განწყობა. ამ პრობლემების დაძლევის გზა ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირება და ჯანსაღი მოქალაქეობრივი სულისკვეთების ფორმირებაა, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ლიტერატურის გამოყენებას მოქალაქეობრივი, ანუ ზნეობრივი და საზაგადო სიკეთეზე ორიენტირებული ცნობიერების ჩამოყალიბების სამსახურში.

III თავი

მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოში

განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვამდე დისერტაციის ამ მონაკვეთში წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების ისტორია. ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა სისტემის მიერ ვაჟას შემოქმედების დისკრედიტაციის საკითხებზე, რის მიზეზადაც სწორედ პოეტის მოქალაქეობრივი იდეალები და სულისკვეთება სახელდება.

3.1.ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების ისტორია მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების კუთხით

ვაჟას შემოქმედების სწავლების დასაწყისად მიიჩნევა 1891 წელი, როცა იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენის“ მე-8 გამოცემაში შეიტანა მისი ლექსი „ქორი და წიწილა“(ვლადიმერ მახარაძე 1963:10). 1898 წელს არქიმანდრიტ კირიონსა (საძაგლიშვილი) და გრიგოლ ყიფშიძეს „სიტყვიერების თეორიის“ სახელმძღვანელოში შეაქვთ „გოგოთურ და აფშინა“, „მთის წყარო“, „ფესვები“ და „ქუჩი“. ეს ნაწარმოებები განკუთვნილი იყო სიტყვიერების თეორიის ცნებათა საილუსტრაციოდ. 1900 წელს იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ პირველად გამოჩნდა „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

საბჭოთა ეპოქაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ბოლშევიკური იდეოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად ისწავლებოდა. 1923-1931 წლებში განათლების სისტემაში ე.წ. საპროექტო-კომპლექსური სწავლება იყო დანერგილი. ყურადღება მახვილდებოდა სამ თემაზე – ბუნებაზე, შრომასა და საზოგადოებაზე. „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ისწავლებოდა არა „საზოგადოების“ თემატიკის, არამედ ხალხის შრომისა და ყოფა-ცხოვრების საილუსტრაციო ნაწარმოებთა შორის. ეს გარემოება ადასტურებს, რომ ვაჟას გმირთა მაღალმოქალაქეობრივი მოტივები

იმხანად უგულებელყოფილი იყო, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი, რაც წარმმართველია ორივე ზემოთ დასახელებულ პოემაში, იმ დროს არც კი განიხილებოდა.

საბჭოთა ეპოქაში ვაჟას საპროგრამო ნაწარმოებების ზედმიწევნითი აღნუსხვისას (ვ.მახარაძის წიგნი) იკვეთება თხზულებების განაწილების ასაკობრივი შეუსაბამობა. V კლასში ისწავლებოდა რთული იდეური ქარგითა და მხატვრული მრავალფეროვნებით გამორჩეული „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა“. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ყურადღება გამახვილდა „ბახტრიონზე“, განსაკუთრებით - ლელასა და კვირიას გმირობაზე.

ამრიგად, საბჭოთა განათლებისა და იდეოლოგიის მესვეურთ ვაჟას პოემებში აინტერესებდათ მოჭარბებული ეთნოგრაფიზმი, მთის ყოფის ასახვა და მთიელთა შრომითი ურთიერთობები. ხედავდნენ და ასწავლიდნენ მხოლოდ იმას, რაც ზედაპირზე ძევს. საბჭოთა ეპოქას ხელს არ აძლევდა დესპოტურ და ერთსახოვან საზოგადოებასთან დაპირისპირებული მოქალაქის აპოლოგია. ამგვარი ცნობიერების აღზევება საბჭოეთის ძლიერებას ძირს გამოუთხრიდა. სწორედ ამიტომ ებრძოდნენ არა მარტო ვაჟა-ფშაველას, არამედ იმ კრიტიკოსებსაც, რომლებიც მის ნაწარმოებებში მაღალეროვნულ და მაღალზნეობრივ იდეალებს ჭვრეტდნენ.

1951 წლის 10-12 იანვარს საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა სკკპ კომიტეტის სხდომაზე ვაჟა-ფშაველას „ჩამორჩენილობა“ და „მცდარი ენობრივი პოზიცია“ დაგმო. ვაჟასთან ერთად გააკრიტიკეს მისი შემოქმედების აპოლოგეტებიც: გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე ჭეიშვილი, შალვა რადიანი და სხვებიც.

კომპარტიის სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა ისიც, რომ „აუცილებელია ბოლო მოეღოს არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი... შეფასება შედის სასკოლო სახელძღვანელოში, ინერგება ახალ თაობაში“.

იწუნებდნენ ვაჟას ენას და აკაკი წერეთლის ავტორიტეტს ბოროტად იყენებდნენ ვაჟა-ფშაველას „ენობრივი ჩამორჩენილობის“ შესახებ მსჯელობისას. კანდიდ ჩარკვიანმა გასცა საგანგებო განკარგულება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების

სწავლების „გადახედვის“ შესახებ. 1951 წლის 18 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა იმჟამინდელი განათლების მინისტრის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის სიტყვა: „რესპუბლიკის სკოლებში 800 000 ბავშვი სწავლობს...ჩვენს სკოლაში მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ მგოსანს ვაჟა-ფშაველას დიდი ადგილი უჭირავს. სასწავლო გეგმებით მისი ბევრი ნაწარმოები ისწავლება. ვაჟას პოემების კუთხური კილოკავის შეფასების საკითხში არასწორი ორიენტაციის გამო, რომელიც გავრცელებულია ზოგიერთ ჩვენს მწერალ-კრიტიკოსთა და მასწავლებელთა შორის, ხდება მოსწავლე ახალგაზრდობაში მისი ფშავური დიალექტის ერთგვარი იდეალიზაცია და შემდეგ მისი კანონიზაცია“ (კუპრაძე:1951).

ამრიგად, განათლების მინისტრი „ახალგაზრდების საყვარელ მგოსანსა“ და „მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატ“ ვაჟა-ფშაველას „არასწორ პოზიციას“ უწუნებს ქართული სალიტერატურო ენის საკითხებში. ის მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებას ასრულებს და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გამოდის. ამაზე მეტყველებს ის აღმატებითი ეპითეტები, რომლებითაც მოიხსენიებს ვაჟა-ფშაველას.

ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით, რამდენად შეიზღუდა ვაჟას ნაწაროებთა სწავლება ამ წლებში. ვლადიმერ მახარიძის მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „1951-52 სასწავლო წელს ვაჟას შემოქმედების ნიმუშების რაოდენობა საშუალო სკოლის ლიტერატურულ კურსში არ შეცვლილა... ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობლად შემცირდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ნიმუშების შესასწავლად განკუთვნილი დრო“(მახარაძე 1963:28). ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილიც აღნიშნავს, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ვაჟას ნაწარმოებები სასწავლო პროგრამიდან არ ამოუღიათ (მიუხედავად კანდიდ ჩარკვიანის განკარგულებისა), მაგრამ მისი ტომების გამოცემა შეჩერდა.

ვაჟას ზოგიერთი თხზულება ცენზურის მიერ სხვადასხვა დროს იკრძალებოდა. „ხმელი წიფელი“ ვაჟას სიცოცხლეშივე დიდხანს ელოდა დაბეჭდვას. იკრძალებოდა ასევე ლექსი „ამირანი“, „სიმღერა“(დაე აყროლდეს სოფელი“), „სიმღერა“(„ყორანმა ყორანს გასძახა“), „ხორცო, დაჰნელდი“; მოთხრობები: „მთის წყარო“, „სოფლის სურათები“; პოემა „ჰაოს და ქართლოს“. ბუნებრივია, ჯერ მეფის,

ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთს სწორედ ვაჟას მოქალაქეობრივი პოზიცია აფიქრებდა და აფრთხობდა.

მეცნიერი გურამ ყორანაშვილი ეყრდნობა კანდიდ ჩარკვიანის მემუარებს და დაასკვნის, რომ ვაჟას დისკრედიტაცია იოსებ სტალინის უშუალო ნებითა და ბრძანებით ხორციელდებოდა. პოეტის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ კამპანიას გიგი ხორნაულიც სოციალ-დემოკრატებს, კერძოდ კი, იოსებ სტალინს მიაწერს. რადგან ვაჟას მოქალაქეობრივი მრწამსი ეწინააღმდეგებოდა მათ კოსმოპოლიტურ იდეალებს: „[ვაჟა] ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პოზიციაზე იდგა სიკვდილამდე“(ხორნაული 2014:387). ხოლო იუზა ევგენიძე კანდიდ ჩარკვიანის პირად წამოწყებად მიიჩნევს ვაჟაზე გალაშქრებას.

არაერთგვაროვანი პოზიციების მიუხედავად, ცხადია, რომ საბჭოთა ეპოქაში ვაჟა-ფშაველას პიროვნებასა და მრწამსს სწორედ ის ძალა დევნიდა,რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა მისი სათაყვანებელი ილია. ვაჟას ებრძოდნენ სწორედ მისი შეურიგებელი და შეუვალი მოქალაქეობრივი პოზიციის გამო. ცალკეული პიროვნებების ბრალეულობის წარმოჩენა ამ შემთხვევაში ისევე შეუძლებელი და გაუმართლებელია, როგორც ილიას მკვლელებად მხოლოდ იმ ოთხი ადამიანის აღიარება, რომლებმაც წიწამურის გზაზე ესროლეს მწერალს.

გურამ ყორანაშვილი წერს: „სტალინის ახირებას ვაჟა-ფშაველას მიმართ რაღაც საფუძველი ჰქონია...იგი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საბჭოთა ტოტალიტარიზმის სასტიკ იერსახეს“ (ყორანაშვილი 2007:31). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლოა ამ მეცნიერებმა საჯარო გამოსვლაში საბჭოთა მთავრობის მითითებები შეასრულეს, მაგრამ უდავოა, რომ ისინი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ და ფარულად იღვწოდნენ ვაჟა-ფშაველას სახელის დასაცავად, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფარულ და გულმოდგინე ღვაწლს მიეწერება ის ფაქტი, რომ ვაჟას სწავლება სკოლაში დიდად არ შეზღუდულა და, ზოგადად, ეს კამპანიაც უდღეური აღმოჩნდა.

3.2. მოქალაქეობრივი აღზრდის დეფინიცია საქართველოს განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა)

მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა საქართველოში 21-ე საუკუნეში არ დაწყებულა. ამგვარი ცნობიერებისა და ქცევის მაგალითები ქართველ მოსწავლეებს ყოველთვის მიეწოდებოდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სწავლების გზით, ვინაიდან ეს საგნები მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითებითაა აღსავსე.

რას გულისხმობს სამოქალაქო განათლება? რა მახასიათებლებს მოიცავს მოქალაქეობრივი ცნობიერება ამ საგნის ფარგლებში? სტენფორდის ენციკლოპედიაში მიმოხილულია „სამოქალაქო განათლების“ (Civic Education) მნიშვნელობა და ისტორიული კონტექსტი, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება აღზრდის პროცესის განუყოფელ ნაწილადაა მიჩნეული: „მოქალაქედ ჩამოყალიბება ევოლუციური პროცესია. ის უნდა ისწავლო და ასწავლო. მრავალი, თუ არა ყველა, საზოგადოება აღიარებს, რომ საჭიროა ახალგაზრდების აღზრდა „მოქალაქეობრივი განწყობით“, რაც გულისხმობს ფიქრსა და ზრუნვას ერთობის (საზოგადოების) საკეთილდღეოდ“ (ენციკლოპედია 2013, თარგმანი ჩვენია-მ.წ.).

საქართველოს „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლების სისტემა „მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში“.[9] უცხოურ წყაროებში მოქალაქეობრივი ცნობიერება (civic consciousness) მოიაზრებს სამშობლოს ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკური მოწყობის საკითხების, კონსტიტუციისა და კანონების ცოდნას, სამოქალაქო ასპარეზზე აქტიურობას.

[9] იხ.ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16963

ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებსა და პოლისებში გავრცელებული იყო სამოქალაქო განათლების შესატყვისი ტერმინი – „პაიდეია“ (παιδεία – Paideia), რაც გულისხმობდა თვითგანვითარებულ, მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილ მოქალაქეს, რომელიც პოლისისთვის, საკუთარი ოჯახისა და პიროვნული სრულყოფისათვის იღვწოდა.[10](ენციკლოპედია 2013).

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოქალაქეობრივ აღზრდაზე ორიენტირებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფი, თუმცა როგორც განათლების სფეროს მკვლევარი გიორგი გახელაძე მიიჩნევს, ჩვენს ქვეყანაში ზოგადი განათლების უმთავრესი მიზანი სწორედ მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებაა: „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში სამოქალაქო აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, უფრო მეტიც, ჩვენს ქვეყანაში ზოგადი განათლება სამოქალაქო ხასიათისაა, რადგან მისი მიზანია „საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის”. შესაბამისად, სამოქალაქო აღზრდის, როგორც დისციპლინის მიზანია, ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას.“(გახელაძე 2014, ხაზი ჩვენია-მ.წ.).

მკვლევრის თქმით: „სამოქალაქო განათლებას ინტერდისციპლინური ხასიათი აქვს და ნაბიჯ-ნაბიჯ, მოსწავლის ასაკობრივ განვითარებასთან ერთად ემსახურება უმთავრეს მიზანს – სამოქალაქო კომპეტენციის ჩამოყალიბებას: „სწავლა-სწავლების კონტექსტში სიტყვა “კომპეტენცია” გულისხმობს ადამიანის დახელოვნებას გარკვეულ საკითხში, ერთდროულად საკითხის შესახებ (ა) ცოდნის შეძენას, (ბ) მასთან ურთიერთქმედების უნარ-ჩვევების ათვისებასა და (გ) მის მიმართ გარკვეული განწყობის/დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამ სამი კომპონენტის ჭრილში საბაზო სამოქალაქო კომპეტენციები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: პოლიტიკური და იურიდიული კომპეტენცია, სოციალური და კულტურული კომპეტენცია,

[10] იხ. Stanford Encyclopedia of Philosophy, 1.1. Ancient Greece http://plato.stanford.edu/entries/civic-education/

ეკონომიკური კომპეტენცია და მდგრადი განვითარების კომპეტენცია“ (გახელაძე 2014, იქვე).

ამრიგად, მოქალაქეობრივი ცნობიერება ფართო და ინტერდისციპლინური ცნებაა და მოიცავს სხვადასხვა სფეროსა და დარგის ცოდნას, ასევე ამ ცოდნის რეალიზების უნარებს.

სამოქალაქო განათლების პრიორიტეტულობას ადასტურებს საქართველოს განათლების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო ოლიმპიადები (დაიწყო 2015 წელს),[11] რომლებიც ითვალისწინებს გამარჯვებული მოსწავლეების გაგზავნას დასავლეთ ევროპაში ენის შემსწავლელ კურსებზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოიცა რამდენიმე წიგნი სახელწოდებით „რა არის თავისუფლება?“ წიგნში თავმოყრილია ამონარიდები უცხოელი და ქართველი ავტორების მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებებიდან. პირველი კრებულის წინათქმაში ნათქვამია: „კრებულში შეტანილ ტექსტებს ერთი რამ აერთიანებს – ყოველი მათგანი ამა თუ იმ რაკურსით პიროვნების თავისუფლების საკითხს უკავშირდება. ყოველ ტექსტში მეტ-ნაკლებად ჩანს წინააღმდეგობა ადამიანსა და საზოგადოებას, პიროვნებასა და მის გარემომცველ რეალობას შორის და დგება საკითხი – რა არის ადამიანის მოვალეობა საზოგადოების წინაშე, რამდენად ზღუდავს პიროვნებას საზოგადოების მიერ შექმნილი წესრიგი – ანუ რა არის თავისუფლება, სად იწყება და სად მთავრდება იგი?“(რა არის თავისუფლება 2014:7).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამოგვაქვს დასკვნები:

- სამოქალაქო განათლება მოიცავს და ემყარება პიროვნული განვითარების კონცეფციას
- პიროვნული განვითარება წინა ეტაპია მოქალაქეობრივი განვითარებისა
- ამგვარი ცნობიერების ფორმირებაში ლიტერატურული მაგალითების როლი ეფექტური და ქმედითია

[11] იხ.ბმული http://www.mokalake.ge/?m=289&news_id=20

- მოქალაქეობრივი ცნობიერება ზოგადი განათლების უმთავრესი მიზანია

მაგრამ აქვს თუ არა საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლებას ეროვნული ხასიათი? რამდენად შეესაბამება იგი ქვეყნის რეალურ საჭიროებებს და იდენტობის განმსაზღვრელ მარკერებს? განათლების მეცნიერებების მკვლევრები ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ზემოაღნიშნულ დებულებაში („ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება“) აბსტრაქტულობასა და ბუნდოვანებას ხედავენ: „აღზრდის მიზნის განმსაზღვრელი, სახელმწიფოს მიერ გაჟღერებული ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება ძალზე ზოგადი და აბსტრაქტულია. არც ერთ დოკუმენტში არ იკვეთება ამ საკითხისადმი სისტემური მიდგომა, არ ჩანს დოკუმენტებში საკითხის თანმიმდევრულობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახელმწიფოს მიერ ეს დოკუმენტები შედგენილია არა ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალიწინებით, არამედ სტიქიურად, უცხო ქვეყნების დოკუმენტების, უკეთეს შემთხვევაში, გადამუშავების საფუძველზე“. (ჭკუასელი/ქიტიაშვილი 2013:99-100).

მაშასადამე, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სამოქალაქო აღზრდა საკანონმდებლო და, შესაბამისად, სასწავლო-სააღმზრდელო დონეზე, სწორედ ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს და არა ნათარგმნი, ხშირად საქართველოს რეალობასთან შეუსაბამო დებულებების გადმოღებით.

ამრიგად, მოქალაქეობრივი ცნობიერების საბაზისო კომპეტენციების ფორმირება განათლების სისტემის ზოგადი პრიორიტეტია და ის უნდა ისწავლებოდეს როგორც ექსპლიციტურად, ანუ საგანგებოდ გამოყოფილი საგნის ფარგლებში, ისევე იმლიციტურად, ანუ სხვა საგნების შესწავლის კვალდაკვალ, კულტურისა და ლიტერატურის შეთვისების კონტექსტში.

3.2.1 სამოქალაქო განათლების მიზნები და ამოცანები თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (ეროვნული სასწავლო გეგმა)

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო თავდაცვა). სწავლების საერთო მიზნების ჩამონათვალი ითვალისწინებს: „ხელი შეუწყოს მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებას“, ასევე „ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებას“, „დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში“[12] და სხვა.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, სამოქალაქო განათლება ინტეგრირებულად ისწავლება დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. კერძოდ, I-IV კლასებში სხვა საგნებთან ინტეგრირებულად,[13] ხოლო V-VI კლასებში სამოქალაქო განათლებას ეთმობა კვირაში 3-საათიანი სასწავლო კურსი „ჩვენი საქართველო“. საბაზო საფეხურზე იგი ისწავლება ისტორიასთან ინტეგრირებით (კვირაში 3 საათი), ხოლო ცალკე საგნად არის გამოყოფილი საბაზო საფეხურის IX და საშუალო საფეხურის X კლასებში (კვირაში 2 და 3-საათიანი კურსი სამოქალაქო განათლება). სამოქალაქო აღზრდის სავალდებულო სწავლებისას მოსწავლის მისაღწევი შედეგები დაყოფილია შემდეგი სამი მიმართულებით: პიროვნული განვითარება, მდგრადი განვითარება, მმართველობა და მოქალაქეობა. XI-XII კლასებში ის არჩევითია, კვირაში 2-საათიანი კურსები (მოქალაქეობა, გამოყენებითი ეკონომიკა, სახელმწიფო და პრაქტიკული სამართალი).

საგნობრივი ჯგუფის პროგრამა 15 მიმართულებას მოიცავს, მათ შორისაა: დრო და სივრცე; გარემო და ეკონომიკა; სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა; კულტურა და რელიგია; ადამიანი და საზოგადოება; გარემო და სოციალური სისტემები; პიროვნული განვითარება; მდგრადი განვითარება და სხვები.

ეს მიმართულებები 116 ქვეთემას აერთიანებს, მათ შორისაა: ქართული ანბანი; სტუმარმასპინძლობა საქართველოში; ლხინისა და ჭირის აღნიშვნა საქართველოში; განათლების კერები საქართველოში; ქართული სტამბა, ქართული ხელოვნება; ქართული პრესა; ქართული საგანძურის თავგადასავალი – ექვთიმე თაყაიშვილი;

---

[12] ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, თავი XXXV, გვ.993.

[13] თუმცა 2017-2018 წლებში დაწყებით საფეხურზე შემოდის ახალი საგანი – „მე და საზოგადოება“.

ძველი ქართული სამართალი; რას ნიშნავს ცნება „საქართველოს მოქალაქე“, სატრანსპორტო გზები, რომლებითაც საქართველო უკავშირდება გარესამყაროს, უცხოელი მოგზაურები საქართველოში.

სამოქალაქო განათლების X კლასის ერთ-ერთ მიმართულებას გვინდა შევეხოთ - „პიროვნული განვითარების“ საკითხს. სტანდარტის თანახმად, „მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს ადამიანური ღირსების არსი“(მოქ.X.2); „მოსწავლეს შეუძლია, დააკავშიროს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებები“ (მოქ.X.3); „მოსწავლეს შეუძლია თვითდამკვიდრება საზოგადოებაში“(მოქ.X.1).[14]. უდავოა, საკითხების ნათელყოფას მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალა და ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული მაგალითი სჭირდება.

ჩვენი აზრით, პიროვნული თავისუფლებისა და პიროვნული ღირსების საკითხების შესწავლისას „სამოქალაქო განათლების“ კურსში აქტიურად უნდა ჩავრთოთ ქართველი კლასიკოსების: რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას გმირების საქციელის განსჯა-ანალიზი. რა თქმა უნდა, ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე გარკვეული ყურადღება ეთმობა ამ თემებს, მაგრამ, პიროვნების განვითარების საკითხის ირგვლივ ფოკუსირებული და მოქალაქეობრივი ცნობიერების კუთხით სათანადოდ დამუშავებული ლიტერა-ტურული მასალა არა მარტო გაუადვილებს მოსწავლეებს აღნიშნული საკითხების გააზრებას, არამედ სწორედ ეროვნული იდენტობის და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიღება-გააზრებაში დაეხმარება.

[14] ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XXXV, სამოქალაქო განათლების სტანდარტი,X კლასი, გვ.1115

თავი IV

ვაჟა-ფშაველას სასკოლო ნაწარმოებები მოქალაქეობრივი აღზრდის სამსახურში-სწავლების კონცეფცია

4.1 კვლევის ზოგადი აღწერა

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, დისერტაციაში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები:

1) სამაგიდე კვლევა. იგი წარიმართა რამდენიმე მიმართულებით:
   - მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი – მოქალაქეობრივი ცნობიერების არსი ქართულ სამწერლობო ტრადიციასა და სამეცნიერო ლიტერატურაში. კვლევის მიზნის (მოქალაქეობის სულიერი და ზნეობრივი მახასიათებლების დადგენის) სპეციფიკის გათვალისწინებით, შევისწავლეთ მოქალაქეობის თეოლოგიური საფუძვლები (წმინდა იოანე ოქროპირისა და წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის ნაშრომები), მისი არსის განსაზღვრა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურასა და ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონში, ასევე ბროკჰაუზისა და ეფრონის, სტენფორდის ფილოსოფიურ და სამოქალაქო განათლების ლექსიკონებში).
   - ვაჟა-ფშაველას მკვლევართა ნაშრომების შესწავლა-ანალიზი ავტორის შემოქმედებაში მოქალაქეობრივი მოტივის მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით.
   - თანამედროვე სოციოლოგთა შეხედულებების მიმოხილვა ვაჟა-ფშაველას კოსმოპოლიტურ ნააზრევთან მიმართებით (პუბლიცისტური წერილის – „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმის“ იდეალები ევროპული ფილოსოფიის ჭრილში).
   - დოკუმენტების ანალიზი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმისა და განათლების მეცნიერებათა

მკვლევრების თეორიული ნააზრევის მიმოხილვა მოქალაქეობრივი ცნობიერების დეფინიციის მიმართულებით.

- სახელმძღვანელოების კონტენტ-ანალიზი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შესწავლის თვალსაზრისით: საანალიზო შეკითხვების ფორმულირების, კითხვის სტრატეგიისა და დავალებათა ნიმუშების აღწერა-ანალიზი მოქალაქეობრივი ცნობიერების აქცენტების გათვალისწინებით.

კვლევის ეტაპები. კვლევის მეორე ეტაპზე ვაწარმოეთ მიზნობრივი შერჩევა, მასწავლებელთა გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარით (ანკეტით). გამოკითხვა განხორციელდა ღია და დახურული შეკითხვების გამოყენებით. კითხვარი მოიცავდა როგორც ზოგად კითხვებს ვაჟა-ფშაველას სასკოლო ნაწარმოებებისა და შემოქმედების სწავლების შესახებ, ასევე კონკრეტული ნაწარმოებებისა და ეპიზოდების სწავლების მეთოდურ საკითხებს. ისინი, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების თვალსაზრისით შეირჩა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ქართული ენისა და ლიტერატურის 32-მა მასწავლებელმა.

შერჩევა. შევარჩიეთ ორი განსხვავებული რეგიონის – დედაქალაქისა და დუშეთის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები, კერძოდ: ჩარგლის, აბანოსხევის, ჭოპორტის, საკრამულის, ფასანაურის, გუდამაყრის, ოძისის, პავლეურის, დუშეთის 1-ლი და თბილისის 147-ე სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. მათი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის კონტექსტში წყაროს მითითებითაა წარმოდგენილი, ვინაიდან, ინფორმირებული თანხმობის შემდეგ, რესპონდენტებმა არ მოითხოვეს კონფიდენციალობისა და ანონიმურობის დაცვა.

კვლევის შემდგომ ეტაპზე, მასწავლებელთა გამოკითხვაზე, თეორიულ ნააზრევსა და საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ ახალი სასწავლო კონცეფცია – ვაჟა-ფშაველას სასკოლო ნაწარმოებები მოქალაქეობრივი აღზრდის სამსახურში. კონცეფცია წარმოადგენს სისტემური მიდგომით შედგენილ მეთოდურ რესურსს, მოიცავს სამოდელო გაკვეთილების

სცენარებს სასწავლო მიზნის (მოქალაქეობრივი ცნობიერების კონკრეტული მახასიათებლის ფორმირება) შესაბამისი აქტივობებისა და რესურსების მითითებით.

საბოლოო ეტაპზე გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი – ჩაღრმავებული ინტერვიუ (ნახევრად სტრუქტურირებული) მასწავლებლებსა და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა თუ სახელმძღვანელოთა შედგენაში ჩართულ პირებთან. მისი კითხვარი (სადისკუსიო გეგმა) ღია კითხვებისაგან შედგებოდა, რადგან ამ ფორმატს თან სდევს მოულოდნელი, ახალი საინტერესო პასუხები და რეკომენდაციები. რესპონდენტებს გავაცანით დისერტაციის მონაკვეთი, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების ახალი კონცეფცია და შევაფასებინეთ იგი.

ინტერვიუს მონაცემები დამუშავდა თემატური დისკურს-ანალიზის მეთოდით, რაც გულისხმობს დასმული კითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების ვერბალური შინაარსის გადმოცემას. აღნიშნული მონაცემები ნაწილობრივ ჩართულია სასწავლო კონცეფციაში, მსჯელობის პარალელურად, ხოლო დისკურს-ანალიზი დისერტაციის მე-6 თავშია წარმოდგენილი. ინტერვიუების გაშიფრული ტექსტები დანართად (იხ. დანართი 3) ახლავს დისერტაციას.

4.2 სასწავლო კონცეფციის ზოგადი აღწერა

ვაჟა-ფშაველას გმირები მრავალმხრივ ამჟღავნებენ მოქალაქეობრივ ცნობიერებას. ვაჟა გვთავაზობს ამა თუ იმ მოქალაქეობრივი თვისების კონკრეტულ, ხელშესახებ გამოვლინებას სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

დისერტაციის ამ ნაწილში შევეცდებით წარმოვადგინოთ, კონკრეტულად რომელი მოქალაქეობრივი მახასიათებლის ფორმირებას ემსახურება ვაჟა-ფშაველას ცალკეული ნაწარმოები ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით. თავდაპირველად წარმოვადგენთ ნაწარმოებთა განაწილების სქემას (სასწავლო მიზნისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით), ხოლო შემდეგ კრიტიკოსთა ნააზრევის, სახელმძღვანელოთა აღწერა-ანალიზის, საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებისა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბებთ სასწავლო კონცეფციას, რამდენიმე კონკრეტული ნაწარმოების

სწავლების გეგმას, რომელიც, ჩვენი აზრით, პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გაკვეთილის სათანადოდ მომზდებისა და ჩატარებისას.

მოქალაქეობრივ ცნობიერებას სკოლაში დაწყებითი საფეხურიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ქვემოთ მოცემული სქემა ორიენტირებულია მოქალაქეობრივი ცნობიერების ეტაპების ფორმირებაზე ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით და მოიცავს სწავლების სამივე საფეხურს – დაწყებითიდან ზოგად განათლებამდე. სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ხდება იმ განწყობისა და უნარ-ჩვევების ფორმირება, რომელსაც უნდა დაეშენოს მოქალაქეობრივი ცნობიერება ბოლო (საშუალო) საფეხურზე. ამ თავში უმთავრესი ყურადღება ვაჟას პოემების სწავლებას დაეთმობა, დაწვრილებით გავწერთ „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ სწავლების კონცეფციასა და გაკვეთილებს, სასწავლო აქტივობებს, მეთოდებსა და რესურსებს, რომლებიც სასწავლო მიზნის მიღწევას განაპირობებს და წარმოვადგენთ გარკვეულ რეკომენდაციებს პოემა „ბახტრიონის“ სწავლებასთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ შედგენილ სასწავლო კონცეფციაში თითოეული საფეხურის მთავარი სასწავლო მიზანი შემდეგნაირად ფორმულირდება:

1. ბუნების სიყვარულის (ჰარმონიისაკენ სწაფვის) განცდა ბუნების თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების სწავლებით (დაწყებითი საფეხური, I-VI კლასები). განმარტება: თანაგრძნობა, თანაგანცდა, ურთიერთზრუნვა, ურთიერდახმარება (რის ფორმირებასაც შეეწევა ვაჟა-ფშაველას მოთხრობები) წარმოადგენს მოქალაქეობრივი ცნობიერების საძირკველს.
2. ძლიერი პიროვნების მოვალეობისა და შინაგანი მახასიათებლების გაცნობიერება (საბაზო საფეხური, VII-IX კლასები).
   განმარტება: პიროვნების ზნეობრივი მახასიათებლების (მოვალეობისა და პასუხისმგებლობის, ადამიანის ცხოვრების აზრისა და დანიშნულების) ფორმირება სწორედ ამ ასაკში იწყება.
3. საზოგადოების გაუკეთესებაზე ორიენტირებული მოქალაქის აღზრდა (საშუალო საფეხური, X-XII კლასები).

განმარტება: ძლიერი პიროვნული ავტონომიით გამორჩეული გმირების (ალუდა, ჯოყოლა, ზვიადაური, აღაზა, სანათა, ლელა, ლუხუმი) მაგალითით ამ ასაკის მოსწავლეების თვითრეალიზებისაკენ სწრაფვა ჯანსაღი გზით განვითარდება.

აქვე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება გარემოებაზე, რომელიც კვლევის საბოლოო ეტაპზე, ექსპერტთა მოსაზრებების საფუძველზე გამოიკვეთა. არსებობს საშიშროება, რომ ვაჟას პოემების (განსაკუთრებით, „ალუდა ქეთელაურის“) არასწორი სწავლების შემთხვევაში საზოგადოებასთან დაპირისპირებული გმირის აპოლოგიამ მოსწავლეებში მეამბოხე და წესრიგთან შეუგუებელი მიდრეკილებანი გააღვივოს, რაც თავისი არსით ანტიმოქალაქეობრივია. აკადემიკოსი ავთანდილ არაბული მიიჩნევს: „როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მოქალაქეობრივ ცნობიერებაზე 21-ე საუკუნეში, ბეწვის ხიდზე თუ დანის ფხაზე გავლა გვიწევს, იმიტომ, რომ უნდა განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ ამაში... უნდა ვიცოდეთ, რა საზომით ვუდგებით იმავე ვაჟა-ფშაველას გმირებს: მსოფლიო მოქალაქის საზომით თუ კონკრეტული ქვეყნის თუ საზოგადოების მოქალაქის საზომით. ეს სულ სხვადასხვა რამეა და ეს ორი რამ 21-ე საუკუნეში დაუპირისპირდა კიდევაც ერთმანეთს“.

ვაჟა-ფშაველასთან ეს ორი თვალსაზრისი არათუ დაპირისპირებული, არამედ თანმხვედრია: ალუდა, ჯოყოლა, აღაზა არიან თავიანთი თემის და, ამასთან, კაცობრიობის ღირსეული წევრებიც. მართალია, ისინი კონკრეტულ შემთხვევაში თემს უპირისპირდებიან, მაგრამ სინამდვილეში თემის სულიერ პროგრესს შეეწევიან. ავთანდილ არაბული აღნიშნავს: „მსხვერპლად შეწირული გმირი განაპირობებს საზოგადოების წინსვლას... ის ყოველთვის ამოვარდნილია საერთო სიტუაციიდან. ამიტომაც არ არის ის ჩვეულებრივი მოქალაქე, ის მეამბოხეა, ყველანაირად გამორჩეული“.

„დანის ფხაზე სიარული“ მასწავლებელს მართლაც უწევს, რათა ვაჟა-ფშაველას გმირების საქციელში მოსწავლეებმა საპირისპირო სათქმელი, საზოგადოებრივი წესრიგის ურჩობისკენ მოწოდება არ ამოიკითხონ. სწორედ ამ მიზნით გვჭირდება არა კონტექსტიდან მოწყვეტილი, არამედ სისტემური მიდგომით წარმართული სწავლება. დაწყებითი საფეხურიდანვე ვაჟას პრინციპების გაცნობა-გათავისება

აუცილებელია იმისათვის, რომ შევამზადოთ ნიადაგი მისი პოემების კეთილმოქალაქეობრივი სათქმელის ამოსაცნობად.

სისტემური მიდგომით შემუშავებული სასწავლო კონცეფციის სქემა შედგება 5 გრაფისგან:

1) მოქალაქეობრივი ცნობიერების მახასიათებელი;

2) ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები (რომელიც განსაკუთრებით შეეწევა ამ მახასიათებლის ფორმირებას);

3) ასაკობრივი ჯგუფი;

4) სასწავლო მიზანი;

5) შესაბამისი სამოდელო გაკვეთილი.

მომდევნო პარაგრაფებში, სამოდელო გაკვეთილების მაგალითზე კონკრეტულად წარმოვადგენთ მიზნის მიღწევის გზებსა და მეთოდებს.

მოქალაქეობრივი ცნობიერების მახასიათებელი	ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები	მთავარი სასწავლო მიზანი	ასაკობრივი ჯგუფი	შესაბამისი სამოდელო გაკვეთილის განხილვა
1. თანაგანცდა (ემპათია), თანადგომა, ურთიერთშეწევნა, მადლიერება	„შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „მთის წყარო“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „პატარა მწყემსის ფიქრები“	ბუნებაში გამეფებული ჰარმონიის გაცნობა-გააზრება (ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა)	დაწყებითი საფეხური (IV-VI კლასები)	მოთხრობის – „ია“– სწავლების კონცეფცია
2. პიროვნების/ადამიანის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „კაი ყმა“, „დამსეტყვე, ცაო“, „რამ შემქნა ადამიანად“	ზნეობრივი ორიენტირის (ღირებულებათა სისტემის) ფორმირება	საბაზო (VII-IX კლასები)	ლექსის – „კაი ყმა“ – სწავლების კონცეფცია
3. ჭეშმარიტების ნათელყოფა (სამოქალაქო სივრცეში გაცხადება), თავგანწირვა, მოწყალება, ტოლერანტობა	„ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“	საზოგადოების გაუკეთესებაზე ორიენტირებული მოქალაქის აღზრდა	საშუალო (X-XII კლასები)	„ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ სწავლების კონცეფცია

ბოროტებასთან შეწინააღმდეგება	„ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“	ბოროტებასთან და უსამართლობასთან მებრძოლი პიროვნების ჩამოყალიბება	საშუალო (X-XII კლასები)	რეკომენდაციები პოემა „ბახტრიონის“ სწავლებასთან დაკავშირებით

სამოდელო გაკვეთილების კონცეფციაში წარმოვადგენთ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელ დეტალებს, იმ ძირითად მოტივებს, რომლებზეც მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ზემოთ ჩამოთვლილ მიზანთა მისაღწევად.

ექსპერტთა შენიშვნების გათვალისწინებით (რომ ვაჟა-ფშაველას ერთ ჩარჩოში მოქცევა მისი სათქმელის დავიწროების საფრთხეს ქმნის, იხ. მე-6 თავი), მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ მოქალაქეობრივი ცნობიერების კუთხით ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევა და სწავლება არ გულისხმობდეს მისი პოეტური ნაწარმოების მკაცრ ჩარჩოში მოქცევას და შეხედულებების კონტრუირებას სისტემის სახით. აღნიშნული სქემა მხოლოდ და მხოლოდ თვალსაჩინოებისა და თანმიმდევრული სწავლების ნათელყოფას ისახავს მიზნად და არამც და არამც ვაჟას ნააზრევის მკაცრ ჩარჩოში მოქცევას. პროფესორი იუზა ევგენიძე თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში საგულისხმოდ აღნიშნავს, რომ მსოფლმხედველობის დაჟინებით ძიება ლექსში პოეტის სამყაროს გამარტივების საფრთხესაც ქმნის და პოეზიასაც თავისთავად ღირებულებას უკარგავს: „მიზანდაქვემდებარებული სწრაფვა იქითკენ, რომ როგორმე გამართული სისტემური აზრის არტახებში მოვაქციოთ წარმოსახვა-ფანტაზიის წიაღში შექმნილი პოეტური ემოცია, ერთგვარი ბორკილია მხატვრული ნაწარმოების ნაირფეროვანი წაკითხვისათვის; მაგრამ ლოგიკურად გამართულ აზრობრივ სისტემათა ძიებაზე უარის თქმა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ განწყობილებათა სისტემა, მაღალი ღირებულების მქონე ემოციათა ურთიერთკავშირები არ დავძებნოთ და, ამდენად, უარი ვთქვათ პოეტურ მრწამსში

მოქცეული აზრობრივი ქვეტესტებისა თუ სიმბოლურ მინიშნებათა ახსნაზე“ (ევგენიძე 2009:107).

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება მიგვანიშნებს, როგორ უნდა წავიკითხოთ და ვასწავლოთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ისე, რომ ლექსი თუ პოემა უბრალო მანიფესტად არ ვაქციოთ და პოეზიას თავისთავადობა არ დავუკარგოთ. უმთავრესია, „განწყობილებათა სისტემის“, „აზრობრივი ქვეტექსტებისა“ და „სიმბოლური მინიშნებების“ მიღმა ამივიკითხოთ ვაჟას უაღრესად ზნეობრივი, მაღალეთიკური და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული აზრი. ჩვენ შევეცადეთ, გაკვეთილების სცენარები ამ ამოცანების შესაბამისად გაგვემართა და მათში ყურადღება გავამახვილეთ ნაწარმოების კომპლექსურ სწავლებაზე, მხატვრულ-ენობრივ სამყაროზე, რემისცენციებსა და ასოციაციური კავშირებზე, განსაკუთრებით – შემოქმედებითი პარალელების მოხმობაზე, რაც სწავლების პროცესს საინტერესოსა და ნაყოფიერს ხდის. თუმცა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მაინც უმთავრესი სასწავლო მიზნის ირგვლივაა ფოკუსირებული – როგორ უნდა მიიღოს და გაითავისოს მოსწავლემ ესა თუ ის მოქალაქეობრივი მახასიათებელი.

4.3 მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება ბუნებისადმი მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების სწავლებით დაწყებით კლასებში (მოთხრობა „ია“– სამოდელო გაკვეთილი)

მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებას სწავლების პირველ საფეხურზე ვაჟა-ფშაველას ის ნაწარმოებები ემსახურება, რომლებიც ბუნების სიყვარულს ასწავლის ბავშვს და თავს აგრძნობინებს ჰარმონიული სამყაროს ნაწილად. ვაჟას მოთხრობებში („ია“, „მთის წყარო“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ფესვები“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“) ბუნების შვილები ერთმანეთზე ზრუნავენ, ეხმარებიან, განიცდიან და თანაუგრძნობენ. სწორედ ამგვარი ურთიერთობისა და დამოკიდებულების – თანაგრძნობის, თანაგანცდის, ურთიერთზრუნვის, ურთიერთდახმარების – ფორმირებას უნდა დაეშენოს მოქალაქეობრივი ცნობიერება.

სასწავლო მიზნების ფორმულირებისა და მეთოდური მიმართულებების განხილვა-გაანალიზებამდე გავიხსენოთ, რა მიზანდასახულობას ამსახურა „ბუნების კარის“ ავტორმა, იაკობ გოგებაშვილმა, მშობლიური ბუნების შესწავლა და რა მეთოდური ჩანაფიქრით შეადგინა მან ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო.

ვინ უნდა აღვზარდოთ? – პედაგოგიკის ამ უძირითადეს შეკითხვას უაღრესად მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციიდან უპასუხებს იაკობ გოგებაშვილი. მესამე და მეოთხე წლისათვის (კლასისათვის) განკუთვნილ საბუნებისმეტყველო სახელმძღვენელოს – „ბუნების კარის“ – 21-ე გამოცემას (1912წ.) მან წაუძღვარა მეთოდიკური ხასიათის წინათქმა საგულისხმო სათაურით - „მასწავლებელთა და მშობელთათვის“. მასში წარმოდგენილი მეტად საყურადღებო თეორიული და მეთოდიკური მითითებები თანამედროვე ეპოქაშიც უაღრესად აქტუალური რჩება.

„ბუნების კარის“ ავტორისეულ წინათქმაში ზედმიწევნითაა ჩამოყალიბებული წიგნის ხუთივე ნაწილის (საბუნებისტყველო, სალიტერატურო, გეოგრაფიული, საისტორიო, საკაცობრიო) მიზნები და ამოცანები. ყოველი მათგანი გამომდინარეობს უმთავრესი მიზნიდან, რომელსაც გოგებაშვილი შემდეგნაირად აყალიბებს: მათ [სახელოვანი მწერლების მოთხრობებმა და ლექსებმა-მ.წ.] „მოზარდს თაობაში უნდა აღზარდონ, ენის ცოდნის გარდა, ღირსეულის ადამიანის და მხურვალე მამულიშვილის თვისებანი“ (გოგებაშვილი 1989:2).

ასე რომ, ყოველი სახელმძღვანელოს მიზანი ზნეობრივი მახასიათებლების, კერძოდ, დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების ფორმირებაა და არა მხოლოდ მშრალი ცოდნის მიწოდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხატვრული (სამწერლობო, მუსიკალური თუ სამხატვრო) ნაწარმოები გაცილებით მძლავრი ზემოქმედებისაა, ვიდრე დიდაქტიკური შეგონება, რათა ყმაწვილმა გარკვეული ზნეობრივი სენტენცია რიგიანად მიიღოს. იაკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარში“ გვერდი აუარა მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის, გოგებაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „მშრალ“ და „უძლურ“ მეთოდს: „რათა უფრო მიმზიდველი გაგვეხადა ყმაწვილებისათვის „ბუნების კარი“, მის შედგენის დროს გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალ მხარეებს საგნებისა, როგორიც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს

ბუნების-მეტყველების სახელმძღვანელოსი“. ამის ნაცვლად გოგებაშვილმა თავის წიგნში უხვად შეიტანა „საღის მსჯელობის აღმზრდელი“, „გონების განმაფხიზლებელი“ მაგალითები. იგი წერს: „დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ სცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისთვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავისს სამშობლოსთან“ (გოგებაშვილი 1989:2).

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ შერჩეულ მასალაში დამოკიდებულებებისა და ურთიერთობების თემა დომინირებს. გოგებაშვილი ბუნების კანონზომიერებების შეცნობის მომხრეა, უწინარესად კი ბუნების ქმნილებათა შორის არსებული იმ საყოველთაოდ ჯანსაღი ურთიერთობისა, რომელიც სამშობლოსა და გარემომცველი სინამდვილისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება.

სწორედ ყმაწვილთათვის სასიკეთო, „ცოცხალ“ და „გონების გამაფხიზლებელ“ მაგალითებს შეიცავს ვაჟა-ფშაველას მოთხრობები. ვაჟას პირველი შემფასებელი, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი, იაკობ მანსვეტაშვილი, თავის რეცენზიაში საგანგებოდ აღნიშნავდა „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ფასდაუდებელ პედაგოგიურ მნიშვნელობას: „თუ გსურთ ყმაწვილის გულში სიბრალული აღძრათ, რომელიც დასაბამია კაცთმოყვარეობისა, მიეცით ხელში ამგვარი მოთხრობა. ეს ცხოველი და მართალი სურათი უფრო ღრმად ჩაებეჭდება მის გულს, უფრო ძლიერ დააფიქრებს ნორჩ გონებას, ვიდრე გრძელი და მძიმედ დალაგებული ქადაგება“ (ვაჟა-ფშაველას კრებული II 1982:206).

გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები გამოირჩევა წმინდა ლიტერატურული ენით, აღსავსეა მაღალი მისწრაფებებით, მხატვრული სურათებით. ისინი ერთდროულად ემსახურება პედაგოგიკის ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

როგორ უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს ვაჟა-ფშაველას ზემოთ დასახელებული ნაწარმოებები და რომელი მეთოდების გამოყენება იქნება ეფექტური მათი სწავლებისას?

უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ასაკობრივი თავისებურებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. დაწყებითი კლასის ბავშვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვალსაჩინოება, გამჭვირვალედ, ნათლად და სადად მიწოდებული სასწავლო მასალა.

როგორ უნდა განხორციელდეს ზემოთ განსაზღვრული სასწავლო მიზანი – თანაგრძნობისა და თანაგანცდის უნართა ფორმირება ესთეტიკური ფენომენის გააზრების კვალდაკვალ?

ამ საკითხის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ მოთხრობის – „ია“– სწავლების ჩვენეულ კონცეფციას. ეს მოთხრობა მოზარდებს უყალიბებს ბუნების ჰარმონიის განცდას.

მოთხრობაში მთავარია ურთიერთობის თემა: ია ტყეს ატკბობს, დამპალი ყუნჭი (კუნძი) იას ეტრფის, წვერხმელი ხეები ტოტებს აფარებენ, სასუტელა იის დობილია, მზე მათი მამაა, წვიმა ახალ კაბებსა და ქათიბებს აცვამს მცენარეებს, ქედანი თელის ტოტზე ღუღუნებს. რაც მთავარია, ყველას უხარია სიცოცხლე, ყველა ზრუნავს ერთმანეთზე.

გამომცემლობა „მერიდიანის“ მე-4 კლასის სახელმძღვნელოში მოთხრობა შემოკლებულია და მასში არც ყუნჭია ნახსენები, არც სასუტელა, არც გუგულისკაბა და არც ადამიანი, რომელსაც დისჰარმონია შეაქვს ამ იდილიურ ყოფაში. ზოგადად, სახელმძღვანელოში დასაშვებია ვრცელი ტექსტის ადაპტირება, მაგრამ ვაჟა-ფშაველას „ია“ მინიატურაა და, ჩვენი აზრით, შემოკლებას არ საჭიროებს. უკეთეს შემთხვევაში, მე-4 კლასის ნაცვლად, შესაძლებელია მისი შეტანა მე-6 კლასში.

ამრიგად, ტექსტის შემოკლებით, სასუტელას, გუგულისკაბას, ტოტგადართხმული წიფლის, და, რაც მთავარია, მხარზე თოფგადებული ადამიანის გაუჩინარებით მოთხრობის ვაჟასეული სათქმელი ირღვევა და ის, შესაძლოა, მოსწავლისთვის სამუდამოდ დაფარული დარჩეს (თუკი მასწავლებელმა ვერ იზრუნა ამაზე). სინამდვილეში კი, ავტორის მიზანია, მკითხველს, უწინარესად კი მოსწავლეს, გამოუმუშავდეს სამყაროზე „ცოცხალი“ დაკვირვების უნარი და ბუნების მშვენიერების აღქმა; ასევე, სიბრალული აღეძრას ბუნების ყოველი ქმნილების მიმართ და შეიყვაროს ისინი, გულმოწყალე ადამიანად ჩამოყალიბდეს.

ამ მიზნების მიღწევა ტექსტის მართებული წაკითხვით უნდა დავიწყოთ. სწავლების პროცესში გააზრებულად და ზომიერად უნდა გამოვიყენოთ მართლაც საინტერესო და ესოდენ პოპულარული თანამედროვე სასწავლო მიდგომები: ბენჟამინ ბლუმის ტაქსონომია, გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, კოლბერგის მორალური განვითარების თეორია და სხვა.

მასწავლებლები მეთოდურ მითითებებში ხშირად აღნიშნავენ, რომ ახსნის ეტაპზე სასურველია ტექსტი ჯერ მთლიანად, შეუსვენებლად წავაკითხოთ მოსწავლეებს და შემდეგ ხელმეორედ მივუბრუნდეთ კომენტირებული კითხვის მეთოდით. აღნიშნული ხერხი ლექსის სწავლებისას უფრო ხელსაყრელია, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს მეთოდი შესაძლებელია მინიატურებსაც მივუსადაგოთ.

სასურველია მინიატურას „ია“ მე-6 კლასში 2 სასწავლო საათი დავუთმოთ. მოთხრობა აშკარად შედგება 2 სტრუქტურული მონაკვეთისგან, პირველში წარმოდგენილია საოცრად ამაღლებული სურათი ბუნების შვილთა ერთმანეთზე ზრუნვისა, ხოლო მეორე მონაკვეთში განწყობილება და მხატვრული პალიტრა სრულიად იცვლება, შიშისა და დაძაბულობის ატმოსფერო ისადგურებს, რაც დისჰარმონიით – ადამიანის სისასტიკის გამოვლინებით – სრულდება. მხატვრულ თავისებურებად მიჩნეული პოლითემატურობა ვაჟას მინიატურის ჟანრშიც კი ახასიათებს.

ბუნებრივია, გაკვეთილი ბუნებისმეტყველებასთან ინტეგრირებით წარი-მართება. საწყის ეტაპზე მასწავლებელს მოსწავლეთა ინტერესის აღძვრას გაუადვილებს საგანგებო ფოტომასალა და გარკვეული ცნობები მოთხრობის ლამაზ გმირებზე. საბედნიეროდ, ეს მასალა (ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში წარმოდგენილი ფლორისა და ფაუნის აღწერა) დაწვრილებით არის დამუშავებული ბიოლოგიის მეცნიერებათა სპეციალისტების მიერ და შეტანილია ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომათა მე-2 კრებულში.

მოთხრობის პერსონაჟთა (ბუნების შვილთა) „გაცნობის“ შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს ტროპის ერთ-ერთი სახეობის – გაპიროვნების – არსი, რადგან ვაჟას მოთხრობა „ია“, როგორც

მის ნაწარმოებთა უმრავლესობა, სწორედ ამ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხითაა აგებული.

რა დანიშნულება აქვს ვაჟას შემოქმედებაში გაპიროვნების ხერხს? გასულიერების, პერსონიფიკაციის (პროსოპოპეის) ხერხის შესახებ ემიგრანტი ქართველი მკვლევარი ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს: „თითქმის ყველა მწერალს გამოუყენებია ეს ხერხი, მაგრამ მსოფლიო მწერლობის ისტორიაში არ არის არც ერთი ისეთი მწერალი, რომელსაც იგი – პროსოპოპეა – თავის საგნად გაეხადოს. ყოველ შემთხვევაში ასეთ მწერალს არ ვიცნობ და ასეთი მწერალი კი არის ვაჟა-ფშაველა. ვაჟა-ფშაველასთან მკვდარი და ცოცხალი ბუნება – ორივე – არის სულიერი და გრძნობადი; ორივე არის განპიროვნებული და ამან საბაბი მისცა ზოგ კრიტიკოსს, ვაჟა-ფშაველა ანიმისტად ან პანთეისტად გამოეცხადებინათ, რაც არის სრული გაუგებლობა და გაუგებრობა“ (ვიქტორ ნოზაძის ციტატა მოყვანილია ნათელა ჩიტაურის წერილიდან: ჩიტაური 2011:153).

დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, ვიქტორ ნოზაძის ამ ძლიერ საყურადღებო განმარტებას ვერ გავაცნობთ, მაგრამ მასწავლებელმა უთუოდ უნდა იცოდეს, რამ გამოიწვია ვაჟას ანიმისტად მიჩნევის თეორიის არსებობა. მოსწავლეებს კი მოკლედ და ლაკონიურად განვუმარტავთ, რომ მსოფლიოში იშვიათად მოიპოვება მწერალი, რომელიც ასე ხშირად მიმართავს გაპიროვნების, ანუ უსულო საგნების გაცოცხლების, „გაადამიანების“ ხერხს.

საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს და მასალის მომზადებისას გაითვალისწინოს, რომ ტროპი ყოველთვის სიღრმისეულ კავშირშია მხატვრული ნაწარმოების ლოგიკურ შინაარსთან და ვაჟა-ფშაველას პროსოპოპეის გამორჩეულობა კი (ვიქტორ ნოზაძის აზრით) ის არის, რომ „ვაჟა-ფშაველას პროსოპოპეაში არის პლასტიციზმი, არის დინამიზმი... და ესაა ვაჟას ესთეტიკის უშესანიშნავესი მიღწევა, მგონი განუმეორებელი“(ჩიტაური 2011:154).

გაპიროვნების ხერხის განმარტების (რასაც მასწავლებელი დაფაზე დაწერს, მოსწავლეები კი რვეულში ჩაინიშნავენ) შემდეგ იწყება ტექსტის კომენტირებული კითხვა და ლექსიკაზე მუშაობა. მოთხრობის 1-ლი თემატური მონაკვეთის ხმამაღალი წაკითხვის შემდეგ დაკვირვება წარიმართება 3 მიმართულებით: ა) ავტორის ენა, ბ)

პერსონაჟთა თვისებების გამოყოფა, გ) ავტორის სათქმელის ამოცნობა. ამ ეტაპზე მასწავლებელს შეუძლია მიმართოს ჯგუფური მუშაობას და 3 ჯგუფად დაყოფილ მოსწავლეებს მისცეს შემდეგი მითითებები:

1) მონიშნული ეპიზოდიდან ამოიწერეთ გაუგებარი ან უცნაური ფორმით დაწერილი სიტყვები (1-ლი ჯგუფი)
2) დაახასიათეთ ია, დამპალი ყუნჭი (კუნძი), წიფლისჩიტა, ხეები ტექსტობრივი მასალის დამოწმებით (მე-2 ჯგუფი).
3) გაითვალისწინეთ, რომ ამ მოთხრობაში ვაჟა-ფშაველას გაპიროვნების ხერხის გამოყენებით ჩვენთვის, ადამიანებისთვის, რაღაცის თქმა უნდა, შეეცადეთ, ამოიცნოთ ავტორის ჩანაფიქრი (მე-3 ჯგუფი).

დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ (10-15წთ.) 1-ლი, ანუ ენობრივ მხარეზე ორიენტირებული ჯგუფი, ტექსტის დასაწყისიდან, სავარაუდოდ, ამოიწერს შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებს: „უღრანს ტყეში“, „გაღმიდამ“, „მინამ“, „გულხავსიანს“, „ყუნჭი“, „შემიძლიან“, „პირზედ“ და ა.შ.

გასათვალისწინებია ის, რომ ზოგიერთ ადაპტირებულ ტექსტში აღნიშნული ფორმები (მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან მიცემით ბრუნვაში, თანდებულთა ძველი ფორმები, ძველი ზმნისწინები და ა.შ.) თანამედროვე სალიტერატურო ნორმების მიხედვით არის გასწორებული. „მერიდიანის“ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში (მე-4 კლასი, გვ. 96) წერია: „უღრან ტყეში“(შდრ. ვაჟასთან „უღრანს ტყეში“), „სანამ“ (შდრ. „მინამ“), „გაღმიდან“ (შდრ. „გაღმიდამ“) და ა.შ.

ეს შესწორებები გამართლებულია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობა ავტორებს მე-4 კლასის პროგრამაში შეუტანიათ, ხოლო ამ ასაკში მოსწავლეებმა არც თანდებული იციან და არც მსაზღვრელ-საზღვრულთა ბრუნების წესები. სახელმძღვანელოს ავტორებს ასევე შეუცვლიათ (ჩვენი აზრით, სრულიად უმართებულოდ) ვაჟას შესიტყვება „გულხავსიანს კლდესა“ „ბალახოვანი კლდით“. მე-4 კლასელ ბავშვს სრულიად არ გაუჭირდება „ხავსისა“ და „გულხავსიანის“ მნიშვნელობის გაგება და იმასაც მიხვდება, რომ ვაჟასეული ეპითეტი გაცილებით მეტი ექსპრესიულობით გამოირჩევა („გულხავსიანობა“ დაკავშირებულია სევდასთან,

გულდარდიანობასთან), ვიდრე ნეიტრალური ემოციური ველის მქონე სიტყვა „ბალახოვანი“.

ამრიგად, ამოწერილი სიტყვების ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე განმარტების შემდეგ მეორე ჯგუფი იწყებს დავალების პასუხების წარმოდგენას – პერსონაჟთა დახასიათებას სათანადო ტექსტობრივი მასალის დამოწმებით. დასკვნები ასეთია:

ია ლამაზი და კეთილია, უნდა, რომ თავისი მშვენიერებით მთელი სამყარო დაატკბოს და სამადლობელი სიმღერა უმღეროს;

დამპალი „ყუნჭი“ საბრალოა, უშნო, მაგრამ კეთილი (უყვარს ია, მისი კოცნა უნდა, შორიდან უღიმის);

წიფლისჩიტა ლამაზი და თავმომწონეა (გულზე და მხრებზე იხედება, საკუთარი სილამაზით ტკბება);

ხეები მზუნველები არიან (იას ტოტებს აფარებენ, ნამის „დამცვრევით“ პირს ბანენ).

ამ თვისებებს ბავშვები დაფაზე წერენ მათთვის საინტერესო ნებისმიერი ფორმით (ასოციაციური რუკა, კორნელის გრაფა და ა.შ.), სხვები კი რვეულში ჩაინიშნავენ.

ამრიგად, პირველი და მეორე ჯგუფების მუშაობის შეჯამებით (10-15 წთ) მოსწავლეები იაზრებენ ტექსტს (სიტყვებს, ვაჟას ფრაზებს), ამოიცნობენ პერსონაჟთა თვისებებს. საბოლოო სასწავლო მიზნის მიღწევა მესამე ჯგუფმა უნდა განახორციელოს შემდეგნაირი დასკვნებით:

ვაჟა-ფშაველა გვასწავლის, რომ ბუნებაში წესრიგი და სიყვარულია დამყარებული. ყველა ერთმანეთზე ზრუნავს, უშნოს, მაგრამ კეთილ არსებას, დიდი სიყვარული შეუძლია. ასეთი ურთიერთგაგება და თავგანწირული ზრუნვა („თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ“) ძალიან ლამაზი, ბედნიერებით სავსე ცხოვრების მომტანია. მასწავლებლის მიმანიშნებელი შეკითხვებით ბავშვები იმ დასკვნამდეც მიდიან, რომ ამ არსებებში ვაჟა გულისხმობს სხვადასხვანაირ ადამიანს:

ნაზსა და ლამაზს (ია, წიფლისჩიტა), უშნოს, მაგრამ გულკეთილს (ყუნჭი),

თავგანწირულს (ხეები), მადლიერს (ია),

სევდიანს (გულხავსიანი კლდე).

ვაჟა-ფშაველას სურვილია, ადამიანთა საზოგადოებაშიც ასეთივე ურთიერთობები და სიყვარული დამკვიდრდეს.

გაკვეთილი ამით დამთავრდება, ხოლო მოთხრობის მეორე ნაწილს ბავშვები გაიაზრებენ შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. გადმოეცით, რა საფრთხე მოელის ბუნების ამ ულამაზეს არსებებს.

2. გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება იმის მიმართ, ვინც არღვევს ამ ჰარმონიას.

3. რა დასკვნა გამოიტანეთ ვაჟას მოთხრობის შესწავლის შემდეგ?

გარდა ამისა, მასწავლებელი ბავშვებს მიაწვდის მეორე მონაკვეთის ლექსიკური ერთეულების განმარტებებს. აქაც გვხვდება რამდენიმე დიალექტიზმი და არქაიზმი („დაღალული“, „მემრე“, „ჩემამდის“ და ერთი ხატოვანი გამოთქმაც – „ყელამდე სიხარულით მოიყარნენ“).

ძლიერ მნიშვნელოვანია, სწავლება ემსახურებოდეს ესთეტიკურ მიზნებს. მასწავლებელმა საგანგებო დავალებებით (წარმოსახვა, ილუსტრაციის შექმნა, მუსიკალური ფონის შერჩევა) უნდა წარმართოს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა, წაახალისოს მათი ფანტაზია. ამასთანავე, წინასწარვე უნდა ითქვას, რომ პეიზაჟის გარდა, ესთეტიკური დანიშნულება აქვს თვით სიტყვებს: „გუგულისკაბა“, „სასუტელა“, „წიფლისჩიტა“, „ღაბუა“. ეს სამყარო მახლობელი და საყვარელია ბავშვისათვის.

მომდევნო, მე-2 გაკვეთილი, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების განხილვასთან ერთად, ასევე დაეთმობა მოთხრობის დაკავშირებას წინარე შესწავლილ მასალასთან (მათ, სავარაუდოდ, უკვე ნასწავლი აქვთ „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რეზო ინანიშვილის „მუხა“, ნოდარ დუმბაძის „ხაზარულა“) და ნაწარმოების ბოლოს წარმოდგენილი ლექსის წაკითხვას, რომელიც გარკვეულწილად შეამზადებს მათ ლექსის – „იას უთხარით ტურფასა“ – აღსაქმელად მომდევნო კლასებში. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს იის ფრაზა: „ჩემი ერთის თვის სოცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს სჯობია“. იგი ბავშვებს დააფიქრებს იმაზე, რომ სიცოცხლის ფასეულობა ხანგრძლივობით კი არ განისაზღვრება, არამედ იმით, რამდენად უცოდველად და წმინდად გაატარა იგი ადამიანმა.

ამრიგად, მოქალაქეობრივი ცნობიერების ასპექტები ვაჟა-ფშაველას ბუნებისადმი მიძღვნილ მოთხრობებში ბუნების შვილთა ურთიერთობის ფონზეა წარმოდგენილი. მხატვრული ჩანაფიქრის მიღმა ამოიცნობა ავტორის ღრმად ზნეობრივი მოქალაქეობრივი სათქმელი, რომელიც ზოგჯერ პირდაპირ არის მოცემული, მაგალითად: „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“ („კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“), ზოგჯერ კი – შეფარვითა და შენიღბულად.

დასკვნის სახით წარმოვადგენთ სიკეთისა და მადლიერების ვაჟასეული გაგების შესანიშნავ განმარტებას, რომელიც ეკუთვნის ფილოლოგ გელა ხარშილაძეს:

„ვაჟას თხზულებათა კითხვის დროს თითქოს ვიღაცა უხილავი ეფერება შენს არსებას და ამით ცდილობს, დაგიამოს ტკივილი, განგაცდევინოს სიხარული და გითხრას, რომ ადამიანი სიხარულისთვისაა შექმნილი და არა ტანჯვისათვის. და თუ მაინც იტანჯება, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, როგორც პატარა ყვავილი ია ამბობს ვაჟას ამავე სახელწოდების მოთხრობაში: „რასაც კი დაინახავს, უნდა, რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს...“ სწორედ შინაგანი დისჰარმონიისაგანაა თავისუფალი ია, ამიტომაცაა ნაზიარევი ბუნების მადლს - სიხარული განაცდევინოს გარშემო მყოფთ და თავადაც მათგან გამონაშუქ სინათლეში იცხოვროს“ (ხარშილაძე 2002:13).

4.4 პიროვნების მოვალეობა და პასუხისმგებლობა ვაჟა-ფშაველას ლექსში „კაი ყმა“ (სწავლების საბაზო საფეხური – IX კლასი)

აღზრდა, ფართო გაგებით, პიროვნების ფორმირების პროცესია.

ვინ არის პიროვნება? ამ ცნების უამრავი დეფინიციის მიუხედავად, მისი ნამდვილი არსის ამომწურავად ახსნა უაღრესად რთულია. სწავლების მეორე საფეხურზე, 13-14 წლის ასაკში, მოზარდები ამ ურთულეს ფენომენს ყველაზე უკეთ გაიაზრებენ ლიტერატურული მაგალითებით, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ლექსების – „კაი ყმისა“ და „ჩემი ვედრების“ – სწავლებით.

„ჩემი ვედრება“ პიროვნების სულიერ სამყაროს, მის შინაგან მოტივაციას ასახავს (იხ. დისერტაციის I თავი), „კაი ყმა“ კი ამ მოტივაციის რეალიზაციას, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვლინებას გვიჩვენებს. მოქალაქეობრივი

ცნობიერების ფორმირების ამ ეტაპზე ვაჟას „კაი ყმის“ დანიშნულება უაღრესად მნიშვნელოვანია.

თანამედროვე სკოლაში „კაი ყმა“ მე-9 კლასში ისწავლება. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი პედაგოგი ვაჟას ზემოთ დასახელებულ ორივე ლექსს სწავლების უფრო მაღალ საფეხურს (X-XI კლასებს) მიაკუთვნებს: „კაი ყმა“ არ უნდა ისწავლებოდეს მე-9 კლასში. ამ ნაწარმოების სრულყოფილი გაგება შესაძლებელია მხოლოდ პოემების მეშვეობით“ (მაია გვიანიშვილი, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა). სხვა მასწავლებელი წერს: „ჩემი ვედრება“ და „რამ შემქმნა ადამიანად“ XI კლასში უფრო გასაგები იქნება (ირმა აბულაძე, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა). მასწავლებელთა შენიშვნები გარკვეულწილად მისაღებია, ლექსის „კაი ყმა“ რეცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის შემდეგ უფრო გაუადვილდებათ მოსწავლეებს (რუსთაველის პოემა კი მე-10 კლასში ისწავლება). ვაჟას ლექსი სათაურითვე ამჟღავნებს უმჭიდროეს კავშირს არა მხოლოდ ხალხურ შემოქმედებასთან, არამედ რუსთაველის პოემასთანაც. ხოლო ლექსის ფინალი აშკარად ეხმიანება ილიას „კაცია-ადამიანს?!“, რომელიც მე-11 კლასში ისწავლება.

თუმცა, ჩვენი აზრით, ამ ორივე ლექსის („ჩემი ვედრება“ და „კაი ყმა“) სწავლება IX კლასში სამი უმთავრესი მიზეზითაა გამართლებული:

1) ლექსები ერთგვარ შემამზადებელ საფეხურებს წარმოადგენს ვაჟას პოემების გასააზრებად;

2) მოსწავლეთა მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი, ცხრა კლასის განათლებით კმაყოფილდება და მომდევნო საფეხურზე სწავლას აღარ აგრძელებს; ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი არ უნდა დარჩნენ ამ ცოდნის გარეშე.

3) პიროვნების ცნების დეფინიციის მიზნით – როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, ამ ასაკში უკვე იწყება ფიქრი ადამიანის დანიშნულებისა და მოვალეობის საკითხებზე. ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტი, მაია ინასარიძე აღნიშნავს: „საბაზო საფეხურზე მიდრეკილნი არიან ფილოსოფიური აზროვნებისკენ, „კაი ყმა“ მოამზადებს ბავშვებს არა მარტო ვაჟას ღრმად შესწავლისათვის, არამედ მე-10 კლასში „ვეფხისტყაოსნის“ გააზრებისთვის“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-9 კლასში ავთანდილის ანდერძი, „კაი ყმა“ და „ჩემი ვედრება“ კონცეპტუალური ნაწარმოებებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ექსპერტთა მოსაზრებები ვაჟას „კაი ყმის“სწავლებასთან დაკავშირებით. მაია ინასარიძე აღნიშნავს: „ვაჟამ რამდენიმე ნაკადი გამოიყენა კაი ყმის სახის გასააზრებლად, რათა ზედროული მოდელი შეექმნა, ვაჟა ყველანაირ ჩარჩოსაც გასცდა: ფოლკლორულს, ეთნოგრაფიულს, მითოსურს. გორის საოსტატო სემინარიაში იგი ძალიან გაიტაცა ჰეგელის ფილოსოფიამ. ჰეგელს რაინდობის არსი ქრისტიანობის კონტექსტში აქვს გააზრებული“. ექსპერტის აზრით, ვაჟას ამ ლექსში ჰეგელის მოძღვრების გამოძახილიც ისახება.

ავთანდილ არაბული პრაქტიკულ რჩევებს გვთავაზობს ლექსის სწავლების კუთხით: „კაი ყმისთვის ალბათ 2 საათზე მეტია საჭირო, რადგან ეს არის ძალიან განმაზოგადებელი ლექსი. მე ვაჟას „არწივიც“ აქ შემომქონდა და ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიღვნილი ვაჟას ლექსიც – გაუტეხელი ალექსანდრე ყაზბეგი მტერს არ შეეპუა და ხმალამოღებული შევიდა თამარის წინაშე“.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გაკვეთილის სცენარებში სასწავლო დროის განაწილება პირობითია და, ბუნებრივია, მასწავლებელი თავად მოახდენს დროის ორგანიზებასა და გეგმის მოდიფიცირებას, ვინაიდან თანამედროვე სასწავლო გეგმა მასწავლებელს მიანდობს დროის განაწილების საკითხს.

ზოგადად, „კაი ყმას“ მე-9 კლასში 2 სასწავლო საათი ეთმობა, შესაძლოა მე-3 საათიც დავუმატოთ შემაჯამებელი და ინტერტექსტუალური საკითხების გააზრების მიზნით. იგი, ვაჟას ლექსთა უმრავლესობის მსგავსად, ასტროფულია, ტრადიციულ სტროფებად დაუნაწევრებელი (სტროფები ემთხვევა ლექსის თემატურ ნაწილებს).

მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სერიის „ქართველი მწერლები სკოლაში“ ავტორი, პედაგოგი და მკვლევარი ლალი დათაშვილი, მიიჩნევს, რომ „კაი ყმაში“ შესაძლოა პირობითად ექვსი თემატური ნაწილი გამოვყოთ:

„1.ფიქრი კაი ყმაზე; 2. ომის სურათი; 3. კაი ყმის თვისებები; 4. კაი ყმის სიკვდილი; 5. კაი ყმის სულეთში მისვლა; 6. გადაგვარებული შთამომავლები“ (ვაჟა-ფშაველა I, 2002:112).

ზოგიერთი ექსპერტი არ ეთანხმება ავტორისეული ტექსტის დანაწევრებას. წამყვანი პედაგოგი ირინა ნაცვლიშვილი მიიჩნევს: „ტექსტის დანაწევრებას არ ვემხრობი...ვაჟამ ასე დაწერა, იყოს ასე“. მასწავლებლის აზრით, მოსწავლემ თავად უნდა გამოყო ტექსტში თემატური მონაკვეთები.

ზოგადად, სწავლების პროცესი ითხოვს ტექსტის დანაწევრებას, შესასწავლი ტექსტის ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა მიმართულებით გააზრებას. საბოლოო ეტაპზე მოხდება ცოდნის გამთლიანება, სინთეზი. ამიტომ სახელმძღვანელოში ამ ფორმით (სტროფებად დანაწილებული) ლექსის დაბეჭდვა გარკვეულწილად გამართლებულია.

ტექსტის ახსნის ეტაპზე, პირველ გაკვეთილზე, სასურველია ლექსის აუდიო ან ვიდეოვერსიის მოსმენა საკლასო გარემოში. განსაკუთრებით გამორჩეულია საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ გადაცემათა ციკლის – „ლექსით ქებათა-ქება“ – ვიდეოვერსიები, რომლებშიც მაღალპროფესიონალურ დეკლამაციას გასდევს უაღრესად საინტერესო ასოცაციური ფონი, მაღალმხატვრული კადრები. ეს აქტივობა ტექსტის მთლიანობაში წაკითხვის ფუნქციასაც შეასრულებს,

ლექსის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს განვუმარტავთ სათაურს. მათ უკვე ნასწავლი აქვთ გარკვეული ეპიზოდები რუსთაველის პოემიდან – ტარიელის ლაშქრობა ხატაეთში, ავთანდილის შერკინება მეკობრეებთან, ტარიელისა და ფრიდონის შებრძოლება მოქიშპეებთან, ქაჯეთის ციხის აღება. შევახსენებთ მოსწავლეებს, რომ შოთა რუსთაველი თავის გმირ ვაჟებს „ყმებს“, „მოყმეებს“ უწოდებს, მასთან ვხვდებით (ოდნავი სახეცვლილებით) ვაჟასეულ შესიტყვებასაც: „კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენ თანა ხლებასა“, – ამბობენ როსტევანი და ავთანდილი ნადირობის წინ. (რუსთაველი 1992, სტროფი 70). ასევე მოსწავლეებს ვაწვდით მოკლე განმარტებას ეპიგრაფის შესახებ („ხევსურულ ჰაგნზე“) – კაი ყმა ხევსურული პოეზიის კუთვნილებაა, უმცროს კლასებში მათ ნასწავლი აქვთ ხალხური ლექსები კაი ყმაზე.

სათაურისა და ეპიგრაფის განმარტების შემდეგ მოსწავლეები სათანადო ლექსიკონის მოშველიებით (რომელიც სახელმძღვანელოშივეა წარმოდგენილი), დამოუკიდებლად კითხულობენ პირველ სამ სტროფს და თითოეულს ასათაურებენ

(მუშაობენ წყვილებში) მათი შინაარსის, მთავარი სათქმელის შესაბამისად (10 წთ). ამრიგად, ვიყენებთ დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდს.

სავარაუდოდ, მოსწავლეები გამოყოფენ ზემოთ დასახელებულ სამ მონაკვეთს, ბუნებრივია, სახეცვლილებით, მაგრამ დაახლოებით მსგავსს: 1. ფიქრი კაი ყმაზე; 2. ომის სურათი; 3. კაი ყმის თვისებები (ან: კაი ყმის ქცევა ომისა და მშვიდობის დროს).

ტექსტის ანალიზის ეტაპზე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გამოყოფენ თოთოეული მონაკვეთის ფუნქციურ დანიშნულებას: პირველი მონაკვეთი საკითხის დასმაა; მეორეში გმირის „რეალიზების“ გარემოა აღწერილი (კაი ყმა ომში გამოიცნობა); მესამე მონაკვეთში წარმოდგენილია მისი ქცევა მშვიდობის დროს („სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძალავდეს“). ვაჟას უმთავრესი სათქმელი ამ მონაკვეთშია მოცემული. ლექსის სწავლების მიზანი კაი ყმის თვისებების აღნუსხვას, მისი ზედროული, მარადიული ფენომენის წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. ვაჟას კაი ყმა არ არის მხოლოდ შორეული ისტორიული გმირი, საუკუნეების სიღრმიდან გამომზირალი, სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს მისი დაახლოებით ცხოვრებასთან, თანამედროვეობასთან. ინდუქციის მეთოდით, კაი ყმის თვისებების განზოგადებით, მოსწავლეები ითავისებენ ზნეობრიობისა და პიროვნულობის შინაარსს. აქედან გამომდინარე, კაი ყმის თვისებები მოქალაქეობრივი ცნობიერების ზნეობრივ საყრდენს წარმოადგენს: „კაი ყმა ნამდვილად არის მოქალაქე. ის თავგანწირულია თემის ყველა მოთხოვნის შესასრულებლად“(ავთანდილ არაბული).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სახელმძღვანელოში („სწავლანი“ IX კლასი) ვაჟას ლექსის სწავლების კონცეფცია ზემოაღნიშნულ მიზანს ეყრდნობა, რასაც მოწმობს როგორც სახელმძღვანელოს შეკითხვები („გამოადგება თუ არა ეს ლექსი სულიერ საზრდოდ დღევანდელ ადამიანს?“), ისე წერითი სამუშაოს თემაც: „ვის შეიძლება ეწოდოს კაი ყმა დღეს?“

წინამდებარე კვლევის მიზანი ლექსის მოქალაქეობრივი ცნობიერების კუთხით სწავლებას გულისხმობს, მაგრამ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სხვა მიმართულებებზეც, ზოგადად ლექსის სწავლების საკითხებზე, ენობრივ და

მხატვრული თავისებურებებზე, ვინაიდან ამ საკითხების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ვაჟას „კაი ყმის“ მოქალაქეობრივი კონტექსტის სათანადო რეცეფცია.

ამრიგად, სალექსო მონაკვეთების ფუნქციური დანიშნულების გამოკვეთის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დაავალებს, დაახასიათონ თითოეული სტროფის ემოციური მუხტი და მხატვრული პალიტრა: როგორ, რომელი გრამატიკული და მხატვრული საშუალებებით მოაქვს ავტორს სათქმელი მკითხველამდე?

მოსწავლეები წყვილებში აანალიზებენ ლექსის მონაკვეთებს: ომის სურათსა და მებრძოლი კაი ყმის მხატვრულ პორტრეტს (10 წთ). ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, მოსწავლეები ტექსტს ჩაუღრმავდნენ და მოტივაცია აუმაღლდეთ.

პირველი გაკვეთილის დარჩენილი ნაწილი მოსწავლეების პრეზენტაციებს, მათ მიერ წარმოდგენილი დავალებების განხილვას დაეთმობა. მოსწავლეთა პასუხებში უთუოდ იქნება საინტერესო შენიშვნები, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელი (საკუთარი ჩანართებით, მიმანიშნებელი შეკითხვებით) მათს ყურადღებას გაამახვილებინებს იმაზე, რომ ბრძოლის ვაჟასეული ეპიზოდი ძლიერ დინამიკურია, კინემატოგრაფული სიცხადით, მოძრავი კადრებითაა მოწოდებული. ეს მიიღწევა აღწერით, უსრული ასპექტის ზმნებით: „ღელავდეს, ელავდეს, სწველავდეს, სთელავდეს, სწვერავდეს, ჰფერავდეს, დაგელაობდეს, ჰკერავდეს“ და თვით ამ ზმნების სემანტიკით. ეპიზოდი იმდენად მძაფრია, თითქოს ხმებიც კი ისმის: რკინის წკრიალი, მეომრების ყიჟინა, ფარების ჟღრიალი. ბოლოს კი საოცარი ხატი, სიკვდილის პერსონიფიკაციაა მოცემული: „დაგელაობდეს სიკვდილი, სუდარაებსა ჰკერავდეს“. მეცხრეკლასელ ბავშვებს უკვე შეიძლება ისიც ვუთხრათ, რომ სიკვდილის ხატი ასევე შთამბეჭდავად გააცოცხლა ვაჟას მიერ „დიდ პაპად“ წოდებულმა პოეტმა – დავით გურამიშვილმა: „ის მჭლე კაცი ცელს რად იქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?“ გურამიშვილთან სიკვდილი მჭლე კაცია, რომელიც სოცოცხლეს ცელავს, ვაჟასთან კი ის ბრძოლის ველზე ქარიშხალივით „დაგელაობს“ და სასიკვდილო სუდარებს „ჰკერავს“. მოშუღართა მუქარით აღსავსე მზერას ვაჟა უძლიერესი მეტაფორით გადმოგვცემს: „თვალები თვალებს სწველავდეს“. აგრესიული ემოციური შეფერილობით გამოირჩევა ლექსიკური ერთეულებიც:

„ჯღრდე“ (გროვა-„ფარების დადგეს ჯღრდეები“), „ხანჯრები“, „ჭიაფერი“ (წითელი), „სუდარაები“. მასწავლებელს არ უნდა გამორჩეს პოეტური ლიცენციები: „წვიმაი“, „სუდარაები“. მხატვრული პარალელის მიზნით მოსწავლეებს მოვაგონებთ ტარიელის ხატაელებთან შერკინების ან ფრიდონის მიერ მტერთან შებრძოლების ჰეროიკულ ეპიზოდებს. პლასტიციზმითა და ექსპრესიითაც ვაჟას პასაჟი აშკარად ამჟღავნებს მსგავსებას რუსთაველის პოემის ეპიზოდებთან.

მაშასადამე, პირველ გაკვეთილზე ბავშვები კითხულობენ და მრავალმხრივი (მხატვრული, ლექსიკური, გრამატიკული, შემოქმედებითი კავშირების დამდგენი) მიმართულებით აანალიზებენ ლექსის ნახევარს (3 სტროფს). ბოლოს კი ისინი ინდუქციის გზით, ტექსტის მონაკვეთებიდან „ამოდიან“და ჩამოწერენ კაი ყმის თვისებებს:

„ვინც მიეგებოს მტრს წინა“– თავდაუზოგავი მებრძოლი;

„სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს“ – ბრძენი მრჩეველი;

„სხვისა იუბნოს სახელ, თავის გარჯასა მალავდეს“– თავმდაბალი;

„მიძღვნილსა საუფროსოსა ამხანაგებსვე სწირავდეს“ – უანგარო;

„იქ იდგეს ხმალამოწვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს“– ძალმომრეობის მტერი.

საშინაო დავალებად მივცემთ ზემოთ წარმოდგენილ წერით სამუშაოს – „ვის შეიძლება ეწოდოს „კაი ყმა“ დღეს?“.

მეორე გაკვეთილის უმთავრესი მიზანი კაი ყმის ზედროული ფენომენის გამოკვეთაა, რაც სრული ტექსტის შესწავლისა და მოსწავლეების დავალებების ანალიზის შემდეგ ხდება შესაძლებელი. გაკვეთილი დაიწყება ე.წ. „გონებრივი იერიშის“ მეთოდით, ჩამონათვალით – ვინ არის თანამედროვე კაი ყმა?

საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვები, როგორც წესი, ასახელებენ: გიორგი ანწუხელიძეს, შინდისის გმირებს, მამა ილია კარტოზიას (რომელიც 2014 წელს დაიღუპა იტალიაში: გემის ჩაძირვისას მან საკუთარი მაშველი რგოლი იტალიელ გოგონას დაუთმო); ასევე აფხაზეთის ომის გმირებს: ირაკლი ამირეჯიბს, ლევან აბაშიძეს, ლევან ცისკარიშვილს, ჟიული შარტავას, მამა ანდრია ყურაშვილს, გიორგი ანუას;ავღანეთში მებრძოლ ქართველებს.

ზოგჯერ ასახელებენ არა ბრძოლაში, არამედ სხვა ასპარეზზე გამორჩეულ ვაჟკაცებს: მსახიობებს, სპორტსმენებს, მოჭიდავეებს, მორაგბეებს. ჩვენი აზრით, ამ ჩამონათვალში ისინი არ უნდა შევზღუდოთ. მართალია, ვაჟა კაი ყმას ომში ეძებდა, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „შრომისა და ოფლისღვრის ომში“, კაი ყმა სხვა ასპარეზზეც გამოიცდება. მეტიც, ამ ლექსში ზოგადადამიანური თვისებებია მოცემული, რომლებიც მიესადაგება როგორც მამაკაცს, ასევე ქალსაც. ამ მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ კაი ყმის ქცევაზე მშვიდობის დროს, ვთხოვთ ბავშვებს, ამ თვალსაზრისითაც დაუკავშირონ ლექსი თანამედროვეობას.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილ გმირთა მაგალითებით მოსწავლეები აცნობიერებენ ადამიანის მოვალეობებს, უვითარდებათ განყენებული აზროვნების უნარი და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ემოციური ინტელექტი, უყალიბდებათ სიკეთის კეთების განწყობა. ეს მზაობა, როგორც ხელსაყრელი ფონი, ბავშვებს უადვილებს ვაჟას სრული ტექსტის ამომწურავ შეთვისებას, რეცეფციას.

აქვე ხაზგასმით უნდა გამოვკვეთოთ მოქალაქეობრივი ცნობიერების უმთავრესი მახასიათებელი – ბოროტთან შეწინააღმდეგების მოტივი, რაც უაღრესად ხელშესახებად იკვეთება ვაჟას ამ ლექსში. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რატომ ეძებს ვაჟა კაი ყმას ომში, ვის ან რას ებძვის იგი ამ ომში. ლექსში პირდაპირ და ქვეტექსტშიც იკითხება, რომ კაი ყმა სამშობლოს მტერს, ძალმომრეობას, ჩაგრულთა შემმუსვრელს ებრძვის. ამ ეტაპზე განზოგადების ნიშნით კვლავ ვუკავშირებთ ამ ეპიზოდს დღევანდელობას: უზნეობა და ძალმომრეობა ჩვენს ეპოქაშიც არსებობს, აქტიური მოქალაქე არ უნდა შეეგუოს მას და ისეთივე თავგანწირვით იბრძოდეს.

მეორე გაკვეთილზე მასწავლებელი იყენებს თანამშრომლობითი სწავლებისა და ჯგუფური მუშაობის ფორმებს. ლექსის მეორე ნაწილის შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ შემდეგი საკითხები: კაი ყმის შინაგანი ძლიერება, მისი „სულეთში“ შესვლის სურათი და კაი ყმის ანტიპოდის სახე. მოსწავლეები კითხულობენ ლექსს დამოუკიდებლად და აანალიზებენ სამ საკითხს (ჯგუფურად ან ერთობლივად):

1. რომელი მხატვრული საშუალებებით გამოხატავს ვაჟა-ფშაველა კაი ყმის შინაგან სიძლიერეს?
2. როგორ აღწერს ავტორი კაი ყმის სულეთში შესვლის სურათს (რომელ სახეებსა და დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას)?
3. აღწერეთ კაი ყმის ანტიპოდის თვისებები, შეაპირისპირეთ ისინი (ისაუბრეთ ავტორის ტონსა და პათოსზე).

1-ლი დავალების პასუხად ასკვნიან, რომ ვაჟა აღწერს ღრმა ფსიქოლოგიურ მომენტს, როცა მაღალეთიკური მიზნისკენ სწრაფვა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანს სირთულეს უმარტივებს, დაბრკოლებებს სიხარულით გადაატანინებს. მათ მოჰყავთ მაგალითი ტექსტიდან:

„წყლული სცნას დედის კოცნადა,
საკაცე - თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი - ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონის სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა - ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი“.

მომდევნო კლასებში, ვაჟას პოემების შესწავლისას, ისინი გაეცნობიან მუცალს, ზვიადაურს, ჯოყოლას, ასევე კვირიას, რომელსაც „ნისლები“ საბნად ეხვევა და ცივი მიწა აქვს ლოგინად.

მეორე მითითების მიხედვით, კაი ყმის სულეთში შესვლის სურათის აღწერისას (რომელიც, ომის კადრების მსგავსად, შთამბეჭდავია) მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ კაი ყმა ძლევით, წმინდა გიორგის რაინდის მსგავსად შედის სულეთში – ცხენზე ამხედრებული, ხელხმლიანი, მოყაშყაშე არწივის წინამძღოლობით.

მასწავლებელი მათ გაახსენებს ფრაზას ხალხური ლექსიდან: „მგელი, არწივი, კაი ყმა არცერთ არ გაიწურთნების“. ისინი ასკვნიან, რომ სწორედ არწივი შეუძღვება რაინდს სულეთში.

მეფე ერეკლესა და თამარის მიგებების ეპიზოდში აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება თბილ, ახლობლურ ატმოსფეროზე, რომლის შექმნასაც

ვაჟა თხრობის ტემპის შენელებით, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სურათის ხატვით ახერხებს, თან ისე, რომ დიდებული მეფეების სახელებს არ აუბრალოებს: „ერეკლემ ხელი მაჰხვიოს, დაისვას თავის გვერდითა,/გამაეგებოს თამარი, მცინარი, თავის ფეხითა“.

კაი ყმის სააქაო და საიქიო ცხოვრების კონტექსტში მასწავლებელი მათ ასევე შეახსენებს ქართული დალოცვის ფორმულას: „იხარე ორსავ სოფელსა შინა“, რომელიც კაი ყმის მაგალითით თვალსაჩინოვდება. ბავშვებს არ გაუჭირდებათ ამ ფრაზის ლექსის სათქმელთან მისადაგება.

ამრიგად, კაი ყმის სულიერ ძლიერებასა და სულეთში შესვლის ეპიზოდების აღქმა-გააზრებას ბავშვები ჯერ დამოუკიდებელი დაკვირვებით იწყებენ, შემდეგ კი, მასწავლებლის დახმარებით, ე.წ. სოკრატული შეკითხვების მეთოდით აკეთებენ დასკვნას.

საგანგებო ანალიზს ითხოვს ლექსის ფინალი. მოსწავლეები ადვილად ამოიცნობენ ხოლმე „სადიაცე“ ყმის თვისებებს: ლაჩრობა, მცონარობა, უსაქმურობა, შური, მუცელღმერთობა, უმიზნო ცხოვრება. ანტიპოდის თვისებებს კაი ყმის მახასიათებლებს მივუწერთ გვერდით და მოსწავლეები კონტრასტის მხატვრული ხერხით უკეთ გაიაზრებენ საკითხს.

ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძესთან მსგავსება იმდენად თვალსაჩინოა, რომ მოსწავლეებს აუცილებლად გაახსენდებათ, თუკი „კაცია-ადამიანის?!“ გარკვეული ეპიზოდი მაინც აქვთ ნასწავლი. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ ლექსის ინტონაციის ცვლილების მიზეზი და დანიშნულება – ავტორი უშუალოდ მიმართავს მკითხველს, მისი ტონი აგრესიული ხდება: „აი, ვინაა კაი ყმა, მოსაგონარი ქებითა, არა თქვენ, სადიაცენო, რო ძროხებივით სძღებითა“. ბავშვებს არ უჭირთ იმის მიხვედრა, რომ გადაგვარებული შთამომავლები, როგორც წესი, სჭარბობენ კაი ყმებს.

დასასრულ, შევაჯამოთ ვაჟას ლექსის რეცეფცია მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების კუთხით:

კაი ყმა ძლიერი მოქალაქეა. სათანადო აქცენტებითა და დავალებებით მოსწავლეებმა უნდა შეითვისონ ლექსის საოცრად ძლიერი ჰეროიკული მუხტი, უაღრესად მაღალეთიკური და, ამასთანავე, ორიგინალური ესთეტიზმით

მოწოდებული ვაჟასეული სათქმელი. ამ მხრივ მასწავლებლის დავალებები მიემართება შემდეგ ეპიზოდებს: ომის კადრები, დაბრკოლებების იოლად გადალახვის განწყობა, კაი ყმის სულეთში შესვლა. ლექსის ემოციური მიზანდასახულობა მოქალაქეობრივი განწყობის ფორმირების საწინდარია.

დავალებების მომდევნო ტიპი მიემართება კაი ყმის თვისებების გამოყოფას და განზოგადებას, ლექსის სათქმელის მისადაგებას მარად აქტუალურ თემებთან (სამშობლოს დაცვა, ბოროტებასთან შეწინააღმდეგება, უსამართლობასთან ბრძოლა). ეს აქცენტები წინა დავალებებით აღძრულ ემოციურ შთაბეჭდილებებს გაცნობიერების ფაზაში გადაიყვანს და ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას შეეწევა.

კაი ყმის ანტიპოდის თვისებების განზოგადება, ვაჟას ტონი და პათოსი უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ შეამზადოს მოქალაქეობრივი პრინციპებით აღჭურვილი პოროვნება ცხოვრებისეულ სირთულეებთან გასამკლავებლად, რამდენადაც კაი ყმას რთულ გარემოში, შურისა და მუხანათობის ატმოსფეროში უხდება მოღვაწეობა.

თავი V

კეთილმოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება ვაჟა-ფშაველას პოემების სწავლებით საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში)

5.1 პოემების სწავლების საკითხების ზოგადი აღწერა

მოქალაქეობრივი ცნობიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეული ვაჟა-ფშაველას პოემები და პუბლიცისტური წერილები მე-11 კლასში (15-16 წლის ასაკში) ისწავლება. ჩვენი აზრით, ნაწარმოებთა პრობლემატიკა სრულად შეესაბამება ამ ასაკობრივი ჯგუფის განწყობასა და მიდრეკილებებს.

თანამედროვე სამყაროში, ინფორმაციის უსწრაფესი გავრცელებისა და იოლად ხელმისაწვდომობის გამო, ყალბად გაგებული თვითაქტუალიზაციისა და თვითგამოხატვის, ცრუთავისუფლების პროპაგანდის პირობებში, ჭეშმარიტი ზნეობრივი ორიენტირის როლი ჩვენს სინამდვილეში, ოჯახთან ერთად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მასწავლებელს ენიჭება.

ამ მიზანს ემსახურება ვაჟა-ფშაველას პოემები – „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ პოემების სათანადო რეცეფციით (გაგება-გააზრებით) ყალიბდება მოქალაქეობრივი ცნობიერების უმთავრესი მახასიათებელი – საზოგადოებრივ სიკეთეზე ორიენტირებული და, ამასთანავე, მყარი პიროვნული ავტონომიით გამორჩეული კეთილმოქალაქე.

ექსპერტთა ინტერვიუირების ეტაპზე გამოიკვეთა სწავლების პროცესში გასათვალისწინებელი ერთი სირთულე, რომელსაც საგანგებოდ უნდა გავუსვათ მიმართულება. ზოგადად, როდესაც მოქალაქეობაზე ვსაუბრობთ, იკვეთება ორი მიმართულება: ამქვეყნიური მოქალაქეობა და ზემოქალაქეობა, რომელსაც ჩვენ საგანგებო ტერმინით, კეთილმოქალაქეობით მოვიხსენიებთ. დისერტაციის პირველ თავში ყურადღება გავამახვილეთ მოქალაქეობის თეოლოგიურ საფუძვლებსა და

ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში გამოკვეთილ არსზე, „ზეცისა მემოქალაქობაზე“. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟას პოემების გმირები, განსაკუთრებით ალუდა ქეთელაური, აღაზა, ჯოყოლა, ლუხუმი სწორედ ამგვარი ცნობიერებით არიან დაჯილდოებულნი. მოვუსმინოთ ავთანდილ არაბულს: „თანამედროვე მოსწავლე და მოქალაქე უნდა აღიზარდოს მოაზროვნედ და სიმართლის შეუპოვარ დამცველად. ამისათვის ვაჟა ძალიან მნიშვნელოვანია. დანის ფხაზე გვიწევს გავლა, რომ არ დავუსახოთ ალუდა ქეთელაური, როგორც დაუმორჩილებლობის ნიმუში. თუ არ განვუსაზღვრეთ, რას არღვევს ის და რას იცავს, ქართველს წახალისება არ სჭირდება იმ მხრივ, რომ დაარღვიოს კანონი. ალბათ ეს არის ჩვენი აღზრდის სისტემის ხარვეზი, რომ ჩვენ ვერ ვზრდით კანონმორჩილ მოქალაქეებს“.

ამრიგად, „კაი ყმის“ სწავლებით გამოკვეთილი ამქვეყნიური მოქალაქეობის შემდეგ მოსწავლეები პოემების გმირების მაგალითით შეიმეცნებენ ზემოქალაქეობის მაგალითებს, გრიგოლ ფერაძისეული ინტერპრეტაციით წარმოდგენილ არსს მოქალაქეობისას.

ვაჟა-ფშაველას პოემების სწავლების მიმართულებების კვლევა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პოემის რამდენიმე კლასიკური და თანამედროვე ინტერპრეტაციის მიმოხილვა (მეცნიერთა გამოკვლევები საგრძნობ გავლენას ახდეს სასწავლო პროცესზე).
- სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სასწავლო კონცეფციისა და შეკითხვების აღწერა-ანალიზი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების კუთხით.
- პოემის სწავლების ალტერნატიული, ახალი კონცეფცია.

თითოეული საკითხის შესწავლა კონკრეტულ მიზანს ემსახურება:

1)კრიტიკოსთა ნააზრევი შევარჩიეთ ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების ნიშნით: მათგან რომელი უნდა მივაწოდოთ მოსწავლეს და რა ფორმით?

2) სახელმძღვანელოებში დასმული შეკითხვების ანალიზისას გამოვიყენეთ პრინციპი – რამდენად მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად ესადაგება ეს შეკითხვები ვაჟა-ფშაველას პოემის უმთავრესი, პრიორიტეტული ეპიზოდებისა და მხატვრული პასაჟების აქცენტირებას.

3) პოემების სწავლების ახალი კონცეფცია მაქსიმალურად ორიენტირებულია საგაკვეთილო ფორმატზე და ჩაფიქრებულია, როგორც მასწავლებლის დამხმარე მეთოდური რესურსი სასწავლო მიზნის მისაღწევად: წარვმართოთ მოსწავლეთა შემეცნებითი უნარები და ემოციური ინტელექტი ალუდა ქეთელაურის, ჯოყოლას, ზვიადაურის, აღაზას მოქალაქეობრივი ქცევის მოტივების წვდომისა და სათანადო რეცეფციისაკენ.

სასწავლო კონცეფციის დანიშნულება. წინდაწინვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სახელმძღვანელო არის ერთი – და არა ერთადერთი სასწავლო რესურსი. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვა დამხმარე რესურსი: ბეჭდური და მულტიმედიური მასალა, ბლოგი თუ სასწავლო პორტალი. თუმცა სანდო და ხარისხიანი სასწავლო რესურსის მოძიება არცთუ ისე იოლია. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება საგანგებოდ შემუშავება იმ სასწავლო ფორმატისა, რომლის საშუალებითაც უნდა მიეწოდოს მოსწავლეს სახელმძღვანელოში ესა თუ ის ნაწარმოები. ამისთვის კი მასწავლებელს ხელთ უნდა ეპყრას წინასწარ განსაზღვრული სასწავლო კონცეფცია.

რამდენადაც უმთავრესია ავტორისეული სათქმელის, ე.წ. ვაჟას ხაზის ამოცნობა და მიყოლა, იმდენად ტექსტის შესწავლისას წარმმართველია მიმართულების მიმცემი, დეტალებსა და საკვანძო საკითხებზე დამაფიქრებელი შეკითხვების დასმა.

5.1.1 პოემა „ალუდა ქეთელაურის“ მთავარი სათქმელის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები (მოსწავლეთათვის კრიტიკოსთა ნააზრევის მიწოდება)

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი უმრავლესობა მოსწავლეთათვის კრიტიკოსთა ნააზრევის ზომიერად, დოზირებულად მიწოდების მომხრეა:

„განსხვავებული აზრის გაცნობა უკეთ გააცნობიერებინებს მოსწავლეს, რომ მხატვრული ნაწარმოების გაგება-გააზრება თავად არის შემოქმედებითი პროცესი“ (მაია ტაბიძე, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა).

სხვა მასწავლებელი მიიჩნევს: „რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ მოსწავლის დამოუკიდებელი, ორიგინალური აზროვნების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ნელ-ნელა, პატარ-პატარა დოზით, ასაკის შესაფერისად, აუცილებელია კრიტიკოსთა მოსაზრების მიწოდებაც, მათ შორის, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებისაც“ (მაია გვიანიშვილი, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა).

გამოითქვა შეხედულება, რომ „სჯობს, ბავშვმა კრიტიკოსის ნააზრევის გარეშე თავად გაიაზროს. პირველ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში, ასე უკეთესი იქნება. მას შემდეგ, რაც საკუთარი მოსაზრება ჩამოუყალიბდება, ზომიერად შეიძლება მივაწოდოთ კრიტიკოსთა შეხედულებები, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოც“ (ირმა აბულაძე, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა).

ზოგიერთი მასწავლებელი კრიტიკოსთა ნააზრევის მინიმუმამდე დაყვანის მომხრეა: „ნააზრევი ზოგჯერ გაუგებარი, ზედმეტად ფილოსოფიური, არაფრის მთქმელია, ამიტომ დოზირება სჭირდება“ (თინა ზაქაიძე, ჭოპორტის სკოლა). ჩარგლის სკოლის მასწავლებლის აზრით, ვაჟას სამყაროს შესაცნობად მოსწავლეს ფშავ-ხევსურული ადათ-წესებისა და მითოსის ცოდნა უფრო დაეხმარება, ვიდრე კრიტიკოსთა ნააზრევი: „მნიშვნელოვანია, რომელი კრიტიკოსის ნააზრევს მივაწვდით, რადგან ზოგს თვითონ უჭირს ვაჟას სამყაროს სწორად გაგება... ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ჭიდილი ხშირად სწორ გზაზე გვაყენებს, თუმცა მთავარი მაინც ამ კუთხის წესების კარგად ცოდნაა“ (მანანა გოდერძაული, ჩარგლის სკოლა).

რომელ კრიტიკოსებს მიმართავენ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლებისას თანამედროვე მასწავლებლები? გამოკითხვის შედეგები ამგვარია: აკაკი ბაქრაძე, გრიგოლ კიკნაძე, რევაზ სირაძე, თამაზ ჩხენკელი, აკაკი გაწერელია, სარგის ცაიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, სიმონ ჩიქოვანი, მიხეილ ზანდუკელი. თანამედროვეთა შორის სანდოდ მიაჩნიათ თამაზ ვასაძე, გიგი ხორნაული, ლალი დათაშვილი, თამარ შარაბიძე, მაია ჯალიაშვილი. ამასთანავე, ყველაზე ხშირად ასახელებენ სამ მკვლევარს: აკაკი ბაქრაძეს, გრიგოლ კიკნაძეს, ლალი დათაშვილს.

ამრიგად, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში დაგმობილი და უარყოფილია მხოლოდ ერთი – აპრობირებული თვალსაზრისის მიწოდება მოსწავლეებისათვის. მათ მრავალმხრივი მოსაზრებები უნდა გავაცნოთ, არჩევანის საშუალება მივცეთ.

თუმცა, მეორე მხრივ, სწავლების დროს განურჩევლად ყველა ინტერპრეტაციის მიწოდება, ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელია. შესარჩევია მხოლოდ ძლიერი არგუმენტებით გამყარებული, ვაჟას შემოქმედების სიღრმისეულ ცოდნაზე აღმოცენებული მოსაზრებები. რაც მთავარია, ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ თავად ვაჟას მოქალაქეობრივ პრინციპებს.

მაშასადამე, გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობის და ასევე ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოში კრიტიკოსთა მოსაზრებები დოზირებულად უნდა შეირჩეს. სწავლების პირველ ეტაპზე, რომელიც ტექსტის შესწავლას მოიცავს, უმთავრესია მოსწავლის ხალასი მიმართება ტექსტთან. კრიტიკოსთა მოსაზრებების უფრო უხვად მიწოდება კი მიზანშეწონილია საბოლოო, შემაჯამებელ ეტაპზე, როცა მოსწავლეს უკვე გარკვეულწილად ჩამოყალიბებული, ანუ „მოხაზული“ მაინც აქვს საკუთარი თვალსაზრისი. სწორედ ამგვარად წავახალისებთ მათს თავისუფალ აზროვნებასა და შემოქმედებითობას.

ამჯერად მიმოვიხილავთ კლასიკოსი მკვლევრის, გრიგოლ კიკნაძისა და თანამედროვე მკვლევრის, მანანა ყიფიანის მოსაზრებებს ვაჟას „ალუდა ქეთელაურის“ გარშემო. პირველი უაღრესად საყურადღებო დახმარებას, ორიენტირის როლს გაუწევს მასწავლებლებს, მეორე მოსაზრება კი შესაძლოა მასწავლებელთა უმრავლესობისთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ სწავლების პროცესში გასათვალისწინებელ ასპექტებს ისიც მოიცავს.

გრიგოლ კიკნაძემ პირველმა აღნიშნა, რომ ვაჟას პოემებში „თემისა და პიროვნების“ დაპირისპირების ანალიზის დროს სიტყვა „თემი“ „საზოგადოებით“ უნდა ჩავანაცვლოთ (კიკნაძე 1957:69) და ამგვარი ჩანაცვლებით მან ვაჟას მიერ დასმული პრობლემის მასშტაბები გააფართოვა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა „არსებითად ყველა, ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი მწერლის პრობლემაა, იგი აქტუალური იყო ყოველთვის...მან [ვაჟამ-

მ.წ.} ამ პრობლემის გაშუქება ახალი შინაარსით წარმართა, მაგრამ მარტო ეს არ განსაზღვრავს ვაჟას ამგვარ ნაწარმოებთა მნიშვნელობას, ღირებულება ვაჟას თხზულებებისა სხვა სიბრტყეშიც ძევს“ (კიკნაძე 1957:68-69).

გრიგოლ კიკნაძე სიღრმისეულად მსჯელობს ადათისა და ადათობრივი სამართლის ნორმებს შორის განსხვავებაზე და დაასკვნის, რომ მოკლული მტრისთვის მკლავის მოჭრა ადათობრივი სამართლის ნორმა არ არის: „მკლავის მოჭრა-არმოჭრას ადათობრივი სამართალი კი არ განაგებს, არამედ იგი ზნეობრივ სფეროს განეკუთვნება და, მაშასადამე, ზოგიერთს შეუძლია უთუოდ ისე არ მოიქცეს, როგორც ის იქცევა“ (კიკნაძე 1957:82). აქვე მკვლევარი იხსენებს ვაჟას სხვა პოემის გმირს, ივანე კოტორაშვილს, რომელსაც წესად არა აქვს მოკლული მტრისთვის მარჯვენის მოჭრა: „მტერს რომ მოკლვიდის, იტყოდის: ვეღარა ვჯიჯგნი, მცხვენია,/მკვდარს რომ მარჯვენა მოვაჭრა, რა ჭკვაში მოსახდენია“ (ვაჟა-ფშაველა II, 1961:130). ვაჟას ზნეობრივი გმირები „არა მარტო იმას გრძნობენ, რომ სხვაგვარად მოქცევა მათ არ შეუძლიათ, არამედ იმასაც, რომ სხვანაირად არავინ არ უნდა მოიქცეს. ამას გამოხატავს ალუდა, როდესაც თემის წევრთა მოთხოვნას ცოდვა-ბრალით მონათლულ სამართალს უწოდებს და ჯოყოლა, რომელსაც სტუმრის გაცემა საუფლო წესის დარღვევად მიაჩნია“ (კიკნაძე 1957:82).

ამრიგად, ალუდას ზნეობრივი არჩევანი – მტრის უპირობო ზიზღის უარყოფა – არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვების (საზოგადოების) გაუკეთესებისკენაცაა მიმართული. პრინციპი, რომ „სხვანაირად არავინ არ უნდა მოიქცეს“ არა თემთან დაპირისპირების თვითმიზნით ნაკარნახევი ხერხია, არამედ ნამდვილი ქრისტიანული პრინციპით ნასაზრდოები ჭეშმარიტი გულშემატკივრის პოზიცია: „მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“ (იოანე 10,11).

ზემოთ წარმოდგენილ გრიგოლ კიკნაძისეულ ნააზრევში უკვე დასახულია სასწავლო პროცესში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები. „ალუდა ქეთელაურის“ სწავლებისას მოსწავლეს უნდა განემარტოს, რომ ალუდა უარყოფს არა ადათობრივ სამართალს, არა მამაპაპურ ტრადიციას, არამედ ნებაყოფლობით წესს მტრისთვის მარჯვენის მოჭრისას.

სწავლების პროცესში უნდა გამოიკვეთოს ალუდას მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების ეტაპები. ვაჟა-ფშაველა საოცარი მხატვრული დამაჯერებლობით წარმოგვიდგენს ალუდას მხატვრული სახის დინამიკას. მასწავლებლის უმთავრესი მიზანი სწორედ ამ დინამიკის მოსწავლემდე ეფექტურად მიტანა უნდა იყოს, რადგან ეს ემოციური გრადაცია უმთავრესია მოსწავლის „გულის კულტურის“ განსავითარებლად. ამ მხრივ პრიორიტეტული ეპიზოდებია პოემის მეორე თავი – შატილისაკენ მიმავალი ალუდას ფიქრები და ამ ფიქრების გაგრძელება – ალუდას სიზმარი. სწავლების პროცესში სწორედ ამ ეპიზოდებზე დაყრდნობით უნდა გამოიკვეთოს (მიზანმიმართული შეკითხვებით, მინიშნებებით, დეტალებზე მითითებით, მხატვრული პარალელების მოხმობით) ალუდას მხატვრული სახის დინამიკის პირველი ეტაპი.

კულმინაციური ეტაპი კურატის შეწირვის ეპიზოდია – ალუდა უკვე რელიგიურ ნორმას არღვევს, რადგან საკუთარი ხელით აღასრულებს მსხვერპლშეწირვას. სწორედ ამ ეპიზოდში ცხადდება ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი პრინციპი – ალუდა არ ერიდება გულით ნაგრძნობი სიმართლის „ტირაჟირებას“, სამოქალაქო სივრცეში გაცხადებას. ყველაზე ღრმად ამ ეპიზოდის მნიშვნელობას კრიტიკოსი ალექსანდრე ჭეიშვილი ჩასწვდა: „ამ ეპიზოდში ალუდა ახალ ღვინოს ძველ თხიერაკებში ასხამს“ (ჭეიშვილი 1942:107.) ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ სახარებისეულ პარალელს: „არა ვინ შთასხის ღვინოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ღვინოი დაითხიოს და თხიერნი წარწყმდენ“ (მათე 9,17; მარკოზი 2,22; ლუკა 5,37-38). ალუდა სწორედ ახალი მოძღვრების, კეთილმოქალაქეობრივი მოძღვრების მესიტყვეა. „ძველი თხიერაკები“ გაქვავებული გულებია ომებში ჩაბმული შატილელებისა. ისინი ვერ მიიღებენ ახალ მოძღვრებას.

პოემის ბოლო თავი – მშობლიურ საჯიხვეებთან გამოთხოვება – საბოლოო შტრიხია ალუდას მხატვრული სახის დინამიკისა. ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ალუდას კეთილმოქალაქეობრივი არჩევანი პასუხისმგებლობის ძლიერი გრძნობითაა ნასაზრდოები. საზოგადოებისგან მოკვეთილი ალუდა სტოიკური სიმშვიდით იღებს სასჯელს და იოტისოდენადაც არ

ბოროტდება თვისტომებზე. როგორც ნაშრომის 1-ლ თავშია გადმოცემული, ალუდა ქრისტესმიერი შენდობითა და ლმობიერებით ეპყრობა მის გამმეტებელ შატილელებს. მესამე, საბოლოო ეტაპი ალუდას სახის დინამიკისა სწორედ ამ ეპიზოდში ცხადდება, ამიტომ მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გავამახვილებინოთ ყურადღება ალუდას შემწყნარებლობასა და მიმტევებლობაზე თანასოფლელთა მიმართ. 15-16 წლის ასაკში, ორიგინალური აზროვნებისა და თვითაქტუალიზაციისაკენ სწრაფვისას, მოზარდი შესაძლოა დესოციალიზაციის, საზოგადოებისაგან იზოლაციის საფრთხის წინაშე დადგეს. გაცნობიერება იმისა, რომ მისი არავის ესმის, ზოგჯერ გაუცხოებით, საზოგადოებაზე გულაყრით მთავრდება. ამიტომ ანტაგონისტური წარმოდგენა და გმობა თემისა სასწავლო პროცესში წარმმართველი არ უნდა იყოს. „ალუდა ქეთელაურის“ ფინალის შეგნებული გააზრება ამგვარი განწყობის დაძლევის გზაა.

კიტა აბაშიძე თავის „ეტიუდებში“ წერდა, რომ ვაჟას კონცეფცია ინდივიდუალისტური ხასიათისაა (ეტიუდები, გვ.225), რადგან ვაჟას გმირები ინდივიდუალისტები, საზოგადოებისაგან განმდგარი ტიპები არიან. გრიგოლ კიკნაძე არ ეთანხმება კიტა აბაშიძეს: „ინდივიდისადმი სიმპათიურ დამოკიდებულებას უეჭველად ინდივიდუალისტურ კონცეფციამდე როდი მივყავართ... საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ისტორიამ იცის არა ერთი, არამედ მასიურად ისეთი შემთხვევები, როდესაც სწორედ იმიტომ, რომ ინდივიდი ინდივიდუალისტი კი არ არის, არამედ სოციალური ტიპია, მას არსებული საზოგადოებრივი წყობა უკუუგდია“(კიკნაძე 1957:83, ხაზი ჩვენია – მ.წ.).

ამრიგად, მოსწავლეებს უნდა განემარტოს, რომ ალუდა ქეთელაური სოციალური ტიპია იმ კუთხით, რომ მისი ქცევა თემის მხრიდან მოწონებას ვერ იმსახურებს, მაგრამ საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით დადებით ფუნქციას ასრულებს. მართალია, პოემაში არ ჩანს ნიშანი საზოგადოების სულიერი გამოღვიძებისა, თვით მინდიაც გულხელდაკრეფილი უყურებს ალუდას მოკვეთას (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მინდიას ალუდას პრინციპების გამზიარებლად მიიჩნევს), მაგრამ პოტენციურად სწორედ ალუდას, ალუდასნაირებს შეუძლიათ საზოგადოებრივი წინსვლის წარმართვა: „ისინი სცილებიან თემს, ვითარცა ყველაზე

უფრო კეთილი მტრები მთელს მსოფლიოში... იცავენ როგორც თემის, ისე საკუთარ ზნეობრივ სიწმინდეს თვით თემის წევრთაგან“(კიკნაძე 1957: 77-ხაზი ჩვენია-მ.წ.). ვაჟას სურვილია ინდივიდუალურისა და სოციალურის შეთანხმება-შეწყობა. გრიგოლ კიკნაძე დაასკვნის, რომ სწორედ საზოგადოებისა და პიროვნების რთულ საკითხთა წამოწევით შეერთო ვაჟა „მსოფლიო აზრთა მდინარეს“ (კიკნაძე 1957:77).

გვაქვს პოემის რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაციებიც. ამჯერად განვიხილავთ მოსაზრებას, რომელმაც თავისი სიმკვეთრითა და გამორჩეულობით საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოიპოვა. 2005 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ ძიებანში“ დაბეჭდილ წერილში „ვაჟა-ფშაველას რელიგიური მრწამსისათვის“ თანამედროვე კრიტიკოსი მანანა ყიფიანი განიხილავს ვაჟას დამოკიდებულებას ქრისტიანობისადმი. ავტორი იხსენებს თედო სახოკიას გადმოცემას ვაჟას მიერ წმინდა გიორგის ხატის შეურაცხყოფის შესახებ, მოჰყავს პოეტის ზოგიერთი ლექსი და განიხილავს „ალუდა ქეთელაურსაც“. მისი თქმით, პოემის საკვანძო სიტყვები „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“ ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული საიდუმლოს – ნათლობის – უარყოფაა: „რას ნიშნავს ალუდას ეს სიტყვები, თუ არა ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატის – ნათლობის უარყოფას?!“[15]. ალუდასა და ბერდიას პაექრობაში კრიტიკოსი ამ უკანაკნელს ქრისტიანობის დამცველ მორალისტად მიიჩნევს და საბოლოოდ ამგვარ დასკვნამდე მიდის: „ლიტერატურათმცოდნეობაში ტრადიციულად გაგებული ალუდას პიროვნების ამაღლება სარწმუნოებრივ დოგმატებზე, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ქრისტიანობისგან განდგომაა. ვაჟა ალუდას სახით ეკუმენისტურ იდეებს ქადაგებს, ყველა რელიგიის თანასწორუფლებიანობას აღიარებს, ყველა რელიგიას მაცხოვნებლად მიიჩნევს, უარყოფს ქრისტეს გამომსყიდველ მისიას კაცობრიობის წინაშე, ეწინააღმდეგება საკუთარივე ლექსის –„შობა“– სარწმუნოებრივ სულისკვეთებას. ცხონება ქრისტეს გარეშე – რელიგიური თვალსაზრისით ეს დევიზი სულის წარმწყმედი დევიზია...ვაჟას ბიოგრაფიაში ზემოთ აღნიშნული შემზარავი ფაქტი (იგულისხმება თედო სახოკიას მოგონება - მ.წ.) „ალუდა ქეთელაურში“

---

[15] იხ. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe პერიოდიკა, ლიტერატურული ძიებანი, 2005, N26(ნაწ.I).

თითქოს ცოცხლდება, ახალ ძალას იძენს, პოეტის ცნობიერებაში ერთხელ დაძრული რელიგიური ცდომილება უკვალოდ არ გამქრალა. სამწუხაროა, რომ დღეს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, კერძოდ, მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ძალები ვაჟას სწორედ ამ ცდომილებას აფრიალებენ ბაირაღად – ეროვნულ ტრადიციებს სწორედ ამ გადასახედიდან ებრძვიან "(ყიფიანი 2005: 221).

მანანა ყიფიანის დასკვნებს ახლავს შენიშვნა, რომ ჟურნალ „ლიტერატურული ძიებანის" სარედაქციო კოლეგიას ისინი საკამათოდ მიაჩნია. კრიტიკოსს შესაძლოა დავეთანხმოთ მხოლოდ ერთ რამეში, მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ძალები სწორედ იმგვარად კითხულობენ „ალუდა ქეთელაურს", როგორც მან წაიკითხა. ინტერნეტსივცრე გადატვირთულია ფილოლოგისა და პოლიტიკოსის – ლევან ბერძენიშვილის ლექციებით, რომლებშიც ის ასევე „ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრებად" ნათლავს ვაჟას „ალუდა ქეთელაურს". ლევან ბერძენიშვილის მოსაზრებებს ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოეხმაურა მკვლევარი ლევან ბებურიშვილი წერილით „ვაჟა-ფშაველას ნეოლიბერალური პროფანაციის თაობაზე".

მკვლევარი თანმიმდევრულად, ფაქტებზე დაყრდნობით განიხილავს ბერძენიშვილის შეხედულებებს და წერილის ბოლოთქმაში აღნიშნავს: „ლევან ბერძენიშვილის მიერ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ გამოთქმულ შეხედულებათა უმრავლესობა უაღრესად ტენდენციური, ცალმხრივი და არასწორია. ავტორი მრავალი ასპექტით ამახინჯებს ფაქტებს და ისე წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას, როგორც თავად ისურვებდა, რომ ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მაინც ბერძენიშვილის მსჯელობას აქვს გასავალი პრესისა და ტელევიზიის საშუალებით"(ბებურიშვილი 2015:225).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკის (და, მით უფრო, სასკოლო განმარტების) მიზანი არ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას, სულხან-საბა ორბელიანის, გალაკტიონ ტაბიძის თუ სხვათა რელიგიური მრწამსის კვლევა და კატეგორიული დასკვნების გამოტანა. სწავლების პროცესში მხატვრულ ნაწარმოებს არ უნდა მივუდგეთ მშრალი დოგმატური პრინციპით: მართლმადიდებლურია თუ ეკუმენისტური, კათოლიკურია თუ ათეისტური. ვაჟა-ფშაველას სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ ამის „გამგენი" არ ვართ. გავიხსენოთ პროფესორ იუზა ევგენიძის

სიტყვები: „დიდი ხელოვანები და დიდი მკვლევრები იმიტომაც ითვლებიან დიდ მოვლენებად, რომ ისინი ყველა რანგისა და ყოველნაირი ინტერესით შეიარაღებულ მკვლევრებს აძლევენ გარკვეულ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც მათ (ამ მკვლევრებს) აწუხებთ“ (ევგენიძე 1977:180).

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა ინტერესის, მათი შეკითხვების გამო სწავლების პროცესი ზოგჯერ მოულოდნელი მიმართულებითაც წარიმართება ხოლმე. დასაბუთებული და ფაქტებით გამყარებული მსჯელობით მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ ვაჟას სათქმელის მართებულად ამოკითხვაში. ამ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მანანა ყიფიანის მიერ ქრისტიანობის უარყოფად მიჩნეული სიტყვები სინამდვილეში სწორედ ბუნებითი და ჭეშმარიტი ქრისტიანობის გამომხატველია, მოძღვრებისა, რომელიც ქადაგებს: „გიყვარდეს მტერი შენი“.ამ თვალსაზრისს იზიარებს გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა. „ალუდა ამ სიტყვებით გმობს იმ პრინციპებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სწორედ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მის ჭეშმარიტ, ჰუმანურ ბუნებას (ნანა ჟამურელი, აბანოსხევის სკოლა). სხვა მასწავლებელი წერს: „ჭეშმარიტ ქრისტიანს ევალება ქრისტიანული პრინციპების დაცვა, კაცთმოყვარეობა, მიტევება და არა შურისძიება, კაცთა კვლა“ (მაია ჯერვალიძე, ჭოპორტის სკოლა). ასევე: „ალუდა დაფიქრდა იმაზე, რომ სხვა სარწმუნოების აღმსარებელიც ღვთის შექმნილი ადამიანია, რომ ისინიც შეიძლება მართლები იყვნენ უფალთან, იქნებ მაჰმადიანიც შეიძლება ცხონდეს, რადგან საკუთარი თვალით ნახა მისი (მაჰმადიანის) ვაჟკაცობა, ღირსება, სიმართლე. საკუთარის უარყოფის ხარჯზე არ ხდება ამის აღიარება, ვინ იცისო, ღვთისშვილთ იციანო“ (ირმა აბულაძე,თბილისის 147-ე საჯარო სკოლა).

ამრიგად, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილისა და ჩვენი აზრითაც, ალუდა ქრისტიანობას კი არ უარყოფს, არამედ ქრისტიანობამდე მაღლდება, რადგან გმობს იმას, რაც ღმერთისთვის არასათნოა. თუკი სარწმუნოებრივ სიბრტყეზე განვიხილავთ, ალუდა სწორედ ის რჩეულია, რომლებიც ცოტანი არიან წვეულთა შორის.

ამრიგად, ალუდა ქეთელაური კეთილმოქალაქეობის მესიტყვეა. ის არ ახშობს თავის გულში აღმოცენებულ ჭეშმარიტების მარცვალს, ახდენს ჭეშმარიტების

„ტირაჟირებას“ მოქალაქეობრივ სივრცეში და არ უფრთხის საზოგადოების რისხვას. ესაა შინაგანი, ბუნებითი ქრისტიანობა, რომელიც კი არ თიშავს, არამედ აერთიანებს ადამიანებს, თანამედროვე სამყაროში მომძლავრებული ურთიერთგაუცხოების დაძლევის გზაა. სწორედ ამის გამო შეიძინა ამ მხატვრულმა სახემ განსაკუთრებული მნიშვნელობა გლობალიზაციის ეპოქაში.

5.1.2 „ალუდა ქეთელაურის“ სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე სახელმძღვანელოებში

ამ ქვეთავში აღვწერთ, რამდენად ხელს უწყობს ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი შეკითხვები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სწავლებას მოქალაქეობრივი განწყობის ფორმირების თვალსაზრისით. პარალელურად, განხილვის კვალდაკვალ ჩამოვაყალიბებთ იმ პრიორიტეტებს, რომლებსაც დაეყრდნობა ჩვენი სასწავლო კონცეფცია.

გამომცემლობა „სწავლანი“. „მითოსთან დაბრუნება“ – ასეა დასათაურებული ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შემცველი თავი გამომცემლობა „სწავლანის“ (ვახტანგ როდონაიას ჯგუფის) მე-11 კლასის სახელმძღვანელოში. თავს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გერმანელი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის – ერნსტ კასირერის – სიტყვები: „ძველი მითები მშობელი მიწაა, საიდანაც თანდათანობით ამოიზარდა პოეზია“. არის მეორე ეპიგრაფიც – ტიციან ტაბიძის სიტყვები ვაჟას შემოქმედების ხალხურ ფესვებზე. რუბრიკაში „ტექსტის წაკითხვამდე“ განმარტებულია სიტყვა „მითის“ მნიშვნელობა: „მითი, ანუ იგივე მითოსი, ბერძნული სიტყვაა და ძველთაძველი ამბის, თქმულების, გადმოცემის აღსანიშნავად გამოიყენება. მითოსში ხალხის უძველესი რწმენა-წარმოდგენებია ასახული. ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მითოსური სამყარო ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერებიდან შედის. ცხადია, მას გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს და მისი ამოცნობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გააზრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა“ (სწავლანი XI 2012:375). ამ მომცრო განმარტებაში, რომელიც, ჩვენი აზრით, საკმარის წარმოდგენას

შეუქმნის მოსწავლეს მითის შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო წინადადება – მითის მხატვრული ფუნქციის გააზრება მართლაც უმთავრესი პირობაა ვაჟას სათქმელის ამოსაცნობად. მითოსი მხოლოდ საშუალებაა ვაჟასთვის და არა მიზანი, უმთავრესი მიზანი პიროვნების, მოქალაქეობრივი შეგნებით აღსავსე გმირის ფორმირებაა და არა ხალხური წარმოდგენების თავისებური ასახვა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ეს გარემოება (მითოსის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის გამოკვეთა), რაზეც მეტყველებს როგორც „მითის“ ზემოთ მოყვანილი განმარტება, ისე კითხვის სტრატეგიად დასახული აქტივობა – „სიმბოლურ-ალეგორიული კონტექსტის ამოცნობა“. რუბრიკაში „ტექსტის ანალიზის ელემენტები“ მოცემულია სიმბოლოსა და ალეგორიის განმარტებები და მათი ერთმანეთისაგან გარჩევის ხერხი: „თქვენ უკვე იცით, რომ სიმბოლო არის რაიმე კონკრეტული (საგანი, მოვლენა, არსება), რომელიც რაღაც აბსტრაქტულს (მაგალითად, იდეას) გამოხატავს. ალეგორიისგან განსხვავებით, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იშიფრება, სიმბოლოს მრავალი მნიშვნელობა აქვს, მისი შინაარსი ამოუწურავია. სიმბოლო არის მინიშნება, მითითება რაღაც საიდუმლო არსზე“ (სწავლანი XI, 2012:375).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოემაში მითოსის სიმბოლური მნიშვნელობის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ორი ეპიზოდი – შატილისაკენ მიმავალი ალუდას ფიქრები („ვისაც მტერობა მასწყურდეს“) და ალუდას სიზმარი. მითოსის სიმბოლური მნიშვნელობის მიღმა ამ ეპიზოდებში ალუდა ქეთელაურის ხედვაა მოცემული. ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში ალუდას სიზმრის მითოსური პლანი ვაჟას ლექსთან („დევების ქორწილი“) კავშირშია მოცემული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ეპიზოდი – შატილისაკენ მომავალი ალუდას ფიქრები:

„ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია
სისხლ დაიგუბოს კერაში,

თვითონაც შიგვე მდგარია.

ღვინოდაც იმას დაჰლევდეს,

პურადაც მოსახმარია

პირჯვარი დაიწეროდის,

მითამ საყდარში არია “ (ვაჟა-ფშაველა 1961:33).

კრიტიკოსი რევაზ სირაძე წერს: „ამ წარმოსახვის ემოციური ძალა გვიმტკიცებს, თუ რაოდენ გამსჭვალულია ალუდა ქეთელაური სისხლისღვრის საწინააღმდეგოდ. ეს მოტივი კი შემდგომ პოემაში აღარ ვითარდება – წინა პლანზე სხვა მოტივები გამოდის. ამითაა გამოწვეული ალბათ, რომ ალუდას სახის ანალიზისას ზოგჯერ უგულებელყოფილია მის პიროვნებაში ჩასახული ზემოაღნიშნული იდეალი“(სირაძე 2012:52). ამრიგად, ზემოაღნიშნული აპოკალიფსური ფიქრები ალუდას სიზმრის წინა ეტაპია. სახელმძღვანელოში დასმული შეკითხვის მიხედვით, ეს ეპიზოდი შატილის ბინადართა ცხოვრების წესთან ასოცირდება: „როგორია ამ ციხე-კოშკების ბინადართა ცხოვრების წესი? (ყური მიუგდეთ ალუდას ფიქრებს)“ (სწავლანი XI, 2012:397). ზემოაღნიშნული ემოციური წარმოსახვა მხოლოდ ამ შეკითხვითაა აქცენტირებული, რაც არასაკმარისად უნდა მივიჩნიოთ.

სახელმძღვანელოში ალუდას სიზმარი საინტერესო ჩანართის თანხლებითაა წარმოდგენილი. მოყვანილია ვაჟას ლექსი „დევების სიზმარი“ და თვით ვაჟას გადმოცემა დევების, კაციჭამია არსებების შესახებ (წერილიდან „კოპალა და იახსარი“). სახელმძღვანელოს ილუსტრაციაც – გოგი ოჩიაურის ნახატი „დევების ქორწილი“ აერთიანებს ალუდას სიზმრისა და „დევების ქორწილის“ ლირიკული გმირის განცდებს. მასზე გამოსახულია დევების გარემოცვაში მყოფი თვალდახუჭული ვაჟა, რომელსაც თასებს აწვდიან სქელკისერა, რქიანი დევები. ვფიქრობთ, საინტერესო ილუსტრაციები სახელმძღვანელოებში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, არა იმ დოზით, როგორც დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილ წიგნებში, მაგრამ თვალსაჩინოება 15-16 წლის ასაკშიც სჭირდება მოსწავლეს. ამ მხრივ ირაკლი ოჩიაურის ილუსტაცია ნამდვილად მოსაწონია.

წერითი სამუშაო შემდეგნაირადაა მოცემული სახელმძღვანელოში: „შურისძიებიდან მიტევებამდე – ანუ ალუდა ქეთელაურის სულიერი ცხოვრების გზა“ (სწავლანი XI, 2012:407). სადისკუსიო თემაც ამგვარად ფორმულირდება: „იმსჯელეთ თემაზე: რა უფრო ადვილია, შურისძიება თუ პატიება?“ კრიტიკოსთა შეფასებები აქ ნაკლებად გვხვდება.

გამომცემლობა „მერიდიანის“ სახელმძღვანელოში (ჯგუფის ხელმძღვანელი – ნათელა მაღლაკელიძე), „სწავლანისგან“ განსხვავებით, ვაჟას ნაწარმოებთათვის განკუთვნილი თავი დასათაურებული არ არის და არც კითხვის სტრატეგია იკვეთება. იგი ძლიერ დატვირთულია კომენტარებითა და სადისკუსიო საკითხებით. მაგალითად, „ალუდა ქეთელაურის“ ტექსტის წაკითხვის შემდეგ წარმოდგენილია ოთხი თვალსაზრისი: აკაკი ბაქრაძის შეხედულება ე.წ. „ორი სიმართლის“ (პიროვნებისა და თემის სიმართლის შესახებ); თამაზ ჩხენკელის მოსაზრება ალუდას პიროვნების, მისი მონაპოვრის საყოველთაო სიკეთედ ქცევის შესახებ; თამაზ ვასაძის თვალსაზრისი ალუდას სიზმრის გამო; თამაზ ჩხენკელის დაკვირვება ვაჟას დიალექტიზმების სტილისტიკურ ფუნქციაზე. ყოველ თვალსაზრისს ახლავს სადისკუსიო საკითხი. მაგალითად, ვაჟას დიალექტიზმების შესახებ გამოთქმული მოსაზრების შემდეგ წერია: „წაიკითხეთ აკაკი წერეთლის ლექსი „ენას გიწუნებ, ფშაველო...“ შეადარეთ მასში გამოთქმული აზრი მოცემულ თვალსაზრისს. თქვენ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება“(მერიდიანი XI, 2012:339). ბუნებრივია, საკითხი იმდენად ვრცელი და რთულია, ვაჟას პირველივე პოემის გაცნობისას გამოტანილი დასკვნები ზერელე და უსაფუძვლო იქნება. მით უფრო, ვაჟასა და აკაკის პოლემიკა ასე „გადარბენით“ არ უნდა ისწავლებოდეს, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ამ საკითხის სწავლებისას ფრთხილი მიდგომაა საჭირო.

ვფიქრობთ, ტექსტის გარშემო მრავალი თვალსაზრისის წარმოდგენა, თანაც ვრცელი სადისკუსიო თემების წამოჭრა, მოსწავლისთვის დამაბრკოლებელია. ამიტომ ტექსტის შესწავლისას უნდა გამოვყოთ ე.წ. „პრიორიტეტები“. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვერდს ვერ ავუვლით ალუდას

სიზმრის სიმბოლურ-ალეგორიული პლანის გააზრებას და პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხს.

„მერიდიანის“ სახელმძღვანელოში „მტერობის“ საგმობი ალუდასეული სიტყვები იმედას ქავის კონტექსტში განიხილება და იმედას ქავის სიმბოლურ გააზრებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ ეპიზოდს მიემართება შემდეგი კითხვები: „რა ფიქრს აღუძრავს ალუდას „იმედას ქავის“ დანახვა? თქვენი აზრით, რას მიგვანიშნებს ავტორი ფრაზით „გველმა ვერ გასჭრა ლიბოი? რის სიმბოლოდ შეიძლება მოვიაზროთ იმედას ქავი? რა ფუნქცია ენიჭება მას ტექსტის იდეური გააზრებისათვის?“(მერიდიანი XI,2012:336).

წერითი დავალებებისა და სადისკუსიო თემების ჩამონათვალში ვახტანგ როდონაიას ჯგუფის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია შემდეგი დავალება: „დაწერეთ ესე: შურისძიებიდან მიტევებამდე – ანუ ალუდა ქეთელაურის სულიერი ცხოვრების გზა“. „მერიდიანის“ სახელმძღვანელოში მოცემული დავალება თემისა და პიროვნების დაპირისპირების თემას შეეხება, ამ კონტექსტში მოცემულია თამაზ ჩხენკელის საყურადღებო მოსაზრება: „პიროვნება შეკუმშული, დაწურული სახით მოცემული საზოგადოებაა და პიროვნების ზნეობა საზოგადოების შინაგანი საწყისია. ამდენად, პირველის შინაგანი მონაპოვარი, ადრე თუ გვიან, მეორის მონაპოვრად იქცევა“(მერიდიანი XI, 2012:338). ჩვენი აზრით, ჩხენკელის აღნიშნული შენიშვნა უაღრესად მნიშვნელოვანია პოემის უმთავრესი მოტივის – საზოგადოების გაუკეთესებაზე ორიენტირებული ზნეობრივი გმირის წარმოსაჩენად. ამგვარი ჩანართების არსებობა სახელმძღვანელოში სასურველია.

ამგვარად, „ალუდა ქეთელაურის“ უმთავრესი ხაზი კეთილმოქალაქეობის მესიტყვეობა, კეთილმოღვაწე მოქალაქის „დაბადებაა“. სიზმარიც, მითოსური პლანიც, დიალექტიზმებიც მხოლოდ და მხოლოდ სამოსელია, საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად. „სწავლანის“ სახელმძღვანელოში დასახულია ტექსტის კითხვის სტრატეგია, განმარტებულია მითოსის დანიშნულება, საინტერესო ილუსტრაცია ალუდას სიზმრისა. ყოველივე ეს მეტყველებს იმას, რომ სახელმძღვანელოს შემდგენლებს უფიქრიათ, სასწავლო კონცეფცია შეუმუშავებიათ, სასწავლო მიზანიც გამოუკვეთიათ. მეორე, „მერიდიანის“ სახელმძღვანელო პრიორიტეტული

საკითხების ჩაღრმავების მაგიერ მოსწავლეებს მრავალ თემასა და კრიტიკოსთა ამონარიდებს სთავაზობს, რამაც შესაძლოა უმთავრეს საკითხზე კონცენტრირება გაურთულოს მათ.

5.1.3 ალუდა ქეთელაური – კეთილმოქალაქეობის მესიტყვე (პოემის სწავლების კონცეფცია)

პოემა „ალუდა ქეთელაურის“ სწავლებას მე-11 კლასში 6-7 სასწავლო საათი უნდა დაეთმოს. მასწავლებელთა და ექსპერტთა შეფასებით, პოემას უფრო დიდი დრო სჭირდება. ამ ფონზე გამოიკვეთა სასკოლო პროგრამის გადატვირთულობის პრობლემა (მე-6 თავში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს). ამჯერად „ალუდა ქეთელაურის“ სასწავლო კონცფციას 7 საათზე გავწერთ. სცენარების მოდიფიცირების, აქტივობების შემცირებისა თუ გადანაცვლების უფლებას, რა თქმა უნდა, მასწავლებელს ვუტოვებთ.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაკვეთილებზე ყურადღება მახვილდება კომპარატივისტულ მიდგომებზე და ვაჟას პოემის ეპიზოდები სხვა ავტორთა (განსაკუთრებით, უცხოელთა) ნააზრევთან კავშირშია წარმოდგენილი.

მოსწავლეთა ასაკისა და ტექსტის თავისებურების (მითოსური პლანის, რთული პოეტური სურათებისა და მხატვრული მრავალფეროვნების) გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა გავააქტიუროთ სწავლების ინტერაქტიული მეთოდები: დისკუსია, დებატები, მრგვალი მაგიდა, ევრისტიკული მეთოდი, რომელიც ეფუძნება მოსწავლეების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით.

ზოგადად, ტექსტის შესწავლამდე აუცილებელია მთიელთა ტრადიციებისა და გეოგრაფიული გარემოს გაცნობა სათანადო ფოტო ან ვიდეომასალით. მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ ადათისა და ადათობრივი სამართლის ცნებები, მოკლული მტრისთვის მკლავის მოჭრის ჩვეულება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ხევისბრისა და ქადაგის, ხატის ყმობისა და ხატობის ტრადიცია, სამხვეწროს შეწირვისა და

მოკვეთის წესები. ამ ინფორმაციის მიწოდება უფრო სასურველია „გზადაგზა“, ტექსტის შესწავლის კონტექსტში, რათა უკეთ გაიაზრონ და დაიმახსოვრონ. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკეულ მათგანს მოსწავლეები უკვე იცნობენ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან (ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ ვაჟას პოემების შესწავლამდეა წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში).

გაკვეთილების სცენარების შედგენისას ვიხელმძღვანელეთ პრინციპით, რომ ის ყოფილიყო მაქსიმალურად რეალისტური (თანამედროვე სკოლაში განსახორციელებელი) და პრაქტიკული (მასწავლებელთა დამხმარე).

პირველი გაკვეთილი

გაკვეთილის თემა	პოემის I თავი – ალუდასა და მუცალის შეხვედრა საანალიზო ეპიზოდები 1.ალუდას მიერ მტრის დადევნება; 2. ორთაბრძოლის სცენა; 3.მუცალის სიკვდილი; 4. ალუდას მიერ მუცალის დატირება.
სასწავლო მიზანი	გმირთა შეხვედრის კონცეპტის გააზრება; ალუდას სულიერი ძვრების აღწერა- გააზრება;

ამოცანები	• ალუდას სახასიათო შტრიხების გამოკვეთა; • მუცალის მხატვრული სახის ანალიზი; • გმირთა მსგავსების (მსგავსი თვისებების) დადგენა; • ორთაბრძოლის (ბატალური) სცენის მხატვრულ-ენობრივი ექსპრესიის წვდომა; • ალუდას მეტამორფოზის დასაწყისი („ატირდა, როგორც ქალიო“). შენიშვნა: სასწავლო ამოცანების ნაწილი ხორციელდება საკლასო, ნაწილი – საშინაო დავალების აქტივობებით.
აქტივობები	• დემონსტირების მეთოდი (გეოგრაფიული გარემოს გაცნობა ფოტო-ვიდეოკადრებით) (5 წთ); • ტექსტის კომენტირებული კითხვა (10 წთ); • ინტერაქცია – ტექსტის გაგების შემოწმება კითხვა-პასუხის მეშვეობით (5-10 წთ); • საკლასო დისკუსია - რატომ შეებრალა ალუდას მუცალი? (15-20 წთ); • დისკუსიის შეჯამება, შეფასება, ინსტრუქციები საშინაო დავალებისთვის (5 წთ).
რესურსები	• სახელმძღვანელო ; • ხევსურეთის ამსახველი ფოტო-ვიდეომასალა; • მანანა ჩიტიშვილის ლექსი „კაი ყმის ხელით

	ვკვდებოდი“; • ამონარიდი მიხეილ ლერმონტოვის პოემიდან „მწირი“; • ეპიზოდი ფილმიდან „ვედრება“ (ალუდასა და მუცალის შებრძოლება); • კომპიუტერი; • პროექტორი.
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფური; ინდივიდუალური.
შეფასება	განმავითარებელი (კომენტარი), განმსაზღვრელი (აქტიურობისა და დასაბუთებული პასუხისათვის)

პირველი გაკვეთილის უმთავრესი მიზანია გმირთა შეხვედრის კონცეპტის აღქმა-გააზრება მოსწავლეთა მიერ. ამ ეპიზოდში მოცემულია „გასაღები“ პოემაში განვითარებული მოვლენების ამოსაცნობად. თანამედროვე მკვლევარი, მანანა კვაჭანტირაძე, მიიჩნევს, რომ „ვაჟა-ფშაველას პოემებში შეხვედრა ატარებს ეგზისტენციალურ დატვირთვას. იგი ერთდროულად ეკუთვნის შემთხვევითობასაც და აუცილებლობასაც და ჩაწნულია ყოფიერების ერთიან სტრუქტურაში. შეხვედრის სივრცეში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ოპოზიციური მეწყვილეები – მტერი და მოყვარე – ოპოზიცია რადიკალურად ტრანსფორმირდება: მტერი იქცევა მოყვრად, „სხვაგვარი“ – „დაგვარად“(კვაჭანტირაძე 2013:145). ამავე ეპიზოდთან დაკავშირებით გვსურს ჩავურთოთ ექსპერტთა ინტერვიუირებისას გამოკვეთილი რეკომენდაცია, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბევრი მასწავლებელი იყენებს გაკვეთილზე: „გმირების შეხვედრის ეპიზოდში მე ვიყენებ რუსთაველის კონცეფციას: „შემომხედნა, მოვეწონე“, იგივე პრინციპი მოქმედებს ვაჟას პოემებშიც“(ირინა ნაცვლიშვილი).

როგორ უნდა შევამეცნებინოთ მოსწავლეებს ალუდასა და მუცალის შეხვედრის ეგზისტენციალური, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა? ჩვენი აზრით, ლექციის მეთოდი ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტურია, მოსწავლეები

თავად უნდა მივიდნენ დასკვნებამდე. ტექსტის პირველი წაკითხვის შემდეგ, როგორც წესი, მათ უჩნდებათ შეკითხვა - რა ნახა ალუდამ მუცალის საქციელში ისეთი, რომ მტერი დაიტირა? მოსწავლეთა ამ გაურკვევლობისა და ინტერესის გამოყენებით, ე.წ. განვითარების უახლოეს ზონაზე ზემოქმედებით, მასწავლებელს შეუძლია სასწავლო მიზნის ეფექტურად მიღწევა.

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ გაკვეთილების ეტაპებს და შესაბამის სასწავლო აქტოვობებს.

1. ტექსტის გაცნობა. იწყება 1-ლი თავის, ხმამაღალი კომენტირებული კითხვა. მასწავლებელი შეკითხვებით ამოწმებს ტექსტის გაგების დონეს. შემდეგ იწყება დისკუსია – რატომ შეებრალა ალუდას მუცალი? მოსწავლეები იწყებენ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმასა და მსჯელობას. დისკუსიაში ორი ხაზი გამოიკვეთება: მუცალის ხაზი და ალუდას ხაზი. ერთი მხრივ, მოსწავლეები მუცალის სახასიათო შტრიხებს მოხაზავენ, მეორე მხრივ – ალუდასას. მათი მოსალოდნელი პასუხებია[16]: მუცალი კაი ყმა იყო და ამან ძლიერ იმოქმედა ალუდაზე; მუცალმა ალუდას ვაჟკაცობა პირველმა აღიარა, როდესაც თოფი გადაუგდო; მუცალს სიკვდილი არ უნდოდა, მკერდზე ბრძამს იფენდა; მუცალი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა – დაჭრილმა კიდევ ესროლა ალუდას. მუცალის სახის ანალიზისას იკვეთება გაუტეხელობა, სიკვდილის დამარცხების სურვილი („მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასა, მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია მწვანეს ბალახსა მთისასა“), მოწინააღმდეგის ვაჟკაცობის დაფასება. მოსწავლეები დაფაზე ჩამოწერენ მუცალის მახასიათებლებს. ალუდას შემთხვევაში იკვეთება ვაჟკაცობა, გულმოწყალება, მტრის ღირსების დანახვა და შებრალება. ალუდას თვისებების დაფაზე ჩამოწერისა და მუცალთან შედარების შემდეგ მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ორ კაი ყმას – მუცალსა და ალუდას – საერთო თვისებები ამკობს, ალუდამ მუცალის სიკვდილის ცქერით თითქოს საკუთარი აღსასრული განჭვრიტა, ამიტომაც იქონია ამ სცენამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება, შეცვალა მისი ცხოვრება. საკითხის კიდევ

---

16 ერთ-ერთი ექსპერტის, მაია ინასარიძის შენიშვნით, მოსწავლეთა მოსალოდნელი პასუხების გაწერა მეთოდურად გაუმართლებელია: „ჩვენ წინასაწარ ნუ განვსაზღვრავთ, არ ვიცით, რას იტყვიან მოსწავლეები“. ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ ამ შენიშვნას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში არ ავსახავთ მას.

უფრო სიღრმისეული გააზრების მიზნით ბავშვებს ვურიგებთ ბარათებს (დამხმარე ნაბეჭდ მასალას) და ვაძლევთ შესაბამის საშინაო დავალებას.

2.დამხმარე რესურსად ვიყენებთ არა მშრალად მიწოდებულ კრიტიკოსთა ნააზრევს, არამედ საინტერესო ლიტერატურული პარალელების შემცველ ამონარიდებს. წარმოვადგენთ სავარაუდო დავალებათა სამ ნიმუშს, რომელთაც მოსწავლეებს გავუნაწილებთ მათი ინტერესისა და შესაძლებლობების მიხედვით. დავალებები მიემართება პოემის ორ უმთავრეს ეპიზოდს: ალუდასა და მუცალის შერკინებას, ასევე მუცალის სიკვდილის სცენას.

პირველი დავალება. ალუდასა და მუცალის შერკინებას „ბატალურ სცენას“ უწოდებს კრიტიკოსი ალექსანდრე ჭეიშვილი, ამ მონაკვეთს მკვლევარი კაცისა და ავაზის შებმის ეპიზოდს უკავშირებს მიხეილ ლერმონტოვის პოემიდან „მწირი“:

„Я пламенел, визжал как он:
Как будто сам я был рождён
В семействе барсов и волков,
Под свежим пологом лесов“.

მოსწავლეს ბარათზე ვუწერთ სტროფს ლერმონტოვის პოემიდან (ორიგინალის ენაზე ან თარგმნილს) და ვთხოვთ, ასოციაციურად დაუკავშიროს მოშუღართა შერკინების ეპიზოდს ვაჟას პოემიდან, ვაძლევთ მითითებებს, რომ ყურადღება გაამახვილოს გმირთა დიალოგზე, მკვახე ურთიერთშეძახილებზე, ასევე ენობრივ ერთეულებზე: „გამასტყვრა მუცალის თოფი“, „შამაუჭყივლებს“, „მოგხვდაუა“, „რჯულძაღლო“. ამ დავალების მიზანია:

- მოსწავლემ ამოიცნოს დიალოგის გარეგან ხმოვანებაში, ფონეტიკის დონეზე გამოხატული გამხეცება გმირებისა.
- განუვითარდეს ტექსტისადმი შემოქმედებითი მიდგომის, ემოციური მიზანდასახულობისა და ენობრივი ექსპრესიის წვდომის უნარები.

შენიშვნა: ერთ-ერთმა რესპონდენტმა არ მოიწონა აღნიშნული დავალება და ბატალური სცენის სიმძაფრის გასააზრებლად „ვეფხვისა და მოყმის“ ორთაბრძოლის სცენა შემოგვთავაზა, რაც ასევე საინტერესო და ალტერნატიულ დავალებად მიგვაჩნია.

მეორე დავალება. მუცალის სიკვდილის სცენა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც თვით ამ გმირის სახასიათოდ, ასევე ალუდას სულში მიმდინარე ძვრების ამოსახსნელად. ქისტის სიკვდილისწინა განცდების მისახვედრად ეფექტურია თანამედროვე პოეტის, მანანა ჩიტიშვილის ლექსი „კაი ყმის ხელით ვკვდებოდი“, რომელიც ალუზიურად მიემართება როგორ ვაჟას პოემას, ასევე ხალხურ ლექსს „შემომეყარა ყივჩაღი“:

„მთვარე გორს უკან ჩავიდა,
მეც ვილეოდი, ვდნებოდი,
გულს მაინც მედგა ნათელი –
კაი ყმის ხელით ვკვდებოდი.
და ბოლო ამოქშენამდი
სული გათენდა, ამზევდა,
ავიწიე და...გაკოცე
ჩემგან გაჩეხილ მკლავზედა“ (ჩიტიშვილი 2005:12).

მოსწავლეებს სათანადო მითითებების მიწოდებით დავავალებთ, დაუკავშირონ ეს სიტყვები მუცალის განცდებს და ახსნან მისი ჟესტი – ალუდასათვის თოფის გადაგდება (რაც ლექსში ნახსენები „მხარზე კოცნის“ ანალოგიურია). აქვე გავახსენებთ სიტყვებს ვაჟას ლექსიდან „კაი ყმა“: „თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,/ზედ ქორებულად ფრინავდეს“, ვთხოვთ აღწერონ, როგორ ებრძვის სიკვდილს მუცალი.

შენიშვნა: რესპონდენტმა ირინა ნაცვლიშვილმა დაგვისხელა ამ მხრივ საინტერესო ალტერნატიული დავალება – გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული ტექსტი „მუცალი“.

მესამე დავალება. პოემის I თავის შესწავლისა და გააზრების შემდეგ ნახონ ალუდასა და მუცალის შერკინების სცენა თენგიზ აბულაძის ფილმიდან „ვედრება“ და აღწერონ, როგორ გააცოცხლა რეჟისორმა ვაჟა-ფშაველას ჩანაფიქრი. ვაძლევთ მითითებებს, დააკვირდნენ სურათებს, კადრების მონაცვლეობას, დიალოგს, გმირთა სახეებს და გადმოსცენ თავიანთი შთაბეჭდილება, რას მიიჩნევენ კარგ რეჟისორულ ინტერპრეტაციად და რას შეცვლიდნენ ფილმში.

ამასთანავე, ბუნებრივია, დავავალებთ ტექსტის დასწავლასა და საანალიზო შეკითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემას.

მეორე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა	მოსწავლეთა პრეზენტაციები, პოემის II თავი – შატილისაკენ მომავალი ალუდას ფიქრები
სასწავლო მიზანი	იმედას ქავის სიმბოლური მნიშვნელობის გააზრება
ამოცანები	• იმედას ქავის აღწერა; • ალუდას ფიქრების დაკავშირება იმედას ქავთან; • იმედას ქავის უარყოფა – ალუდა ქეთელაურის სულიერი გამარჯვება; • „ვისაც მტერობა მასწყურდეს“ – ალუდას სიტყვების ანალიზი.
აქტივობები	• პრეზენტაცია (15 წთ) • საპრეზენტაციო მასალის შეჯამება (5-10 წთ); • ტექსტის წაკითხვა „ხმამაღალი ფიქრის“ მეთოდით (10-15 წთ); • წერილობითი რეფლექსია –„ვისაც მტრობა მასწყურდეს“(5-10 წთ);
რესურსები	• სახელმძღვანელო ; • „ქართველი მწერლები სკოლაში, ვაჟა-ფშაველა“, II ნაწილი (ავტორები: ლალი დათაშვილი, მანანა ხუციშვილი); • მანანა კვაჭანტირაძის წერილი „შეხვედრის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას პოემებში“ (ამონარიდი);

	• ალექსანდრე ჭეიშვილის „მხატვრული სახის დინამიკა ვაჟა-ფშაველას პოემებში“ (ამონარიდი).
კლასის ორგანიზების ფორმა	მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან
შეფასება	• განმავითარებელი (კომენტარი); • განმსაზღვრელი (პრეზენტაციის შეფასება შესაბამისი რუბრიკით); • წერილობითი რეფლექსიის შეფასება შესაბამისი რუბრიკით.

მოსწავლეთა მიერ მომზადებული პრეზენტაციები მეორე გაკვეთილზე მასწავლებელმა უნდა შეაჯამოს და გაამყაროს დამატებითი მასალით. სწორედ ამ ეტაპზე დაგვჭირდება კრიტიკოსთა ნააზრევი. ჩვენი აზრით, გრიგოლ კიკნაძის, თამაზ ჩხენკელის, აკაკი ბაქრაძისა და სხვა მეცნიერების გვერდით უაღრესად საყურადღებო და ორიგინალური დაკვირვებები აქვს უსამართლოდ მივიწყებულ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილ ემიგრანტ კრიტიკოსს – ალექსანდრე ჭეიშვილს. გმირთა შერკინების ეპიზოდზე იგი წერს: „მოშუღართა გამხეცება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მათი „დიალოგის“ გარეგან ხმოვანებაში, ასე ვთქვათ, ფონეტიკაშიც პოულობს თავის გამოხატულებას, ეს „არ მოგხვდაუა“, განსაკუთრებით ეს დაგრეხილი დაბოლოება ზმნისა „აუა“, სისხლით ლაშებშეღებილი მხეცის ღმუილს, ბრდღვინვას უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანის ბაგეთაგან მოწყვეტილ დანაწევრებულ სიტყვას“ (ჭეიშვილი 1943:41-42). ამ ფონზე საინტერესოა მოსწავლეებს ყურადღება გავამახვილებინოთ ვაჟას ენის სტილისტიკურ ფუნქციაზე და გავაცნოთ ნიკო მარის მოსაზრება: „ვაჟას ენა ცალკე კურსად უნდა იკითხებოდეს, ქართული მეტყველების კულტურის ინსტიტუტი რომ არსებობდეს. რუსთაველის, საბა ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის შემდეგ ვაჟას ყველა სხვა ქართველ მწერალზე უფრო მახვილი ენობრივი ალღო აქვს... იგი ენაშიც არ არის კონკრეტული ფშაური კილოს განმმეორებელი, აქაც შემოქმედია“(ვაჟა-ფშაველას

დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული 1961:241-242, ხაზი ჩვენია-მ.წ.).

შეხვედრის კონცეპტი ვაჟას პოემებში საგანგებოდ შეისწავლა ზემოთ დასახელებულმა მკვლევარმა – მანანა კვაჭანტირაძემ. მოსწავლეთათვის ასევე საინტერესო იქნება მისი ნააზრევის მიწოდება: „შეხვედრის, როგორც მეტაფიზიკური აქტის წინარე საფეხურია გამოცნობა (ხაზი ავტორისაა)... გამოცნობა ვაჟასთან ან მყისიერი აქტია, ან რთული, პერიპეტიებით სავსე პროცესი. პირველის მაგალითია „სტუმარ-მასპინძელი“, მეორისა - „ალუდა ქეთელაური“. ალუდა მუცალს ორი რამით გამოიცნობს: ნატყვიარში ბალახის ჩაფევით და თოფის გადაგდებით...ხორციელდება ალუდას შეხვედრაც სიკვდილთან და, შესაბამისად, სიცოცხლესთანაც, თავის ფარულ „მე“-სთან. ალუდა ისე გააპატიოსნებს და დაიტირებს გარდაცვლილ მუცალს, როგორც დაიტირებდა საკუთარ თავს, მკვდარი რომ ენახა. შეხვედრისას ხდება „მე“-თა გაცვლა“ (კვაჭანტირაძე 2013:146-148).

ამრიგად, მოსწავლეები სიღრმისეულად გაიაზრებენ, რატომ დაიტირა ალუდამ თავისი მტერი. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ამ საკითხის გაუაზრებლად ისინი პოემის მთავარ აზრს ვერ გაიგებენ.

მეორე გაკვეთილის დარჩენილი დრო ალუდა ქეთელაურის მხატვრული სახის დინამიკას, მისი მეტამორფოზის შემეცნებას დაეთმობა. სწორედ ამ სასწავლო მიზნის რეალიზებით მიიღწევა სწავლების უმთავრესი მიზანი – კეთილმოქალაქე გმირის თვისებების (მოწყალება, ტოლერანტობა, გულით ნაგრძნობი ჭეშმარიტების გაცნობიერება) აღნუსხვა, საზოგადოებრივ სიკეთეზე ორიენტირებული მოქალაქის სახის გამოკვეთა.

პოემის მეორე თავი, შატილისაკენ მიმავალი ალუდას ფიქრები ვაჟას „ცნობიერების ნაკადის“ ჟანრში აქვს მოცემული დროგაჩერებულ, გაქვავებულ სივრცეში – იმედას ქავის ფონზე. სავარაუდოდ, ამ ეპიზოდს მოსწავლეები დამოუკიდებლად ვერ გაიაზრებენ. მეორე თავის 1-ლი მონაკვეთი, ალუდას შატილში შესვლის ეპიზოდამდე, მასწავლებელმა უნდა წაუკითხოს ე.წ. „ხმამაღალი ფიქრის“ მეთოდით და აიყოლიოს, წაკითხულის თანაინტერპრეტატორებად აქციოს მოსწავლეები. „ხმამაღალი ფიქრი“ პაუზებით კითხვასა და წაკითხულის ირგვლივ

შეკითხვების დასმას, პასუხის ძიებას გულისხმობს, მაგ.: „რა უყვათ, ბევრი უნახავ ულვაშაშლილი მკვდარია“, – გვეუბნება ავტორი. რთულია გაგება, ალუდას უნახავს ბევრი „ულვაშაშლილი“ მკვდარი თუ იმედას ქავს, ან იქნებ ორივეს ერთად? თითქოს იმედას ქავს თვით ალუდას სულში დაუდია ბინა. „გველმა ვერ გასჭრა ლიბოი, დღესაც ცოცხალი არია“, გვეუბნება ავტორი და, რა თქმა უნდა, მთიელთა წარმოდგენის გათვალისწინება გვმართებს – გველის მიერ ლიბოს გაჭრა უბედურების ნიშანია. მაინც ძნელია მიხვედრა, რა მხატვრული დანიშნულება აქვს ამ კონტექსტში გველს – ავისმომასწავებელი სიმბოლოა თუ ნეიტრალური დატვირთვის მატარებელი, მხოლოდ და მხოლოდ იმედას ქავის ვერდარღვევის გამოხატულება.

ამრიგად, მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად დაასკვნიან, რომ იმედას ქავი ვერავინ დაარღვია, ბოროტება ჯერჯერობით უძლეველია, მზის სხივები ქავზე გამოკიდებულ ადამიანის ხელებს ისევ ახმობს, დელგმაც ბევრჯერ „მაუსწრებს“ და ზვავებიც ისევ ჩამოუდის ამ ადგილს, მაგრამ ბუნება იმედას ქავისა უცვლელი რჩება, აქ დაღვრილი სისხლი, ალუდას წარმოდგენაში, მდინარედ მიედინება, „ავი“ არდოტის წყალს ერევა.

ბავშვებს (და არამხოლოდ მათ) უჭირთ საოცარი მხატვრული ძალით წარმოდგენილი ფსიქოლოგიური სურათის აღქმა, გაგება იმისა, რომ ალუდამ თავის არსებაში „იმედას ქავი“ დაამსხვრია. დაგვჭირდება მკვლევართა მოსაზრებების მოშველიებაც. აღნიშნულ ეპიზოდზე საუბრისას ალექსანდრე ჭეიშვილი დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიასთან“ ავლებს პარალელს: „დანტეს გმირი მხოლოდ გარეგნულად მოიხილავს ჯოჯოხეთს, ალუდა კი თავის გულში დაანთებს ხალხთა ბარბაროსული გათიშულობის ცეცხლს, რათა შემდეგ ამ ნახანძრალზე აღმოაცენოს მაღალჰუმანისტურ განცდათა სამყარო“.

საინტერესოა, როგორ იაზრებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები აღნიშნულ ეპიზოდს. შეკითხვას, თუ როგორ განუმარტავენ მოსწავლეებს ვაჟას სიტყვებს „გველმა ვერ გასჭრა ლიბოი, დღესაც ცოცხალი არია“, მათ სხვადასხვაგვარი პასუხი გასცეს: „ლიბო ნიშნავს საძირკველს. მოცემულ მონაკვეთში გველმა ვერ დაიბუდა საძირკველში, რადგან ამას მხოლოდ მიტოვებულ ადგილებში ახერხებდა, აქ ამ მოსაზრების ალეგორიული გაგებაა საჭირო, ანუ არ

შესრულდა ამაზრზენი ტრადიცია მკლავის მოჭრისა და გველმაც ვერ გაჭრა ლიბო“(თამარ გურჯიძე, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა). სხვა მასწავლებელი წერს: „თემში ტრადიცია ურყევია. ის თემის ერთობის სიმბოლოა. მტერი მას ვერაფერს აკლებს“(ნათია სიგუა, თბილისის 147-ე საჯარო სკოლა). გვხვდება ამგვარი მოსაზრებაც: „მოცემული ეპიზოდის მიხედვით, იმედას ქავი მტკიცე და დაუძლეველია, მწვავე მზის სხივები ისევ ადნობს ურჯულოს ხელებს. და ხაზგასმული სიტყვები: „გველმა ვერ გასჭრა ლიბოი...“ ნიშნავს, რომ ბოროტმა ძალამ საძირკველი ვერ დაარღვია.იმედას ქავი თემის ტრადიციების სიმბოლოა“(ჟუჟუნა წიკლაური, გუდამაყრის საჯარო სკოლა). სხვა მასწავლებელს მიაჩნია: „ამ სიტყვებით ავტორი მიგვანიშნებს მკლავის მოჭრის ტრადიციის სიმყარეზე“ (დალი ქავთარაძე, დუშეთის 1-ლი საჯარო სკოლა). „ადამიანებში არსებობს შური და ბოროტება, ერთმანეთის გაუტანლობა, სიცოცხლე მარადიულია. მისი ლიბო, ანუ საძირკველი მომდინარეობს მარადისობიდან და მიემართება უსასრულობისაკენ, რომელსაც ბოროტება ვერ ამარცხებს“(ეკატერინე თანიაშვილი, საკრამულის სკოლა). ჩარგლის სკოლის მასწავლებელი წერს: „გველი ძველი ფხოვური მითოლოგიის მიხედვით (გველეშაპი) წყლების და ზღვების მფარველია. მას ვეშა-წყლებიდან მოჰყვება სიკვდილი. იმედას ქავის ციხემ გაუძლო დროს (თუმცა ბაცალიგოში თინიბექაურთ ციხეში გველი ძვრება. ე.ი. დაეცა ციხე)“(მანანა გოდერძაული, ჩარგლის სკოლა).

ამრიგად, მასწავლებელთა ნაწილს მიაჩნია, რომ ვაჟა ამ ეპიზოდში იმედას ქავის სიმტკიცეზე მიგვანიშნებს, ნაწილი კი გველის მიერ ლიბოს ვერგაჭრას ალუდას სახლის საძირკველის, ანუ ალუდას ვერდამაცხების სიმბოლოდ განმარტავს, რაც, ჩვენი აზრით, მოცემულ კონტექსტს არ შეესაბამება. ჩვენ ვეთანხმებით იმ მასწავლებლებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სისხლის აღების ტრადიციას ძლიერი ფესვები (ჩაკირული ლიბო) აქვს ხალხში და იმ დროისთვის ის ჯერ კიდევ შეურყეველია (ლიბოგაუჭრელია).

მოსწავლეები მასწავლებლის მიმანიშნებელი შეკითხვებით გაიაზრებენ, რომ ალუდა შეიცნობს ჯოჯოხეთს, ანუ იმედას ქავს და ზურგს აქცევს მას. ჯოჯოხეთის დამარცხებისა და ალუდას სულიერი გამარჯვების ნიშნად გაისმის ფიცის ფორმულის მსგავსი, თვითწყევლის ინტონაციით ნათქვამი სიტყვები: „ვისაც

მტერობა მასწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში...“ ამ ეპიზოდში ალუდას შემართება მოგვაგონებს ბოროტების დათრგუნვის ერთ-ერთ უძლიერეს შეძახილს ქართულ ლიტერატურაში: „განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო, სულო ბოროტო“. მოსწავლეებს ბარათაშვილის შემართებასაც შევახსენებთ (ეს პოეტი განსაკუთრებით ეხმიანება მათ ჭაბუკურ ფიქრებსა და განცდებს, მოსწავლეებს გამორჩეულად უყვართ ბარათაშვილი), რათა მთელი სისავსით დავუხატოთ, რამხელა შინაგანი ბრძოლა გამოიარა ალუდა ქეთელაურმა და ახალ ადამიანად იშვა.

ამრიგად, მეორე გაკვეთილი დაეთმობა ალუდას გონებაში მიმდინარე ძვრების ჩვენებას. „ხმამაღალი ფიქრის“ მეთოდით წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს დავავალებთ, დაწერონ რეფლექსია სათაურით – „ვისაც მტერობა მასწყურდეს“ (ალუდას მიერ მტერობისა და სისხლობის გმობა-უარყოფა). ამ აქტივობით ისინი შეაჯამებენ და განიმტკიცებენ ეპიზოდის ცოდნასა და გაგებას.

საშინაო დავალებად ჩავანიშნინებთ მომდევნო ეპიზოდის – ალუდასა და უშიშას (შატილელების) დიალოგისა და ხევსურთა მიერ ალუდას შერისხვის – გააზრებას. სასურველია, მივცეთ წერითი დავალება – რა დააბრალეს შატილელებმა ალუდას? (ან: რატომ გაწირეს ალუდა „გულითა ჯავრიანითა?“). საშინაო დავალება უკვე ევრისტიკული მეთოდით წარიმართება, ისინი დამოუკიდებლად გააანალიზებენ აღნიშნულ ეპიზოდს და გამოიტანენ დასკვნებს.

მესამე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა	ალუდას სიზმარი (III თავი)
სასწავლო მიზანი	სიზმრის ალეგორიული მნიშვნელობის ახსნა
ამოცანები	• ალუდას სიზმრის მითოსური პლანის გამოკვეთა; • ალუდას სიზმრის დაკავშირება წინა ეპიზოდთან („ვისაც მტერობა მასწყურდეს“); • სიზმრისეული მუცალის თხოვნის ქვეტექსტის ამოცნობა; • ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური

	მიზანდასახულობის წვდომა (უზნეობის დეესთეტიზაცია, გროტესკულად წარმოჩენა).
აქტივობები	• დამოუკიდებელი მუშაობა (15-20 წთ); • პრეზენტაციები (10-15 წთ); • დემონსტრირების მეთოდი (ფილმის ეპიზოდის ჩვენება) (10 წთ); • შეფასება-კონკურსი (5 წთ).
რესურსები	• სახელმძღვანელო; • ალუდას სიზმრის ეპიზოდი ფილმიდან „ვედრება“; • ბარათებზე დაწერილი შეკითხვები.
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფური მუშაობა; ინდივიდუალური პრეზენტაციები.
შეფასება	განმსაზღვრელი (ქულების განაწილება ნომინაციების მიხედვით).

მესამე გაკვეთილზე, დავალებათა გამოკითხვისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ალუდას სიტყვებზე: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“. როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი მოსაზრებები სწორედ პოემის ამ სიტყვებს უკავშირდება. ამგვარ საკითხებში უმთავრესია მოსწავლის ხალასი მიმართება ტექსტთან, კრიტიკოსთა ნააზრევის მიწოდება კი მხოლოდ მოსწავლეთა თვალსაზრისის მოსმენის შემდეგ არის მიზანშეწონილი.

მესამე გაკვეთილი ძირითადად დაეთმობა ალუდას სიზმრის ახსნას, რასაც მოსწავლეები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეეცდებიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომცემლობა „სწავლანის“ წიგნში სიზმარი წარმოდგენილია ფშაურ

მითოსთან კავშირსა და ვაჟას ლექსის, „დევების ქორწილის“, ასევე გოგი ოჩიაურის საინტერესო ილუსტრაციის თანხლებით.

სიზმრის ეპიზოდის ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ იწყება მისი ანალიზი. სიზმარს მოსწავლეები გაიაზრებენ დამოუკიდებლად, მასწავლებლის საანალიზო შეკითხვების მიხედვით:

1) განმარტეთ სიზმრისეული მუცალის სიტყვები („თქვენ დაგრჩესთ წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა“) – რას ემიჯნება იგი ამით? მოსწავლეებმა სიზმრისავე სიტყვებზე დაყრდნობით („დაძეხით, ხევსურთ შვილებო...“) უნდა გაიაზრონ, რომ ამით ის ემიჯნება „ლაშქრობითა და ხმლების ქნევით“ გაუმაძღარ წუთისოფელს.
2) რატომ ეუბნება მუცალი ალუდას „მინდა სიკვდილი, არ ვკვდები?“
   მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მუცალი ალუდას წარმოდგენაში „არ კვდება“, ხევსურს არ ასვენებს მასზე ფიქრი, სინდისის ქენჯნას განიცდის „უნდომლად მოკლული“ ვაჟკაცის წინაშე.
3) რას ნიშნავს ალეგორიულად კაცის ხორცის ჭამა და წინა თავის რომელ სურათს ეხმიანება ეს აქტი თავისი შემზარაობით?
   ბავშვები უნდა დაფიქრდნენ, რომ ამ ფორმით ვაჟა კაციჭამიობას უთანაბრებს „მტერობასა“ და „სისხლობაში“ გატარებულ ცხოვრებას. სიზმრის ეს მომენტი გაგრძელებაა სიტყვებისა – „ვისაც მტერობა მასწყურდეს...“

აღნიშნულ დავალებას მოსწავლეები წერილობით შეასრულებენ, წაიკითხავენ და შეფასდებიან შესაბამისი რუბრიკით.

ამ ეტაპზე (როცა გაანალიზებული აქვთ სიზმარი) მიზანშეწონილია ალუდას სიზმრის ეპიზოდის ჩვენება თენგიზ აბულაძის ფილმიდან „ვედრება“, რადგან რეჟისორმა ეკრანზე უაღრესად საინტერესოდ გააცოცხლა ხევსურული დატირება: შთამბეჭდავია ტექსტი დატირებისა, მოხუცი ქალის მიერ წამღერებით წაკითხული, ასევე – მოტირალ ხევსურ დიაცთა სახეები.

გამოკითხულ მასწავლებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ვედრება“ რთული აღსაქმელია მოსწავლეებისათვის: „აბულაძის ფილმის გაგება უჭირთ იმ მხრივ, რომ სპეციფიკურია, საავტორო ფილმი უფროა და პერსონაჟებს ვერ აიგივებენ.

განსამარტავია ხოლმე რეჟისორის ჩანაფიქრი“ (აზა მირგატია. თბილისის 147-ე სკოლა). შესაძლოა სწორედ ეს სირთულეა მიზეზი იმისა, რომ მასწავლებლები დამხმარე რესურსად ამ ფილმს არცთუ ისე ხშირად მიმართავენ. ჩვენი აზრით, ფილმის ზოგიერთი მონაკვეთის (მაგ. ალუდასა და მუცალის შერკინება, ალუდას სიზმარი, საჯიხვეებთან გამოთხოვება, ზვიადაურის „დაკვლა“ დარლას საფლავზე და ა.შ.) დემონსტრირება უთუოდ სასურველ განწყობას შეუქმნის მოსწავლეებს.

ამასთანავე, ექსპერტებს გარკვეული შენიშვნები ჰქონდათ ფილმის ნაწილ-ნაწილ ჩვენებასთან დაკავშირებით (როგორც კონცეპტუალური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით). გასათვალისწინებელია ის, რომ ფილმის მონაკვეთის ჩვენება სასურველია მხოლოდ ეპიზოდის გააზრების შემდეგ. პოემის შესწავლის ბოლო ეტაპზე. ფილმს მთლიანად უჩვენებს შემაჯამებელ ეტაპზე თუ შესწავლის პარალელურად, ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია.

გაკვეთილის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ალუდას სიზმარში მითოსური ელემენტები იჭრება, კერძოდ, ფშაური გადმოცემა დევების მიერ კაცის ხორცის ჭამისა და ასევე ღამით მკვდართა სულების აღდგომისა და ქვეყნად ხეტიალის შესახებ. მასწავლებელმა სწორედ მითოსის ესთეტიკური ფუნქცია უნდა შეამეცნებინოს მოსწავლეს. როგორც აღვნიშნეთ, ვაჟას ესთეტიკა უსაგნოდ არასდროსაა მოცემული.

მეოთხე გაკვეთილი დაეთმობა მუცალის მარჯვენის ბედის ეპიზოდს (მე-4 თავი). იგი ჯგუფური მუშაობის ფორმით, საანალიზო შეკითხვების მეშვეობით დამუშავდება:

1. გადმოეცით მუცალის მარჯვენის ბედი (IV თავი და V თავის მეორე ნაწილი), რა ნიშნით უკავშირდება იგი წინა ეპიზოდებს?
2. დაახასიათეთ მინდია, რომელიც ალუდას „მიართმევს“ მუცალის მარჯვენას
3. რატომ არ ახლებს „ქოფაკი“ პირს მუცალის ხელს?

კაი ყმის მარჯვენას, რომლის დანახვაზეც ალუდას „გული ეწვება ბრალითა“, ჯერ ხევში გადაისვრის მინდია, შემდეგ ყორანი გაიტაცებს, მას ისრით გააგდებინებენ კლანჭებიდან და ძაღლს მიუგდებენ საჯიჯგნად. მას შემდეგ, რაც ძაღლი პირს არ

დააკარებს („წკმუტუნი მორთო ბრალისა“), ბავშვები ძირს ათრევენ კავით, კაი ყმის მარჯვენით თამაშობენ.

მუშაობს რამდენიმე ჯგუფი. ჯგუფის შიგნით მოსწავლეები თავად გაანაწილებენ საკითხებს, ჯერ ცალ-ცალკე (სასურველია, წერილობით) დაამუშავებენ თითოეულს, შემდეგ კი შეაჯამებენ და ბოლოს თითო ჯგუფიდან ერთი პრეზენტატორი წარმოადგენს ერთობლივ დასკვნებს (არა ცალკე შეკითხვათა პასუხების ჯამის, არამედ ერთიანი პრეზენტაციის სახით).

მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ეს ეპიზოდი ადამიანის დაუნდობლობას უსვამს ხაზს, ისევე, როგორც სისხლიანი იმედას ქავი და ალუდას სიზმრისეული კანიბალიზმი. მოსწავლეებს ზარავთ ეს სცენები, რომელთა მიღმაც ცხადად ამოიკითხება ავტორის პოზიცია, ვაჟა-ფშაველა თვითონ არის ალუდა ქეთელაური, რომელიც გვეუბნება, რომ ადამიანის, თუნდაც მტრის, სიძულვილი ძაღლზე დაბლა გვაყენებს, ეშმაკეული დევების თანაზიარს გვხდის და გვაკარგვინებს ღვთის ხატებას. აქ ისევ გაისმის ლოცვა – „არ დამეკარგოს გულიდან მე შენი სახსოვარია“. მოსწავლეებს პარალელს გავავლებინებთ უკვე ნასწავლ ლექსთან „ჩემი ვედრება“ და შატილელების, მათ შორის, ბავშვების, აუხსნელ შეუბრალებლობას ლექსში აღწერილ ანტიგმირთან დავაკავშირებინებთ: „ნუ მავლევ ქვეყანაზედა გაციებულის ლეშითა, თვალებში მადლდაკარგულსა, შუბლზე გაკრულის მეშითა“. ვაჟა გრძნობს, რომ გულგაყინულობისა და მადლის დაკარგვის საფრთხე ყველას შეიძლება ეწიოს.

საშინაო დავალებად ჩავანიშნინებთ შემდეგი ეპიზოდის (კურატის შეწირვისა და ალუდას მოკვეთის) დამოუკიდებლად წაკითხვასა და დამუშავებას მითითებებით:

- მუცალისთვის კურატის შეწირვის მიზეზისა და მიზნის გამოკვეთა (წინა ეპიზოდთან, სიზმართან დაკავშირება)
- ბერდიასა და,ზოგადად, თემის მახასიათებლების აღწერა

ეს დავალება მიზნად ისახავს:

- ✓ ალუდას სიზმრისა და კურატის შეწირვის ეპიზოდებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირის გამოვლენას (სიზმრად მოვლენილმა მუცალმა ხვეწნით სთხოვა ალუდას, „მამკალო“,

იმქვეყნიური გზის „დალოცვა“ ითხოვა და ალუდამაც ამიტომ შესწირა მის სულს კურატი).

- ✓ თემის დაუნდობელი ბუნების გამოკვეთას
- ✓ ალუდას „სამოქალაქო“ ნაბიჯის ანალიზს

მეხუთე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა	V-VI თავები – ალუდა ქეთელაურის შემწყნარებლობა თვისტომთა მიმართ
სასწავლო მიზანი	ალუდას ნაბიჯის საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა
ამოცანები	• კურატის შეწირვის მნიშვნელობის ახსნ (მნიშვნელობა ალუდასთვის, თემისთვის); • ბერდიას გაავების მიზეზის გამოყოფა; • მინდიას მხატვრული სახის ანალიზი; • ალუდას დიდსულოვნების მიზეზის წვდომა; • მხატვრულ-ენობრივი თავისებურებების ანალიზი.
აქტივობები	• დავალების გამოკითხვა (10 წთ); • „შეწყვეტილი კითხვის“ მეთოდი (10 წთ); • დებატები ან ლექცია-პრესკონფერენცია (20 წთ); • მოკლე რეფლექსია (5 წთ).
რესურსები	• სახელმძღვანელო; • სტიკერები.
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფური (დისკუსია); ინდივიდუალური (შეკითხვებზე პასუხი).

მეხუთე გაკვეთილი დაეთმობა პოემის ძირითადი პრობლემის – პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების – ანალიზს. სწორედ ამ ეტაპზე გამოიკვეთება ალუდა ქეთელაურის მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების საბოლოო, დამაგვირგვინებელი ეტაპი. ალუდას ცნობიერ გზას კრიტიკოსები ხან მეტამორფოზად ნათლავენ, ხან – ფერისცვალებად, ან პიროვნების დაბადებად. ჩვენ ამ ურთულეს, შინაგანი პერიპეტიებით აღსავსე პროცესს მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებად მივიჩნევთ. მართალია, „დავლათიანი“ ალუდა პოემის დასაწყისიდანვე ღირსეული წევრია საზოგადოებისა, საფიხნოს თავში ჯდომისა და გადამწყვეტი სიტყვის უფლებით, მაგრამ ჭეშმარიტ მოქალაქედ იგი მაშინ ყალიბდება, როცა საუფლო ჟამზე, ხატობაზე, ყველას თვალწინ კლავს კურატს და ამით აჩვენებს, რომ მტერში ადამიანი უნდა ეძებონ და დააფასონ. ის არ ერიდება საკუთარი განცდებისა და გადაწყვეტილებების გამომზეურებას, ჯერ კიდევ შატილელებთან პირველი შეხვედრისას შთამბეჭდავი სიტყვებით აღწერს „ცხონებული“ მუცალის სიკვდილისწინა მოქმედებებს.

ვაჟკაცი ქისტის ქებისა და ცხონების მოსმენა სინამდვილეში თემს უფრო სჭირდება, ვიდრე ალუდას, რადგან თემი ზნეობრივად უნდა გაიზარდოს. ამ ეტაპზე ეს იცის ალუდამ (გაცნობიერებული აქვს) და კურატის შეწირვის ეპიზოდში ამ ნაბიჯს სრულიად ცნობიერად, გააზრებულად დგამს.

მოსწავლეები წარმოადგენენ ამ საკითხის ირგვლივ შესრულებულ დავალებებს და გაიმართება დისკუსია (მთავარი შეკითხვა – რატომ შესწირა ალუდამ მუცალს კურატი?)

დისკუსიის შემდეგ „ვარაუდების სქემის“ (სხვაგვარად: „შეწყვეტილი კითხვის“) გამოყენებით მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს პოემის ბოლო თავს, კითხვას წყვეტს იმ ადგილას, როცა ალუდას დედა საწყალობლად მოთქვამს ბალღების „აბოჟირებისა“ და უგზოდ ხეტიალის გამო („ვაჰმე, რა უგზოდ დავდივარ,/ვაჰმე, როგორა ბნელაო“), მოსწავლეებს მიმართავს, გამოიცნონ, რას უპასუხებს ალუდა, გაიზიარებს თუ არა დედის განწყობას. ისმენს ყოველი მათგანის პასუხს და შემდეგ უკითხავს ალუდას პასუხს: „დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა, მოდით, მომყევით, ვიდინოთ, თემს არ აწყონოთ, ხატს ნუ სწყევთ, ღმერთმ ეს გვარგუნა

ბედადა“. სწორედ ამ პასუხით მტკიცდება ყოველივე ზემოთ თქმული – ალუდა მზად იყო თავისი ხვედრისთვის, იცოდა, რომ თემს გაუჭირდებოდა მისი სიმართლის მიღება ან ვერ მიიღებდა მას. ბავშვებს ვთხოვთ, გაიხსენონ, რას უპასუხებს ალუდა ბერდიასა და თემს მისი მოკვეთის შემდეგ. ისინი აღმოაჩენენ, რომ ალუდა ჩუმად დგას, არაფერს ამბობს თავის დასაცავად, თვინიერად იღებს საზოგადოების გადაწყვეტილებას. ამდენად, დედისა და ცოლისადმი მიმართვა ამ კონტექსტში ლოგიკურია.

მინდიას სახის შეფასებას კრიტიკოსთა, და, ბუნებრივია, მოსწავლეთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები მიემართება. ზოგი მას ალუდას გზის გამგრძელებლად მიიჩნევს, ზოგი კი პასიურ გმირად. ასეთი გმირებისა და საკითხების გარშემო შესაძლებელია საკლასო დებატების გამართვა, თოთოეული მხარე ცდილობს საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებას, დამაჯერებლად წარმოდგენას და ეს აქტივობა, ბუნებრივია, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას, ხოლო ცოდნის თვალსაზრისით, ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას შეუწყობს ხელს. სასურველია, მინდიას სახე ალუდასთან შეპირისპირებით დავახასიათებინოთ (სავარაუდოდ, საშინაო დავალებად) – შეადარეთ ერთმანეთს ალუდასა და მინდიას იდეალები.

მეექვსე გაკვეთილი. ჩვენი აზრით, ტექსტის გააზრების ბოლო ეტაპზე ეფექტური მეთოდია ე.წ. „ლექცია-პრესკონფერენცია“ – მასწავლებელი წინასწარ გააცნობს მოსწავლეებს ლექციის თემას, თითოეული მათგანი წერს შეკითხვას სტიკერებზე, მასწავლებელი ახარისხებს შეკითხვებს და იწყებს ლექციას, რომელიც წარმოადგენს არა შეკითხვების ხელოვნურ ჯამს, არამედ ერთიან სტრუქტურულ ელემენტს. ამ მეთოდით მოსწავლეები შეკითხვის დასმის ხელოვნებაში გაივარჯიშებენ. ერთ-ერთი ექსპერტი გვირჩევს, რომ ამ საფეხურზე ისინი ამ მიმართულებით ვამუშაოთ, რათა გაიაზრონ,რომ შეკითხვის დასმა გაცილებით რთულია, ვიდრე პასუხის მოძიება. ეს აქტოვობა მათ აზოვნებას განუვითარებს.

„ალუდა ქეთელაურის“ სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე ლექცია-პრესკონფერენცია შეეხება პოემის საკვანძო საკითხს – საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირების ანალიზს.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ანაწილებს თემებს და მომდევნო (მეშვიდე) გაკვეთილზე მოსწავლეები საკლასო კონფერენციას მოამზადებენ. ეს იქნება ბოლო, შემაჯამებელი გაკვეთილი, მოსწავლეები მოამზადებენ 5-7-წუთიან მოხსენებებს, სასურველია, Power Point-ის პრეზენტაციის თანხლებით. შეფასდებიან როგორც ავტორები, ასევე აქტიური მსმენელები და საინტერესო შეკითხვის ავტორები.

პოემის სწავლებასთან დაკავშირებული შემაჯამებელი საკითხები დასკვნებისა და რეკომენდაციების ქვეთავშია წარმოდგენილი.

5.2 პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ – საზოგადოების გაუკეთესების დასაწყისი (ღვაწლით დაგვირგვინებული მოქალაქეობა)

ამ პარაგრაფში პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ სწავლების საკითხები „ალუდა ქეთელაურის“ თანმიმდევრობითაა განხილული:

- ✓ ნაწარმოების ნაირგვარი შეფასებები და ინტერპრეტაციები (ყურადღება მახვილდება უახლეს, თანამედროვე შეფასებებზე)
- ✓ სახელმძღვანელოების სასწავლო კონცეფციის აღწერა-ანალიზი (შეკითხვების ფორმულირების, დავალებათა ტიპების, დამატებითი მასალის მიწოდების მხრივ)
- ✓ პოემის სწავლების ახალი სასწავლო კონცეფცია (სასწავლო მიზნის განსაზღვრა, საათების განაწილება, გაკვეთილების სცენარები).

მსჯელობაში ჩართულია მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, ასევე, მასწავლებელთა მეთოდური ჩანაწერები თამაზ კვაჭანტირაძის წიგნიდან „სასიტყვეთი, სიტყვიერების მასწავლებლისა და უფროსკლასელების შემხიდებელი“ (რუბრიკა „საფიხვნო“ – მასწავლებელთა მოსაზრებები). საბოლოო ეტაპზე ამ ეპიზოდში ასევე გარკვეული დოზით ავსახეთ ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები.

5.2.1.„სტუმარ-მასპინძლის“ კონცეფციის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები

ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძელში“ უფრო სიღრმისეულად და მასშტაბურად გაშალა ალუდა ქეთელაურის შეგნებაში აღმოცენებული იდეები. ამ პოემაში თემი თავად არღვევს საუფლო წესს, თავს ესხმის პიროვნებას და აიძულებს, დაივიწყოს ადათი, უმრავლესობის ნებას დაემორჩილოს: „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა“.

პოემაში მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების დინამიკა აღაზას მაგალითზეა წარმოდგენილი, ჯოყოლა – „ღირსების მოტივის“ პერსონიფიკაციაა, ზვიადაური კი – გაუტეხელობა-შეურყეველობისა. პოემაში სამივე გმირი ერთ იდეას განასახიერებს.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში გარკვეულწილად დაძლეულია აზრი იმის თაობაზე, რომ „სტუმარ-მასპინძელში“ ერთმანეთს უპირისპირდება „ორი სიმართლე“– თემისა და პიროვნებისა. მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში პოემა სწორედ ამგვარი გააზრებით ისწავლებოდა. თემის ქცევაში, შურისძიების მოტივში, ზოგიერთი კრიტიკოსი გარკვეულ სიმართლეს ხედავდა: „ვგრძნობთ, რომ იბადება წინააღმდეგობა, რომელშიც თვითეული მხარე მართალია და მორალურად მაღალი და რომელთა შერიგება სიკვდილსაც არ შეუძლიან“ (ნატროშვილი 1947:224). ბენო დობორჯგინიძის აზრით, ნაწარმოების მიხედვით, „თემიცა და პიროვნებაც ერთნაირად იცავენ თემობის წესს და ასევე ერთნაირად არღვევენ მას“ (დობორჯგინიძე 1962:91). განსაკუთრებით პოპულარული გახდა ეს შეხედულება აკაკი ბაქრაძის კრიტიკული შრომების გამოსვლის შემდეგ: „ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ზნეობრივი წესი – სტუმარმასპინძლობა და შურისძიება. ორივე, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების მიერ თანაბრად არის აღიარებული... რა უნდა ჰქნას, ერთი მხრივ, ჯოყოლამ და, მეორე მხრივ, საზოგადოებამ? ორივე ადათის დაცვა შეუძლებელი და გამორიცხულია... ჯოყოლამ (პიროვნებამ) სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა არჩია, საზოგადოებამ – შურისძიებისა. დაირღვა ჰარმონია. ორი სიმართლე დაეჯახა ერთმანეთს“ (ბაქრაძე 1990:194). ამ მოსაზრებამ ღრმად გაიდგა ფესვები და ერთ-ერთ ამჟამინდელ

სახელმძღვანელოშიც არის წარმოდგენილი პოემის გააზრების ალტერნატიულ მაგალითად (იხ. მერიდიანი XI, 2012).

გრიგოლ კიკნაძეს იმთავითვე განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. კრიტიკოსი იმ აზრზე იდგა, რომ წინააღმდეგობის სათავე თვით თემშია, იგი ეწინააღმდეგება საკუთარ ადათს. სწორედ კიკნაძისეულ მოსაზრებას ეფუძნება პოემის თანამედროვე წაკითხვის ცდანი, თუმცა ახალი ეპოქის შუქზე „სტუმარ-მასპინძელი“ სხვანაირად იკითხება. მკვლევრები - პაატა ჩხეიძე და ლევან ბებურიშვილი აქტუალური კუთხით განიხილავენ ვაჟას ჩანაფიქრს. პაატა ჩხეიძე წერს: „თემი, ან უკვე „ფსევდოთემი“, ძლიერია და თავბრუდახვეული ძალაუფლებით და ადათ-წესებს კი არ იცავს, თავისი აწმყო ანუ ძალაუფლება მიაჩნია წესად... ჯოყოლა და აღაზა კი არ არიან მეამბოხენი, მეამბოხეა ქისტების უმრავლესობა, რომელიც არღვევს ადათს და ამყარებს დესპოტიზმს“ (ჩხეიძე 2006:38).

ლევან ბებურიშვილი მიიჩნევს: „უმრავლესობის ნება არ შეიძლება იყოს სიმართლის უპირობო საბუთი და არსებობს ეთიკის სფერო, რომელიც უმრავლესობის ნებაზე მაღლა დგას და კალკულაციით არ განისაზღვრება. პიროვნების ძლიერება სწორედ მაშინ ვლინდება თვალნათლივ, როდესაც იგი უმრავლესობის ნების წინააღმდეგ დაიცავს ზნეობრივ ღირებულებას. ნამდვილი პიროვნება ისაა, ვინც არ გაეთელინება მასის დამთრგუნველ ძალას და ყოველგვარი ზეწოლის მიუხედავად მოახერხებს ზნეობრივ სუბიექტად დარჩენას“ (ბებურიშვილი 2016:127).

უთუოდ გასაზიარებელია აზრი, რომ „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ალუდა ქეთელაურში“ სტუმარმასპინძლობა და რაინდობა თემსა და მის კანონს კი არ უპირისპირდება, არამედ უმრავლესობის დესპოტიზმს, რასაც დღეს რევოლუციებსა და გლობალიზმს უწოდებენ“ (ჩხეიძე 2006:38). ამრიგად, ჯოყოლა მოქალაქეობრივი შეგნებით დაჯილდოებული გმირია, ის სოციალური ტიპია: „აქ [„სტუმარ-მასპინძელში“ - მ.წ.] პიროვნული მორალი კი არ უპირისპირდება სოციალურ მორალს, როგორც ამას ზოგჯერ მიუთითებენ ხოლმე, პიროვნება რაიმე ახალ ზნეობრივ კანონს კი არ ადგენს, არამედ სწორედაც რომ იგი იცავს სოციალური მორალის იმ ნორმას, რომელსაც აფექტებს აყოლილი საზოგადოება თავად

ღალატობს. ერთი სიტყვით, ჯოყოლა ცამდე მართალია არა მხოლოდ პიროვნული, არამედ სოციალური მორალის თვალსაზრისითაც“ (ბებურიშვილი 2016:125).

ამრიგად, ჯოყოლა სოციალური გმირია, იგი იბრძვის სწორედ იმ ღრმად ქრისტიანული იდეალებისათვის, რომლებიც ვაჟას ზემოთ განხილულ ლექსში – „ჩემს ვედრებაშია“ – წარმოდგენილი: „არ დამეკარგოს გულიდან მე შენი სახსოვარია“, ჯოყოლა ცდილობს, თემსაც შეანარჩუნებინოს ეს „სახსოვარი“:

„თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა;
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ,
სახლში ვართ, განა შარადა!
ვაი თქვენ, ქისტიშვილებო,
მომდგარნო ჩემს კარს ავადა,
უიარაღოს აწვალებთ,
გული რასა გრძნობს თავადა?“ (ვაჟა-ფშაველა II, 1961:108)

ეს არ არის მხოლოდ საკუთარი ოჯახის ღირსების დაცვა, როგორც მიიჩნევს თანამედროვე მკვლევარი ზაზა შათირიშვილი: „ის უნდა შეებრძოლოს მტერს, რადგან უნდა დაიცვას უკვე არა მთლიანად თემი, არამედ ოდენ საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი, ოჯახის წესი, ანუ ღირსება“ (შათირიშვილი 2006:29). ჩვენი აზრით, ამ ეტაპზეც (სახლში მოცვენილ ქისტებთან დაპირისპირებისას) და შემდეგაც, როცა ხევსურებს მარტო შეებრძოლება, ჯოყოლა იცავს არა ოდენ საკუთარ, არამედ საზოგადოებრივ ღირსებასაც. რჯულდავიწყებული, რაინდობის წესის დამღვევი თემის ზნეობივი სახე ვაჟა-ფშაველას ძლიერ აფიქრებს. მას გულს შეუძრავს ის, რომ შურისძიების პირუტყვულ წადილს აყოლილი თემი ერთსახოვან წარბშეუხრელ ავსულად ქცეულა:

„კაცნი ვერ გრძნობენ ზოგჯერა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან,
რამდენი ავსული ვიცი,
წარბშეუხრელად დადიან,
თვისი მტანჯველის შემუსვრა
ან კი ვის არა სწადიან?“ (ვაჟა-ფშაველაII 1961:109).

ზვიადაურის არშეწირვის შემდეგ ყველაზე შემზარავ ფიქრსაც კი გაივლებენ გონებაში:

„შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები“ (ვაჟა-ფშაველა II 1961:110).

მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია სწორედ ის, რაც ამ ფიქრს მოჰყვება. ადამიანს, სისხლისმსმელად ქცეულ ავაზაკსაც კი შეუძლია თავის წიაღში შებილწული ღვთის ხატის აღდგენა, ბოროტების გზის დაგდება და სიკეთის გზაზე შედგომა:

„ცოდვაა!“ - ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდნენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
„ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?“ (ვაჟა-ფშაველა 1961:110).

ეს სინანული წამიერია, თემი ისევ სისასტიკეს აღასრულებს, ჯოყოლას ახლოს არ გაიკარებს, „უცხო კაცის მოზარე“ აღაზასაც განუდგება და სასიკვდილოდ გაწირავს, მაგრამ სამივე გმირი მათ წარმოდგენაში შარავანდედით იმოსება. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ პოემის ფინალში საუფლო ნადიმს სწორედ ჯარეგელები ხედავენ, თანაც „ცქერით ვერ ძღებიან“, მაგრამ განგების ძალით („წერამწერელის წერით“) გადაფარებული ჯანღი უბურავს მათ საოცნებო სანახაობას. პოემის შესწავლის შემაჯამებელ ეტაპზე სწორედ ფინალის გააზრებით უნდა ჩამოყალიბდეს ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ნააზრევი და ამ სულისკვეთებით აღიზარდოს მომავალი თაობა.

5.2.2 „სტუმარ-მასპინძელი“ ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე სახელმძღვანელოებში

ვახტანგ როდონიას ჯგუფის სახელმძღვანელოში ზვიადაურისა და ჯოყოლას შეყრა-დაახლოების სცენა შემდეგი აქცენტებითაა გადმოცემული: „მთაში გავრცელებულმა რომელმა წესმა შეუწყო ხელი ჯოყოლასა და ზვიადაურის დამეგობრებას?“, „რას სთავაზობს გულღია მასპინძელი სტუმარს?“, „რატომ ეპატიჟება მაჰმადიანი ჯოყოლა ქრისტიან სტუმარს ამ სიტყვებით: „მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან ნათლია? რა არის მისთვის მთავარი?“, „რას უსურვებენ ერთმანეთს სტუმარი და მასპინძელი, რაზე მეტყველებს მისალმების ეს ფორმულა?“(სწავლანი XI, 2012:410-412). ამგვარი შეკითხვები მოსწავლეს დააფიქრებს იმაზე, რომ მაჰმადიანი და ქრისტიანი „მშვიდობას“ („სტუმარო, მოხველ მშვიდობით“) აყენებენ ყველაფერზე წინ, მაჰმადიანი ქრისტიანს მის „ენაზე“ ელაპარაკება („მობრძანდი, როგორც... ნათლიმამასთან – ნათლია“), ქრისტიანული ღირებულებებისადმი პატივისცემას გამოხატავს და ამით ჰუმანურობას ყველაზე მაღლა აყენებს. ზემოაღნიშნული შეკითხვები ამ მხრივ მოსაწონია.

მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების თვალსაზრისით ყველაზე ხელშესახებ „მასალას“ ამ პოემაში ჯოყოლას მხატვრული სახე წარმოადგენს, სწორედ მასთან მიმართებით დასმულმა შეკითხვებმა უნდა ამოაცნობინოს მოსწავლეს ჩვენ მიერ ზემოთ დასმული პრიორიტეტული საკითხი – პიროვნება საზოგადოებრივი ზნეობის სადარაჯოზე დგას და საკუთარი სიცოცხლის ზვარაკად მიტანით საზოგადოების გაუკეთესებას, მის სულიერ გამოღვიძებას შეეწევა.

მოვიყვანოთ ამ მხრივ საინტერესო შეკითხვები და დავალებები: „ჩამოთვალეთ მიზეზები, რომელთა გამოც იცავს ჯოყოლა ზვიადაურს“; „როგორ ცდილობს ჯოყოლა თანამოძმეთა გონს მოყვანას?“; „ჯოყოლას სიტყვით, ვინ შერისხავს უსამართლობის ჩამდენთ?“; „რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქისტების ქმედებისადმი მწერალი?“; „რა მიაჩნია ორ დაპირისპირებულ მხარეს უფრო მძიმე დანაშაულად: თემის პირის გატეხა თუ საუფლო წესის დარღვევა?“ (სწავლანი XI, 2013:413-415). ეს უკანაკნელი შეკითხვა გამოძახილია ჯოყოლას სიტყვებისა: „რად

სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“ და მუსას ჯოყოლასადმი მიმართვისა: „შენაც ამასთან შაგკონავთ, თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!“ მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რომ თემის პირის გატეხაში მუსა თემისადმი უსიტყვო მორჩილების დარღვევას გულისხმობს და გავააზრებინოთ, რას მოითხოვდა თემი ჯოყოლასაგან. ამ მხრივ საინტერესოდ მიგვაჩნია ე.წ. „შეწყვეტილი კითხვის“ სტრატეგიის გამოყენება, რომლის მაგალითიც მოგვყავს მასწავლებელთა გამოცდილებიდან. თამაზ კვაჭანტირაძის წიგნში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვეწოდება ქართულის მასწავლებელთა მოსაზრებები ვაჟას სწავლების საკითხებზე. ერთ-ერთი მასწავლებელი, მამუკა ოჩიგავა, წერს, რომ ჯოყოლას ოჯახში ქისტების შეჭრის ეპიზოდს „გამოცნობის ეფექტით“ ასწავლის: თქვენი აზრით, რას იზამს ჯოყოლა, როცა ქისტებისაგან გაიგებს, რომ ძმის მკვლელს მასპინძლობს?“ - ასეთ შეკითხვაზე წინასწარი მსჯელობა მოსწავლეებს ვაჟას იდეალების წვდომაშიც შეეწევა და ემპათიის (თანაგანცდის) უნარსაც განუვითარებს, მასწავლებელი იხსენებს, როგორ თანაუგრძნობდნენ ბავშვები ზვიადაურს და არ უნდოდათ, რომ ჯოყოლას გაეყიდა სტუმარი (კვაჭანტირაძე 2008:170). ვფიქრობთ, ასეთი მეთოდების გამოყენება ეფექტურია გმირის მოტივაციის გასაგებად.

უაღრესად მნიშვნელოვანია თემის სულიერი გამოღვიძების აქცენტირება, რასაც ემსახურება შეკითხვები: „როგორ იმოქმედა ზვიადაურის გაუტეხელობამ ქისტებზე?“; „რითი ახშობენ ისინი გამოღვიძებულ სინდისის ხმას?“; „ვისი ნაბრძანებია ცრემლი? (შდრ. „სად არის შურისძიების სამკვიდრებელი)?“[17]; „როგორ ფიქრობთ, რატომ იღუპებიან პოემის მთავარი გმირები? როგორი გამარჯვება მოსდევს მათ ფიზიკურ მარცხს?“; „ჩნდება თუ არა ნაწარმოებში იმედი იმისა, რომ ეს „სურათი“ (ანუ მწერლის იდეალი) ოდესმე ამქვეყნადაც შეისხამს ხორცს? (პასუხი დაასაბუთეთ)“ (სწავლანი XI, 2012:419-428).

ტექსტის დასრულების შემდეგ, შემაჯამებელ ეტაპზე, მოსწავლეებს ავალებენ, მწერლის ძირითადი სათქმელის გამოსაკვეთად ამოკრიბონ პოემიდან ადგილები,

---

[17] ეს შეკითხვა ეხმიანება ზვიადაურის ცხედრის გამწირავი ქისტების სიტყვებს:„არ შაეწირა. ეგდოსო/ ეგეც ეყოფა ზიანად“. ამ სიტყვებს ვაჟა ბნელ ხევებსაც ამეორებინებს: „ამას იძახდნენ ქისტები/ თავმოწონებით, ხმიანად./ამასვე იმეორებდენ/ბნელი ხევები მთიანად.“

რომლებშიც თავს იჩენს პოეტის პოზიცია, დამოკიდებულება პერსონაჟებისადმი, დააკვირდნენ ლირიკულ გადახვევებს და ისე ამოიცნონ მწერლის ძირითადი სათქმელი (სწავლანი XI, 2012:428)

საგანგებო განმარტება ან რომელიმე კრიტიკოსის ამონარიდი „სწავლანის“ სახელმძღვანელოში მოყვანილი არ არის. გამონაკლისია მხოლოდ აღაზას სახესთან მიმართებით მოხმობილი ხალხური ლექსი: „ლომო, შე ლომის მოკლულო“ (გვ. 427). ყურადღება გამახვილებულია ლირიკული გმირის სიტყვებზე: „ლამაზად დაგიტირებდი, შიში არ მქონდეს ქმრისაო“ – ამას მოსდევს შენიშვნა: „როგორც ჩანს ამგვარი იყო ქმრის წინაშე ქალის მოვალეობის ხალხური ტრადიცია“ ((სწავლანი XI, 2012:427). აქვე წარმოდგენილია ვაჟას მოგონება წერილიდან „კრიტიკა ბ.იპ.ვართაგავასი“: „ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის“. საბოლოოდ, მოსწავლეებს ავალებენ, იმსჯელონ ჯოყოლას პასუხზე და შეაფასონ მწერლის მიერ ცოლ-ქმრის დიალოგის ამგვარი გადაწყვეტა. ვფიქრობთ, ვაჟას შემოქმედებითი პროცესის გასააზრებლად შემორჩენილი ეს უმნიშვნელოვანესი შენიშვნა და, ზოგადად, იპოლიტე ვართაგავას პასუხად დაწერილ წერილში მოყვანილი ფაქტები მაქსიმალურად უნდა ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, როგორც ავტორის მიერ საკუთარი შემოქმედებითი პროცესის აღწერის იშვიათი მაგალითი.

ნაკლები მიზანდასახულობით გამოირჩევა მეორე სახელმძღვანელოს, „მერიდიანის“ შეკითვები პოემის ზემოაღნიშნული საკვანძო ეპიზოდების ირგვლივ: „რას მიიჩნევს ჯოყოლა „თავისი კაცობის ქელვად“? რა ეპითეტით მოიხსენიებს იგი სტუმარმასპინძლობის ტრადიციას? აქედან გამომდინარე, ვის ეწინაამდეგება ამ ტრადიციის დამრღვევი?“; „თემის რომელ ადათს არღვევს ჯოყოლა? როგორ ფიქრობთ, გულის კარნახით მოქმედებს იგი თუ გონების?“; „ჯოყოლა ქისტებს სთხოვს, რომ გაუშვან ზვიადაური მისი სახლიდან და მერე აგებინონ პასუხი. იმსჯელეთ ჯოყოლას თხოვნის მოტივზე“; „როგორი იყო ჯოყოლას რეაქცია, როდესაც ცოლი ზვიადაურის დატირების შესახებ მოუყვა? შეაფასეთ ჯოყოლა ამ პასაჟის მიხედვით. იმსჯელეთ პერსონაჟის შინაგანი სამყაროს, მისი ზნეობრივი სახის შესახებ“; „თქვენი აზრით, მიიჩნევს ჯოყოლა თავს დამნაშავედ თემის წინაშე? აღაზა?

რატომ ფიქრობთ ასე? თვალსაზრისი დაასაბუთეთ“; „ჩანს თუ არა პოემაში ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება როგორც პერსონაჟების, ისე თემის მიმართ? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტობრივი მასალით“; „დააკვირდით პოემის ფინალს და იმსჯელეთ, რამდენად გამოკვეთს იგი ნაწარმოების მთავარ სათქმელს? რა იდეური დატვირთვა აქვს მას?“(მერიდიანი XI, 2012:352-353).

თუ დავუკვირდებით ამ შეკითხვების მიმართულებას, დავრწმუნდებით, რომ ისინი პოემის ფაქტობრივ ცოდნას დიდად არ სცილდება. სრულიად უსაფუძვლო და აზრს მოკლებულია შეკითხვა იმის შესახებ, მიიჩნევს თუ არა ჯოყოლა თავს დამნაშავედ, ვინაიდან პოემაში ჯოყოლა საკუთარ არჩევანში იოტისოდენა დაეჭვებასაც კი არსად ავლენს.

ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოში ტექსტის გააზრების ეტაპზე დასმული შეკითხვები მაქსიმალურად კონკრეტული ფორმულირებით უნდა მიემართებოდეს უმთავრეს საკითხებს და გარკვეული სასწავლო კონცეფცია უნდა ედოს საფუძვლად. ზოგადი შეკითხვების დასმა მხოლოდ შემაჯამებელ ეტაპზეა მიზანშეწონილი.

„სწავლანის“ სახელმძღვანელოს შეკითხვები გამოირჩევა გაცილებით მეტი კონკრეტიკით, ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ეფექტური ფორმულირებითა და, რაც მთავარია, ისინი მიმართულია ვაჟას მიზნის გააზრებისკენ. კარგ შეკითხვებად მიგვაჩნია ისინი, რომლებშიც მოცემულია აქცენტირება ჯოყოლასაგან ზვიადაურის მიპატიჟების ტექსტისა („მობძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან - ნათლია“), ასევე მისალმების ფორმულისა („სტუმარო, მოხველ მშვიდობით“). პოემის ფინალის ირგვლივ დასმული შეკითხვაც – ამქვეყნადაც თუ განხორციელდება პოემის გმირთა საუფლო შეყრა-ნადიმი – ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსის სათანადო რეცეფციას ემსახურება.

5.2.3 „სტუმარ-მასპინძელი“– სწავლების კონცეფცია

პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ 15 თავისგან შედგება, მის სწავლებას 7-8 საათი დაეთმობა. ქვემოთ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმები ემსახურება უმთავრეს მიზანს: როგორ უნდა ვასწავლოთ „სტუმარ-მასპინძელი“ მოქალაქეობრივი

ცნობიერების ფორმირების თვალსაზრისით. გაკვეთილებს სამიზნე (ანუ მოქალაქეობრივი) კომპეტენციების ფორმირების კუთხით წარმოვადგენთ.

პირველი გაკვეთილი

გაკვეთილის თემა	პოემის I, II და III თავები: 1. ქისტეთის მიდამოს აღწერა 2. ჯოყოლასა და ზვიადაურის შეხვედრა 3. სტუმრის მიღება ჯოყოლას ოჯახში
სასწავლო მიზანი და ამოცანები	• შეხვედრის კონცეპტის გააზრება • გმირთა ქცევის მოტივის ახსნა • სტუმარმასპინძლობის ადათის მნიშვნელობის გაცნობიერება • პერსონაჟთა სახასიათო შტრიხების გამოკვეთა • მოქალაქეობრივი ღირებულებების გამოვლენა • ქისტეთის „განმტკნარებული“ მიდამოს სემანტიკური მნიშვნელობის ახსნა
აქტივობები	• ტექსტის კომენტირებული კითხვა (10-15 წთ); • წერილობითი დავალება (10წთ) • ლექცია (პარალელი ხალხურ ლექსთან „შიოლა და მთრეხელი“) (10 წთ) • ინტერაქცია (მხატვრულ-ენობრივ სამყაროზე დაკვირვება კითხვა-პასუხის მეშვეობით) –(10წთ)
რესურსები	• სახელმძღვანელო • დამატებითი მასალა (მაქსიმ კოვალევსკის

	ნაშრომით „Закон и обычай на Кавказе“) სტუმარმასპინძლობისა და მონადირეთა შეხვედრის წესების შესახებ • ხალხური ლექსი „შიოლა და მთრეხელი“
კლასის ორგანიზების ფორმა	მთელ კლასთან ინდივიდუალური წერითი დავალებები
შეფასება	განმავითარებელი (კომენტარი), განმსაზღვრელი (აქტიურობისა და დასაბუთებული პასუხისათვის)

1-ლი გაკვეთილის მიზანი ორი თემატური ეპიზოდის ანალიზს მოიცავს: შეხვედრის კონცეპტის გააზრება და სტუმრის მიღების წესი ჯოყოლა ალხასტაისძის ოჯახში. მანანა კვაჭანტირაძის მოსაზრებით, „სტუმარ-მასპინძელში“ გმირთა შეხვედრა მყისიერი აქტია, რომელიც ასევე „გამოცნობის“ პრინციპს ემყარება – „ჯოყოლა და ზვიადაური ერთმანეთში მსგავსს, დაგვარს გამოიცნობენ, ისევე, როგორც ალუდა და მუცალი“(კვაჭანტირაძე 2013:146). მოსწავლეთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ აქ ორი მონადირე ხვდება ერთმანეთს და რაინდული წესი ამ შემთხვევაში მონადირული ადათის დაცვითაც ხორციელდება. თანამედროვე მკვლევარი თამარ შარაბიძე წერს: „ნადირობის წესის თანახმად, ჯოყოლამ ნანადირევი უნდა გაუყოს შემთხვევით შემხვედრ მონადირეს, რომელსაც ბედმა არ გაუმართლა“(შარაბიძე 2005:115).

თუმცა ჯოყოლა ნანადირევის გაყოფასთან ერთად შინ მიიპატიჟებს ხელმოცარულ მონადირეს: „სახლში მიპატიჟებას ნადირობის წესი არ ითვალისწინებს. მით უმეტეს, როცა ორ ტომს შორის მტრული დამოკიდებულებაა... ჯოყოლა არათუ მიიპატიჟებს სახლში ხევსურს, არამედ მის სტუმრობას „ღვთის წყალობადაც“ ჩათვლის. საქმე ისაა, რომ ჯოყოლა გულით მოქმედებს. ხედავს ავდრიან ღამეში დაღლილ-დაქანცულ მონადირეს; იცის, რომ ხიფათი მოელის. ადამიანური სინდისი არ აძლევს უფლებას, ხევსური შინ არ მიიპატიჟოს“(შარაბიძე, იქვე).

დასაწყისში სასურველია მოსწავლეებს ვესაუბროთ სტუმარმასპინძლობის ადათზე, კავკასიელთათვის მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. მასწავლებელს შეუძლია იხელმძღვანელოს რუსი მკვლევრის, მაქსიმ კოვალევსკის ნაშრომით „Закон и обычай на Кавказе“, ასევე მოსწავლეებს გააცნოს ხალხური ბალადა „შიოლა და მთრეხელი“, რომელშიც გადმოცემულია, როგორ შეიფარა შიოლა ღუდუშაურის დამ ძმის მკვლელი მთრეხელი, შეევედრა მის მდევარ ღუდუშაურებს, ხელი არ ეხლოთ სტუმრისთვის. ხოლო როცა ღუდუშაურებმა მაინც მოკლეს მთრეხელი, ქალმა ძლიერ განიცადა ეს ამბავი, ოჯახის შეურაცხყოფად მიიღო. მოსწავლეები ასევე იხსენებენ აკაკი წერეთლის პოემის გმირ აფხაზ ბათუს, რომელმაც ბოლომდე აღასრულა მასპინძლის მოვალეობა უდიდესი ცოდვის ჩამდენი სტუმრის წინაშე.

I და II თავების კომენტირებული წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ვამუშავებთ 2 მიმართულებით:

1.გაიაზრონ ჯოყოლას მოტივაცია (რა წესის საფუძველზე შესთავაზა მან ზვიადაურს ნანადირევის გაყოფა? რატომ მიიპატიჟა სახლში ხევსური?);

2. გააანალიზონ ზვიადაურის ქმედება (რის გამო დამალა ვინაობა და ჭიელ ნუნუად გაეცნო ქისტს? რატომ მიიღო დაუფიქრებლად მისი მიპატიჟება?).

სასურველია, მოსწავლეებმა ისაუბრონ პერსონაჟთა ქცევის მოტივებზე. როგორც მკვლევართა ზემოთ წარმოდგენილი დაკვირვებები ცხადყოფს, ამ ეპიზოდში ორივე პერსონაჟი ერთმანეთში კაი ყმას ხედავს და ეს სრულიად საკმარისია, რომ მტრობა და მოსისხლეობა დაივიწყონ, „ერთად შეთვისდნენ სულითა“.

მოქალაქეობრივი თვალსაზრისით საყურადღებო აქცენტი პირველი ეპიზოდის შესწავლისთანავე უნდა გაკეთდეს – სხვადასხვა რწმენის და ეროვნების ადამიანები, მეტიც, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ერების წარმომადგენლები, ყველაზე მაღლა აყენებენ ვაჟკაცობასა და ჰუმანურობას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაჰმადიანის მიერ ქრისტიანისათვის ნათქვამი ფრაზა – „მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან – ნათლია“ – ერთგვარი ჟესტია, ქედმოდრეკაა მეგობრის სარწმუნოების, მისი ღირებულებების წინაშე. ჯოყოლა სხვის რჯულს იმიტომ სცემს პატივს, რომ საკუთარი უყვარს, საკუთარს

ეთაყვანება და სხვისასაც იმიტომ აფასებს. „კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმში“ ჩამოყალიბებული დებულება ვაჟამ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გააცოცხლა და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით წარმოგვიდგინა. ჯოყოლას რომ საკუთარი ღირებულებები არ ჰქონდეს, არც სხვისას დააფასებდა. შინაგანად ცარიელი ადამიანი სხვის სისავსეს ვერ დაინახავს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პირველ გაკვეთილზე სტუმარმასპინძლობის წესი სკრუპულოზურად უნდა აღიწეროს ტექსტობრივი მასალის მოხმობით: როგორ ეპატიჟება ჯოყოლა სტუმარს („ზოგს მე გიამბობ ჩემს ამბავს, ზოგიც შენ გამიზიარე“, „თუ კაგრად არ დაგიხვდები, არც დაგიხვდები ავადა“, „მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან ნათლია“), რა სიტყვებით ესალმებიან ერთმანეთს („სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!“– „შენდაც მშვიდობა, გაცოცხლოს თავის ქმრითა და წილობით“), რას ეუბნება ჯოყოლა ცოლს („სტუმარი მოგგვარე, ღვთის წყალობაა ჩვენზედა“), როგორ ეგებება აღაზა („სტუმარს აბჯარი წაუღო, მიიპატიჟა შინაო“), რა თანმიმდევრობით შედიან სახლში („ქალი მისდევდა უკანა, ჯოყოლა მიდის წინაო, თან მისდევს ზვიადაური, ძმობილი გაიჩინაო“), რას გადაწყვეტენ ვახშმობის შემდეგ („ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა, ერთად შევთვისდეთ სულითა“). მოსწავლეები დაფაზე ჩამოწერენ აღნიშნულ ფრაზებს და განაზოგადებენ, საერთო დასკვნებს გამოიტანენ. შეჯამდება სტუმრის მიღების ჩვეულება ალხასტაისძეთა ოჯახში. ეს საკითხები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კარგადაა აქცენტირებული გამომცემლობა „სწავლანის“ სახელმძღვანელოში. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ჯოყოლას ოჯახში მყოფი დროული ქისტი ფეხზე წამოუდგება ზვიადაურს, იცნობს მას, მაგრამ „სტუმარი სხვის სახლში ვერ გაშლის ხათაბალასა“, თუმცა მას არ აღმოაჩნდება ჯოყოლასებრი სულიერი სიმაღლე და ბოლომდე ვერ აღასრულებს სტუმარმასპინძლობის წესს, მთელ ქისტეთს დარაზმავს მათი „ამომგდე“ სტუმრის მოსაკლავად.

1-ლი გაკვეთილის დარჩენილი დრო პოემის ეპიზოდის მხატვრულ და ენობრივ ანალიზს დაეთმობა ან (თუ ვერ მოესწრო) ყოველივე ეს სათანადო მითითებებით საშინაო დავალებად მიეცემათ. ამჯერად განვიხილავთ ამ მხრივ საყურადღებო რამდენიმე მაგალითს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომდევნო

გაკვეთილების გაწერისას წმინდა ფილოლოგიურ განხილვას აღარ შევუდგებით და მხოლოდ იდეური კუთხით, მოქალაქეობრივი თვალსაზრისით საინტერესო ეპიზოდებს გავაანალიზებთ.

„სტუმარ-მასპინძლის“ დასაწყისში გვხვდება უაღრესად საინტერესო შედარება-მეტაფორები და გაპიროვნების ნიმუშები: ჯავრით გულამღვრეული მდინარე ბნელ ხევზე „მოჰყეფს“; მთანი სისხლს ვერ იხდენენ და ხელ-პირს იბანენ „წყალზედა“; შავ ნისლს სოფლის თავს სძინავს; ნისლს ვაჟა მოიხსენიებს, როგორც „სტუმარსა ცოტა ხანისას“, რომელიც „უხილავად ხდის ქვეყანას ხილულიანსა“; ჯოყოლას თოფის სალტე უბრჭყვინავს, „ვით წვიმის ცვარი დილითა“; ხევებით ჩამონადენი ნისლი ზვიადაურს შემოღმუის „როგორაც მგელი მშიერი“; ჯოყოლას მიერ მოკლული ჯიხვი „რქებგადაგდებულია, დადუმებული, ჭკვიანი“; ჯოყოლა ზვიადაურს ეპატიჟება სიტყვებით: „მობრძანდი, როგორც ძმა – ძმასთან, ნათლიმამასთან – ნათლია“; აღაზა აღწერილია, „როგორაც ალყა ტანადა, ვარსკვლავი ციდან მოცლილი“.

სასურველია, მოსწავლეებს მცირე მონაკვეთებად დავუნაწევროთ ტექსტი და თავად დავავალოთ მხატვრული ხერხების ამოცნობა.

ვაჟა-ფშაველასთვის დამახასიათებელია კონტექსტის არაჩვეულებრივი გრძნობა, მის პოეზიაში ნებისმიერი ხატი საუკეთესო გარემოში პოვებს რეალიზებას. უცნაურ და მოულოდნელ შედარებაში – ქისტის სოფელი „საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითა“ – მკითხველი ვერანაირ დისონანსს ვერ გრძნობს: „ბუნებრიობა, დამაჯერებლობა, პოეტური ლოგიკურობა დამახასიათებელია ვაჟას ნებისმიერი ხატისთვის...ერთადერთი, რაც ამგვარ ხატებზე გვეთქმის, არის ის, რომ ჩვენ ისინი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებენ“(ხინთიბიძე 1972: 184).

მკვლევარი სულხან ჟორდანია აღნიშნავს, რომ „გაპიროვნება და ჰიპერბოლა ისეთი პოეტური ხერხებია, რომელთაც ძალიან ფრთხილად უნდა მოპყრობა, რამეთუ პოეტის სტილს არ დაეტყოს პრეტენზიულობის იერი... ჩვეულებისამებრ, ეს მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც მწერალს სურს უფრო მეტი გრძნობის გამოთქმა, ვიდრე მას სინამდვილეში გააჩნია, ეს ვნებს სტილს...მაგრამ ვაჟასთან სიტყვები ისეა შეხამებული, რომ მათი ამგვარი არანჟირება ერთადერთი და საუკეთესო

ვარიანტია“. მკვლევრის აზრით, ვაჟა-ფშაველას მეტაფორა არ არის მხოლოდ გარეგანი სამკაული ლექსისა: „ასეთი ენა არ შეიძლება სამკაულად ჩაითვალოს, პირიქით, აზრის, იდეის გამოხატვის საუკეთესო ფორმაა. მისი [ვაჟას–მ.წ.] ენობრივი ხატების კოლოსალურ სისტემას საფუძვლად აზრი აქვს“(ჟორდანია 1982:73,ხაზი ჩვენია –მ.წ.).

იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა შეიმეცნონ ვაჟა-ფშაველას მხატვრულ-ენობრივი ხატების აზრითი მხარე, საშინაო დავალებად ჩავანიშნინებთ, გააანალიზონ პოემის 1-ლი თავის იდეურ-მხატვრული ფუნქცია: როგორ აღწერს ვაჟა ბუნების სურათს და რა აზრობრივი დატვირთვა ენიჭება სახეებს – ჯავრით გულამღვრეულ მდინარეს, სისხლისღვრით შეწუხებულ მთებს, შავ ნისლს, და,ზოგადად, ღამის წყვდიადში ჩაფლულ ქისტეთის მიდამოს.

მეორე გაკვეთილზე, წარმოდგენილი დავალებების ანალიზის საფუძველზე, მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ბუნება ძმის მკვლელის სისხლს მოწყურებული ადამიანის შემართებას არ იზიარებს. ჯავრით გულამღვრეული მდინარე და სისხლის ჩამობანის მსურველი მთები კაცთა შორის გამეფებულ მტრობასა და მოსისხლეობას შეუწუხებია. ქისტეთის გამტკნარებული მიდამო უმზეო შატილის სურათს გვაგონებს „ალუდა ქეთელაურიდან“. ამ მიდამოში ავტორი მხოლოდ ლამაზ სოფელ ჯარეგას გამოარჩევს და დაუვიწყარ მხატვრულ სახეს ქმნის:

„გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა,
საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა“.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ეს ეპიზოდი ერთგვარი მინიშნებაა პოემის მთავარ თემაზე – სისხლის აღებისა და შურისძიების წესის მიუღებლობასა და გმობაზე.

მეორე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა	პოემის IV-V-VI თავები

	• ზვიადაურის შეპყრობა • ქისტეთის სასაფლაოს აღწერა • სიკვდილის არსზე დაფიქრება
სასწავლო მიზანი	1. პიროვნული ღირსების დასაცავად მებრძოლი ჯოყოლას მოტივის გააზრება 2. თემის თავნებობის აღწერა 3. ავტორის ლირიკული ჩანართის ახსნა
ამოცანები	• ჯოყოლას განცდების წვდომა – ჭეშმარიტების დაცვა სამოქალაქო სივრცეში • ორი ფენომენის (სტუმარმასპინძლობის წესისა და შურისძიების) შეპირისპირება და შეფასება • ავტორის დამოკიდებულების გამოკვეთა ○ საფლავზე დაკვლის წესის მიმართ ○ ზვიადაურის მიმართ
აქტივობები	• დავალების გამოკითხვა-შეჯამება (10 წთ) • ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა (10 წთ) • საკლასო დავალებების წარმოდგენა (5-8 წთ) • ერთობლივი მსჯელობა ეპიზოდის საკვანძო საკითხებზე (7-10 წთ) • ფილმის ეპიზოდის ნახვა (10 წთ)
რესურსები	• სახელმძღვანელო • ეპიზოდი ფილმიდან „ვედრება“
კლასის ორგანიზების ფორმა	ჯგუფური ინდივიდუალური
შეფასება	განმავითარებელი (კომენტარი), განმსაზღვრელი (აქტიურობისა და

	დასაბუთებული პასუხისათვის.

პოემაში ზვიადაურის შეპყრობის ეპიზოდში სამი მნიშვნელოვანი ქვეთემა იკვეთება:

- თემის შეუბრალებლობა და დესპოტიზმი („თემს რაც სწადიან, მას იზამს“)
- ჯოყოლას დიდსულოვნება („დღეს სტუმარია ეგ ჩემი ...“)
- ზვიადაურის შეუდრეკელობა („ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო...“)

მასწავლებელი დაფაზე წერს სამივე საკითხს და მოსწავლეებს დაავალებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი და მონიშნონ სამივე საკითხის საანალიზო მონაკვეთები და ციტატები, ერთ-ერთი მათგანი აირჩიონ სამსჯელობოდ და წარმოადგინონ კლასის წინაშე.

მოსწავლეთა პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ ამ გაკვეთილზე აქცენტი კეთდება მოქალაქეობრივი ცნობიერების თვალსაზრისით გამორჩეულ ორ საკითხზე:

1) თემის უსამართლობისა და ძალმომრეობის გაცნობიერება

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: სად უფრო სასტიკია თემი – „ალუდა ქეთელაურში“ თუ „სტუმარ-მასპინძელში?“ მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ პასუხის გაცემა.ჯარეგელები გაცილებით დიდ დანაშაულს სჩადიან როგორც უიარაღო ვაჟკაცის, ზვიადაურის, ასევე თანასოფლელის, ჯოყოლას, წინაშე. თემი მტყუანია მტერთანაც და მოყვარესთანაც.

2) ჯოყოლას განცდების წვდომა

გმირი ჭეშმარიტებას იცავს სამოქალაქო სივრცეში, საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამით ემსახურება მოქალაქეობრივი ცნობიერების ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს – ჭეშმარიტების დაცვის, ბოროტებასთან შებრძოლების მოტივს.

პირველი საკითხის გასააზრებლად მოსწავლეები მასწავლებლის მინიშნებით ავლებენ მხატვრულ პარალელებს. მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებინებს ვაჟას სიტყვებზე: „მოჰყავდა ზვიადაური ხელშეკონილი გროვასა“. სიტყვას „გროვა“ მოსწავლეები ბრბოს უკავშირებენ. ბრბოს დესპოტური ბუნება ბავშვებს აგონებთ

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას „ეშმაკის ქვა“, ასევე გიორგი ლეონიძის „მარიტას“, თვით ვაჟასავე მოთხრობას „ამოდის, ნათდება“.

თემის მიერ ჩადენილ უსამართლობაზე ვაჟა ყურადღებას ამახვილებს ასევე პოემის მე-6 თავში, როდესაც დაგვაფიქრებს ბუნების ცოდვაზე, სიკვდილის არსზე. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებინებს სიტყვებზე: „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან, კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა, როგორ დიდს ცოდვას სჩადიან“. დიდი ცოდვის ჩამდენ კაცებში ადვილად ამოიცნობა ზვიადაურის გამმეტებელი ბრბო. აშკარაა ავტორის უძლიერესი თანაგრძნობა ზვიადაურისადმი.

როდესაც თემთან დაპირისპირებულ ჯოყოლას ახასიათებენ, მოსწავლეებს გარკვეულწილად აღაშფოთებთ მის მიერ მუსას გამეტება, ხანჯლით გულის გაპობა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ უსამართლობით გაცეცხლებული ჯოყოლა ღირსებას იცავს და მუსას დაჭრა (პოემაში არ ჩანს, მოკვდა თუ გადარჩა მუსა, იგი მხოლოდ დაჭრილად მოიხსენება – „წამოიყვანეს დაჭრილი, ზვიადაურიც სტანია“) მხატვრულ ლოგიკას ექვემდებარება, გმირის შინაგან დაძაბულობას წარმოაჩენს.

საკვანძო საკითხებზე ერთობლივი მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები ნახულობენ ზვიადაურის შეუპოვრობის ეპიზოდს ფილმიდან „ვედრება“, რომელშიც უაღრესად შთამბეჭდავადაა გადმოცემული ვაჟას სათქმელი. მასწავლებელი მოსწავლეებს ჩაანიშნინებს საანალიზო თემას – „ღირსების დამცველი ჯოყოლა“. ყურადღება გამახვილდება იმ საკითხებზე, რომ ჯოყოლა არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის ღირსებას იცავს, არამედ საყოველთაო ჭეშმარიტებას, ცდილობს, თვალი აუხილოს ბრბოდ ქცეულ ქისტებს („რას სჩადით, შემოუძახა...“).

მესამე გაკვეთილი. პოემის ყველაზე ვრცელ და დრამატულ მე-7 თავში იკვეთება:

- ზვიადაურის გაუტეხელობა
- აღაზას განცდები
- თემის წუთიერი სინანული

აღაზას განცდები ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ქართულ ლიტერატურაში თანაგრძნობის გამოვლენისა. თანაგრძნობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქალაქეობრივი ცნობიერების საფუძველია.

რა ფორმით მიწოდებული მითითება და დავალება გააზრებინებს ყველაზე უკეთ მოსწავლეებს აღაზას განცდებს? გავითვალისწინოთ, რომ აღაზას ჭირისუფლობაცა და თემის წუთიერი სინანულიც ზვიადაურის გაუტეხელობამ გამოიწვია. ბუნებრივია, ამ გაკვეთილის უმთავრესი აქცენტები სწორედ ზვიადაურის ძლიერების აღქმა-გააზრებას უნდა მიემართებოდეს.

ქისტების მიერ ზვიადაურის დაკვლა დარლას საფლავზე პოემის ყველაზე დინამიკური და დრამატული ეპიზოდია. მთელი თავის შეუსვენებლად, ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ (სასურველია გაგრძელებებით წავაკითხოთ თავად მოსწავლეებს) შესაძლოა ამ ეპიზოდის ინსცენირება „მკითხველის თეატრის“ გამოყენებით. ეს აქტივობა გულისხმობს მხოლოდ სიტყვიერად, მოქმედების გარეშე ინსცენირებას. მოსწავლეები ადგილიდან კითხულობენ ავტორის, მოლას, ზვიადაურის, აღაზას ფრაზებს, ცდილობენ, ხმის მიმოხრითა და ინტონაციით გადმოსცენ მათი ემოციები.

ამ აქტივობის შემდეგ მოსწავლეებს დავავალებთ, დაახასიათონ ზვიადაური. იმართება დისკუსია, გამოიკვეთება გმირის შეუპოვრობა და სულიერი სიმტკიცე. მოსწავლეები იხსენებენ ფრაზას ლექსიდან „კაი ყმა“: „თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს“. ყურადღება მახვილდება შედარებებსა და მეტაფორებზე: „ბეწვს იშლის ბრაზმორეული, როგორაც ვეფხვი თმასაო, რა მოსდრეკს წარბდაღურბლვილსა, ქედჩაჟანგებულ მთასაო“. ზვიადაურის სიკვდილი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული აღსასრულია გმირისა ქართულ ლიტერატურაში.

ამრიგად, მესამე გაკვეთილი ზვიადაურის სახის ანალიზს ეძღვნება. ამ გმირს რეალური პროტოტიპი ჰყავს, ვაჟა იგონებს ხევსურ ვაჟკაცს, ზვიადაურს, რომელიც არ შეეწირა ქისტების მკვდარს. სწორედ მისი გმირობის ამბავი გახდა საბაბი პოემის შექმნისა. ყველა დანარჩენი პერსონაჟი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. ზვიადაურის ჰეროიკული სულისკვეთება ძლიერი, უტეხი თაობის აღზრდის საწინდარია. ამ მიზნის მისაღწევად მოსწავლეებს ვაძლევთ საშინაო წერით დავალებას – „რა მოსდრეკს წარბდაღურვილსა, ქედჩაჟანგებულ მთასაო“ (ზვიადაურის შეუპოვრობის

აღწერა-ანალიზი).ვიყენებთ დამხმარე მასალას კრიტიკოს ალექსანდრე ჭეიშვილის ნაშრომიდან, რომელშიც მკვლევარი ფართოდ და კომპარატივისტულად (გოგოლის ნაწარმოებთან მიმართებით) შლის მსჯელობას ზვიადაურის სახის ირგვლივ: „იწყება უდიდესი დაძაბულობის ბრძოლა, არანაკლებ წარმტაცი და მიმზიდველი, ვიდრე ალუდას და მუცალის ორთა-შუა ბრძოლა. ოღონდ ეს ბრძოლა უმთავრესად სულიერ სფეროში მიმდინარეობს...ძრწოლა და შიში ეუფლება არა ყელში დანაგაყრილ შურისძიების მსხვერპლს, არამედ შურისმგებელთ, მსხვერპლის მიმტანთ“ (ჭეიშვილი 1943:103-110, ხაზი ჩვენია – მ.წ.). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ გოგოლის „ტარას ბულბას“ გმირი ოსტაპი ფსიქოლოგიურად ახლოს დგას ზვიადაურთან, საჯარო წამების სცენაში ისიც არ ტყდება. თუმცა „შეუდრეკელი ოსტაპის სულიერი ძალებიც კი ამოიწურა ხევსურული სიტყვა-ქცევით რომ ვთქვათ „სულამეას“(სულის ამოსვლის) დროს. საჭირო გახდა ტარასის გაჩენა მოედანზე, სადაც აწამებენ ტყვე კაზაკებს, რომ მას ოსტაპისთვის ვაჟკაცობის ახალი ენერგია შთაებერა, ზვიადაურმა კი სულის ამოსვლის მომენტშიც „დაკლა“ მის მსხვერპლად მიმტანთა გული“(ჭეიშვილი 1943:112).

ამავე თავში წამოჭრილი მესამე უმნიშვნელოვანესი საკითხი, ქისტების წამიერი სინანული, პოემის ფინალთან ერთად განიხილება. მეოთხე გაკვეთილი კი აღაზას მხატვრული სახის ანალიზს დაეთმობა.

მეოთხე გაკვეთილი. წერითი დავალებების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან VIII-IX თავებს (აღაზას ხილვები, აღაზასა და ჯოყოლას საუბარი) და იწყებენ დისკუსიას აღაზას მხატვრული სახის ირგვლივ. კრიტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა აღაზას მიერ ზვიადაურის დატირების გამო. ერთნი ამ დატირებაში ქმრის დამვიწყებელ, უცხო კაცისადმი სიმპათიით გამსჭვალულ ქალს ხედავენ (ზოგ შემთხვევაში, ქმრის მოღალატესაც კი[18]), მეორენი – მხოლოდ გმირის ჭირისუფალს. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, დატირების მიზეზიცა და მიზანიც ჯოყოლას პასუხშია გაცხადებული:

„ იტირე?! მადლი გიქნია.

---

[18] ასეა ინტერპრეტირებული ეპიზოდი თანამედროვე სპექტაკლში „სტუმარ-მასპინძელი“, იხ. დანართი 2.

მე რა გამგე ვარ მაგისა?

დიაცს მუდამაც უხდება,

გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ (ვაჟა-ფშაველა II,1961:113).

ჯოყოლას პასუხის დაკვირვებული ანალიზი თავად გვაპოვნინებს აღაზას მიერ ზვიადაურის დატირების მიზეზს. გავიხსენით, რომ ამ ეპიზოდამდე ვაჟა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს სამყაროს კანონზომიერებაზე:

„სიკვდილსა გლოვა უხდება,

მკვდარ ძმას – ტირილი დისაო,

ტყესა – ხარ-ირმის ნაფრენი,

ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო,

ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი,

ხელში – ნატეხი ხმლისაო,

ომს – ლხინი გამარჯვებულთა

და დამარცხება მტრისაო.“ (ვაჟა-ფშაველა II,1961:110).

ზვიადაურს გლოვობს „ცრემლი ნისლების ჯარისა“, იქვე ვაჟა გვაუწყებს, რომ ეს ცრემლი „ნაბრძანებია ღვთისაო“, იმავე „ბრძანებით“ გლოვობს მას ლამაზი დიაციც, აღაზა, რომელიც გულის კარნახით შეიგრძნობს უფლის ნებას („კაცის კაცურად სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“). ამ დატირების „გამგე“ მხოლოდ უფალია. ქმარიც სწორედ ამიტომ ამბობს, „მე რა გამგე ვარ მაგისაო“. კარგი ვაჟკაცი გლოვის გარეშე არ უნდა წავიდეს სულეთში – ასეთია უფლის განგება, დიაცს „უხდება“ და ევალება კიდევაც მისი გლოვა.

სწავლების პროცესში ამგვარი ეპიზოდები განსაკუთრებით ხელსაყრელია როგორც ნაწარმოების სიღრმისეული შესწავლის, ასევე მსჯელობა-დისკუსიისა და კრიტიკული ანალიზის უნარების განსავითარებლად. მაშასადამე, აღაზას მოტივის გასააზრებლად სასურველი მეთოდია საკლასო დისკუსია, მოსწავლეების სხვადასხვაგვარი აზრის მოსმენა და მათი ინტერესის, მოტივაციის გაღვივება.

მოქალაქეობრივი ცნობიერების მხრივ აღაზას სახე საინტერესოა ორი თვალსაზრისით:

1) იგი თანაგრძნობის ფენომენს განასახიერებს

2) საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე საკუთარ მოვალეობას აცნობიერებს, ქმრის პატივისმცემელი ცოლია

მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ ცოლსა და ქმარს, აღაზასა და ჯოყოლას. მასწავლებლის მითითებით ჩამოწერენ თვისებებს, რომლებიც მათთვის საერთო და განმასხვავებელია (ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ვენის დიაგრამის გამოყენება). მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ჯოყოლა უაღრესად მტკიცე გმირია, იოტისოდენადაც არ ეპარება ეჭვი საკუთარ სიმართლეში (შესაბამისად, დარწმუნებულია თემის შეცდომაში). აღაზა კი გაორებულია, ერთი მხრივ, ზვიადაურის დატირება სწყურია, მეორე მხრივ, „უცხო კაცისა მოზარეობის“ გამო თემის მოღალატედ მიაჩნია თავი. მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ცოლ-ქმარს საერთო იდეალი ამოძრავებს – სისხლხორცეულად თანაურძნობს უცხოტომელ სტუმარს. სწორედ ჯოყოლა გაუფანტავს ყოველგვარ ეჭვს თავის მეუღლეს და შეაცნობინებს, რომ სიმართლის გზაზე დგას.

მასწავლებელი მოსწავლეებს დააფიქრებს იმაზე, რომ ქართულ ლიტერატურაში ესაა ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი „ერთსულ“ და „ერთხორც“ გატარებული ცოლქმრობისა, რომელიც მოგვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის –„ბედი ქართლისას“ გმირებს სოლომონსა და სოფიოს. ისინიც სწორედ ამგვარ ცოლქმრობას განასახიერებენ, ერთმანეთს სულიერ თანადგომას უწევენ და ჭირსა შიგან აძლიერებენ.

„სწავლანის“ სახელმძღვანელოში, მე-9 თავის ბოლოს დასმული შეკითხვებით სწორედ ეს საკითხია ხაზგასმული. ამ ეპიზოდში აღაზა სასაფლაოსკენ „მხარმოფარფაშე“ ორბებსა და სვავებს კენჭებს ესვრის კლდიდან, რათა ზვიადაურის ცხედარი დაიცვას. სახელმძღვანელოში დასმულია შეკითხვა: „იგრძნობა თუ არა მის ქცევაში ადრინდელი მწვავე განცდების რაიმე კვალი? რა უმაგრებს მას ზურგს?“(სწავლანი2012, XI: 421). მოსწავლეები, რა თქმა უნდა, უპასუხებენ, რომ აღაზას აძლიერებს ქმრის გამამხნეველი სიტყვა, რომელმაც გაუფანტა ეჭვი იმისა, რომ ზვიადაურის დატირებით ჯოყოლასაც სცოდა და ღმერთსაც („იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო“).

მეოთხე გაკვეთილს, დისკუსიისა და შემაჯმებელი მსჯელობის შემდეგ, მოსწავლეები ასრულებენ ჯოყოლას პასუხის მცირე წერილობითი შეფასებით („იტირე? მადლი გიქნია“).

საშინაო დავალებად ვაძლევთ წერით სამუშაოს აღაზას სახის ირგვლივ. მასწავლებელთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ აღაზას მოტივის გასააზრებლად მოსწავლეებს აწერინებენ შემდეგი დასათაურების თხზულებებს: „სამდურავს ეუბნებიან აღაზას გიშრის თმანია“ (ირმა აბულაძე), „აღაზა და ლელა“ (ნატო შარაშიძე), „იტირე, მადლი გიქნია“(ეკატერინე თანიაშვილი).

ზოგადად, წერითი დავალებების დასათაურებისას მასწავლებლები ხშირად იყენებენ ვაჟას ციტატებს. ვფიქრობთ, ეს მეთოდი გამართლებულია, რადგან ვაჟა თვითონ გვკარნახობს, რა მიმართულებით წარვმართოთ მსჯელობა. მაგალითად, „სამდურავს ეუბნებიან აღაზას გიშრის თმანია“ – გაპიროვნება ძლიერ შთამბეჭდავად გადმოგვცემს აღაზას შეგნებაში მიმდინარე ურთულეს ცნობიერ პროცესს: „ძნელია შეგნებიდან ძველი შინაარსის ამოგლეჯა, რადგან ძველი რწმენა-წარმოდგენები თითქოს მისი ფიზიკური არსებობის ნაწილსაც კი შეხორცებია“(ჭეიშვილი 1943:130).

მეხუთე გაკვეთილზე, X-XI-XII თავების შესწავლისას, საბოლოოდ იკვეთება ჯოყოლას მაღალმოქალაქეობრივი შეგნება, რაც თავისი ფუნქციით ალუდა ქეთელაურის მიტევების („თემს არ აწყინოთ, ხატს ნუ სწყევთ“) ტოლფასია. ტექსტის წაკითხვისას კვლავ მივმართავთ „შეწყვეტილი კითხვის“ მეთოდს („ვარაუდების სქემას“). ჯარეგაში ბისოელთა შეჭრის ეპიზოდის წაკითხვისას მასწავლებელი სვამს შეკითხვას: თქვენი აზრით, იბრძოლებს თუ არა ჯოყოლა ბისოელთა წინააღმდეგ? ვარაუდების შეჯამებისა და ტექსტის გაგრძელების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები დაასკვნიან: ჯოყოლა კვლავ ჯარეგელების ერთგულია („ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა“), პირადი წყენისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, მაინც იბრძვის თემის დასაცავად. არ ღალატობს მოვალეობას.ამ მხრივ ის პირუთვნელი მოქალაქეა.

ჯოყოლას საქციელის შეფასების შემდეგ მოსწავლეები გამოყოფენ თემის კიდევ ერთ სახასიათო შტრიხს. ჯარეგელები კიდევ ერთხელ ავლენენ სულმოკლეობას, როცა უპატრონოდ გაწირავენ ხევსურებთან ბრძოლაში დაღუპულ

ჯოყოლას, საფლავს შეუკრავენ მას და აღაზასაც ზურგს აქცევენ („ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი არსად არია“), თვითმკვლელობის გარდა, სხვა გზას არ დაუტოვებენ.

სწორედ ამ ეტაპზე უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს კრიტიკოსთა შეფასებები და ისინი თავად გადაწყვეტენ, „ორი სიმართლე“ ეჯახება ერთმანეთს თუ სიმართლე და უსამართლობა. სათანადო მითითებებით ვაძლევთ პოემის გასააზრებელ მთავარ დავალებას: თემისა და პიროვნების დაპირისპირება „სტუმარ-მასპინძელში“.

მეექვსე გაკვეთილი კვლავ თემისა და პიროვნების დაპირისპირებაზე მსჯელობას დაეთმობა. ხელსაყრელია საკლასო კონფერენციის მოწყობა, საკითხთა გადანაწილება და მოხსენებების მომზადება.

მეშვიდე-მერვე გაკვეთილები აღაზას თვითმკვლელობისა და პოემის ფინალის ანალიზს დაეთმობა. საინტერესოა, როგორ განმარტავენ ამ ალეგორიულ ეპიზოდს მასწავლებლები და ექსპერტები (იხ. VI თავი).

მოსწავლეები კითხულობენ პოემის მე-14 და მე-15 თავებს. პირველი ეტაპზე აანალიზებენ აღაზას თვითმკვლელობის სცენას შემდეგი მითითებებით:

- იმსჯელეთ ავტორის ლირიკული ჩანართის მნიშვნელობაზე (ღმერთისადმი მიმართული ვედრება, აბობოქრებული მდინარის მხატვრული ფუნქცია)
- იმსჯელეთ აღაზას მარტოობაზე (როგორ იხატება თვითმკვლელის სახე, გამოკვეთეთ მისი გადაწყვეტილების მოტივი).

ჯგუფური პრეზენტაციების წარმოდგენის შემდეგ, სავარაუდოდ, გამოიკვეთება შემდეგი მოსაზრებები: მდინარე წარმავლობის სიმბოლოა, იგი თავის ტალღებში ნთქავს აღაზას: „წაიღო წყალმა აღაზა, ლამსა და ქვიშას შაჰრია“. სწორედ აღაზა მოიაზრება ვაჟას სიტყვებში: „ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა, უშველე, შაიწყალეო, კარგი კარგია მაინცა, ბეჩავი შაიყვარეო!“ ქისტეთში არავინაა ტანჯული და ბეჩავი აღაზას გულშემატკივარი: „თავს ნუ იკლავო“- აბა, თუ ერთმა ურჩიოს მაინცა“. ეს ეპიზოდი უკიდურესი სევდითაა აღბეჭდილი და განწირულების განცდას აღძრავს.

მეორე ეტაპზე(სავარაუდოდ, მერვე გაკვეთილზე) გაიაზრებენ ფინალს:

- როგორ ცხადდება პოემაში ვაჟასეული იდეალები?
- რისი სიმბოლოა „ჯანღი“, რომელიც სანახაობას ფარავს და უხილავს ხდის?
- რისი სიმბოლოა უფსკრულს დამაცქერალი ყელმოღერებული პირიმზე?

საკითხი დაისმის ამგვარად: აქვს თუ არა ხილული შედეგი ჯოყოლას, ზვიადაურისა და აღაზას მიერ სამოქალაქო სივრცეში გამოვლენილ გმირობას? შეცვლის თუ არა მათი მაგალითები თვით ამ საზოგადოებას? თუკი საკითხს განვაზოგადებთ, მივხვდებით, რომ ეს პრობლემა ყოველთვის იდგა და კვლავაც დგას საზოგადოების წინაშე.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინალის იმედიან სულისკვეთებაზე: სამივე გმირი ერთად არის, აღაზა ვაჟკაცებს ემსახურება, ჯიხვის მწვადს უწვავს. ამ ეპიზოდში ჰუმანური იდეალები იმარჯვებს: „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა...“ ჯანღი, რომელიც ჯარეგელებს უფარავს სურათს, მათი გონებრივი სიბნელის სიმბოლოა. მასწავლებლის მინიშნებით მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ნაზი და უბრალო პირიმზე სწორედ ის თითქოს „სუსტი“ და „უძლური“ იდეალია, რომელსაც საბოლოოდ ბოროტების დამარცხება შეუძლია („გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“).

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ვაჟას გმირები ნათელში არიან, მაგრამ რა ეშველება უფსკრულში ჩანთქმულ საზოგადოებას?

მოსწავლეები მოკლე წერითი დავალებით გადმოსცემენ თავიანთ მოსაზრებებს.

პოემის სწავლებასთან დაკავშირებული შემაჯამებელი საკითხები დასკვნებისა და რეკომენდაციების ქვეთავშია წარმოდგენილი.

5.4 პოემა „ბახტრიონი“ - ლუხუმის „ზემოქალაქობა“

პოემა „ბახტრიონი“ პატრიოტი მოქალაქის აღზრდას ემსახურება. მის შესახებ ვრცელი სამეცნიერო კრიტიკა არსებობს. სწავლების პროცესში განსაკუთრებით გამოსაყენებელია შემდეგი ლიტერატურა:

- მიხეილ ჩიქოვანი, „ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის „ხალხური წყაროები“
- გრიგოლ კიკნაძის წერილი „ქართული ხელოვნების ნიადაგთან“
- ზურაბ კიკნაძის წერილი „ჯვარ-ხატებში ქალთა მსახურების თაობაზე“ http://saunje.ge/index.php?id=1442&lang=en
- თამაზ ტყემალაძის რადიო და ტელეგადაცემები „ბახტრიონის“ სწავლების საკითხებზე
- ლევან გიგინეიშვილის ლექციები

პოემა მრავალი კუთხითაა შესასწავლი: ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული. მნიშვნელოვანია ლიტერატურული პარალელებიც. ამიტომ მის შესწავლას, სავარაუდოდ, 10 საგაკვეთილო საათი დაეთმობა.

შეიძლება ითქვას, „ბახტრიონი“ ვრცელ მასშტაბებში გაშლილი ლექსი „კაი ყმაა“. მოქალაქეობრივი თვალსაზრისით საინტერესოა პოემის გმირების, კაი ყმების, სახეები და ასევე ანტიგმირიც, წიწოლა. ლექსში ჩამოყალიბებულ იდეალებს ვაჟამ ხორცი შეასხა ამ პოემაში.

გმირთა მხატვრული სახეების გააზრებისას სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1. ლუხუმი – პოემის უმთავრესი სათქმელი სწოორედ ამ გმირს მიემართება, იგი „ნაწილიანი“ გმირია;
2. უტეხი სანათას მეშვეობით ვაჟამ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფუნდამენტად მიჩნეული ქართველი დედა განასახიერა. სანათა ფოლკლორული გმირია;
3. ლელა ბაჩლელი. ვაჟამ მებრძოლ კაი ყმად ქალი გამოიყვანა. ამ მხრივ პოეტი ნოვატორია. ლელა კახეთის აჯანყების გმირი არ არის, თუმცა ის მოიხსენება ფოლკლორში;
4. ობოლ კვირია მხოლოდ სულიერ ფასეულობებზე (სახელზე) ორიენტირებული გმირია, ნამდვილი კაი ყმა. იგი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია;

5. ზეზვა გაფრინდაული რეალური გმირია კახეთის აჯანყებისა და მოსწავლეებს უთუოდ დააინტერესებთ მის შესახებ არსებული მასალის გაცნობა;
6. წიწოლა მხდალია (მტერს გამოექცა). იგი არ უნდა გამოვიყვანოთ თავისი ხალხის შეგნებულ მოღალატედ.

პოემის გმირთა შესახებ საყურადღებო შენიშვნებს გვაწვდის გრიგოლ კიკნაძის რეცენზია სპექტაკლზე „ბახტრიონი“(რეჟისორი დავით (დოდო) ალექსიძე, 1960 წ). კერძოდ, უტეხი სანათა, ავტორის თქმით, პიესაში სენტიმენტალურ სახედაა ქცეული, რაც ვაჟასეული სანათასთვის უცხოა. ლელა-კვირიას გაბაასება სასიყვარულო ფლირტს ემსგავსება: „ეს ფლირტი, რასაკვირველია, ავთვისებიანი ხორცმეტივით ამოიბურცება, დაუპირისპირდება ვაჟას მოტივებს“ (კიკნაძე 1982:8). ავტორი ასევე იწუნებს ლელასა და კვირიას „აცერცეტებულ დიალოგს“ ციხის კარის წინ. ყველაზე დიდი შენიშვნა წიწოლას სახეს მიემართება. ეს სახე რეჟისორმა თავისი ხალხის შეგნებულ მოღალატედ აქცია. ამასთან, პოემის გმირთა მიერ საკუთარი თავისა და ერთმანეთის ქებას „უგემური თვითხოტბის სუნი ასდის. ეს ეწინააღმდეგება ვაჟას გმირთა სულს“ (იქვე).[19]

წიწოლას შესახებ გრიგოლ კიკნაძე ჯერ კიდევ 1957 წლის მონოგრაფიაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ამ პერსონაჟის გაკიცხვისას ვაჟა დიდ სულგრძელობას ამჟღავნებს. წიწოლა დაცინვის კი არა, შებრალების ღირსია: „ვაჟა განსაკუთრებულ ლმობიერებას მისადმი იჩენდა, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო უბედური იყო. ვაჟასთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სხვისი გაგების უნარი“ (კიკნაძე 1957 : 56). პოეტმა სულისშემძვრელად გადმოსცა წიწოლას თვითმკვლელობის სცენა, დედის ცრემლები დაადინა უბედურს:

„არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა,
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლები დაიგუბოსა!“ (ვაჟა-ფშაველა 1961:89).

---

[19] რეცენზიის ავტორი არც პიესის ღირსებებს ივიწყებს და იწონებს შესანიშნავი მსახიობების დიდოსტატობას (ქადაგი - სერგო ზაქარიაძე, კვირია - კოტე მახარაძე, ლელა - ზინაიდა კვერენჩხილაძე, წიწოლა-ჯემალ ღაღანიძე და სხვ.).

ვფიქრობთ, სასურველია მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ წიწოლა ანტიგმირია, მაგრამ ზიზღისა და გაკიცხვის მაგიერ სიბრალულს იმსახურებს.

პოემის შესწავლის კვალდაკვალ მასწავლებელმა უხვი რესურსი უნდა დაიხმაროს. კერძოდ, ცნობები კახეთის აჯანყებაზე, ხალხური ლექსები, აუხსნას ხატობისა და, განსაკუთრებით, ლაშარისჯვრობის ტრადიცია, გამოიყენოს ფშავ-ხევსურეთის სოფლების ამსახველი ფოტო-ვიდეომასალა.

ვაჟას „ბახტრიონის“სწავლების საკითხებზე მასწავლებელთათვის დამხმარე წიგნის გამოცემას გეგმავს ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე. მისი ლექციები ხშირად გადაიცემა საქართველოს რადიოსა და ტელევიზია „ერთსულოვნების“ეთერით. იგი ახლებური კუთხით გაიაზრებს ლუხუმის სახეს. ინფომაციის პირველწყაროდან მიღების მიზნით ლიტერატორთან ჩავწერეთ ინტერვიუ, რომელშიც რესპონდენტი საუბრობს მასწავლებლის პოზიციიდან და გარკვეულწილად ითვალისწინებს საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებასაც. ინტერვიუ წარიმართა არაფორ-მალიზებული სადისკუსიო გეგმით (კითხვარით), გაშიფრული ტექსტი დისერტაციის დანართშია წარმოდგენილი (იხ. დანართი 3). ამჯერად მოვიყვანთ რამდენიმე საყურადღებო შენიშვნას.

ლუხუმის სახე: „აფხუშოელებს ბერი ლუხუმი მოუძღვის: „ბერი მოვიდა ლუხუმი, ლურჯამ მაიღო თქერანი“. ეს „ბერი“ არ ნიშნავს მოხუცს და არც საეკლესიო გაგებითაა განსამარტავი. „ბერი“ ნიშნავს, რომ ის ნაწილიანი გმირია. ლუხუმი არის წმინდა გიორგის ჰიპოსტასი...პირველად სწორედ ის ხედავს წმინდა გიორგის, „გაუკვალავს გზას“ ლაშქარს და შემდეგ ყველა დაინახავს ხატს. ამაღლებული ხედავს ამაღლებულს“ (თამაზ ტყემალაძე). ლუხუმის მიჩნევას საკრალურ გმირად, რესპონდენტის თქმით, მისი თვისებები განაპირობებს. ეს თვისებები (ჩვენი აზრით, ინდუქციური მეთოდის გამოყენებით) უნდა გამოაკვეთინოს მასწავლებელმა მოსწავლეებს, კერძოდ:

1.ლუხუმი ლურჯაზეა ამხედრებული, იმავე ფერითაა მოსილი, „ლურჯბექთრიანია“ ლექსში წმინდა გიორგი;

2. ლუხუმი ჭვრეტს კვირიას სიზმრის მნიშვნელობას – ის არის ბრძენი, სულში ჩამწვდომი ადამიანი;

3. ლუხუმი არ შეიტანს ეჭვს კვირიას გმირობაში, მაშინ, როცა მთელი ლაშქარი შიშობს, „გზირმა გზირობა არ გვიყოსო“ – ის პოემაში ერთადერთი შეუმცდარი გმირია;

4. ზეზვას მიერ გახსენებულ ამბავში (როცა „ლეკები აცხვეს ქადადა“), ჩანს, როგორ შეებრალა ლუხუმს მოკლული ლეკი, „მაუწყლიანდა თვალები“– ლუხუმი სიკვდილის მოწინააღმდეგე და სიკეთისთვის მებრძოლი გმირია;

5. ლუხუმი განასახიერებს სამშობლოს დაცვის იდეას;

6. მკერდდაწყლულებული ლუხუმი კაცობრიობის მტერ გველს აატირებს – ის გველეშაპის დამმარცხებელი გმირია.

ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით, ლიტერატორი დაასკვნის: „ლუხუმი ლაშარის გორიდან გადმოსული წმინდა გიორგია და იმიტომაც უჩინარდება, რადგან ისევ ბრუნდება იქ“(თამაზ ტყემალაძე).

მიუხედავად თვალსაჩინო და ხელშესახები ფაქტებისა, მოსწავლეებს ეს დასკვნა პირდაპირ არ უნდა მივაწოდოთ, ისინი თავად უნდა მივიდნენ სათქმელამდე. პედაგოგის დანიშნულებაცა და მოვალეობაც სწორედ ისაა, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით (ტექსტობრივ მოცემულობაზე დაყრდნობით, ინდუქციით) მოსწავლეებმა ამოიცნონ ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ნააზრევი.

ამჯერად პოემა „ბახტრიონის“ სხვა სახეებსა და დეტალებზე მსჯელობას აღარ განვაგრძობთ, საკვლევი მასალა არასოდეს ამოიწურება და ამ შესანიშნავი პოემის გაკვეთილების სცენარებისა და დაწვრილებითი გეგმის გაწერა მომავლის საქმეა.

დაბოლოს, პოემების სწავლების შეჯამებისას იკვეთება, რომ ლურჯ ცხენზე ამხედრებული, გველეშაპის დამმარცხებელი ლუხუმი ვაჟა-ფშაველას კაი ყმების (ალუდას, ჯოყოლას, ზვიადაურის) და ლექსების ლირიკული გმირების („კაი ყმა“, „ჩემი ვედრება“, „დამსეტყვე,ცაო“) გამაერთიანებელი (თავის თავში მომცველი) სახეა, რომელიც წმინდა გიორგის თვისებებითაა ნასაზრდოები.

ზოგადად, ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი სათქმელი სწორედ დისერტაციის 1-ლ თავში ნახსენები „ცათა შინა მოქალაქობის“ გზაა და სწორედ ამ იდეალის (ზემოქალაქობის) მსახურია მტრის შემბრალებელი ალუდა ქეთელაურიც, „საუფლო

წესის“ დამცველი ჯოყოლაც და გველეშაპის დამმარცხებელი ბერი ლუხუმიც. ვაჟა-ფშაველას „ნაწილიანი“ გმირები წმინდა გიორგის რაინდები არიან.

5.5 წერილის „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ სწავლება თანამედროვე სახელმძღვანელოებში

თანამედროვე ეპოქაში, ეროვნული ნიჰილიზმის მოძალებისას, ვაჟას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ახალგაზრდისთვის ორიენტირი უნდა გახდეს.

უმართებულოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გაუთვალის-წინებლად[20], არის შემოკლებული „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ მაღლაკელიძის ჯგუფის („მერიდიანის“) სახელმძღვანელოში. ამონარიდი წერილიდან A4-ის ფორმატის ერთ გვერდსაც ვერ ავსებს. არ არის მოცემული ვაჟას უმნიშვნელოვანესი თეზა – რომ პატრიოტიზმი „გულის საქმეა“, კოსმოპოლიტიზმი კი – გონების, გამოტოვებულია ვაჟასეული ვრცელი მსჯელობა პატრიოტიზმის, როგორც ბუნებრივი, დაბადებიდანვე თანდაყოლილი გრძნობის შესახებ. არ არის წარმოდგენილი ვაჟას წერილის დასკნითი ნაწილი, რომელშიც ის აჯამებს და მოხმობილ არგუმენტებზე დაყრდნობით განმარტავს, რა არის კოსმოპოლიტიზმი და როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი.

მხოლოდ სახელმძღვანელოს ტექსტზე დაყრნობით მოსწავლე ვერ გაითავისებს ვაჟას კონცეფციას კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ, მას სრულად არ მიეწოდება ავტორის დამაჯერებელი, უძლიერსი არგუმენტები. სამაგიეროდ, წარმოდგენილია ორი კომენტარი: კოსმოპოლიტიზმის განმარტება უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან; მეორე განმარტება მიემართება ცნებას „მსოფლიოს მოქალაქე“. ეს განმარტება არათუ ხსნის, არამედ აბუნდოვანებს აზრს: „მსოფლიო მოქალაქეობა ახალი კონცეფციაა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ცნება „მსოფლიოს მოქალაქე“

[20] ზოგადად, ტექსტის შემოკლება ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული (გვერდებისა და ციტატების მითითებით). საგანგებოდ გადავამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს გეგმაში მითითებულზე მეტად შეუმოკლებიათ ვაჟას წერილი (იხ. დანართი 1)

არ არსებობს. „მსოფლიოს მოქალაქეობა (აქ, სავარაუდებელია, ბრჭყალი უნდა იყოს დახურული, მისი არქონა გაურკვეველს ხდის, ვინმეს სიტყვებია ციტირებული, თუ თავად ცნება უნდა ჩავსვათ ბრჭყალებში - მ.წ.) გულისხმობს უსამართლობისა და უთანსწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების გაცნობიერებას, ასევე, ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედების სურვილს და შესაძლებლობას. ეს არის დედამიწის აღქმა როგორც ძვირფასი და უნიკალური რამისა და მომავალი თაობებისთვის მისი დაცვისა და შენარჩუნების სურვილი. მსოფლიოს მოქალაქეობა არსებობს ნებისმიერი სხვა მოქალაქეობის პარალელურად; ეს არის აზროვნების სტილი და რეალური სიკეთის კეთების სურვილი“(მერიდიანი XI, 2012:360).

ზემოთ მოცემული განმარტება, არცთუ სახარბიელო სტილის გარდა, წინააღმდეგობას და ალოგიკურ ნიუანსს შეიცავს. მსოფლიოს მოქალაქეობა ახალი კონცეფციაა, გვეუბნებიან და იქვე, იმავე გვერდზე, გვთავაზობენ ძველი წელთაღრიცხვის ფილოსოფოსის, დიოგენე სინოპელის სიტყვებს, მე მსოფლიოს მოქალაქე ვარო. გაუგებარია, რას ნიშნავს „რეალური სიკეთის კეთების სურვილი“ ან რას შეიძლება მოიცავდეს მისი საპირისპირო ცნება - „არარეალური“ სიკეთე, ან „დედამიწის აღქმა, როგორც ძვირფასი და უნიკალური რამის“ რით არის მხოლოდ ახლებური აზროვნების მახასიათებელი. გაუგებრობას ქმნის ზემოაღნიშნული პუნქტუაციური შეცდომაც. ბუნებრივია, ამგვარი განმარტებები სახელმძღვანელოში არ უნდა ხვდებოდეს, რადგან ისინი ვერაფერს შესძენს მოსწავლეს.

ამრიგად, „მერიდიანის“ სახელმძღვანელოში ვაჟას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ იმდენად არასრულადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლე ვერ გაეცნობა ავტორის კონცეფციას. თანმომყოლი კომენტარებისა და განმარტებების ლაბირინთში (რომელთა ხვედრითი მოცულობა თუ არ აღემატება, ტოლს არ უდებს ვაჟას ტექსტის მოცულობას) იგი ვერ გამოკვეთს წერილის უმთავრეს სათქმელს. საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას მოსწავლეს ავალებენ ისე, რომ არც კი აცნობენ, მით უმეტეს, არ უღრმავდებიან ვაჟასეულ პოზიციას. სწავლების ამგვარად წარმართვით ჩვენ მივიღებთ გზააბნეულ,უსამშობლო კოსმოპოლიტს.

მეორე გამომცემლობის, „სწავლანის“ მე-11 კლასის სახელმძღვანელოში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ეროვნული სასწავლო გეგმით დაშვებული

შემოკლებებითაა დაბეჭდილი. აქ არ არის წარმოდგენილი სხვადასახვა თვალსაზრისი და შეკითხვებიც ვაჟასეული კოცეფციის გააზრებას მიემართება. ორივე სახელმძღვანელო ტექსტის აგების პრინციპებზე ამახვილებს ყურადღებას და მოსწავლეებს თეზისებისა და არგუმენტების გამოყოფა-ამოწერას ავალებს. როგორც ცნობილია, ვაჟას ეს წერილი არგუმენტირებული მსჯელობის სამაგალითო ნიმუშია და ამ მხრივ ის დაწვრილებითაა განხილული ავთანდილ არაბულისა და თანაავტორების წიგნში „ქართული ენა“[21].

„სწავლანის“ საანალიზო მითითებებში გაუგებარია შემდეგი: „იმსჯელეთ, რამდენად არის საკმარისი პატრიოტიზმი იმისათვის, რომ ყველა ერი გიყვარდეს“. ბავშვებისათვის მიწოდებული ეს დამაბნეველი მითითება უთუოდ სხვაგვარ ფორმულირებას მოითხოვს. პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულს გულისხმობს და გაუგებარია, რატომ ან როგორ უნდა იყოს „საკმარისი“ თუ „არასაკმარისი“ სხვა ერების სიყვარულის სფეროში.

ჩვენი აზრით, ვაჟას ამ უაღრესად მნიშვნელოვანი წერილის სწავლებისას აუცილებელია ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება. უმართებულოა მისი განხილვა იმ პერიოდის საქართველოს მდგომარეობის აღწერის გარეშე. ვაჟამ წერილი დაწერა 1905 წელს, როცა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკრეტული „პარტიის პროგრამით ხელფეხშებოჭილი“ და „მახინჯი“ გრძნობის ბოლშევიკი ცრუკოსმოპოლიტები უკვე ამზადებდნენ ნიადაგს ილიას მკვლელობისათვის. ვაჟამ ეს წერილი დაწერა მათი „კოსმოპოლიტური“ იდეის საპასუხოდ. თუ მოსწავლეები ისტორიულ ჭრილში გაიაზრებენ ვაჟას წერილს, მათთვის კიდევ ერთხელ უტყუარი გახდება ვაჟა-ფშაველას, როგორც უდიდესი მოაზროვნის, საოცარი ალღო და სიღრმისეული ჭვრეტა საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა.

---

21 იხ. ავთანდილ არაბული, ქეთევან რეხვიაშვილი, ნინო შარაშენიძე, მაია შაყულაშვილი, „ქართული ენა“, ტექსტების ანალიზი და მოდელირება, მართლწერის საკითხები, X კლასის სახელმძღვანელო, წყაროსთვალი, თბილისი, 2006.

უდავოა ამ წერილის დიდი სადღეისო მნიშვნელობა. ამიტომ ექსპერტებისადმი დასმული ერთ-ერთი საკონტროლო შეკითხვა სწორედ „კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის“ სწავლების საკითხს მიემართებოდა და ამის შესახებ შესაბამის თავში ვისაუბრებთ.

ამრიგად, ვაჟას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ სახელმძღვანელოებში გარკველი ხარვეზებითაა წარმოდგენილი. თვალშისაცემია ვაჟას წერილში თვითნებურად ჩარევის მაგალითები, რაც იწვევს ტექსტის სათქმელის რღვევას.

თავი VI

სამეცნიერო და პედაგოგიური სფეროს წარმომადგენლებთან (ექსპერტებთან)ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების დისკურს-ანალიზი

კვლევის ზოგადი აღწერა

როგორც მეოთხე თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, სამაგიდე კვლევის შედეგებზე, მასწავლებელთა გამოკითხვასა და საკუთარ პედაგოგიურ დაკვირვებაზე დაყრდნობით შემუშავებულ სასწავლო კონცეფციას კვლევის შემდგომ ეტაპზე განათლების სფეროს წარმომადგენლები და მასწავლებლები გაეცნენ. გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. ვფიქრობთ, გამოცდილი, სასწავლო პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების შედგენაში ჩაბმული რესპონდენტების მოსაზრებები და შენიშვნები (რომელთა ნაწილიც უკვე ავსახეთ ზემოთ წარმოდგენილ კონცეფციაში) აღნიშნული სასწავლო კონცეფციის ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასების საშუალებას იძლევა და ლიტერატურის (ამ შემთხვევაში, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების) სწავლების მეთოდიკის შემუშავებაში წინგადადგმული ნაბიჯია.

კვლევის დიზაინი და მეთოდი:

საკითხის შესწავლისთვის გამოყენებული იყო ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. რესპოდენტები მიზნობრივად შეირჩნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ✓ ყოველი მათგანი ფლობს ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებას (ან ორივეს ერთად);
- ✓ არიან სასკოლო სახელმძღვანელოების, სასწავლო პროგრამების ავტორ-შემდგენლები;
- ✓ მასწავლებელთა დახელოვნებისა და ტრენინგ-მოდულების ავტორები;

- ✓ ფლობენ არამხოლოდ პედაგოგიურ, არამედ სამეცნიერო კვლევის გამოცდილებასაც.

რესპონდენტთა გამოკითხვა შედგა მათგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. თითოეულს განემარტა კვლევის მიზნები და ამოცანები. რესპონდენტებმა არ ისურვეს ანონიმურობისა და კონფედენციალობის დაცვა. გამოიკითხნენ შემდეგი რესპონდენტები:

1. ავთანდილ არაბული – აკადემიკოსი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორი, ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (უმაღლეს და ზოგასაგამანათლებლო სკოლებში).
2. მაია ინასარიძე – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის აკრედიტებული პროგრამების ავტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის თანაავტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (თბილისის 123-ე, 166-ე სკოლები, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, „ევროპული სკოლა“), ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი.
3. ლალი დათაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, საერთაშორისო აკადემია „ლოგოსის“ მასწავლებელი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) პროფესორი, მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულების ავტორი, გამომცემლობა „სწავლანის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი, ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი
4. მედეა ღლონტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, „გამომცემლობა დედაენის“ დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ძველი და ახალი ქართული ენის პედაგოგი თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში

5. ნინო ბერაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი თბილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში, ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი.
6. ანა ჯავახიშვილი – ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი კერძო სკოლა „პოლიგლოტში“, ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი.
7. ირმა აბულაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი 147-ე საჯარო სკოლაში.
8. ირინა ნაცვლიშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი 21-ე საჯარო სკოლასა და თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.
9. თამაზ ტყემალაძე – ლიტერატორი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მოადგილე (პოემა „ბახტრიონის“ სწავლებასთან დაკავშირებით).

სადისკუსიო გეგმის აგების პრინციპი შეესაბამებოდა სასწავლო კონცეფციის ეტაპებს (სწავლების საფეხურებს) და მოიცავდა როგორც ზოგადად კონცეფციის, ისე მოქალაქეობრივი ცნობიერების მახასიათებლების კუთხით გადანაწილებული ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების სწავლების კონცეპტუალურ და მეთოდურ საკითხებს. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი შეფასება უკვე ჩართულია სასწავლო კონცეფციაში, ამჯერად კი ერთიან ჭრილში, შეჯერებული სახით წარმოვადგენთ პასუხებს, რაც გააადვილებს საერთო სურათის აღქმას. ამასთან, ქვემოთ მოცემულ დისკურს-ანალიზში მსგავსი თემატიკის რამდენიმე საკითხი გაერთიანებულია. ინტერვიუები ჩაიწერა 2017 წელს. მათი მოსმენისა და გაშიფვრის შემდეგ მომზადდა ტექსტები, რომლებიც დანართად ახლავს დისერტაციას (იხ. დანართი 3).

1. რა დახმარებას გაგვიწევს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები ახალი თაობის მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში და ხომ არ შეიტანდით რაიმე ცვლილებას დისერტაციაში წარმოდგენილი სასწავლო კონცეფციის სქემაში?

რესპონდენტები ძირითადად აღნიშნავენ, რომ სქემის სახით წარმოდგენილ კონცეფციაში მოქალაქეობრივი ცნობიერების მახასიათებლები ასაკობრივი ჯგუფის

შესაბამისად ადეკვატურადაა გადანაწილებული: „ძალიან მომეწონა კონცეფციის სტრუქტურა. სისტემური მიდგომა ჩანს, ერთიან ჭრილშია დანახული საკითხი. ნამდვილად აქტუალურია თემატიკა ასაკობრივი თავისებურებების საფეხურების გათვალისწინებით“ (მაია ინასარიძე).

ავთანდილ არაბული: „მე რაც გავიცანი, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, რომ სწორად არის არჩეული თემა. ვაჟა-ფშაველა მარადიულ თემებზე წერს, ის ფილოსოფოსი პოეტია, თუ შეიძლება ასე ითქვას. სხვათა შორის, ჩემთვის ცოტა დავიწროებაა იმ პრობლემატიკის, რაც ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების საკითხს შეეხება ვაჟა-ფშაველასთან, მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის ასეთი დავიწროება შეიძლება“.

მედეა ღლონტი: „საერთოდ, ქართული კლასიკური ლიტერატურის ყველა წარმომადგენელი თავისებურად წარმოაჩენს მოქალაქეობრივ საკითხს, რომელსაც თქვენს დისერტაციაში მრავალმხრივად განიხილავთ და თვითონვე აღნიშნავთ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში იგი მრავალმხრივად წარმოჩნდება. ვაჟა იმითაა გარმორჩეული, რომ ის, რაც მან თქვა წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, მხატვრული სიტყვით გაგვიცოცხლა თავის პოემებში“.

არის კრიტიკული შენიშვნებიც. ირინა ნაცვლიშვილი გაუმართლებლად მიიჩნევს ვაჟა-ფშაველას მოქცევას მოქალაქეობრივ „ჩარჩოში“: „მახასიათებლები აღემატება მოქალაქეობრივს, ზოგადჰუმანისტურია. ვაჟას პოემებში გადმოცემულია, ზოგადად, ადამიანის არსებობის აზრი, შინაგანი ბუნება, დამოკიდებულებები ფასეულობებისადმი, მაინც მგონია, მოქალაქეობრივი პოზიცია უფრო ვიწროა, ვაჟას გმირები ვერ ეტევიან ამაში“.

რესპონდენტებმა ასევე გაიხსენეს მოსწავლეობის პერიოდი და ის, თუ რა ღირებულებები ჩამოუყალიბათ პირადად მათ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ. ამ ჭრილში მეთოდური თვალსაზრისითაც საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს. ლალი დათაშვილი: „მოკლედ რომ გითხრათ, მე მას ვხედავ, როგორც ჩემს ოლამურ წინაპარს. მოსწავლეობის დროიდან მიყვარდა სწორედ იმ მოქალაქეობრივი ღირებულებების გამო, რომლებსაც უშურველად ქადაგებს. შემდგომში ბევრად უფრო მეტი სიღრმე დავინახე“.

ანა ჯავახიშვილი: „ჩემთვის ვაჟა-ფშაველა ჰუმანიზმთან ასოცირდება. ყველაზე შთამბეჭდავი იყო „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ და სიტყვები: „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი“, ადამიანურობაზე დამაფიქრა, მასწავლა, რა არის სიყვარული“.

მედეა ღლონტი: „ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირი ლელა რომ გამოჩნდა, აღტაცებული ვიყავი მისი გაბედულებით და ერთი სული მქონდა, მისნაირად მოვქცეულიყავი. ჩემი შეგნებული ცხოვრების დიდი წილი სულ ვეძებ და იმის ნატვრაში ვარ, რომ მქონდეს ასეთი შემთხვევა. ვაჟა-ფშაველას როლი აქ მეტად დიდია“.

ირმა აბულაძე: „მტრობაზე დამაფიქრა, მაშინ ვფიქრობდი, რომ მე მტერი არ მყავდა, მაგრამ ახლაც, როცა ვინმე მიმტრობს, შურისძიებაზე არ ვფიქრობ. ვაჟა-ფშაველამ პატიება მასწავლა“.

ნინო ბერაძე: „სამწუხარო რამე უნდა უნდა გითხრათ, სკოლაში არ მყავდა კარგი ქართულის მასწავლებელი და ამიტომ სკოლიდან რაიმე განცდები არ გამომყოლია. ეს უფრო გვიან შეძენილია, უნივერსიტეტში მყავდნენ საოცარი პედაგოგები: გრივერ ფარულავა, ვახტანგ იმნაიშვილი და სხვები. ისინი თავად იყვნენ საოცრად ზნეობრივი ადამიანები“.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება სულიერი და ზნეობრივი კუთხით ავითარებს ადამიანებს და ამის დასტურია ის ღირებულებები, რომელთა ფორმირებაზეც ექსპერტები საკუთარი მაგალითებითაც მსჯელობენ. რაც შეეხება შენიშვნას მოქალაქეობრივ ჩარჩოში ვაჟას სათქმელის ვერჩატევის შესახებ, ამის შესახებ მსჯელობა მეოთხე თავში, სასწავლო კონცეფციის ზოგად აღწერაშია წარმოდგენილი და ამჯერად ხაზს გავუსვამთ იმას, რომ მოქალაქეობრივი ცნობიერების არსი გაცილებით ფართო და მასშტაბურია, ვიდრე დღესაა გააზრებული თვით სპეციალისტების მიერაც[22].

მასწავლებლებისათვის მეთოდური თვალსაზრისით საინტერესოა ე.წ. მაგალითის მეთოდი (ლელა ბაჩლელის მაგალითი), რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სწავლებისას.

---

22 ტერმინ მოქალაქეობის მნიშვნელობაზე ქართული სამწერლობო ტრადიციისა და, ზოგადად, ქართული ცნობიერების პოზიციიდან მსჯელობა დისერტაციის 1-ლ თავშია წარმოდგენილი.

2.რამდენად მართებულია, ალუდა ქეთელაურის მხატვრული სახის დინამიკა მივიჩნიოთ მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესად და ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ალუდას მოქალაქეობრივი გმირობა კურატის შეწირვის ეპიზოდში ცხადდება? საზოგადოდ - პოემის სწავლების დროს რამდენად უნდა გამახვილდეს ყურადღება სარწმუნოებრივ მოტივზე?

აღმოჩნდა, რომ სწავლების პროცესში მოსწავლეებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება უჩნდებათ ალუდა ქეთელაურის მიმართ. ავთანდილ არაბული: „მე მთაში დავამთავრე სკოლა, არ ვიყავი ცუდი მოსწავლე, მაგრამ მეამბოხე ვიყავი. მასწვლებელი გამაგდებდა ხოლმე კლასიდან, იმიტომ, რომ ავუხირდებოდი, რომ არ არის თემი ბნელი და თემის პრინციპები დასაცავია“.

ნინო ბერაძე: „კურატის შეწირვის ეპიზოდი ძალიან მძიმეა იმ გაგებით, რომ ბავშვები პარალელს ავლებენ დღევანდელობასთან, ეკლესიაში მოუნათლავზე ხომ მოსახსენებელს არ ვაგზავნით. ალბათ ბავშვს უნდა დავუტოვოთ განსჯის უფლება. ზოგადად, ეს ძალიან მყიფე საკითხია“.

ამ მხრივ მასწავლებლის პრობლემაზე დაგვაფიქრებს და მისი გადაჭრის მეთოდურად საინტერესო მიდგომას გვთავაზობს მედეა ღლონტი: „ზოგს არ მოსწონს ალუდა ქეთელაური. ერთმა მოსწავლემ, რომელსაც სამხედრო მამა ჰყავდა, ალუდა დისციპლინის დამრღვევად მიიჩნია, თავის წარმოსახვაში ჩენილ ალუდას მამასაც კი მისწვდა... მასწავლებელმა მხატვრულ ნაწარმოებში აუცილებლად უნდა გაავლოს ე.წ. „შინაარსობლივი ღობე“; ხომ არსებობს საქართველოს საზღვარი, რომლის გადალახვა კანონის დარღვევაა, ასეთივე ავტორისეული საზღვარი აქვს ყველა ნაწარმოებს. ბავშვს როცა ეცოდინება, რომელ შინაარსობრივ ფარგლებში უნდა შეაფასოს და განიხილოს ავტორისეული ჩანაფიქრი, ის აღარ დაფიქრდება იმაზე, რაზეც ჩვენი ყურადღება არ გაუმახვილებია ვაჟას... ვაჟამ ეს გმირი ჩვენ დაგვიხატა არა როგორც თემის, არამედ თემისთვის უკვე საზიანო წესის მოწინააღმდეგე. ამიტომ მოსწავლეებს უნდა შევუთანხმდეთ: მოდი, მივყვეთ ვაჟას ფეხდაფეხ და ნუ ვილაპარაკებთ ალუდას მამაზე. ავტორის სათქმელის ხელყოფა, ჩემი აზრით, იგივე ადამიანის უფლებების ხელყოფაა“.

მაია ინასარიძე: „კარგია, რომ მიაქციეთ ყურადღება იმედას ქავის გააზრებას. ეს ეპიზოდი ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. ზოგადად, უკვე ეს არის მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი იმპულსი, რის გამოც მე კრიტიკულად ვუყურებ იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობ. ჩემი აზრით, ალუდას ახლად დაბადება იწყება არც მაშინ, როცა „ატირდა, როგორც ქალია“, არც მაშინ, როცა გადააფარა ნაბადი და გააპატიოსნა მიცვალებული (რადგან მარჯვენას სჭრის მუცალის ძმას), არამედ მაშინ, როცა ის საკუთარ თავთან მარტო რჩება და იწყებს სხვაგვარად ფიქრს, აქ იბადება ახალი ადამიანი. მე ამ აზრს არ ვახვევ ბავშვებს თავს, მაგრამ ამაზე დაფიქრება ძალიან ბევრ საინტერესო იდეას გაუჩენს მოსწავლეებს“.

ამრიგად, ალუდა ქეთელაურის გაბედულმა საქციელმა შესაძლოა მოსწავლის გაორება და დაბნეულობა გამოიწვიოს. მით უფრო, რომ მოიპოვება მაგალითები, როგორ მიდიან მცდარ დასკვნებამდე თვით ნიჭიერი კრიტიკოსებიც. ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხატვრული ნაწარმოების პირდაპირ წაკითხვა არასწორია, მით უფრო, როცა საქმე გვაქვს ისეთ დიდ სიმბოლისტთან, როგორიცაა ვაჟა-ფშაველა. მედეა ღლონტი ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის გადმოსახედიდან მსჯელობს ამ საკითხზე: „ვაჟას ნაწარმოებები ითხოვს აუცილებელ განმარტებას. მაგალითად, წმინდანის ცხოვრების წაკითხვისას არ შეიძლება მხოლოდ მხატვრული სიტყვის მკითხველად დარჩე, ბავშვი უნდა აზიარო წმინდანის ცხოვრებასა და საეკლესიო ლიტერატურის თავისებურებებს, მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოემების კითხვისას მხოლოდ მხატვრული სიტყვის მკითხველად უნდა დარჩე. მაგალითად, გავიხსენოთ ალუდას მიერ მუცალის სულის ცხონების ან კურატის შეწირვის ეპიზოდები, როგორც კი პირდაპირ შეუდგები ამ ეპიზოდის განხილვას საეკლესიო დოგმატიკიდან, კანონიკიდან, ეგზეგეტიკიდან, იმ წუთშივე დაინგრევა ვაჟას ნაწარმოები, რადგან ამ ეპიზოდებს, ისევე, როგორც „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალს, აქვს კატეგორიულად მხატვრული დატვირთვა. ასეთი სიმბოლიზმი იშვიათია ქართულ ლიტერატურაში“ (მედეა ღლონტი, ხაზი ჩვენია-მ.წ.).

რესპონდენტი გვთავაზობს, ასეთი ეპიზოდები ბავშვებს ძალიან მარტივი და გამჭვირვალე მაგალითებით ავუხსნათ, თუნდაც ამგვარით: „კაცი იხრჩობა და არ იცი,

ვინ არის, ახლობელია, უცნობი თუ შენი ოჯახის წევრი, მაგრამ ხომ უნდა გადახტე და გადაარჩინო! დაახლოებით ამგვარი დამოკიდებულებაა კურატის შეწირვის ეპიზოდშიც: ალუდა კურატს სწირავს და ამბობს, რომ ვაჟკაცს შესწირა და არა არაქრისტიანს. ასეთი ცხოვრებისეული მაგალითები მასწავლებელს გასაღებივით უნდა ეპყრას ხელთ"(მედეა ღლონტი).

ამრიგად, ალუდა ქეთელაური ნამდვილად არის კეთილმოქალაქეობის მესიტყვე. ხოლო იმედას ქავის ეპიზოდი მაგალითია მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების ურთულესი შინაგანი პროცესისა. ჩვენ ვეთანხმებით რესპონდენტს, რომ კურატის შეწირვა მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური თვალსაზრისით გასააზრებელი მხატვრული ხერხია, გამოხატულება იმისა, რომ ალუდა ქეთელაურმა ვაჟკაცი დააფასა და არა არაქრისტიანი.

3.„სტუმარ-მასპინძლის" ალეგორიულ ფინალში ვაჟას გმირები ნათელში არიან, მაგრამ რა ეშველება უფსკრულში ჩარჩენილ საზოგადოებას? თუკი მოქალაქეობრივად აქტიური თაობის აღზრდა გვინდა, ბუნებრივია, ნიჰილისტური განწყობა (რომ საზოგადოება მარად წყვდიადში დარჩება) უნდა გავუქარწყლოთ.

ამის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, როგორ უნდა განვუმარტოთ მოსწავლეებს „სტუმარ-მასპინძლის" ფინალი?

ექსპერტები დიდ დატვირთვას ანიჭებენ პირიმზის სიმბოლოს, რომელიც თავისი უბრალოებით უფსკრულს ამარცხებს. ანა ჯავახიშვილი: „ვაჟა-ფშაველას ძალიან უყვარს ალეგორიული ფინალი. ჩემი აზრით, ბავშვების ყურადღება უნდა მივაქციოთ იმაზე, რომ „უფსკრულს დასცქერს პირიმზე". ეს არის იმედი, რომელიც შეიტანს ნათელ სხივს და გამოაფხიზლებს ხალხს".

ლალი დათაშვილი: „პირიმზით მთავრდება პოემა და არა - უფსკრულით. ნიჰილიზმი კი არა, სიყვარული და თანაგანცდა უნდა ჩავუნერგოთ მოსწავლეებს. მივაჩვიოთ, რომ თითი სხვებისკენ კი არ გაიშვირონ, არამედ - საკუთარი თავებისკენ და თავიანთ თვისებებზე დაფიქრდნენ".

მაია ინასარიძე: „ამ სურათს რომ ხედავს საზოგადოება, ეს უკვე ნიშნავს, რომ ვაჟას გმირებმა მიაღწიეს მიზანს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ არ იქნება „ჯანღი", მტრობა, დანაშაული. ვაჟა გვამზადებს იმისათვის, რომ ალუდასა და

ჯოყოლასნაირი ადამიანების ცხოვრება ადვილი არ იქნება. მაგრამ არსებობს სურათი, ხომ ხედავენ ამ სურათს, ადამიანში ეშმაკურისა და ანგელოზურის მარადიულ ბრძოლაში ეს სურათი ანგელოზური საწყისისაკენ მიგვახედებს“.

ირმა აბულაძე საინტერესოდ მსჯელობს ჯოყოლას სახის შესახებ: „ვაჟას მხრიდან ნიშანდობლივია, რომ ქისტი ჯოყოლა ასეთი ღირსეული პიროვნებაა. ზვიადაურისა და ჯოყოლას შეხვედრისას შეკითხვას ვუსვამ მოსწავლეებს, რომელი უფრო მოეწონათ და, რა თქმა უნდა, ჯოყოლა. ამ პოემაში ჩანს კოსმოპოლიტი ვაჟა, რომელსაც ყველა ადამიანში შეუძლია დააფასოს ზეადამიანობა“.

ავთანდილ არაბული: „ვინ ხედავს ამ სურათს? ჯარეგელები. ისინი მანამდე ამას ვერ ხედავდნენ, ახლა ხედავენ, ანუ გმირის თავშეწირვას ეს ფუნქცია აქვს. ეს არის სწორედ ზნეობრივი გმირის როლი. ის თვითშეწირვითა და ამბოხით ადამიანის პროგრესს განაპირობებს“.

ამრიგად, ჩვენ მიერ გამოკითხული მასწავლებლებიც და ექსპერტებიც ერთხმად აღიარებენ დისერტაციის სასწავლო კონცეფციაში „სტუმარ-მასპინძლის“ გაკვეთილების სცენარებში გამოკვეთილ ორ საკითხს:

1) „კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმში“ გადმოცემული იდეალები ვაჟამ ჯოყოლას მეშვეობით განასახიერა (იხ. I გაკვეთილის სცენარი).
2) პოემის ფინალში ვაჟას მაღალმოქალაქეობრივი სულისკვეთებაა გაცხადებული – „ყინული ლღვება“, საზოგადოების გაუკეთესება იწყება.

4. თქვენი აზრით, როგორ უნდა ვასწავლოთ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“: როგორც ალტერნატივა კოსმოპოლიტიზმის არსის გააზრებისა თუ როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი გზა სამყაროში წესრიგისა და მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად?

ყველა ექსპერტი ვაჟა-ფშაველას პოზიციას უპირობოდ ემხრობა, მაგრამ მოსწავლეებისათვის მის მიწოდებასთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. ლალი დათაშვილს კოსმოპოლიტიზმის ვაჟასეული გააზრების ალტერნატივა დაუშვებლად მიაჩნია: „ალტერნატივა“ რა შუაშია? რაიმე სხვა მნიშვნელობა აქვს კოსმოპოლიტიზმს (ვაჟას განმარტების გარდა)?!“

ავთანდილ არაბული სწავლების პროცესში პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჟას წერილს და მიაჩნია, რომ მისი მეშვეობით გლობალიზაციას უნდა დავუპირისპირდეთ: „ეს ნაწარმოები ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ მისი სწავლება. ვაჟა-ფშაველამ ფაქტობრივად იწინასწარმეტყველა ის, რომ ეროვნულობას უფრო მეტი საფრთხე დაემუქრებოდა. ასეა დღესაც, არა მარტო ჩვენთან, თვით ევროპაშიც. გლობალიზაციას უნდა დავუპირისპირდეთ ამ წერილით“. ირინა ნაცვლიშვილი აღნიშნავს: „ერთადერთობაზე პრეტენზია არ უნდა გვქონდეს. ამაზე უკეთესად არავის უთქვამსო, ვერ ვიტყვით, მაგრამ მე მომწონს ეს გააზრება. მშვენივრად, საკუთარი დედის მაგალითზე ხსნის ყოველგვარი ფილოსოფიური და პოლიტიკური თეორიების გარეშე. მახსენდება ჩემს ბავშვობაში პოპულარული სიმღერა: „Мой адрес не дом, не улица, мой адрес Советский Союз“. არ არის ეს სწორი, რა თქმა უნდა“.

რომ შევაჯამოთ სათქმელი, მოსწავლეებისათვის ამ წერილის მიწოდებას რესპონდენტთა დიდი ნაწილი დისკუსიის ფორმით გვირჩევს – წავაკითხოთ კოსმოპოლიტიზმის განსხვავებული გაგებაც და ვამსჯელოთ. ამასთანავე, თითქმის ყველა ხაზს უსვამს იმას, რომ თუ ბავშვებს ვაჟას უძლიერეს არგუმენტებს სწორად გავააზრებინებთ, ისინი მართებულ დასკვნებს გამოიტანენ: „ჯანსაღ კამათში. დისკუსიაში, არგუმენტებით გამყარების დროს ისინი დაფიქრდებიან და მივლენ ჭეშმარიტებამდე. შეიძლება უსაფუძვლოდ გაჯიუტდნენ კიდევაც, რადგან ამ ასაკში სჩვევიათ გაჯიუტება, მაგრამ მერე, როცა დაფიქრდებიან, ისინი ჩვენი ჩარევის გარეშე მივლენ ჭეშმარიტებამდე“(მაია ინასარიძე).

ექსპერტთა ინტერვიუების შედეგად მიღებული მეთოდური შენიშვნები, დასკვნები, რეკომენდაციები

სასწავლო კონცეფციისა და გაკვეთილების გეგმების გაწერის მეთოდური თვალსაზრისით ექსპერტებმა შენიშვნები გამოთქვეს რამდენიმე მიმართულებით:

1. საკითხის დასმის თვალსაზრისით;
2. ნაწარმოებთა გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფის ნიშნით;
3. ფილმ „ვედრების“ ჩვენების გარშემო;

4. გაკვეთილების დროში გაწერა/აქტივობებისათვის განკუთვნილი დრო.

მოკლედ განვიხილოთ თითოეულის არსი:

1. საკითხის დასმა (ვაჟა ფშაველას ნაწარმოებთა სწავლება მოქალაქეობრივი ნიშნით), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგიერთმა ექსპერტმა სკეპტიკურად მიიღო, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი აღიარებს ამ თვალსაზრისით ვაჟას გამორჩეულობასა და სწავლების აქტუალობას.

2. ზოგიერთ ექსპერტს გარკვეული შენიშვები აქვს მეორე, საბაზო საფეხურზე, „კაი ყმისა“ და „ჩემი ვედრების“ სწავლებასთან დაკავშირებით, ფიქრობენ, რომ მათში დასმული პრობლემატიკა უფრო მაღალი ასაკისთვისაა განკუთვნილი.

3. ფილმ „ვედრების“ ჩვენება უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ არა სწავლების პარალელურად, არამედ პოემათა შესწავლის ბოლო ეტაპზე. ამის მიზეზად ასახელებენ ფილმის სირთულეს და ასევე თანამედროვე სკოლების (განსაკუთრებით, საჯარო სკოლების) არასათანადო ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც ართულებს გაკვეთილებზე ელექტრონული რესურსის ხშირ გამოყენებას.

ზემოთ წარმოდგენილ 3 შენიშვნაზე დისერტაციის სხვადასხვა ნაწილში ჩვენი აზრი და არგუმენტები, გარკეულწილად, გამოთქმული გვაქვს, ამიტომ ამჯერად მხოლოდ მე-4 შენიშვნის განხილვას შევუდგებით, მით უფრო, რომ ამ საკითხის მიზეზების კვლევამ გამოკვეთა სერიოზული ხარვეზი საქართველოს სკოლებში ლიტერატურის სწავლების მეთოდიკისა და პროგრამის გადატვირთულობის თვალსაზრისით.

რესპონდენტი ირინა ნაცვლიშვილი გაკვეთილების სცენარების შესახებ აღნიშნავს: „ალუდა ქეთელაურის“ შემთხვევაში კარგი რამეები გიწერიათ, მაგრამ ამ დროში ვერ ჩაეტევა, გაცილებით დიდი დრო სჭირდება ასეთ სწავლებას“. ამის თაობაზე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საგაკვეთილო სცენარები, ბუნებრივია, მოითხოვს მოდიფიცირებას, გარდაქმნას შესაბამისი გარემოსა და მონაცემების (მოსწავლეთა თავისებურებების) გათვალისწინებით. აქტივობების გაწერისას კი ვიხელმძღვანელეთ პრინციპით, მაქსიმალურად ამოგვეწურა საკითხი და ვარჩიეთ, რომ მათი ნაკლებობა გაცილებით დიდი ხარვეზი იქნებოდა სცენარებისა.

ზოგადად, სწავლების პროცესში ყველა ნიუანსია გასათვალისწინებელი. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას პოემები და პუბლიცისტური წერილები მე-11 კლასის ბოლოს, მაის-ივნისის თვეებში ისწავლება, როცა მოსწავლეები სათანადოდ ვეღარ აღიქვამენ ამ სირთულის ნაწარმოებებს. ამ მხრივ საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს ნინო ბერაძე: „როდესაც სცენარები წავიკითხე, მივხვდი, რომ ბევრ რამეს ნამდვილად გამოვიყენებ, მერე უფრო გამოჩნდება, რამდენად რეალისტურია ისინი. რაც შეეხება დროს, ალბათ უფრო დიდი დრო დასჭირდება, მე პირადად, ტექსტის სწავლების შემდეგ კიდევ 2 საათს ვუთმობ შეჯამებას. არ ვარ ორიენტირებული დიდ დავალებებზე, „ვაქუცმაცებ“ მათ. ზოგადად, წლის ბოლოსთვის მენანება ვაჟა, როგორც წესი, ვერ ვასწრებ მის შესწავლას და მე-12 კლასს ვიწყებ ვაჟათი“.

ამ საკითხებზე მსჯელობას მივყავართ უმთავრეს მიზეზამდე – ლიტერატურის პროგრამის გადატვირთულობამდე. ყველა ექსპერტი აღიარებს, რომ ამ მხრივ სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელი (თუმცა ერთხმად აღნიშნავენ, რომ პროგრამის განტვირთვა ვაჟა-ფშაველას ხარჯზე არ უნდა მოხდეს). მაია ინასარიძე ამბობს, რომ ასეთი პროგრამით ბავშვებს ლიტერატურას ვერ შევაყვარებთ: „მე მაქვს შესაძლებლობა ახლოს ვიცნობდე უცხოენოვანი საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამას, რომელშიც 2 წლის განმავლობაში 15 ნაწარმოები ისწავლება, მაგრამ ეს არ უშლის ბავშვს ხელს, ლიტერატურის ხიბლი შეიგრძნოს. სულ არ არის საჭირო ზღვის წყალი მთლიანად შესვა, რათა მისი გემო გაიგო. ზღვაში შესვლის სურვილი დაგეკარგება, თუ ზღვის მთლიანად შეხვრეპას გადაწყვეტ. მე მგონი, უნდა შეველიოთ ბევრ რამეს ლიტერატურაში (ხაზი ჩვენია-მ.წ.)“.

პროგრამის განტვირთვის აზრს გარკვეულწილად იზიარებს ავთანდილ არაბულიც: „სასკოლო პროგრამის რაღაც ნაწარმოებებისგან განტვირთვას მეც ვეთანხმები, ჯობია ასწავლო ცოტა და ასწავლო კარგად, ღრმად. მაგრამ მეორე მხარე აქვს ამას, ჩვენ იმდენად დიდი ლიტერატურა გვაქვს, რომ შეუძლებელი ხდება შემცირება. ჩემი აზრით, უნდა იმუშაოს უმაღლესი კლასის ლიტერატორებისა და მეთოდისტების კომისიამ, რომელიც დაადგენდა სავალდებულო ნაწარმოებების ნუსხას“.

მედეა ღლონტს ამ პრობლემის სათავედ პედაგოგიკური მეთოდოლოგიის გაუმართაობა მიაჩნია: „საერთოდ, საქართველოში მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საქმე დიდ პრობლემად რჩება. მეთოდოლოგიური ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მეთოდოლოგიის არცოდნასთან თუ გაუმართაობასთან არის დაკავშირებული ლიტერატურის პროგრამის გადატვირთულობა. მასწავლებელი, ფაქტობრივად, მეთოდოლოგიის გარეშე ამუშავებს ამ გადატვირთულ მასალას და ვერ ახორციელებს, ვეღარ ასწრებს მის სათანადოდ, ნაყოფიერად რეალიზებას... განა შესაძლებელია, მეთოდოლოგიის გარეშე ამ სიღრმეების განაწილება, მათი წვდომის უნარ-ჩვევების გამომუშავება? თქვენს დისერტაციაში წარმოდგენილია პრობლემატიკის განაწილების მიხედვით სწავლების მცდელობა, ამ მხრივ, ნამდვილად მომეწონა რამდენიმე გაკვეთილი“.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველასა თუ ნებისმიერი სხვა მწერლის ამა თუ იმ მიზნით სწავლების საკითხს, საბოლოოდ, რეალურ და სერიოზულ პრობლემამდე მივყავართ, რომლის სისტემურ გადაწყვეტამდეც მასწავლებელმა თავად უნდა შეიმუშაოს სწავლების თავისეული გეგმა. ამ მხრივ საინტერესოა გამოცდილება, რომელსაც ნინო ბერაძე გვიზიარებს.

ექსპერტთა ინტერვიუების დისკურს-ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლების თვალსაზრისით გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე შემუშავდა კონცეპტუალური და მეთოდური რეკომენდაციები. ამჯერად წარმოვადგენთ პოეტის სწავლებასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს, ხოლო მოქალაქეობრივი თვალსაზრისით საყურადღებო აქცენტები დისერტაციის დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილშია ასახული.

მაშასადამე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასურველია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის“ სწავლების გაძლიერება, მოსწავლეთათვის ვაჟა-ფშაველას უძლიერესი არგუმენტების სრულყოფილი მიწოდება, რათა მოსწავლემ შეაფასოს და გააკეთოს არჩევანი (შესაბამის პარაგრაფში წარმოდგენილია ამ მხრივ არსებული ხარვეზები);

- ვაჟას ნაწარმოებების სწავლებისათვის ტრადიციულად გამოყოფილი სასწავლო საათების რაოდენობის გაზრდა (მაგ, „კაი ყმა“-3 სთ; „ალუდა ქეთელაური“- 7 სთ; „სტუმარ-მასპინძელი“ – 8-9 სთ);
- ვაჟა-ფშაველას (ასევე სხვა კლასიკოსების) ნაწარმოებების სწავლების მეთოდური ლიტერატურის შექმნა-გამრავალფეროვნება;
- სასწავლო პროგრამების ავტორებისა და პედაგოგების დისკუსია-დიალოგი ლიტერატურის სწავლების პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის მიზნით;
- სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნება (ციფრული რესურსების, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების, თეატრალური წარმოდგენების/ რეცენზიების, აუდიო და ვიდეომასალის ჩართვა სასწავლო პროცესში);
- მე-11 კლასში ვაჟას ნაწარმოებების გადანაწილება სასწავლო წლის ბოლოდან სასწავლო წლის სხვა მონაკვეთებზე (ეს ძვრა, ფაქტობრივად, დაარღვევს პროგრამათა აგების ამჟამინდელ ქრონოლოგიზმის პრინციპს);
- მე-12 კლასის პროგრამაში „გველისმჭამელის“ შეტანა. მე-11 კლასში „შემზადებულმა“ მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პოემის მაღალჰუმანისტური და ჭეშმარიტად ზემოქალაქეობრივი პრინციპების მიღება;

ეს უკანასკნელი რეკომენდაცია, განხორციელების შემთხვევაში, თავის მხრივ, გამოიწვევს შემდეგ ცვლილებებს:

- ლიტერატურის პროგრამის განტვირთვა (ექსპერტებთან ინტერვიუს დროს გარკეულწილად გამოიკვეთა შესაძლო ნაწარმოებთა სია);
- ნაწარმოებთა სასკოლო პროგრამაში შეტანის კრიტერიუმების დადგენა-გადასინჯვა (მაგ.: ნაწარმოების სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა, ეპოქალური, მოქალაქეობრივი მნიშვნელობა);
- სახელმძღვანელოთა კვლევა-ანალიზის საფუძველზე მიღებული შენიშვნების ასახვა, სახელმძღვანელოთა გაუკეთესება (დისერტაციაში შესაბამის პარაგრაფებში წარმოდგენილია გარკვეული შენიშვნები სახელმძღვანელო-ებთან დაკავშირებით).

დასკვნები

I. მოქალაქეობრივი ცნობიერება მოიცავს მთელ რიგ მახასიათებლებს და გადაჯაჭვულია ზნეობასთან, ღირსებასთან, პიროვნულობასთან. ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი ცნობიერების დისკურსი სრულ თანხვედრაშია ეროვნულ მოქალაქეობრივ კონცეფციასთან, ე.წ. ილიას გზასთან. მოქალაქეობრივი მოტივი წამყვანი - „მოტივთა მოტივია“ ვაჟას შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისზე მსჯელობენ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო მკვლევრები.

II. ვაჟა-ფშაველას პოეზიაში გამოვლენილი მოქალაქეობრივი ცნობიერების ფესვები ქართულ ჰაგიოგრაფიაშია მოსაძიებელი და იმთავითვე მოიცავს ორმაგ მსახურებას. ჰაგიოგრაფიის გმირი ფიზიკური და სულიერი „უდაბნოს", ანუ გაპარტახებული გარემოსა და სულიერი სიცარიელის „ქალაქყოფას" ემსახურება. მათ სულიერად ენათესავებიან ვაჟა-ფშაველას გმირები. გამორჩეული, სულიერად ამაღლებული გმირების ძერწვა ვაჟასთვის საშუალებაა და არა მიზანი. იგი ცალკეული პიროვნებების აპოლოგეტად როდი გვევლინება, მისთვის უმთავრესია საზოგადოება და, ასევე, ის სულიერი სარგებელი, რომელიც ამ გმირებს მოაქვთ მოყვასისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც.

III. ვაჟას გამაფრთხილებელი წერილის „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ადრესატია არა მხოლოდ ეროვნულ ღირსეებააყრილი ქართველი ადამიანია, არამედ სულიერი გადაგვარების საფრთხის წინაშე მყოფი მთელი კაცობრიობა (ირმა რატიანი).

IV. ვაჟას ალუდა ქეთელაური ქრისტიანული კეთილმოქალაქეობის მესიტყვეა. მისი სიტყვები: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“ არათუ ნათლობისა და ქრისტიანობის უარყოფა, არამედ სახარებისეული სწავლების გამოძახილია, იგი მაღლდება სახარებისეულ ჭეშმარიტებამდე: „და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი; იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისა ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე 10,16).

V. „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალში პოეტმა მითოსის პლანში გადაიტანა თავისი იდეალები და ამით გამოხატა საკუთარი ურყევი რწმენა საზოგადოების გაუკეთესებისა.

VI. სახელმძღვანელოში დასმული შეკითხვების კვლევის თვალსაზრისით გამომცემლობა „სწავლანის“ მე-11 კლასის სახელმძღვანელოს შეკითხვები გამოირჩევა გაცილებით მეტი კონკრეტიკით, ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ეფექტური ფორმულირებითა და, რაც მთავარია, ისინი მიმართულია ვაჟას მიზნის გააზრებისკენ.

VII. ვაჟას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ სახელმძღვანელოებში გარკველი ხარვეზებითაა წარმოდგენილი. თვალშისაცემია ვაჟას ტექსტის თვითნებური შემოკლება, რითაც ირღვევა მისი მთავარი სათქმელი და ძლიერი არგუმენტები.

VIII. თანამედროვე მსოფლიოში მოქალაქეობრივი ცნობიერების დეფიციტია. განათლების სისტემაში აქცენტი სწავლებიდან პიროვნების განვითარების კონცეფციებზეა გადანაცვლებული.

IX. დეჰუმანიზაციას მოსდევს დესოციალიზაცია, საყოველთაო ღირებულებებისა და საზოგადო სიკეთის ნიველირება, ურთიერთგაუცხოება და ანტიმოქალაქეობრივი განწყობა. ამ პრობლემების დაძლევის გზა ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირება და ჯანსაღი მოქალაქეობრივი სულისკვეთების ფორმირებაა.

X.სამოქალაქო განათლება მოიცავს და ემყარება პიროვნული განვითარების კონცეფციას.

XI.პიროვნული განვითარება წინა ეტაპია მოქალაქეობრივი განვითარებისა.

XII.ამგვარი ცნობიერების ფორმირებაში ლიტერატურული მაგალითების როლი ეფექტური და ქმედითია.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კანონიდან კი არ უნდა ამოვიდეთ („სამოქალაქო განათლების“ სასკოლო კურსი კანონებისა და კონვენციების სწავლებითაა გადატვირთული), არამედ კანონთან უნდა მივიდეთ, ბავშვები მოქალაქეებად უნდა ჩამოვაყალიბოთ ცხოველმყოფელი, ცოცხალი ცხოვრებისეული მაგალითების მიწოდებით და არა მშრალი წეს-კანონების სწავლებით. სწორედ ამ მიზანს

ემსახურება ვაჟა-ფშაველას მოქალაქეობრივი დისკურსი, რომელმაც გლობალური დეჰუმანიზაციის ფონზე გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა.

რეკომენდაციები

ზოგადად, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განსახორციელებელია შემდეგი ცვლილებები[23]:

- ქართული ლიტერატურის კვლევისა და სწავლების გაძლიერება მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების კუთხით;
- ქართული ლიტერატურის სწავლების კვალდაკვალ (ჰაგიოგრაფიით დაწყებული, მე-19 და მე-20 საუკუნეების ჩათვლით) ტერმინ „მოქალაქის“ და ზოგადად, მოქალაქეობრივი ცნობიერების არსის განმარტება ეროვნულ სამწერლობო და სოციალურ ცნობიერებაზე დაყრდნობით;
- მოქალაქეობრივი ცნობიერების ე.წ. ორი შრის: ამქვეყნიური მოქალაქეობისა და ზემოქალაქეობის (კეთილმოქალაქეობის) მახასიათებლების განსაზღვრა;
- „სამოქალაქო განათლების“ სასკოლო პროგრამებში ვაჟა-ფშაველასა და, ზოგადად, ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან მოქალაქეობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდების შეტანა;
- სასწავლო პროცესში მოქალაქეობრივი ცნობიერების ზნეობრივი და სულიერი მახასიათებლების აქცენტირება (ამგვარი ცნობიერება არ მოიცავს მხოლოდ სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს, როგორც ძირითადად ამჟამადაა აღქმული);
- ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების სწავლება სისტემური მიდგომით, რათა მრავალმხრივ გამოვლენილი მოქალაქეობრივი ცნობიერის გადაცემა სწორი მიმართულებით, ერთიან კონტექსში წარიმართოს.

---

23 რეკომენდაციები დალაგებულა ზოგადიდან კონკრეტული საკითხების მიმართულებით

რეკომენდაციები „ალუდა ქეთელაურის“ სწავლებასთან დაკავშირებით

- ალუდა ქეთელაურის თვისებების აღნუსხვა და ზედროული ფენომენის წარმოჩენა. ჰუმანურობა, ტოლერანტობა, მტკიცე პიროვნული არჩევანი, მიმტევებლობა – არაერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ალუდას ეს თვისებები 21-ე საუკუნეშიც იშვიათია;
- აქცენტირება იმისა, რომ ალუდა ქეთელაური არ არის მხოლოდ ავტორის ფანტაზიის ნაყოფი, იგი ეროვნული ცნობიერების გამოხატულებაა. ალუდას მხატვრულ სახეს დაეძებნება შორეული პროტოტიპი. წერილში „კრიტიკა იპოლიტე ვართაგავასი“ ვაჟა იგონებს ხევსურს, რომელიც თავის მიერ მოკლული მტრის შესანდობარს სვამდა;
- ალუდას ჰუმანისტური იდეალების სწორი ინტერპრეტაცია. ალუდა ზოგადად მტრის მტრულად დახვედრის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ – მტრის უპირობო სიძულვილისა და შეურაცხყოფისა;
- ალუდა ქეთელაურის მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების ეტაპების გამოყოფა. კერძოდ, ჭეშმარიტება გმირს გრძნობითი გზით, გულის მიერ მიეწოდება („გული გამიწყრა, არა ქნა, რაც საქნელია ძნელადა“), შემდეგ კი – გაცნობიერებით და ბოლოს, მტკიცე გადაწყვეტილებით სრულდება;
- ვაჟა-ფშაველას ნააზრევის ეროვნულ წიაღთან უღრმესი კავშირის წარმოჩენა დამატებითი მხატვრული პარალელებით (აკაკის თორნიკე ერისთავიც მტრის დამნდობი გმირია, ილიას ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მტრის ღირსებას აღიარებს, ხალხური „მოყმისა და ვეფხვის“ ლექსის გმირი დედა მტრის თანამგრძობია, რუსთაველის გმირები მონანულ მტრებს შენდობით ეკიდებიან).

ამ საკითხების მეშვეობით მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ მოქალაქეობა, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობის, საკუთარი ადამიანური მოვალეობის შემეცნება-გაცნობიერებას. სიტყვა „მოქალაქე“ მათთვის მშრალად და „მკვდრად“ მიწოდებული ტერმინი აღარ იქნება, არამედ სიტყვა „მძიმე“ (ერთი მხრივ, საკუთარ

არსებაში მიმდინარე შინგანი ჭიდილისა და, მეორე მხრივ, საზოგადოებასთან დაპირისპირების გამო) და „შინაარსიანი“ (წმინდა გრიგოლ ფერაძე).

რეკომენდაციები „სტუმარ-მასპინძლის“ სწავლებასთან დაკავშირებით

პოემის მოქალქეობრივი მოტივების რეცეფცია შემდეგი საკითხების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს:

1. მოქალაქეობრივი თვალსაზრისით საყურადღებო საკითხის აქცენტირება პირველი ეპიზოდის შესწავლისთანავე – სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანები ყველაზე მაღლა აყენებენ ვაჟკაცობასა და ჰუმანურობას. მოსწავლეები ამ ფაქტს განაზოგადებენ და აცნობიერებენ, რომ მრავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ ქვეყანაში (როგორიცაა საქართველო) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთო სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა და ერთგულება;
2. ჯოყოლას მხატვრული სახის გააზრება, როგორც ეროვნული და კოსმოპოლიტი მოქალაქისა. ჯოყოლას რომ საკუთარი ღირებულებები არ ჰქონდეს, არც სხვისას დააფასებდა. შინაგანად ცარიელი ადამიანი სხვის სისავსეს ვერ დაინახავს.შესწავლის ეტაპზე ეს ხაზგასასმელია;
3. მოქალაქეობრივი შეგნების ფორმირება არა მყისიერი, არამედ ეტაპობრივი, ხანგრძლივი და რთული პროცესია. ზვიადაურის არშეწირვის ეპიზოდში გამოვლენილი წამიერი სინანული თემის მხრიდან ხანმოკლე აღმოჩნდება და მაშინვე ქრება, მაგრამ პოემის ბოლოს ისევ იჩენს თავს, ჯარეგელები „ცქერით ვერ ძღებიან“, როცა სამ გმირს ერთად ხედავენ. ე.ი. გმირების შეუპოვრობას უკვალოდ არ ჩაუვლია;
4. მოქალაქეობრივი შეგნება პიროვნებების დონეზე ყალიბდება და ამიტომაც ანიჭებს ვაჟა-ფშაველა უდიდეს მნიშვნელობას ზნეობრივად ამაღლებული პიროვნებების ხატვას. პუბლიცისტურ წერილში „რა არის თავისუფლება“ ვაჟა წერდა: „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა

პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“(ვაჟა-ფშაველა 1961, V: 413, ხაზი ჩვენია – მ.წ.). ზვიადაურის, ჯოყოლასა და აღაზას მსგავსი პიროვნებების სიმრავლეს შეუძლია საზოგადოებრივი პროგრესის გამოწვევა;

5. ოჯახის წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია მოქალაქეობრივი ცნობიერებისა. ჯოყოლასა და აღაზას ცოლქმრობისმაგვარი მაგალითების რეცეფციით მოსწავლეებს ოჯახის ფენომენის პატივისცემა ჩამოუყალიბდებათ;
6. პოემის სიმბოლური ფინალის გააზრება მოქალაქეობრივი პროგრესის კუთხით: ვაჟა-ფშაველას სწამს, რომ ზვარაკად მიტანილ სიცოცხლეს აქვს უდიდესი ძალა ბოროტების დათრგუნვისა. სახარებისეული სიტყვებით თუ ვიტყვით, მაშენებელთაგან შეურაცხყოფილი ლოდი – „თავკიდური“ გახდება – ვაჟას გმირების მაგალითი ისევ მათს დამღუპველ საზოგადოებას შეეწევა სულიერების გზაზე.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა-ფშაველას მყარი მოქალაქეობრივი პრინციპების გამოხატულება შემოქმედებასთან ერთად, თვით მისი ცხოვრებაცაა და სრულყოფილი რეცეფციის მიზნით სასურველია ბიოგრაფიული მონაკვეთების ჩართვა სწავლების პროცესში. ამგვარი მასალა უხვად მოიპოვება, რადგან, საბედნიეროდ, ვაჟას მკვლევარ-ბიოგრაფთა ინტერესები არასდროს მოჰკლებია და დღემდე იქმნება ახალი ბიოგრაფიული რომანები, რომლებშიც პოეტის პიროვნება სწორედ მტერთან და ბოროტებასთან მებრძოლი მოქალაქის კუთხითაა წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქუმაᲲ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი,1995.
2. აბზიანიძე 2011. აბზიანიძე ზაზა, ერთი ლექსის სივრცე (ვაჟა-ფშაველას „ჩემი ვედრება“), საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ვაჟა-ფშაველა 150,შოთა რუსთაველის სახ.ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2011.
3. ბატისტონი 1985 - Battistoni, Richard M., 1985. *Public Schooling and the Education of Democratic Citizens*, Jackson: University Press of Mississippi,1985.
4. ბაქრაძე 1990, ბაქრაძე აკაკი, რწმენა, „მერანი“, თბილისი, 1990.
5. ბერდიაევი 1993, ბერდიაევი ნიკოლაი, ერი და კაცობრიობა, თარგმნა ზ. კიკნაძემ, თბილისი, „ლომისი“, 1993.
6. ბერძენიშვილი 2003, ბერძენიშვილი ლევან, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, თბილისი,2003.
7. ბებურიშვილი 2015, ბებურიშვილი ლევან, „ვაჟა-ფშაველას ნეოლიბერალური პროფანაციის თაობაზე“, დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი „ამერიმერი“, 2015, N1-2.
8. ბებურიშვილი 2016, ბებურიშვილი ლევან, ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2016.
9. ბროკჰაუზი-ეფრონი1890-1907, Энциклопедический словарь, Ф.А.Врокгауз и А.Ефронь, С.-Петербург, 1890-1907.
10. გახელაძე 2014, გახელაძე გიორგი, სამოქალაქო აღზრდა – ზოგადი განათლების ძირითადი მიზანი, http://mastsavlebeli.ge/?p=2134.
11. გოგებაშვილი 1989, გოგებაშვილი იაკობ, „ბუნების კარი“, ფაქსიმილური გამოცემა, დაბეჭდილია 1912 წლის გამოცემის მიხედვით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
12. გურული 2014, გურული ზურაბ, ფსევდოგანათლების ინტელექტუალური პარადოქსები, ევროპული ღირებულებები და იდენტობა, საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენციის მასალები,თსუ, თბილისი, 2014.
13. დანელია 2015, დანელია ბადრი, რაღაც სხვა ნაწარმოების, რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი, ჩვენი მწერლობა, 2015,1 მაისი.

14. დიაჩენკო 2001, მღვდელი გრიგოლ დიაჩენკო „საკვირაო სახარებათა განმარტება“, http://www.orthodoxy.ge/tserili/diachenko/3kvira.htm).

15. დობორჯგინიძე 1962,დობორჯგინიძე ბენო, ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თბილისი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1962.

16. ევგენიძე 1996, ევგენიძე იუზა, ვაჟა-ფშაველას ლირიკა (საპროგრამო ნაწარმოებების მიხედვით), კრებულიდან „ვაჟა-ფშაველა სკოლაში, თსუ გამომცემლობა,თბილისი, 1996.

17. ევგენიძე 2009, ევგენიძე იუზა, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009.

18. ევგენიძე **2011**, ევგენიძე იუზა, ვაჟა-ფშაველა და თანამედროვეობა. საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია, შრომები VII, თბილისი, 2011.

19. ევგენიძე **1977**, ევგენიძე იუზა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის, თბილისი, 1977.

20. ენციკლოპედია 2013, სტენფორდის ფილოსოფიური ლექსიკონი,
Crittenden, Jack and Levine, Peter, (Summer 2013 Edition), "Civic Education", *The Stanford Encyclopedia of Philosophy*,
URL<http://plato.stanford.edu/archives/sum2013/entries/civic-education/>.

21. ეროვნული სასწავლო გეგმა **2011-2016** (მოქმედი რედაქცია).

22. ვაჟა-ფშაველა **1986**, ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, საბჭოთა საქართველო, თბილისი,1986.

23. ვაჟა-ფშაველა 1979, ვაჟა-ფშაველა, ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები, თბილისი, 1979.

24. ვაჟა-ფშაველა 1979, ვაჟა-ფშაველა,თხზულებანი 2 ტომად, ტომი I,1979.

25. ვაჟა-ფშაველა **I** 2002, ქართველი მწერლები სკოლაში, ვაჟა-ფშაველა, ნაწილი I, გამომცემლობა „დია“, თბილისი, 2002.

26. ვაჟა-ფშაველა **II 2002**, ქართველი მწერლები სკოლაში, ვაჟა-ფშაველა, ნაწილი II, გამომცემლობა „დია“, თბილისი,2002.

27. ვაჟა-ფშაველა II 1961, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“,ტომიII თბილისი, 1961.

28. ვაჟა-ფშაველა V 1961, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, ტომი V,თბილისი, 1961.

29. ვაჟა-ფშაველას კრებული **II**, ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომები, კრებული II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

30. ვაჟა-ფშაველას კრებული **III,** ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომები, კრებული III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,1991.

31. ვაჟა-ფშაველა 1961, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლის თავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1961.

32. თაბორიძე 2000, თაბორიძე ელენე- ადამიანური ღირსებისათვის მებრძოლი ვაჟას გმირები სკოლაში (VIII კლ.), საქ.განათლების სამინისტრო, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, შრომები, ტ.VIII),2000 წ.

33. ივანიაძე 2006. ივანიაძე ნინო, ხილვა „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალში ჟ.კრიტერიუმი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტ.ძიებანის პერიოდული დამატება.2006,#15

34. ილია მეორე **20**11, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ღირსება და დიდება ქართული სულისა, გაზეთი ,,საპატრიარქოს უწყებანი“ №35, თბილისი, 2011 (სტატია დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას 145 წლისთავისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოშვებაში);

35. კვაჭანტირაძე 2008, კვაჭანტირაძე თამაზ, სასიტყვეთი სიტყვიერების მასწავლებლისა და უფროსკლასელების შემხიდებელი,თბილისი,საუნჯე, 2008.

36. კვაჭანტირაძე 2013, კვაჭანტირაძე მანანა, შეხვედრის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას პოემებში, ვექტორები, შოთა რუსთაველი სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.

37. კიკნაძე **1957**, კიკნაძე გრიგოლ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი,1957.

38. კიკნაძე 1982, კიკნაძე გრიგოლ, ქართული ხელოვნების ნიადაგთან, ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომები, კრებული II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

39. კიკნაძე **V 2009,** კიკნაძე გრიგოლ, თხზულებანი, მე-5 ტ., თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009.

40. კლეინგელდი **2015**, Kleingeld Pauline, Kant and cosmopolitanism, The philosophical ideal of world citizenship,Cambridge University press,2015.

41. კუპრაძე 1951, კუპრაძე ვიქტორ, გაზ.კომუნისტი 1951, 17 იანვარი.

42. ლექსიკონი **2009**,ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, რედაქტორი ლ.ბარამიძე, თბილისი, 2009.

43. ლექსიკონი **2011,** სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თბილისი, 2011.

44. ლექსიკონი 2014, ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, წიგნიდან ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდობისათვის, წინგი I, გამომცემლობა „ციცინათელა“, თბილისი, 2014.

45. ლექსიკონი 2015, უცხო სიტყვათა ლექსიკონი,მე-2 შევსებული გამოცემა,სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი,თბილისი, 2015.

46. ლიტერატურა და ხელოვნება 1951, გაზ.ლიტერატურა და ხელოვნება. 1951. 14 იანვარი.

47. ლომაშვილი **1986**, ლომაშვილი ჯიბო, ვაჟა-ფშაველას საისტორიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბილისი, 1986.

48. მარკუსი 2000, მარკუსი ფილიპ, „განათლების სისტემა-სამსჯავროზე:მომავლის სტრატეგია“, ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“.2000.#1, თარგმნა ირინე ჩომახაშვილმა.

49. მახარაძე 1963, მახარაძე ვლადიმერ, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“, თბილისი 1963.

50. მერიდიანი XI 2012, თაია ცხადაია, დარეჯან კვანჭიანი, თამარ ღონღაძე, ნანა კუცია, ნანა ღონღაძე ნათელა მაღლაკელიძე, ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი, მოსწავლის წიგნი, შპს გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012.

51. მენი 1990, მენი ალექსანდრ, საუბარი პედაგოგიკაზე, თარგმნა კახა ქეცბაიამ, დანართი წიგნისა „განათლების სოციოლოგია“, უნივერსალი, თბილისი, 2014.

52. მოსულიშვილი **2011**, მოსულიშვილი მიხო , ვაჟა-ფშაველა, პეგასი, თბილისი, 2011.

53. ნატროშვილი 1947, ნატროშვილი გ., ლიტერატურული ეტიუდები, თბილისი, 1947.

54. ნუსბაუმი 2010, ნუსბაუმი მარტა, თარგმანი, ჟურნალი „სოლიდარობა“, თბილისი, 2010,#1, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

55. ორბელიანი 1991, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, მერანი, თბილისი, 1991.

56. ოქროპირი I 2014, წმ.იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი. წიგნი I, თარგმანი წმ.ეფთვიმე მთაწმიდელისა, გამომცემლობა „ბეთანია“, თბილისი, 2014.

57. ოქროპირი II 2014, წმ.იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი. წიგნი II, თარგმანი წმ.ეფთვიმე მთაწმიდელისა, გამომცემლობა „ბეთანია“, თბილისი, 2014.

58. ჟორდანია 1982, ჟორდანია სულხან, პოეტური ხატების საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომები, ტ. II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

59. რატიანი 2015, რატიანი ირმა, „ვაჟა-ფშაველა-„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. მტკიცება თუ გაფრთხილება?“, წიგნიდან „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015.

60. რეიფილდი **1978**, რეიფილდი დონალდ, ასეთი ვულკანი გვჭირდება, ჟურნალი „განთიადი“, თბილისი, 1978, #2.

61. რუსთაველი 1992. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარები დაურთო ნ.ნათაძემ, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1992 .

62. საბინინი 2015, საბინინი მიხეილ, საქართველოს სამოთხე სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოის წმიდათა,თბილისი, 2015. [1882].

63. სირაძე 2012, მითოსური ხილვისა და ჩვენებათა ფუნქცია ვაჟა-ფშაველას პოემებში, კრებულიდან „ვაჟა-ფშაველა 150, თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი“, თბილისი, 2012.

64. სწავლანი XI 2012, ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ლალი დათაშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სწავლანი“, თბილისი, 2012.

65. ტეილორი 2010, ტეილორი ჩარლზ, ჟურნალი „სოლიდარობა“, თბილისი, 2010,#1, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

66. უოლცერი 2010, უოლცერი მაიკლ, ჟურნალი „სოლიდარობა“, თბილისი, 2010,#1, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

67. ფერაძე**,1988,** ფერაძე გრიგოლ, შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა (განმარტება „მამაო ჩვენოსი“), ჟურნალი „ჯვარი ვაზისა",1988,#3

68. ფერაძე **1989**, ფერაძე გრიგოლ, შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა (განმარტება „მამაო ჩვენოსი“), ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1989 #2.

69. ქეცბაია 2014, ქეცბაია კახა, განათლების სოცილოგია (ლექციები), უნივერსალი. თბილისი, 2014.

70. ყიფიანი 2005, ყიფიანი მანანა, „ვაჟა-ფშაველას რელიგიური მრწამსისათვის“, ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“, თბილისი, 2005, N26(I ნაწ.).

71. შათირიშვილი 2006, შათირიშვილი ზაზა, ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, N 13.

72. შარაბიძე **2005**,შარაბიძე თამარ, ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ინტელექტი, თბილისი, 2005.

73. ჩიტაური 2011, ჩიტაური ნათელა, ვაჟა-ფშაველა ქართულ ემიგრანტულ პრესაში, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ვაჟა-ფშაველა 150, შოთა რუსთაველის სახ.ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2011.

74. ჩიტიშვილი 2005,ჩიტიშვილი მანანა, სიყვარულია მარადი, ერთტომეული, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი,2005.

75. ჩხეიძე 2006, ჩხეიძე პაატა, ორო კანონის ჭიდილი, ჩვენი მწერლობა, #15, 2006

76. ჩხენკელი 2009, ჩხენკელი თამაზ, მომავლის პოეტი, კრებული ქართული ენა და ლიტერატურა,ტ. მე-4, სსიპ გამოცდების ერვნული ცენტრი,თბილისი, 2009.

77. წერეთელი **1986**, წერეთელი აკაკი, თხზულებანი, თბილისი, 1986.

78. წოწკოლაური 2010, წოწკოლაური დავით, ლიტერატურული ნარკვევები, უნივერსალი, თბილისი, 2010.

79. ჭავჭავაძე 1987, ჭავჭავაძე ილია, დიმიტრი ყიფიანი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად,ტ მე-4, თბილისი,1987.

80. ჭეიშვილი 1943, ჭეიშვილი ლექსანდრე, მხატვრული სახის დინამიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თსუ, თბილისი, 1943.

81. ჭკუასელი ქ, ჭკუასელი ი. 2012, ჭკუასელი ქეთევან, ჭკუასელი ივანე, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ინტელექტი, თბილისი, 2012.

82. ჭკუასელი ქ., ქიტიაშვილი ზ. 2013, ჭკუასელი ქეთევან, ქიტიაშვილი ზაქარია საქართველოში საშუალო განათლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ,GESJ: Education Science and Psychology 2013|No.2(24).

83. ხარშილაძე 2002, ხარშილაძე გელა, ვაჟა-ფშაველას ჰუმანიზმი მხატვრული პროზის მიხედვით, ავტორეფერატი, თბილისი, 2002.

84. ხინთიბიძე 1972, ხინთიბიძე აკაკი. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, 1972, თბილისი).

85. ხორნაული 2014, ხორნაული გიგი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველას, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

დანართი 1. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე გრიფირებულ სახელმძღვანელოებში

(განაწილების სქემა)

2012 წელს ეროვნული სასწავლო გეგმების შეფასების ცენტრმა გრიფი, ანუ სახელმძღვანელოს სტატუსი, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ოთხ გამომცემლობას მიანიჭა[24]:

1. შპს „მერიდიანი“(ჯგუფის ხელმძღვანელი ნათელა მაღლაკელიძე);

2. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოფრაფიული ცენტრი“(ნანა გორდელაძე და სხვანი);

3. შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“ და შპს „საგამომცემლო სახლი სწავლანი“ (ვახტანგ როდონაია და სხვანი);

4. შპს„გამომცემლობა დიოგენე“(ნუგზარ მუზაშვილი და სხვანი).

ამჟამად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართულენოვან სექტორზე მშობლიური ენა და ლიტერატურა სწორედ ამ სახელმძღვანელოებით ისწავლება. მათგან ორს - „მერიდიანსა“ და „სწავლანს“ („საქართველოს მაცნესთან“ გაერთიანებით) მოეპოვება სრული კომლექტი სახელძღვანელოებისა(I-დან XII კლასის ჩათვლით). „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ მხოლოდ დაწყებითი საფეხურით შემოიფარგლება (I-VI კლასები), ხოლო „დიოგენე“ - საშუალო საფეხურით (X-XII კლასების).

ქართულის სახელმძღვანელოთა გრიფირების წესის თანახმად, ყოველი წიგნის 60%-ს სავალდებულო ლიტერატურა წარმოადგენს. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სავალდებულო ნუსხა საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის (VII-XII კლასები) ამგვარია[25]:

- ,,ჩემი ვედრება“;
- ,,იას უთხარით ტურფასა“;
- ,,სამეფოს სიმღერა“ (ქალო, გნახე ფეხშიშველი...);

---

24 იხ. ბმული http://www.mes.gov.ge/content.php?id=4839&lang=geo

25 იხ. ბმული http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo

- „დამსეყტვე,ცაო“;
- „კაი ყმა“;
- ,,ამოდის, ნათდება“;
- ,,ენა“ (მითითებული სახით);
- ,,ნიჭიერი მწერალი“ (მითითებული სახით);
- „ალუდა ქეთელაური",
- „სტუმარ-მასპინძელი",
- „ბახტრიონი",
- „რამ შემქმნა ადამიანად",
- „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი" (მითითებული სახით),
- „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" (მითითებული სახით)

შენიშვნა „მითითებული სახით“ გულისხმობს ვაჟა-ფშაველას ზემოხსენებული წერილების სწავლებას არა სრული ტექსტის, არამედ გარკვეული ამონარიდების სახით. ეს მითითებანი პოეტის ნაწარმოებთა 1964 წლის გამოცემაზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი.

მოგვყავს ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ. 1964, ტ. IX, თავიდან, სიტყვებიდან: „ზოგს ჰგონია, რომ...“ (გვ. 252) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...გამეფებულა დედამიწის ზურგზე" (გვ. 253) და ბოლო ორი აბზაცი, სიტყვებიდან: „...პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა“ (გვ. 254) ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (გვ. 254)“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, კარი III, თავი XI, გვ. 104).

სქემებში წარმოდგენილია ვაჟას ნაწარმოებების განაწილება ორი გამომცემლობის – „მერიდიანისა“ და „სწავლანის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ამჟამინდელ სახელმძღვანელოებში.

შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“ და შპს „საგამომცემლო სახლი სწავლანი“:

კლასი	თხზულება	შენიშვნა
I	----------	
II	ლექსები: „მელია“; „მიმინო და მერცხლები“	
III	მოთხრობები: „გოგრა“; „წიფლისჩიტა“	
IV	ლექსები: „მოლოდინი“, „ის კი არ არის ბიჭობა“, მოთხრობა: „სათაგური“	
V	ლექსი: „გაზაფხული“ (ყინვისგან შეწუხებულმა); მოთხრობა: „შვლის ნუკრის ნაამბობი“	
VI	ლექსი: „დიდი თამარი“; მოთხრობები: „ია“; „მთის წყარო“	
VII	ლექსები: „იას უთხარით ტურფასა“; „სამეფოს სიმღერა“; მოთხრობები: „ხმელი წიფელი“; „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“; პუბლიცისტური წერილი: „ენა“(ნაწყვეტი)	
VIII	ლექსები: „რამ შემქმნა ადამიანად“; „დამცეტყვე, ცაო“; მოთხრობა: „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი: „ნიჭიერი მწერალი“	
IX	ლექსები: „ჩემი ვედრება“; „კაი ყმა“	
X	----------	
XI	ლექსები: „ღამე მთაში“; „არაგვს“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“; მოთხრობები: „მთანი მაღალნი“, „ანდერძი“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“; „სტუმარ-მასპინძელი“; „ბახტრიონი“; პუბლიცისტური წერილები: „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“; „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“	

XII	----------	

გამომცემლობა „მერიდიანი“:

კლასი	თხზულება	შენიშვნა
I	_____	
II	ლექსი „ზამთარი“	
III	ლექსი „ის კი არ არის ბიჭობა“(ნაწყვეტი)	
IV	მოთხრობები: „შვლის ნუკრის ნაამბობი“(ნაწყვეტი); „საახალწლო ფიქრები“;„ბუნების მგოსნები“(ნაწყვეტი); „ია“(ნაწყვეტი); ლექსები „არწივი“; „პაპიჩემის ანდერძი“	ვაჟას „პაპიჩემის ანდერძი“(1886)ისწავლება, როგორც ხალხური ლექსი
V	ლექსი „უნუგეშო ყოფნა“; მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“	
VI	ვაჟა-ფშაველა (ბიოგრაფიული ცნობები); „ჩემი წუთისიოფელი“ (ნაწყვეტი); ლექსები: „მრწამს, მარად მიწამებია“; „გაზაფხული“ (ბუნებამ გამოიღვიძა); მოთხრობა „ვერხვი“	
VII	ლექსი „დამსეტყვე, ცაო“	
VIII	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „იას უთხარით ტურფასა“, „სამეფოს სიმღერა“; პუბლიცისტური წერილი „ნიჭიერი მწერალი“	
IX	ლექსი „კაი ყმა“; პუბლიცისტური წერილი „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“	
X	ლექსი „დავით გურამიშვილის ხსოვნას“	

XI	პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“; „ბახტრიონი“; პუბლიცისტური წერილები: „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ (ნაწყვეტი); „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (ნაწყვეტი); ლექსი „რამ შემქმნა ადამიანად“	
XII	----------	

დანართი 2. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ეკრანიზაცია-ინსცენირებანი და მათი დანიშნულება სასწავლო პროცესში

თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალური, მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით წარმართულ სწავლებას. ამჯერად შევჩერდებით თენგიზ აბულაძის ფილმზე „ვედრება“ (1968წ.) და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლზე „სტუმარ-მასპინძელი“ (2015წ.).

ვაჟას პოემების სწავლების სცენარებში ჩვენ აქტიურად ჩავრთეთ ეპიზოდები თენგიზ აბულაძის ფილმიდან. ამჯერად ფილმის ღირსებასა და ავ-კარგზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც მასწავლებელთათვის საინტერესო უნდა იყოს. „ვედრებამ“ ეკრანზე გამოსვლისთანავე დიდი ვნებათაღელვა და კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები გამოიწვია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ეპოქაში ვაჟა მხოლოდ მთის პოეტად და მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველ შემოქმედად მიაჩნდათ, ხოლო ამ ფილმში სწორედ ვაჟას ზოგადსაკაცობრიო, ეგზისტენციალური მოტივებია წინ წამოწეული. საბჭოთა მაყურებლისთვის ამგვარი ვაჟა უცხო იყო. ამიტომაც გაუჭირდა მაყურებელსაც და კინოკრიტიკასაც მისი მიღება.

გრიგოლ კიკნაძემ წერილში „ჩვენი სუყველა გაცუდდის?! (ვედრების გარშემო)“ მხარი დაუჭირა ახალგაზრდა რეჟისორის ჩანაფიქრს და მხატვრული ნაწარმოების შეფასების ეთიკური კრიტერიუმი ჩამოაყალიბა: „ნამდვილი ხელოვნება მრავალფეროვანია და ამიტომაცაა, რომ რაც ერთს მოსწონს, მეორეს არ მოსწონს და, პირიქით. ეს რომ ასე არ იყოს, ხელოვნების გაერთფეროვნების საფრთხე შეიქმნებოდა, ანუ საფრთხე ნამდვილი ხელოვნების სიკვდილისა...მაგრამ ყველა შემთხვევაში ანგარიშგასაწევია მხოლოდ ისეთი მიმართება ნაწარმოებისადმი, რომელიც თავისუფალი იქნება აბუჩად ამგდები ტენდენციისაგან, აღიჭურვება სხვისი აზრისა და საქმის პატივისცემის გრძნობით და არ მიიღებს ისეთ პოზას, რომელიც გამოხატავს პრეტენზიას ყოვლისმცოდნეობასა, უაპელაციო განცხადებათა უფლებასა და უკანასკნელი ინსტანციის როლზე"(კიკნაძე 2009:197-198, ხაზი ჩვენია-მ.წ.).

„ვედრების“ გარშემო ერთგვარი ლიტერატურაც კი შეიქმნა. ამ უაღრესად საინტერესო წერილის სქოლიოში გრიგოლ კიკნაძე ჩამოთვლის გაზეთ „საქართველოს კინემატოგრაფისტსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ

17 სტატიას ფილმის გარშემო, მიმოიხილავს მათი ავტორების დებულებებს. იგი აყალიბებს საინტერესო და მკვლევართათვის საყურადღებო დასკვნებს.

იმ რეცენზენტთა საყურადღებოდ, რომლებმაც თენგიზ აბულაძის ფილმში მხოლოდ „ეგზისტენციალური ფილოსოფიისა და ფროიდისტული ფსიქოანალიზის მოჭარბებული ელემენტები“ (ასე განიხილავს ფილმის სულისკვეთებას კრიტიკოსი გ.ბარამიძე[26]) დაინახეს, გროგოლ კიკნაძე აღნიშნავს, რომ „ვედრება“ არ გახლავთ ვაჟას თხზულებათა ეკრანიზაცია, არამედ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მოტივთა მიხედვითაა გადაღებული. ამ შემთხვევაში რეჟისორი სარგებლობს შემოქმედებითი თავისუფლებით და არ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ნაწარმოებითა თუ მოტივით. მკვლევარი მიმოიხილავს „ვედრების“ მოტივებს და, ალუდას, ჯოყოლას, ზვიადაურის მოტივებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს ფილმში განსახიერებულ სიკეთე-ბოროტების მოტივებზე, რომლებიც მაყურებელმა არავაჟასეულად მიიჩნია, უცხოდ მიიღო. გრიგოლ კიკნაძე ასახელებს ვაჟას მოთხრობებს „მოჩვენება“, „უსათაურო მოთხრობა“, „ოცნება“ - მათში სიკეთე ლამაზ ასულადაა წარმოდგენილი, ბოროტება - ეშმაკად (მაცილად). ამდენად, „ფილმი არათუ დასცილებია ვაჟა-ფშაველას წარმოსახვისა და ფანტაზიის სვლას ამ ეპიზოდთა დამუშავების დროს, არამედ „ვედრების“ ავტორებს ვერც კი გადაუხვევიათ მისგან. ამიტომ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ შენიშვნებს ვაჟასაგან ამ ეპიზოდთა დაშორების თაობაზე არავითარი საფუძველი არ მოეპოვება“ (იქვე, გვ.207).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა გრიგოლ კიკნაძისა ათვალსაჩინოებს, რარიგად პროფესიონალურად უდგებოდა იგი მწერლის ნაწარმოებთა ინტერპრეტაციის ყოველგვარ მცდელობას. მთავარი მიმართულებიდან, „ვაჟას გზიდან“ გადახვევას იგი საოცარი ალღოთი გრძნობდა და ერთი შეხედვით წვრილმანად მიჩნეულ დეტალსაც უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა. ამგვარი გადახვევის მაგალითია პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ თანამედროვე თეატრალური ინტერპრეტაცია.

2015 წლის გაზაფხულის სეზონზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე რეჟისორმა გოჩა გორგოშიძემ

---

[26] იხ. ბარამიძე გივი, „როცა მაყურებელი დარბაზს ტოვებს“, გაზ. „თბილისი“, 1968, N6.

წარმოადგინა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“. მალევე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული რეცენზია სპექტაკლისა. რეცენზიის ავტორი ბადრი დანელია უარყოფითი კუთხით განიხილავს პიესის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს. უპირველესი შენიშვნები ეხება მთავარ გმირთა წარმოჩენის საკითხს. ავტორს მიაჩნია, რომ აღაზა (მსახიობი - ია სუხიტაშვილი) არაფრით ჰგავს ვაჟას გმირს, ჯოყოლას ღირსეულ მეუღლესა და თანაზიარს. გორგოშიძის სპექტაკლში იგი არ არის პოეტურად და შინაარსობრივად დატვირთული სახე.

თანამედროვე ქართველ რეჟისორს არც ვაჟა-ფშაველას პოემის სულისკვეთება გაუთვალისწინებია და არც დიდ კრიტიკოსთა დაკვირვებანი. მის პიესაში ეს პერსონაჟი, შეიძლება ითქვას, პროფანირებულია. ამას აღნიშნავს როგორც ზემოთ დასახელებული რეცენზიის ავტორი, ბადრი დანელია, ისე თანამედროვე მკვლევარი და ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონზე“ წაკითხულ სატელევიზიო ლექციაში[27] იგი საგანგებოდ ჩერდება „სტუმარ-მასპინძლის“ გორგოშიძისეულ დადგმაზე, „ყოვლად უვარგისს“ უწოდებს მას.

აღნიშნული ეპიზოდი – აღაზას მიერ ზვიადაურის დატირება – არაერთხელ გამხდარა კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციების საგანი.

„სტუმარ-მასპინძლის“ უტეხი გმირი ზვიადაურია – „ცით ჩამოსული სვეტადა“. თუმცა თანამედროვე რეჟოსორის პიესაში მას ციურობისა არაფერი შერჩენია. სპექტაკლის რეცენზენტის თქმით, ზვიადაური წარმოჩენილია „ამორალურ“, და, ამავდროულად, „ისტერიულ და გაუწონასწორებელ“ სახედ. იგი „არაფრით მოგვაგონებს პოემის ღირსეულ პიროვნებას. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ზვიადაური ჯოყოლას ოჯახში შესვლისთანავე, არც მეტი, არც ნაკლები, თვალს დაადგამს ... აღაზას, ჯოყოლას ცოლს, ოჯახის დიასახლისს, ამ ლოგიკაში კი უკვე მშვენივრად ჯდება, რომ სცენური აღაზაც თანაგრძნობით ხვდება მას. მსოფლიოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კავკასიაში, უდიდეს სირცხვილად ითვლება მსგავსი საქციელი და, ამ დროს, სტუმარმასპინძლობის წეს-ჩვეულების აპოლოგიის, -

[27] „ღია აუდიტორია“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, 2016 წლის 23 ნოემბერი, 12.00 სთ.

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ასე დამახინჯება? ეს ხომ წარმოუდგენელი მკრეხელობაა“(დანელია 2015:9, ხაზი ჩვენია-მ.წ.).

რეჟისორის „თავისუფალი ინტერპრეტაცია“ უფრო შორს მიდის და ფეხქვეშ თელავს ვაჟასეულ უმნიშვნელოვანეს სხვა მოტივს – სარწმუნოებრივ შემწყნარებლობასაც. ბადრი დანელია გულისტკივილით წერს: „სპექტაკლში არის ასეთი სცენა: სუფრასთან დასხდომის წინ ჯოყოლა მაჰმადიანური წესით ილოცებს, ზვიადაური კი, ამის შემყურე, თითქოს პროტესტის ნიშნად, მოჰყვება პირჯვრის გამალებულ გამოსახვას, შემდეგ კი - ფეხმორთხმით მჯდომი ჯოყოლას ჯინაზე თვითონაც ფეხმორთხმით რომ არ დაჯდეს, ადგილს ვეღარ პოულობს და სუფრასთან, ასე ვთქვათ, ცმუკავს“ (დანელია 2015:10). სპექტაკლს ვაჟა-ფშაველას პოემიდან მხოლოდ ტოპონიმები და გმირთა სახელებიღა შერჩენია, რეჟისორს „სული ამოუცლია“ მისთვის და საკუთარი სათქმელი შემოუთავაზებია. რეცენზენტი ამ გარემოებას უკავშირებს დღევანდელ ტექნოკრატიულ ცივილიზაციას: „ჩვენ ვიწრო თვალსაწიერით ვუცქერით, ვაფასებთ და აღვიქვამთ არა მარტო ვაჟა-ფშაველას, არამედ აგიოგრაფიას, რუსთაველს, შექსპირს, ფლობერს... ეს ამ ჟამის და ყველა ცალკეული ადამიანის პრობლემაა, რომელთანაც მიმართებაში თითოეული საკუთარი სულიერი სამყაროს შესატყვისად რეაგირებს“ (იქვე, გვ.9-10). ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასეთი ვულგარული გააზრება პოემისა შეურაცხყოფს ვაჟა-ფშაველასაც და მეტიც, ზიანს აყენებს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვან ერთიანი კავკასიის იდეასა და სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას.

მართლაც, დღეს, როდესაც ასე მნიშვნელოვანია მსოფლიოში მშვიდობის დაცვა და სარწმუნოებრივი თუ ეროვნული შუღლის დაძლევა, პოპულარიზაცია უნდა გავუწიოთ ჯანსაღ, ზნეობრივ და საზოგადო სიკეთის მომტან მაგალითებს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ისინი ასე თვალნათლივ ღაღადებენ ვაჟა-ფშაველას ამ პოემაში.

დანართი 3. სამეცნიერო და პედაგოგიური სფეროს წარმომადგენლებთან (ექსპერტებთან) ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ტექსტები

1) მაია ინასარიძე

1.მიგაჩნიათ თუ არა, რომ ახალი თაობის მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, მათი მიზანდასახულებიდან გამომდინარე?

ძალიან მომეწონა სასწავლო კონცეფციის სტრუქტურა, სისტემური მიდგომა ჩანს, საკითხი ერთიან ჭრილშია დანახული. დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასებში, ნაწარმოებების თემატიკა ნამდვილად აქტუალურია ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის, თანაც მნიშვნელოვანია ბუნებისადმი დამოკიდებულებაში ჰუმანური ფასეულობების და არა მომხმარებლური მიდგომის ჩამოყალიბება-ფორმირება.

2.ხომ არ შეიტანდით რაიმე ცვლილებას დისერტაციაში წარმოდგენილ სასწავლო კონცეფციაში, რომელშიც ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები განაწილებულია მოქალაქეობრივი ცნობიერების კონკრეტულ მახასიათებელთა ფორმირების თვალსაზრისით?

მე განსაკუთრებით დავინტერესდი საბაზო და საშუალო საფეხურებით, აბსოლუტურად სწორად აღნიშნავთ, რომ საბაზო საფეხურზე მოზარდები მიდრეკილნი არიან ფილოსოფიური აზროვნებისკენ, ამ კუთხით სასურველია აქცენტის გაკეთება ადამიანის როლზე, მის დანიშნულებაზე, ამის საშუალებას ძალიან კარგად იძლევა ვაჟას კაი ყმა“ და „ჩემი ვედრება“. ეს მოამზადებს ბავშვებს არა მარტო ვაჟას ღრმად შესწავლისათვის, არამედ მე-10 კლასში „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისათვის.

3.ეთანხმებით თუ არა ვაჟას ლექს „კაი ყმის“ სწავლების კონცეფციას პიროვნების მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ზედროული მახასიათებლების გამოკვეთის კუთხით და რა მეთოდური შენიშვნები გაქვთ ამ ლექსის სწავლებასთან დაკავშირებით?

„კაი ყმის“ სწავლების კონცეფციაში არის ძალიან კარგი ბმა: ერთი მხრივ, რაინდობის არსი „ვეფხისტყაოსანში“, მეორე მხრივ, თანამედროვეობასთან კავშირი. ერთადერთი, რაც დამაკლდა, ესაა თვითონ ვაჟას ეთნოგრაფიული წერილი „კაი ყმა ხალხური პოეზიის გამოხატულებით“. კაი ყმის მოდელის შექმნისას ვაჟა ყველანაირ ჩარჩოს გასცდა: ფოლკლორულს, ეთნოგრაფიულს („ვერ მააწონებ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია“), მითოსურს. სხვათა შორის, გორის საოსტატო სემინარიაში ვაჟა ძალიან გაიტაცა ჰეგელის ფილოსოფიამ. ჰეგელს რაინდობის არსი ქრისტიანობის კონტექსტში აქვს გააზრებული. ვაჟა, როგორც ჩანს, გაეცნო ამას და რამდენიმე ნაკადი გამოიყენა კაი ყმის სახის გასააზრებლად, რათა ზედროული მოდელი შეექმნა. ამირან არაბულს აქვს საინტერესო ნაშრომი, რომელშიც „დავლათიანის“ მნიშვნელობა ღვთის წილის სემანტიკის შემცველი ფენომენის მიხედვითაა გააზრებული. ამ მხივაც ნოვატორია ვაჟა.

ბავშვს არ უნდა მოვახვიოთ თავს ჩვენი შეხედულებები, რომ მაინცდამაინც ეს არის კაი ყმა. ღირებულებათა ფორმირება არ ხდება ძალდატანებით, არამედ კამათით, დისკუსიით. შეიძლება სწორედ ამ კამათის, აზრის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემის შემდეგ მოსწავლემ ეჭვქვეშ დააყენოს საკუთარი თვალსაზრისი და სწორედ საკუთარი თვალსაზრისის ეჭვქვეშ დაყენების შემდეგ იწყება ჭეშმარიტების შეცნობა. მივცეთ ამის შესაძლებლობა, იქნებ ჩვენ არ ვეთანხმებით, მაგრამ ჯანსაღ კამათში, დისკუსიაში, არგუმენტებით გამყარების დროს ისინი დაფიქრდებიან და მივლენ ჭეშმარიტებამდე. შეიძლება უსაფუძვლოდ გაჯიუტდნენ კიდევაც, რადგან ამ ასაკში სჩვევიათ გაჯიუტება, მაგრამ მერე, როცა დაფიქრდებიან, ისინი ჩვენი ჩარევის გარეშე მივლენ ჭეშმარიტებამდე.

კარგი იქნება, თუ გაკვეთილზე ამ პროცესს უფრო დეტალურად წარმოადგენთ. მე ეს შენიშვნა მაქვს. უნდა ჩანდეს არა ის, რას იტყვიან მოსწავლეები, ჩვენ წინასწარ ნუ განვსაზღვრავთ, არ ვიცით, რას იტყვიან მოსწავლეები. ზოგჯერ ისეთი კუთხით წარმოაჩენენ საკითხს, რომლის პროგნოზირება ჩვენ შეიძლება გაგვიჭირდეს. ამით არის სწორედ საინტერესო მასწავლებლობა.

4.რამდენად მართებულია, ალუდა ქეთელაურის მხატვრული სახის დინამიკა მივიჩნიოთ მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესად; და აქედან

გამომდინარე, როგორ უნდა განვუმარტოთ მოსწავლეებს ალუდას მრწამსის მქონე ადამიანის ამქვეყნად მოვლინების აზრი და გამართლება?

კარგია, რომ მიაქციეთ ყურადღება იმედას ქავის გააზრებას. მე როგორც ვნახე, თვით მასწავლებლებსაც არა აქვთ ერთმნიშვნელოვანი პასუხი. აქცენტირება ამისა, საკითხის დასმა, ძალიან კარგია. ჩემი აზრით, ეს არის ალბათ ცნობიერების ნაკადის პირველი ნიმუში ქართულ ლიტერატურაში (თუმცა ეს გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“). რეალურად, ეს არის გადააზრება იმ ცხოვრების წესისა, რომლითაც ცხოვრობდნენ ეს ადამიანები, თავად ალუდაც, და მას არასდროს ეს წესი ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ეს ეპიზოდი ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. ზოგადად, უკვე ეს არის მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იმპულსი. ჩემი აზრით, ალუდას ახლად დაბადება იწყება არც მაშინ, როცა „ატირდა, როგორც ქალია“, არც მაშინ, როცა გადააფარა ნაბადი და გააპატიოსნა მიცვალებული (რადგან მარჯვენას სჭრის მუცალის ძმას), არამედ მაშინ, როცა ის საკუთარ თავთან მარტო რჩება და იწყებს სხვაგვარად ფიქრს, აქ იბადება ახალი ადამიანი. მე ამ აზრს არ ვახვევ ბავშვებს თავს, მაგრამ ამაზე დაფიქრება ძალიან ბევრ საინტერესო იდეას გაუჩენს მოსწავლეებს.

უშიშასთან „კამათიცა“ და სიზმარიც ალბათ სწორედ იმის დადასტურებაა, რომ ალუდაში გაჩნდა მეორე ადამიანი, რეალურად მუცალი ალუდას შინაგანი „მეა“ . ძალიან მომეწონა „სულო ბოროტოს“ ასე დაკავშირება „ალუდა ქეთელაურთან“. ასეთი პარალელები, ასეთი ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური კავშირები საგანში მრავალწახნაგოვან ცოდნას აძლევს მოსწავლეებს, უცოცხლებს შესწავლილ ნაწარმოებებს ან ამზადებს მომავალი ნაწარმოების შესასწავლად.

იყო მოქალაქე, პირველ რიგში, ნიშნავს, შეხედო სოციუმს, რომელშიც შენ ცხოვრობ, კრიტიკული თვალით. სწორედ ამის ნიმუშია ალუდა ქეთელაური, თემისგან მოკვეთილი ალუდა არ ბოროტდება, იმიტომ, რომ ზოგადად მას უკვე აღარ შეუძლია გაბოროტება. იქამდე მივიდა, რომ „ქურდკანტალა ღილღველი“ მისთვის იქცა „ლამაზ ძმად“. სწორედ ასეთ ადამიანს შეუძლია, შეცვალოს სამყარო თავის ირგვლივ.

საშუალო საფეხურზე ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ როგორ ვიქცევი სამოქალაქო საზოგადოებაში, რა წვლილი შემაქვს ჩემი ქცევით ამ საზოგადოების გაუმჯობესებისთვის. ამ ასაკში ისინი ემზადებიან ცხოვრებაში დამოუკიდებლად შესვლისათვის, პიროვნული არჩევანისათვის – წავიდნენ ზნეობრივ კომპრომისზე თუ დარჩნენ საკუთარი იდეებისა და პრინციპების ერთგულები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთი მხრივ, ლიტერატურა ხელს უნდა უწყობდეს სოციალიზაციის პროცესს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არ უნდა ნიშნავდეს ზნეობრივ კომპრომისზე წასვლას. ძალიან მნიშვნელოვანია ვაჟას სწავლება ამ კუთხით.

5.ალუდა ქეთელაურის მიერ ქისტი მუცალის სულის ცხონების საკითხთან დაკავშირებით კრიტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ეთანხმებით თუ არა დისერტაციაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ალუდას მოქალაქეობრივი გმირობა კურატის შეწირვის ეპიზოდში ცხადდება? და საზოგადოდ - პოემის სწავლების დროს რამდენად უნდა გამახვილდეს ყურადღება სარწმუნოებრივ მოტივზე?

სწავლების პროცესში თვითმიზნურად სარწმუნოებრივ ელემენტზე ყურადღების გამახვილება არ მიმაჩნია სწორად. ამას ნუ მოვახვევთ თავს ბავშვებს. თვითონ ქრისტიანული სარწმუნოებაა მრავლისმომცველი, ჰუმანური და ტოლერანტული. თუმცა ზედმეტად თავს მოხვევა ხელოვნურია, ამაზე მაღალი დადგა ვაჟა, თუ დაინტერესდებიან, მოსწავლეები თავად ჩაიხედავენ ქრისტიანულ მოძღვრებაში.

მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა კრიტიკოსთა მოსაზრებების მიწოდების შესახებ. ამ ასაკში, საშუალო საფეხურზე, ნამდვილად აქვთ დიდი მოთხოვნილება კრიტიკოსთა ნააზრევის გაცნობისა. პირველი ეტაპი არის ტექსტის წაკითხვა, გააზრება, მაგრამ ამასთანავე, თუ გვინდა, რომ მრავაწახნაგოვანი ხედვა და კრიტიკული აზროვნება ჩამოვუყალიბოთ, აუცილებლად უნდა წავაკითხოთ სხვადასხვა ნააზრევი, მათ ძალინ აინტერესებთ სხვების ნააზრევი. გაეცნობიან და გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებას თვით ამ მოსაზრებების და ნაწარმოებში დასმული პრობლემის მიმართ. ამით ჩვენ მათ ნდობასაც ვუცხადებთ, ვეკითხებით,

რომელ თვალსაზრისს იზიარებენ, რომელი მოსწონთ, მათ თანატოლად ვგრძნობთ თავს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ამ ასაკში.

6.იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ ჯოყოლა სოციალური გმირია, რადგან იცავს არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის ღირსებას, არამედ საზოგადოებრივი ზნეობის სადარაჯოზეც დგას და მის სულიერ გამოღვიძებას ემსახურება?

ცხადია.

7.„სტუმარ-მასპინძლის“ ალეგორიულ ფინალში ვაჟას გმირები ნათელში არიან, მაგრამ რა ეშველება უფსკრულში ჩარჩენილ საზოგადოებას? თუკი მოქალაქეობრივად აქტიური თაობის აღზრდა გვინდა, ბუნებრივია, ნიჰილისტური განწყობა (რომ საზოგადოება მარად წყვდიადში დარჩება) უნდა გავუქარწყლოთ მოსწავლეებს.

ამის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, როგორ უნდა განვუმარტოთ მოსწავლეებს „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალი?

ამ სურათს რომ ხედავს საზოგადოება, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ვაჟას გმირებმა მიაღწიეს მიზანს. ჯანღი ყოველთვის იქნება, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ არ იქნება ჯანღი, მტრობა, დანაშაული, სისხლისღვრა. ვაჟა გვამზადებს იმისათვის, რომ ალუდასა და ჯოყოლასნაირი ადამიანების ცხოვრება ადვილი არ იქნება. მაგრამ არსებობს სურათი, ხომ ხედავენ ამ სურათს, ეს არის სწრაფვა, ადამიანში ეშმაური და ანგელოზურის მარადიულ ბრძოლაში ეს სურათი ანგელოზური საწყისისაკენ მიგვახედებს. ვაჟა ბუნების შესახებ ამბობს: „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა“, ერთი და იგივე კანონზომიერებები მოქმედებს ადამიანთა ცხოვრებაშიც და ბუნებაშიც.

8.თქვენი აზრით, როგორ უნდა ვასწავლოთ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“:

ა) როგორც ალტერნატივა კოსმოპოლიტიზმის არსის გააზრებისა;

ბ) როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი გზა სამყაროში წესრიგისა და მრავალფეროვნების შენარჩუნებისა?

ვაჟამ არაჩვეულებრივად მოახერხა პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის შერწყმა. ურთულეს პრობლემას მარტივად და ბუნებრივად ასაბუთებს.

გლობალიზაციის შესახებ საუბრის დროს ვასწავლი ამ წერილს. ვფიქრობ, ორივე თვალსაზრისი უნდა მივაწოდოთ. მინდა, ცოტა განსხვავებულად შეხედონ ამ პროცესს, ნიშნავს თუ არა გლობალიზაცია ეროვნული თვითმყოფადობისა და პატრიოტიზმის გაქრობას. კარგი იქნება, მივაწოდოთ კოსმოპოლიტიზმზე ვინმეს მოსაზრებები, ვაჩვენოთ ვაჟას ეს წერილიც და თვითონ მოსწავლემ ნახოს, სად არის უფრო კარგად ეს საკითხი დასაბუთებული.

ჩემი აზრით, პატრიოტული განწყობა დოზირებულად უნდა შევიტანოთ სკოლაში, ვაჟამ ეს არაჩვეულებრივად მოახერხა და პატრიოტიზმი კოსმოპოლიტიზს შეუთანხმა.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენთან ლიტერატურის პროგრამა ძლიერ გადატვირთულია. მე მაქვს შესაძლებლობა უცხოენოვანი საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამას ახლოს ვიცნობდე და ვხედავ თვალნათლივ მაგალითს იმისას, რა „პროდუქტს“ ვიღებთ ჩვენ. უცხოენოვან პროგრამაში 2 წლის განმავლობასი 15 ნაწარმოები ისწავლება, მაგრამ ეს არ უშლის ბავშვს ხელს, ლიტერატურის ხიბლი შეიგრძნოს და ლიტერატურა, როგორც სიტყვიერი ხელოვნება, ისე გაიაზროს. სულ არ არის საჭირო ზღვის წყალი მთლიანად შესვა, რათა მისი გემო გაიგო. ზღვაში შესვლის სურვილი დაგეკარგება, თუ ზღვის მთლიანად შეხვრეპას გადაწყვეტ. მე მგონი, უნდა შეველიოთ ბევრ რამეს ლიტერატურის პროგრამაში.

ალბათ კარგი იქნება, თუ ლიტერურის პროგრამა სპირალიზებულად აიგება და არ იქნება ისტორიზმის პრინციპი, თუ ამას ვერ ველევით, თითოეული კლასის პროგრამა ვასწავლოთ ქრონოლოგიზმის პრინციპით, რომ ერთფეროვნებისგან დავიცვათ მოსწავლე. ფაქტი ის არის, რომ რაღაც შესაცვლელია, ჩვენ ასეთი მიდგომით ლიტერატურას არ ვაყვარებთ მოსწავლეს.

9.ზოგადად, რა მხრივ გამოირჩევა ვაჟა-ფშაველა, როგორც ფენომენი, და თქვენ, პირადად, როცა მოსწავლე იყავით, რომელი ცხოვრებისეული ღირებულებები ჩამოგიყალიბათ მისმა მოთხრობებმა, ლექსებმა და პოემებმა?

მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ მახსოვს, რომ მონუსხული ვიყავი. ჩემთვის ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონი სხვა განზომილებაში მდგომი შემოქმედები არიან აზროვნების ნოვატორიზმის თვალსაზრისით.

2.ირინა ნაცვლიშვილი

სასწავლო კონცეფციის შესახებ. ჩემი აზრით, თქვენს სქემაში წარმოდგენილი მახასიათებლები აღემატება მოქალაქეობრივს, ზოგადჰუმანისტურია. „ალუდა ქეთელაურში“ ისეთი მასშტაბია, რომ, მე მგონი, მოქალაქეობრივს აღემატება. მგონია, მოქალაქეობრივი პოზიცია უფრო ვიწროა, ვაჟას გმირები ვერ ეტევიან ამაში... ჩემთვის არის უკმარობის გრძნობა, გულზე მომხვდა ვაჟას გმირების ჩატევა მოქალაქეობრივ ჩარჩოში. ტერმინი მეხამუშა ცოტა.

„კაი ყმის“ სწავლება. თქვენს დისერტაციაში მომეწონა იმის ხაზგასმა, რომ „კაი ყმის“ არცოდნის გარეშე არ უნდა დაამთავროს ბავშვმა სკოლა. აქცენტი გაქვთ გაკეთებული ომზე, მაგრამ მშვიდობაზე უფრო გამოსაკვეთია: „სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს“. ომის სურათი უფრო პრეისტორიაა კაიყმობისა და ვაჟას დროსაც არ იყო ომის თემა ასე აქტუალური. ასევე მიმაჩნია, სწორი არ არის კაი ყმის მაგალითების ჩამოთვლა, რა შუაშია მსახიობები. ეს არაა სწორი გაგება ლექსის. ვაჟასთან შიდა შრეებზეა ყოველთვის აქცენტი, კაი ყმა იდეალია.

გასაგებია, რომ ასტროფიაა ვაჟას ლექსებში, მაგრამ ტექსტის დანაწევრებას არ ვემხრობი. ავტორისეულ ტექსტში ჩარევას არ ვეთანხმები. დაწყებით კლასებშიც არ უნდა შევცვალოთ რამე, ჯობია ვასწავლოთ და ვუთხრათ, რომ დიალექტიზმია. ვაჟამ ასე დაწერა, იყოს ასე.

ალუდა ქეთელაური.გაცილებით დიდი დრო სჭირდება ასეთ სწავლებას. თქვენს გეგმებში აქტივობებიც ბევრია, თითოეული აქტივობისთვის გამოყოფილი დრო კი მცირეა. ჯობია ალბათ რაღაც გამოვაკლოთ და რასაც ვასწავლით, კარგად ვასწავლოთ. „ალუდა ქეთელაურის“ შემთხვევაში კარგი რამეები გიწერიათ, მაგრამ ამ დროში ვერ ჩაეტევა.

რაც შეეხება „ვედრებას“, რთული ფილმი ნამდვილად არის, მე მახსენდება, როდის ვნახე ეს ფილმი პირველად. ჩვენ, ფილოლოგებმა, ვაჟა რომ ვიცოდით, გავიგეთ ფილმი. მე არა ვარ წინააღმდეგი ამ ფილმის ჩვენებისა, მაგრამ არა

შესწავლის პარალელურად, არამედ ბოლოს. როცა მოსწავლემ იცის ვაჟა, მერე გაიგებს. არაფერს მოგვცემს ეპიზოდურად ჩვენება.

გმირების შეხვედრის ეპიზოდში მე ვიყენებ რუსთაველის კონცეფციას მეგობრობაზე: „შემომხედნა, მოვეწონე“. მუცალის სახის გააზრებისას გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული „მუცალი“ ძალიან საინტერესოა.

ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლაში ლერმონტოვის „მწირის“ კავშირი ზედაპირულად მომეჩვენა, „ვეფხვის და მოყმის“ ეპიზოდი გვაქვს, ბოლოს და ბოლოს.

„სტუმარ-მასპინძლის“ ფინალი. საზოგადოება წყვდიადში დარჩება მანამ, სანამ ინდივიდუალური ცნობიერება არ შეცვლის საზოგადოებრივს. მახსენდება ქარჩხაძის „იგი“, პიროვნება ცვლის მთელ ტომს, ნათლით შემოსავს მას. „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალში სამთა ნადიმის სურათს ხედავენ, ვაჟა დასაწყისშიც ამბობს, რომ ნისლი „აბნელებს, უხილავად ხდის ქვეყანას ხილულიანსა“. ასეა ფინალშიც. არ დაიმსხვრევა ეს ჯანღი, სანამ არ შეიცვლება საზოგადოება.

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ერთადერთობაზე პრეტენზია არ უნდა გვქონდეს. ამაზე უკეთესად არავის უთქვამსო, ვერ ვიტყვით, მაგრამ მე მომწონს ეს გააზრება. მშვენივრად, საკუთარი დედის მაგალითზე ხსნის ყოველგვარი ფილოსოფიური და პოლიტიკური თეორიების გარეშე. მახსენდება ჩემს ბავშვობაში პოპულარული ერთი სიმღერა: „Мой адрес не дом, не улица, мой адрес Советский Союз“. არ არის ეს სწორი, რა თქმა უნდა.

ვაჟას ფენომენი. ღირებულებების ჩამოყალიბება. ალბათ ადამიანი ვერ აკონკრეტებს სწავლის პროცესში, იმ წუთას, ამან (ნაწარმოებმა - მ.წ.) რა მისცა, მაგრამ მერე ხვდება, ილექება ცნობიერებაში. პატარა ბავშვი ვერ ჩამოგიყალიბებს, რასაც იტყვის,ზედაპირული იქნება, შეიძლება გაცილებით ღრმა იყოს ის, რაც დარჩა მის სულში.

3) ლალი დათაშვილი

სასწავლო კონცეფციის შესახებ. სასწავლო კონცეფციის სქემა ჩემთვის სრულიად მისაღებია. მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში ვაჟას ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, დიდ დახმარებას გაგვიწევს, განსაკუთრებით პოემები და წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“

პოემების სწავლების საკითხი. ვისურვებდი, როდესაც ლაპარაკი შეეხება ვაჟას, იმსჯელონ მისი პერსონაჟების ვაჟკაცურ რჯულზე, რომლის გამოც გამონაკლისს უშვებს მწერალი და არა - ვაჟას მხრიდან სარწმუნოებრივ გადახრასა თუ ქრისტიანულ მოძღვრებაში ეჭვის შეტანაზე, რაც სრულ აბსურდად მიმაჩნია. კარგად გავიგოთ ისიც, რომ სულეთი და სასუფეველი იდენტური ცნებები არ არის, მთის რწმენაც (საიდანაც არიან პერსონაჟები) არ არის წმინდა ქრისტიანული, ამიტომ მათი და მწერლის პოზიცია, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს. თუმცა ესეც საგანგებო მსჯელობის საგანია - ვაჟაზე დიდი ქრისტიანი მე არ მეგულება, არც, როგორც მწერალი და არც, როგორც პიროვნება. მოსწავლეთა მხრიდან პროტესტი ან დაბნეულობის განცდა არ მახსოვს ვაჟას ამ ასაკში სწავლების გამო. თუმცა, მიმაჩნია, რომ გადამწყვეტია მასწავლებლის როლი, თუ როგორ მიაწვდის იგი მოსწავლეებს პოემებს, როგორ გააანალიზებს კლასთან ერთად.

კაი ყმის სწავლება. „კაი ყმის“ სწავლების კონცეფციაში, ძირითადად, გეთანხმებით.

„ალუდა ქეთელაურის“ სწავლება. ალუდაც და მისნაირებიც (ჯოყოლა, გოგოთური, მინდია გველისმჭამელი) იმისთვის არიან მოვლინებულნი, რომ გააუკეთესონ საზოგადოება; ეს კი სწორედ მოქალაქობრივი ცნობიერების ფორმირებაა, რამდენადაც ისინი სიტყვითაც და საქმითაც სიყვარულსა და ურთიერთდანდობას, ძმობასა და მეგობრობას ქადაგებენ.

„სტუმარ-მასპინძლის“ ფინალი. პირიმზით მთავრდება პოემა და არა - უფსკრულით. ნიჰილიზმი კი არა, სიყვარული და თანაგანცდა უნდა ჩავუნერგოთ მოსწავლეებს. მივაჩვიოთ, რომ თითი სხვებისკენ კი არ გაიშვირონ, არამედ - საკუთარი თავებისკენ და თავიანთ თვისებებზე დაფიქრდნენ.

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმის“ სწავლება. ცხადია, ვასწავლი, როგორც კოსმოპოლიტიზმის ჭეშმარიტ გააზრებას, „ალტერნატივა“ რა შუაშია? რაიმე სხვა მნიშვნელობა აქვს კოსმოპოლიტიზმს (ვაჟას განმარტების გარდა)?!

ვაჟას ფენომენი. ღირებულებების ჩამოყალიბება.მოკლედ რომ გითხრათ, მე მას ვხედავ, როგორც ჩემს ოლამურ წინაპარს. მოსწავლეობის დროიდან მიყვარდა სწორედ იმ მოქალაქეობრივი ღირებულებების გამო, რომლებსაც უშურველად ქადაგებს. შემდგომში ბევრად უფრო მეტი სიღრმე დავინახე. ვრცლად, ვაჟას სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ყოველი ნაწარმოების სწავლებაზე წერილები მაქვს და ყველა ამ შეკითხვაზე პასუხი წლების წინ გავეცი.

4) ავთანდილ არაბული

სასწავლო კონცეფციის შესახებ. მე რასაც გავეცანი, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ვფიქრობ, რომ სწორად არის არჩეული თემა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის ამ მიმართულებით საუბრის. რატომ? იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა მარადიულ თემებზე წერს, ის ფილოსოფოსი პოეტია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ლირიკაშიც ასეა, მოთხრობებშიც, მისი პოემებიც ზოგადფილოსოფიურია.სხვათა შორის, ჩემთვის ცოტა დავიწროებაა იმ პრობლემატიკის, რაც ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების საკითხს შეეხება ვაჟა-ფშაველასთან, მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის ასეთი დავიწროება შეიძლება.

სწორად არის არჩეული შემოქმედი,სწორად არის დასმული საკითხი, მაგრამ ვაჟა-ფშაველა ბევრად უფრო მეტი და დიდია, ვიდრე ეს სოციალური საკითხია. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მოქალაქეობრივ ცნობიერებაზე 21-ე საუკუნეში, ბეწვის ხიდზე თუ დანის ფხაზე გავლა გვიწევს იმიტომ, რომ უნდა განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ ამაში. ტრადიციულად, მოქალაქეობა ნიშნავს იმ საზოგადოებაში პასუხისმგებლობისა და როლის საკითხს, რომელშიც ის ცხოვრობს და მეორე: ქრისტიანული მოქალაქობა გულისხმობს მისი, როგორც ადამიანის პასუხისმგებლობას. უნდა ვიცოდეთ, რა საზომით ვუდგებით იმავე ვაჟა-ფშაველას გმირებს: მსოფლიო მოქალაქის საზომით ვუდგებით, თუ კონკრეტული ქვეყნის თუ საზოგადოების მოქალაქის საზომით. ეს სულ სხვადასხვა რამეა და ეს ორი რამ 21-ე საუკუნეში დაუპირისპირდა კიდევაც ერთმანეთს.

„კაი ყმის“ სწავლება. სხვათა შორის, სწორადაა განსაზღვრული ადგილიც და კავშირიც: კაი ყმის ინსტიტუტი რუსთაველიდან ვაჟამდე. სწორად არის გაგებული,

რომ „კაი ყმამ“ უნდა გაუსწროს წინ პოემების სწავლებას, რათა გარკვეული შემზადება მოხდეს. ოღონდ ცხადია, ლექსი „კაი ყმა“ ბევრად უფრო ზოგადია. ხალხური მემეკვიდრეების გამოყენებით ვაჟა-ფშაველამ სცადა მთლიანი არსი წარმოედგინა კაი ყმისა. „გაჭიანურებული“ ლექსიც კია, ვაჟას უნდა, ყველაფერი თქვას: როგორი უნდა იყოს კაი ყმა ომში, მშვიდობიანობისას, მეგობრებთან, ნათქვამია ისიც კი, როგორი არ უნდა იყოს იგი.

კაი ყმა სულეთში შედის ცხენით, გამართული, ხმალამოღებული. ეს სასუფევლის დამკვიდრების სცენაა. როგორც ზოგადი ხატი, ისე უნდა წარმოვუდგინოთ ბავშვებს.

ვაჟას გმირებს კაი ყმებად წარმოვადგენდი, მათს ამბოხს ზნეობრივ გმირობად მივიჩნევდი, ოღონდ არა სამოქალაქოდ. კაი ყმა ნამდვილად არის მოქალაქე. ის თავგანწირულია თემის ყველა მოთხოვნის შესასრულებლად.

არსებობს ამქვეყნიური მოალაქეობა და ზემოქალაქეობა, ანუ ძველი ქრისტიანული გაგება – მოქალაქობაი. ის არის ან ასკეტი, ანდა მსხვერპლი, იმიტომ რომ აუცილებლად დასჯიან.

„ალუდა ქეთელაურის“ სწავლება. ალუდა ქეთელაური არის მეამბოხე, იგი იბრძვის პრინციპისათვის და თავი მიაქვს მსხვერპლად პრინციპის დასამკვიდრებლად, ის არღვევს ყველა ნორმას, რაც იმ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს, რომელშიც ის ცხოვრობს და, რომელსაც ემსახურება. ის ასრულებდა მანამდე კაცის კვლის ფუნქციასაც, ხელის მოკვეთის ფუნქციასაც, მტრისადმი მსხვერპლის არშეწირვის ფუნქციასაც და ა.შ.ანუ, ის იყო გამართული მოქალაქე. მოქალაქე არის ის, ვინც იცავს საგზაო წესებს და არა ის, ვინც არღვევს ამ წესებს და ამბობს, რომ მე როგორ უნდა შემზღუდოს მოძრაობის წესებმა. ის, ვინც იცავს კანონს და არა ის, ვინც არღვევს.

სკოლაში ჩემი ქართულის მასწავლებელი კატეგორიულად ამბობდა, რომ ვაჟა-ფშაველას გმირები ნათელი და პროგრესული პიროვნებები არიან, თემი კი ჩამორჩენილი და ბნელია. მე ვიცავდი თემის ხუცესს. წარმოიდგინეთ, რომ ხუცესმა შეასრულოს ის, რასაც მას ალუდა სთხოვს. ხუცესი არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს იმ სამოქალაქო კანონს, რომელიც ამ საზოგადოებას აქვს. საზოგადოებაში

იგება წესი. ამიტომ, როდესაც ჩვენ ასე კატეგორიულად ვუდგებით, რაღაცით ჰგავს თანამედროვე მიდგომა კომუნისტებისდროინდელს, როდესაც თეთრი და შავი იყო მხოლოდ. ამ დროს ალუდა ქეთელაურმა თვითონ იცის, რომ ის არის დამრღვევი სამოქალაქო კანონის, ამიტომაა რომ ის არ განსჯის და არ განიკითხავს. ის არის ზნეობრივი გმირი, გამორჩეული ადამიანი, რომელიც არის პროგრესის მექანიზმი, მაგრამ არ არის კარგი მოქალაქე იმ საზოგადოების გადმოსახედიდან.

„სტუმარ-მასპინძლის“ სწავლება. გმირები ნათელში არიან და ჰარმონიაა, ვინ ხედავს ამას? ჯარეგელები. ისინი მანამდე ამას ვერ ხედავდნენ, ახლა ხედავენ. ეს არის სწორედ ზნეობრივი გმირის როლი. ის თვითშეწირვითა და ამბოხით ადამიანის პროგრესს განაპირობებს. ოღონდ იმ ეტაპზე, როდესაც ამას აკეთებს, ეს არ არის კარგი მოქალაქის ნაბიჯი. ამ თვალსაზრისით ბევრად უკეთესია ჯოყოლა, რადგან ის იცავს ისეთ რამეს, რაც ბევრად უფრო პროგრესულია, ვიდრე ის, რასაც მისი მოწინააღმდეგე ქისტები იცავენ.

,,სტუმარ-მასპინძელი“ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ უკვალოდ არცერთი მსხვერპლი არ მიდის. ეს აქ კარგად ჩანს. ჯარეგელები უკვე მონანულნი არიან, რადგან ამ წესის დაცვას ასეთი მსხვერპლი მოჰყვა. სამივე არაჩვეულებრივი პერსონაჟია და ამას ქისტებიც ხედავენ. თვითონ ქისტები აღიარებენ ზვიადაურის ვაჟკაცობას, რომ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდაო. ჯოყოლა რომ თავდადებულია, ეს დამტკიცდა, აღაზამაც თავი გაწირა. მსხვერპლად შეწირული გმირი განაპირობებს საზოგადოების წინსვლას, ოღონდ ის ყოველთვის ამოვარდნილია საერთო სიტუაციიდან. ამიტომაც არ არის ის ჩვეულებრივი მოქალაქე, ის მეამბოხეა და ყველანაირად გამორჩეულია.

წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. საინტერესო ის არის, რომ ეს თხზულება თანამედროვე ახალგაზრდებსაც მოსწონთ. რომ წაიკითხავ, ვერ წარმოიდგენ, რომ ეს მე-19 საუკუნის მოაზროვნის დაწერილია, ვინაიდან სრულიად თანამედროვეა.

საუკუნე-ნახევარია გასული ამ წერილის დაწერის შემდეგ და, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. თუ დააკვირდებით, ავტორი ბოდიშებით ლაპარაკობს პატრიოტიზმის პოზიციიდან. იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო მაშინ, რომ ვაჟა

ამტკიცებს, რომ არც პატრიოტიზმია ცუდი. ეს რომ პირველად გავიაზრე, შემეცოდა ჩემი ქვეყანა და ის მოაზროვნეებიც. დღესაც ამ ვითარებაში ვართ. აქეთ არის მიმართული ის პროცესი, რომელიც სკოლიდან ისტორიის და ლიტერატურის გამოდევნას ისახავს მიზნად.

ეს ნაწარმოები ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ მისი სწავლება. უნდა ვთქვათ ისაც, რომ ვაჟა-ფშაველამ, ფაქტობრივად, იწინასწარმეტყველა ის, რომ ეროვნულობას უფრო მეტი საფრთხე დაემუქრებოდა. ასეა დღესაც, არა მარტო ჩვენთან, თვით ევროპაშიც.

გლობალიზაციას უნდა დავუპირისპირდეთ ამ წერილით.

ღირებულებები. მე მთაში დავამთავრე სკოლა, არ ვიყავი ცუდი მოსწავლე, მაგრამ მემბოხე ვიყავი. მასწვლებელი გამაგდებდა ხოლმე კლასიდან, იმიტომ, რომ ავუხირდებოდი, რომ არ არის თემი ბნელი და თემის პრინციპები დასაცავია.

თანამედროვე მოსწავლე და მოქალაქე უნდა აღიზარდოს მოაზროვნედ და სიმართლის შეუპოვარ დამცველად. ამისათვის ვაჟა ძალიან მნიშვნელოვანია. დანის ფხაზე გვიწევს გავლა, რომ არ დავუსახოთ ალუდა ქეთელაური, როგორც დაუმორჩილებლობის ნიმუში. თუ არ განვუსაზღვრეთ, რას არღვევს ის და რას იცავს, ქართველს წახალისება არ სჭირდება იმ მხრივ, რომ დაარღვიოს კანონი. ალბათ ეს იყო ჩვენი აღზრდის სისტემის ხარვეზი, რომ ჩვენ ვერ ვზრდიდით კანონმორჩილ მოქალაქეებს.

სასწავლო დროის საკითხი. „კაი ყმისთვის“ ალბათ 2 საათზე მეტია საჭირო, რადგან ეს არის ძალიან განმაზოგადებელი ლექსი. მე ვაჟას „არწივიც“ აქ შემომქონდა და ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიღვნილი ლექსიც - ისიც ხმალამოღებული შედის საიქიოში. ალექსანდრე ყაზბეგი გაუტეხლია, მტერს არ შეეპუა და ხმალამოღებული შევიდა თამარი წინაშე.

განსატვირთი პროგრამა. სასკოლო პროგრამის რაღაც ნაწარმოებებისგან განტვირთვას მეც ვეთანხმები, ჯობია ასწავლო ცოტა და ასწავლო კარგად, ღრმად. მაგრამ მეორე მხარე აქვს ამას, ჩვენ იმდენად დიდი ლიტერატურა გვაქვს, რომ შეუძლებელი ხდება შემცირება.

მაგალითად, ამჯერად პროგრამიდან ამოღებული „ჰაკი აძბა“ ისე ასახავს იმ პერიოდს, რომ მისი გამოტოვება შეუძლებელია. ყოველი ამგვარი გადაადგილება იწვევს ტექტონიკურ ძვრებს.

ჩემი აზრით, უნდა იმუშაოს უმაღლესი კლასის ლიტერატორებისა და მეთოდისტების კომისიამ, რომელიც დაადგენდა სავალდებულო ნაწარმოებების ნუსხას. უნდა უკუვაგდოთ წარმოდგენა. რომ რადგან დიდი მწერალია და კარგი ნაწარმოები აქვს, აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს სკოლაში. სერიოზული მუშაობაა ამ მხრივ საჭირო.

5) მედეა ღლონტი

მოქალაქეობრივი საკითხები. საერთოდ, ქართული კლასიკური ლიტერატურის ყველა წარმომადგენელი თავისებურად წარმოაჩენს მოქალაქეობრივ საკითხს, რომელსაც თქვენს დისერტაციაში მრავალმხრივად განიხილავთ და თვითონვე აღნიშნავთ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში იგი მრავალმხრივად წარმოჩნდება. ვაჟა იმითაა გარმორჩეული, რომ ის, რაც მან თქვა წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, მხატვრული სიტყვით გაგვიცოცხლა თავის პოემებში.

თქვენ მეკითხებით, შევიტანდი თუ არა რაიმე ცვლილებას თქვენს სასწავლო კონცეფციაში. მე ვიტყოდი, რომ რაც განხილული გაქვთ, საშუალოზე ძლიერად არის წარმოდგენილი, მაგრამ მე მინდა გირჩიოთ ერთი რამ, ვაჟას ნაწარმოებები ითხოვს აუცილებელ განმარტებას. მაგალითად, წმინდანის ცხოვრების წაკითხვისას არ შეიძლება მხოლოდ მხატვრული სიტყვის მკითხველად დარჩე, ბავშვი უნდა აზიარო წმინდანის ცხოვრებასა და საეკლესიო ლიტერატურის თავისებურებებს, თუნდაც 5-10 წუთით. მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოემების კითხვისას მხოლოდ მხატვრული სიტყვის მკითხველად უნდა დარჩე. მაგალითად, გავიხსენოთ ალუდას მიერ მუცალის სულის ცხონების ან კურატის შეწირვის ეპიზოდები, როგორც კი პირდაპირ შეუდგები ამ ეპიზოდის განხილვას საეკლესიო დოგმატიკიდან, კანონიკიდან, ეგზეგეტიკიდან, იმ წუთშივე დაინგრევა ვაჟას ნაწარმოები, რადგან ამ ეპიზოდებს,

ისევე, როგორც „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალს, აქვს კატეგორიულად მხატვრული დატვირთვა. ასეთი სიმბოლოზმი იშვიათია ქართულ ლიტერატურაში.

კურატის შეწირვის ეპიზოდის პირდაპირი წაკითხვა არ შეიძლება. აქ მასწავლებელმა უნდა მოიშველიოს ძალიან მარტივი და გამჭვირვალე მაგალითები, თუნდაც ასეთი: კაცი იხრჩობა და შენ არ იცი, ვინ არის, ახლობელია, უცნობი თუ შენი ოჯახის წევრი, მაგრამ ხომ უნდა გადახტე და გადაარჩინო! დაახლოებით ამგვარი დამოკიდებულებაა კურატის შეწირვის ეპიზოდშიც: ალუდა კურატს სწირავს ვაჟკაცს და არა არაქრისტიანს. ასეთი ცხოვრებისეული მაგალითები მასწავლებელს გასაღებივით უნდა ეპყრას ხელთ, რათა ბავშვს გააგებინოს ასეთი რთული ეპიზოდები.

ასევე არსებობს ე.წ. „ბაძვის თეორია“, რომლის ფუძემდებელია წმიდა ბასილი დიდი. მეთოდიკაში მასწავლებელს დროშასავით უნდა ეჭიროს ხელში ეს თეორია, ანუ მაგალითის პრინციპი, რომელიც იაკობ გოგებაშვილის მეთოდოლოგიაში ერთ-ერთი ამოსავალი, ნაყოფიერი პრინციპია. მაგალითებად ქცეული პარალელების მოყვანას დიდი ძალა აქვს შინაარსის გაცნობიერების საქმეში.

კლასიკური ნაწარმოების ნებისმიერი პერსონაჟი მე მასწავლის რაღაც მნიშვნელოვანს პირდაპირი და, უფრო ხშირად, გადატანითი მნიშვნელობით. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირი ლელა რომ გამოჩნდა, მე აღტაცებული ვიყავი მისი გაბედულებით და ერთი სული მქონდა, მისნაირად მოვქცეულიყავი. ჩემი შეგნებული ცხოვრების დიდი წილი სულ ვეძებ და იმის ნატვრაში ვარ, რომ მქონდეს ასეთი შემთხვევა. ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა როლი აქ მეტად დიდია.

ასაკობრივი ადეკვატურობა, სქემის სისტემურობა. მე შენიშვნა მაქვს მეორე საფეხურთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურზე იწყება პასუხისმგებლობისა და მოვალეობის კატეგორიების შესახებ სწავლება. VII-VIII კლასებში მე ცოტა ნაადრევად მიმაჩნია ამაზე აქცენტირება, ბავშვს ამ ასაკში ამის გააზრება უჭირს, თუმცა ალბათ IX კლასში უკვე შეიძლება რაღაცების „ჩაწვეთება“.

„კაი ყმასთან“ დაკავშირებით ასევე მიმაჩნია, რომ IX კლასში მაინც ნაადრევია მისი სწავლება, თუმცა ამ ლექსში მშვენიერი მხატვრული დაპირისპირებული

წყვილია: კაი ყმა და მისი ანტიპოდი. ასეთი დაპირისპირებით ბავშვებს უადვილდებათ ავტორის სათქმელის ამოცნობა.

მე წინააღმდეგი ვარ კაი ყმის თვისებების წინასწარ მიწოდებისა, ბავშვმა თვითონ უნდა მოძებნოს ეს თვისებები შესაბამის ადგილებში. არ შეიძლება, დედუქციის მეთოდით მივაწოდოთ კაი ყმის მხატვრული სახე, მე ინდუქციას გთავაზობთ – მაგალითიდან განზოგადებამდე. ასევე მე მოხრე ვარ იმისა, რომ სათაურის იდეური აღქმა საგანგებოდ განხორციელდეს, ოღონდ შესწავლის დამაგვირგვინებელ ეტაპზე.

პერსონაჟ ალუდა ქეთელაურთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება შემხვედრია. ზოგ მოსწავლეს არ მოსწონს ეს პერსონაჟი. ერთმა მოსწავლემ, რომელსაც სამხედრო მამა ჰყავდა, ალუდა დისციპლინის დამრღვევად მიიჩნია, თავის წარმოსახვაში ჩენილ ალუდას მამასაც კი მისწვდა.

როგორ უნდა ავუხსნათ ბავშვებს ალუდას ფენომენი? მასწავლებელმა მხატვრულ ნაწარმოებში აუცილებლად უნდა გაავლოს ე.წ. „შინაარსობრივი ღობე“. ხომ არსებობს საქართველოს საზღვარი, რომლის გადალახვა კანონის დარღვევაა, ასეთივე ავტორისეული საზღვარი აქვს ყველა ნაწარმოებს. ბავშვს როცა ეცოდინება, რომელ შინაარსობრივ ფარგლებში უნდა შეაფასოს და განიხილოს ავტორისეული ჩანაფიქრი, ის აღარ დაფიქრდება იმაზე, რაზეც ჩვენი ყურადღება არ გაუმახვილებია ვაჟას. სწორედ ავტორი გვთავაზობს იმას, რომ ალუდა, ეს მხატვრული პერსონაჟი, ამა და ამ შინაარსობრივ საზღვრებში განვიხილოთ; კერძოდ: ვაჟამ ეს გმირი ჩვენ დაგვიხატა არა როგორც თემის, არამედ თემისთვის უკვე საზიანო წესის მოწინააღმდეგე. ამიტომ მოსწავლეებს უნდა შევუთანხმდეთ: მოდი, მივყვეთ ვაჟას ფეხდაფეხ და ნუ ვილაპარაკებთ ალუდას მამაზე. ავტორის სათქმელის ხელყოფა, ჩემი აზრით, იგივე ადამიანის უფლებების ხელყოფაა. ამიტომ დგას მასწავლებელი დიდი პრობლემის წინაშე.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ალუდამ მკრეხელობა და ურჯულოება ჩაიდინა. „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, როგორც მარცხენა და მარჯვენა ხელი, ისეა დაწყვილებული ერთმანეთთან. იქ ალუდა ქრისტიანია და მაჰმადიანისთვის იღვწის, აქ ჯოყოლა მაჰმადიანია და ქრისტიან

ზვიადაურს იცავს. ვაჟამ ამით მიგვანიშნა, რომ რჯული, ამ შემთხვევაში, არაფერს ნიშნავს. მაშ, „ვეფხისტყაოსანს“ რა ვუყოთ, ქრისტე იქ ნახსენები არ არის, მაგრამ ესოდენ ღრმად ქრისტიანულ და, ამასთან, ზოგადსაკაცობრიო სათქმელით გაჯერებულ ქართულ საერო ნაწარმოებს სხვა რომელს დამისახელებთ?!

ჯოყოლას სახე. ჯოყოლა იცავს თავის ოჯახს და ამით იცავს თემს, ისევე, როგორც სამშობლოს დამცველი არის მთელი მსოფლიოს დამცველი. თუ არ გიყვარს შენი ოჯახი, შენი მეზობელი, სხვას როგორ შეიყვარებ? ეს მოდელი იმდენად მტკიცეა, მყარია, რომ ამის გათვალისწინების გარეშე ვაჟას ვერც ერთი ნაწარმოები ვეღარ აღიქმება სათანადოდ, ვაჟასეულად. ამიტომაც ეგებებიან დიდი სიხარულით ვაჟას თხზულებათა თარგმანებს უცხოელი მკითხველები.

„სტუმარ-მასპინძლის“ფინალის გააზრება. მოდით, დავსვათ საკითხი: ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“ რისკენ ან ვისკენაა მიმართული უწინარეს ყოვლისა? ეს პოემა ეხება ჯოყოლას. სიბნელე, უფსკრულში დარჩენილი საზოგადოება ამძაფრებს იმ სინათლეს, რომელშიც არიან ის ჩვენი ვითომდა დაღუპული და გარდაცვლილი პერსონაჟები, ისინი მრავალ ჩვენგანზე უფრო ცოცხლები არიან. „გიყვარდეს მტერი შენი“ – ეს სიტყვები არის ამ ბიბლიურ-სახარებისეული სწავლების მხატვრული განსხეულება, რომელსაც ვაჟა პოემის ფინალში გვთავაზობს და რომელიც, სხვათა შორის, ძველ აღთქმაში გამოთქმულია ქრისტეს მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველებით („ერთად მოძოვენ მგელი და ცხვარი...“ – ესაიას წინასწარმეტველება).

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ბავშვებმა კარგად უნდა წაიკითხონ ორივენაირი გააზრება და გაეჯიბრონ ერთმანეთს, დისკუსია გაიმართება და საბოლოო დასკვნას თვითონ ვაჟა-ფშაველა მიაწვდის ბავშვებს.

საერთოდ, პუბლიცისტური წერილის სათანადოდ აღქმა გარკვეულწილად რთულია, მით უმეტეს, სკოლაში. პუბლიცისტიკას მკითხველიც ნაკლებად ჰყავს. კარგია, რომ ეს წერილი შეტანილია სასკოლო პროგრამაში, ჩვენ პუბლიცისტური წერილის მკითხველებად უნდა აღვზარდოთ ბავშვები.

მე მინდა კიდევ ერთი რამ ვთქვა. არ მიმაჩნია სწორად, როცა მხოლოდ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს. მესამე საფეხურზე ჩვენ მოსწავლეებს უნდა

ვასწავლოთ შეკითხვის დასმა - შეკითხვის დასმის ხელოვნებას უნდა ვაზიაროთ. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან შეკითხვის ფორმულირება მეტ ძალისხმევას და დაზუსტებას ითხოვს, რის გამოც გამჭვირვალე შეკითხვის დასმა გაცილებით რთულია, ვიდრე პასუხის გაცემა (კარგად დასმულ შეკითხვაში პასუხის ნახევრი უნდა იყოს მოქცეული). ამგვარი მეცადინეობა 16-17 წლის მოზარდებს ჯანსაღად განუვითარებს ტექსტის უცდომლად აღქმას, საზოგადოდ - აზროვნებას.

მეთოდური შენიშვნები. საერთოდ, საქართველოში მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საქმე დიდ პრობლემად რჩება. მეთოდოლოგიური ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მეთოდოლოგიის არცოდნასთან თუ გაუმართაობასთან არის დაკავშირებული ლიტერატურის პროგრამის გადატვირთულობა. მასწავლებელი, ფაქტობრივად, მეთოდოლოგიის გარეშე ამუშავებს ამ გადატვირთულ მასალას და ვერ ახორციელებს, ვეღარ ასწრებს მის სათანადოდ, ნაყოფიერად რეალიზებას. ჩვენ ხომ სიღრმისეულად უნდა მივაწოდოთ და შევასწავლოთ მოზარდებს უნიკალური კლასიკური ლიტერატურა, და განა შესაძლებელია, მეთოდოლოგიის გარეშე ამ სიღრმეების განაწილება, მათი წვდომის უნარ-ჩვევების გამომუშავება? თქვენს დისერტაციაში წარმოდგენილია ამ პრობმლემატიკის განაწილების მიხედვით სწავლების მცდელობა, ამ მხრივ, ნამდვილად მომეწონა რამდენიმე გაკვეთილი.

ყველაზე მტიკვნეული კი ის არის, რომ ვაჟას შემოქმედებიდან არ ვასწავლით რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებს. ვფიქრობ, მე-12 კლასში უნდა ისწავლებოდეს „გველისმჭამელი“ ან „გოგოთურ და აფშინა“ მაინც.

6) ნინო ბერაძე

1.სასწავლო კონცეფციის შესახებ. ვაჟას ნაწარმოებები ზოგადადამიანური, ზოგადზნეობრივია და, რა თქმა უნდა, მოქალაქეობრივად მნიშვნელოვანი. თითოეული მისი ტექსტი ბავშვის გონებაში ტოვებს პატარ-პატარა მინიშნებებს, რომლებიც უბიძგებს, იყოს კეთილი, დამნდობი და ზრუნავდეს სხვებზე.თქვენს

კონცეფციაში საფეხურეობრივად, ნელ-ნელა ხდება გართულება მოცემულობის, რაც, ჩემი აზრით, სწორია.

„ჩემი ვედრება“ ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური ლექსია და შესაძლებელია მისი გადატანა საშუალო საფეხურზე.

„კაი ყმის“ სწავლება. ზოგადად, ლიტერატურის სწავლების დროს პედაგოგი უნდა ცდილობდეს, დღევანდელობას დაუკავშიროს ტექსტი. თუ ჩვენ ტექტს მხოლოდ და მხოლოდ მწერლის შემოქმედებად ვასწავლით და დღევანდელობას არ ვუკავშირებთ, მაშინ ის კარგავს თავის ფუნქციას და მკვდარი ტექსტია. მაგალითად, ზოგი ვერ ხვდება, რატომ უნდა ისწავლოს 21-ე საუკუნეში ჰაგიოგრაფია, ვერ იაზრებს, რომ ეს ლიტერატურა სულიერად გვაძლიერებს, საკუთარი თავის წრთობის უნარს გვასწავლის. მასწავლებელმა ბავშვს უნდა დაანახვოს, რისთვის სჭირდება ეს ნაწარმოები. ჩვენი ბავშვები 21-ე საუკუნეში სწორედ ასეთი ტიპები არიან, მათ თუ ვერ დაინახეს, რისთვის სჭირდებათ, ისე არაფერს გააკეთებენ. ამიტომ მასწავლებელზეა დამოკიდებული, როგორ მიაწვდის ტექსტს.

თქვენც საუბრობთ, რომ „კაი ყმაში“ გადმოცემული ომი არ გულისხმობს მხოლოდ ხმალშემართულ ბრძოლას. ომია დღესაც, თუნდაც შენს გარემოსთან, შენს ხორციელებასთან გიწევს დაპირისპირება.

„ალუდა ქეთელაური“. კურატის შეწირვის ეპიზოდი ძალიან მძიმეა იმ გაგებით, რომ ბავშვები პარალელს ავლებენ დღევანდელობასთან, 21-ე საუკუნეშიც კი მიუღებელია მოუნათლავზე ლოცვა, ეკლესიაში მოსახსენებელს მოუნათლავზე არ ვაგზავნით. ამიტომ აქ მე მესმის თემის დამოკიდებულება (სხვათა შორის, ალუდასაც ესმის), სხვა რამეა, რომ ვხვდები, რას აკეთებს ალუდა. ვფიქრობ, ცალმხრივი მიდგომა არ გამოგვადგება, ბავშვს უნდა დავუტოვოთ განსჯის უფლება. ზოგადად, ძალიან საინტერესოა დისკუსია. ვნახოთ, თვითონ რას დაინახავენ.

ალუდას ამქვეყნად მოვლინების აზრი ის არის, რომ ზნეობრივად უსწრებს ეპოქას და ასეთების მეშვეობით ხდება პროგრესი. პრინციპში, ქართველებისთვის უცხო არ იყო მოწინააღმდეგეში ვაჟკაცობის დანახვა, რაც აქ რელიგიურ სიბრტყეშია გადასული და ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანია.

თუმცა უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ წესი ზოგჯერ საეკლესიო ლიტერატურაშიც ირღვევა, მაგ, სახარებაში ირღვევა შაბათის წესი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ჯავახეთის კრებაზე თვით წმინდა გრიგოლის მიერ ირღვევა კათალიკოსად არჩევის წესი. ე.ი. რაღაც არსებობს წესზე მაღლა და ეს არის ზნეობრივი თვალსაზრისი.

პროგრესი არ არის მხოლოდ სამეცნიერო ტერმინი, არამედ სულიერ-ზნეობრივი. ჩემი აზრით, ყოფიერება კი არ განაპირობებს ცნობიერებას, არამედ პირიქით – ცნობიერება განაპირობებს ყოფიერებას.

ასაკობრივი თავისებურებები. 15-16 წლის ასაკში მოსწავლეები უკვე ზრდასრულები არიან და შესანიშნავ აზრებს გამოთქვამენ, მათ თანატოლადაც კი ვგრძობ ზოგჯერ თავს. ამიტომ ისინი მზად არიან ვაჟას პოემებისთვის.

„სტუმარ-მასპინძლის“ სწავლება. ჯოყოლა ნამდვილად არის სოციალური გმირი, „საუფლო წესს“ იცავს, თვითონ სიტყვა მიგვანიშნებს, რომ ესაა გამორჩეული, ამაღლებული წესი.

ბოლო მონაკვეთი მე მახსენებს მოსეს მთაზე ასვლის ეპიზოდს ბიბლიიდან. როცა მოსე მთაზე ადის, ის მთა ნისლით გამოიყოფა. ამ ეპიზოდმა ნიჰილიზმი კი არა, იმედი უნდა ჩაუსახოს ადამიანებს, რადგან დაინახეს და მოსწონთ სურათი, თვალს ვერ წყვეტენ მას, უნდა გაუჩნდეთ სურვილი მიმსგავსების, წუთიერმა ხილვამ უნდა განავითაროს, რომ იქამდე ავიდნენ.

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ვაჟასეული გააზრება ჭეშმარიტებაა – თუ შენი ქვეყანა არ გიყვარს, სხვას ვერ შეიყვარებ. მახსენდება ლეგენდა ვარძიაში მცხოვრებ ციხისთავის მეუღლეზე, რომელმაც მტერს გაუღო კარი და მტერმა კი, მადლობის მაგიერ, ცხენის კუდზე გამოაბა: შენ შენს ქმარს არ უერთგულე და მე როგორ მიერთგულებო. სწორი ინტერპრეტაციით უნდა მივაწოდოთ კოსმოპილიტიზმის მნიშვნელობა და არა კონტექსტიდან ამოგლეჯილად, როდესაც პატრიოტიზმს ჩამოაშორებენ ხოლმე და ისე განიხილავენ.

მე მომხრე ვარ ბავშვს მივაწოდოთ ორივე თვალსაზრისი და თუ დავინახავთ, რომ სწორი გზიდან გადაუხვევს, მიმანიშნებელი შეკითხვებით დავეხმაროთ. თუმცა ძალიან რთულია გარემო, ზოგჯერ მეცოდებიან ჩემი მოსწავლეები, ისინი ხედავენ,

რომ ზნეობრივი კანონებით ცხოვრება დაუფასებელია მატერიალური თვალსაზრისით, მაგრამ ალბათ მაინც მოვა დრო და ყველაფერს კარგად გაიაზრებენ, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ მიდგომას მასწავლებლის მხრიდან.

ვაჟას ნაწარმოებებით ჩამოყალიბებული ღირებულებები. სამწუხარო რამე უნდა გითხრათ, სკოლაში არ მყავდა კარგი ქართულის მასწავლებელი და ამიტომ სკოლიდან რაიმე განცდები არ გამომყოლია. ეს უფრო გვიან შეძენილია, უნივერსიტეტში მყავდნენ საოცარი პედაგოგები: გრივერ ფარულავა, ვახტანგ იმნაიშვილი და სხვები. ისინი თავად იყვნენ საოცრად ზნეობრივი ადამიანები.

სკოლაში ბევრი ვერაფერი ვისწავლე და ამიტომ სულ მაქვს განცდა, რომ ჩემს მოსწავლეებს რამე არ მოვაკლო.

მეთოდური შენიშვნები. როდესაც სცენარები წავიკითხე, მივხვდი, რომ ბევრ რამეს ნამდვილად გამოვიყენებ, მერე უფრო გამოჩნდება, რამდენად რეალისტურია ისინი. „ვედრების“ ჩვენება პოემათა შესწავლის ბოლოს ჯობია, საჯარო სკოლაში არ არის ისეთი ტექნიკური შესაძლებლობები, რომ ნაწყვეტები ხშირად ვუჩვენოთ. რაც შეეხება დროს, ალბათ უფრო დიდი დრო დასჭირდება, მე პირადად, ტექსტის სწავლების შემდეგ კიდევ 2 საათს ვუთმობ შეჯამებას. ვაჟასთან ძალიან დიდი დრო მიაქვს ლექსიკაზე მუშაობას, არ ვარ ორიენტირებული დიდ დავალებებზე, „ვაქუცმაცებ“ მათ. ზოგადად, წლის ბოლოსთვის მენანება ვაჟა, როგორც წესი, ვერ ვასწებ მის შესწავლას და მე-12 კლასს ვიწყებ ვაჟათი. კარგად ებმის მომდევნო ეპოქაც.

7. ირმა აბულაძე

მოქალაქეობრივი ცნობიერების მნიშვნელობა. კონცეფციის შეფასება. ვაჟა-ფშაველას, მისი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან გამომდინარე, დიდი როლი ენიჭება მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში. სწავლების კონცეფციაში, ვფიქრობ, სწორადაა განაწილებული ნაწარმოებები ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. პროგრამაში არ არის „გოგოთურ და აფშინა“, ასევე „სინდისი“, თუმცა, თუ მოახერხებს, მასწავლებელს დამატებით შეუძლია მათი სწავლება.

დაწყებით საფეხურზე ვაჟა ბუნების, ცხოველების სიყვარულს ასწავლის ბავშვებს, მან უნდა უყუროს ბუნებას პატრონის თვალით - სწორედ ამ კუთხით ვითარდება იგი.

„კაი ყმის“ სწავლება.“ თანამედროვე ეპოქაში რომ გადმოვიტანოთ „კაი ყმა“, შეიძლება ამ ლექსმა ბავშვის ცნობიერებაში შეცვალოს დამოკიდებულება კაი ყმის და კაი ბიჭების მიმართ. დააფასოს ადამიანები, ასწავლოს ეგოცენტრიზმისაგან თავისუფალი აზროვნება. რელიგიის კუთხითაც შეიძლება დავანახვოთ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა უფლისა და ადამიანების მოსაწონად.

„ალუდა ქეთელაური“. ის თავიდანვე განსაკუთრებული გმირია, დაფასებული სოფლისგან, საფიხვნოს თავში მჯდომარე. სხვათა შორის, პოემაში არ ჩანს, რომ მტრისთვის მარჯვენის მოკვეთა არასავალდებულო წესია (თქვენ გქონდათ ნახსენები ივანე კოტორაშვილის მაგალითი), ამიტომ ალბათ ბავშვებს უნდა მივაწოდოთ დამატებითი ეთნოგრაფიული მასალა, მე ვიყენებ სერგი მაკალათიას წიგნს.

მოქალაქეობრივი ზრდა ალუდასი მკითხველის თვალწინ მიმდინარეობს და შეუძლებელია, ბავშვმა ეს თვითონაც არ დაინახოს, ალბათ შემდეგ ეტაპზე უნდა მივაწოდოთ კრიტიკოსთა ნააზრევი. ალუდასნაირ რჩეულთა მიმართ შეიძლება საზოგადოებას შურიც კი ამოძრავებს, ადვილად იჯერებენ მის ცუდს, მხოლოდ მინდიაა ამ მხრივ გამორჩეული.

კურატის შეწირვის ეპიზოდის სწავლებისას ყურადღებას ვამახვილებ სარწმუნოებრივ მოტივზე. რელიგიური წესის არშესრულება ყველაზე დიდი ცოდვაა. ამიტომაც მოიკვეთენ ალუდას.

15-16 წლის ასაკამდე ვაჟას პოემებს ვერ გაიგებენ, მაგრამ მაინც ამ ასაკშია მართებული მათი სწავლება. მე ვფიქრობ, რომ ამ პოემებს ყოველთვის უნდა მიუბრუნდეს ადამიანი, სკოლაში უნდა ჩაფიქრდეს და მერე, როცა მიუბრუნდება, უფრო კადრგად გააცნობიერებს ვაჟას სათქმელს.

ჯოყოლას სახე. ვაჟას მხრიდან ნიშანდობლივია, რომ ქისტი ჯოყოლა ასეთი ღირსეული პიროვნებაა. ზვიადაურისა და ჯოყოლას შეხვედრისას შეკითხვას ვუსვამ მოსწავლეებს, რომელი უფრო მოეწონათ და, რა თქმა უნდა, ჯოყოლა. ამ პოემაში ჩანს კოსმოპოლიტი ვაჟა, რომელსაც ყველა ადამიანში შეუძლია დააფასოს ზეადამიანობა.

ყველაფერში იდეალურია ქისტი: მეგობრობაში, სტუმარმასპინძლობაში, ძმის მკვლელის მიტევებაშიც.

ჯოყოლასთან მიცვენილმა ქისტებმა არა მარტო ტრადიცია დაარღვიეს, არამედ მისი პირადი ღირსებაც შელახეს.

„სტუმარ-მასპინძლის“ ფინალი. საზოგადოება არის უფსკრულში, მაგრამ ვაჟა იტოვებს მცირე იმედს პირიმზის სახით, ისევე, როგორც „ხმელ წიფელში“ ყლორტის სახით. საზოგადოება აუცილებლად უნდა დაფიქრდეს და განვითარდეს.

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. კოსმოპოლიტიზმის ვაჟასეული გააზრება ალტერნატივა კი არა, ზუსტად ჭეშმარიტი გზა არის. ყველაზე კარგად აქვს ვაჟას ახსნილი ეს საკითხი დედის, სამშობლოს მაგალითზე. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ეს თემა იმიტომ, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ისწრაფვის უცხოეთისკენ და ერთი სული აქვს, იქ დარჩეს, აღარ დაბრუნდეს. სწორედ ამ ასაკში უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობა სამშობლოს მიმართ. ვფიქრობ, ეს წერილი დღეს მხატვრულ ნაწარმოებებზე მნიშვნელოვანიც კი არის.

თქვენ რა ღირებულებები ჩამოგიყალიბათ ვაჟას შემოქმედებამ? მტრობაზე დამაფიქრა, მაშინ ვფიქრობდი, რომ მე მტერი არ მყავდა, მაგრამ ახლაც, როცა ვინმე მიმტრობს, შურისძიებაზე არ ვფიქრობ. პატიება მასწავლა ვაჟა-ფშაველამ, შურისძიების გრძნობით არ ვარ განწყობილი. ვაჟა-ფშაველა არის ჩემთვის გენიოსი და როცა დავფიქრებულვარ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ალბათ უფლის წყალობა არის, რომ მას ფშავში მოუხდა მოღვაწეობა, სხვანაირად ალბათ ვერ შექმნიდა ასეთ ნაწარმოებებს.

8) ანა ჯავახიშვილი

სწავლების კონცეფცია. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში ძალიან დიდ დახმარებას გაგვიწევს ვაჟას შემოქმედება, იმიტომ, რომ ბავშვები სწავლობენ ჰუმანიზმს, ერთმანეთის დახმარებას, თანალმობას. მისი პერსონაჟები, ზოგადად, არსებობენ კაცთმოყვარეობისათვის და ეს ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებისათვის.

არ შევცვლიდი თქვენს სქემას, იმიტომ, რომ ეტაპობრივად უნდა განვითარდეს ბავშვის ფსიქოლოგია, თავიდან „შვლის ნუკრის ნაამბობით“ სწავლობენ სიკეთეს, „იაში“– გარესამყაროსთან მიმართება, სხვების ტკბობა, სევდაცაა განცდილი. სიყვარულს გვასწავლის დაწყებით ეტაპზე. შემდეგ თანდათანობით უნდა გაფართოვდეს ბავშვის თვალსაწიერი, „ჩემს ვედრებაში“ ვაჟა სიკეთისათვის მსახურების თემას წამოსწევს, „კაი ყმაში“ გმირი მეგობრებისთვის უნდა სწირავდეს თავს, სხვებისთვის იბრძოდეს, არ უნდა აინტერესებდეს ნადავლი, სიმდიდრე.

საშუალო საფეხურზე ბავშვი შეიმეცნებს ადამიანობას, მთავარი პრინციპი ალბათ ისაა, რომ ღმერთმა შეგვქმნა იმისთვის, რათა ვაკეთოთ სიკეთე,

„ალუდა ქეთელაურში“ ბავშვები იაზრებენ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს, უფრო მაღალი იდელები უჩნდებათ და, რა თქმა უნდა, ჰუმანიზმი არის ძალიან მნიშვნელოვანი.

„სტუმარ-მასპინძელში“ ჯოყოლა არა მარტო საკუთარი ოჯახის ღირსებას იცავს, არამედ სხვებსაც შეახსენებს, რომ ადამიანურობა შეინარჩუნონ და გამოიჩინონ უფრო მეტი სიკეთე.

ასე რომ, ვფიქრობ, რომ სქემაში დაცული არის თანმიმდევრობა მოსწავლის ფსიქოლოგიურ-მორალური განვითარების მხრივ.

„კაი ყმაში“ ვაჟა დაგვაფიქრებს არა მარტო ბრძოლაზე, არამედ იმაზეც, რომ გმირი სახელისთვის უნდა იღვწოდეს, სწორ გზაზე დააყენოს თანამოძმეები, ეს დღესაც ძალიან აქტუალურია. უნდა ვიღვაწოთ სასუფევლის დასამკვიდრებლად. ცხოვრება მთლიანად ბრძოლაა და კაი ყმამ უნდა გაიტანოს ლელო.

„ალუდა ქეთელაურის“ სწავლება. ალუდას ამქვეყნად მოვლინების აზრი არის ის, რომ აამაღლოს მოქალაქეობრივი ცნობიერება, კერძოდ, ყველას აჩვენოს ის, რომ შეიძლება ღირსება მტერშიც კი დავინახოთ. სხვებსაც მოუწოდებს, რომ ყოველი ადამიანი ღვთისშვილია.

ჩემი აზრით, ამ პოემის სავლებისას სარწმუნოებრივ მოტივზე არ უნდა გამახვილდეს ყურადღება. ალუდა კურატის შეწირვის ეპიზოდში მუცალს შეავედრებს ხევისბერს, ეს ნამდვილად არის მოქალაქეობრივი გმირობა, რადგან ყველას დაანახვებს, რომ ადამიანი რჯულის მიხედვით არ უნდა განვასხვავოთ.

ჯოყოლას სახე.ჯოყოლა საზოგადოებას შეახსენებს, რომ დაიცვას ღვთიური ტრადიცია, ის საზოგადოების ზნეობასაც იცავს, მოუწოდებს, რომ გულით იფიქრონ: „უიარაღოს აწვალებთ, გული რასა გრძნობს თავადა?“

„სტუმარ-მასპინძლის“ ფინალის განმარტება. ვაჟას ძალიან უყვარს ალეგორიული ფინალი. იმედის მომასწავებელია თუნდაც ის, რომ უფსკრულს დასცქერს პირიმზე. მანამდე ვაჟა მდინარეს აღწერს, რომელმაც იცის მხოლოდ ცრემლისღვრა, ტირილი. პირიმზე შეიტანს ნათელ სხვივს და გამოაფხიზლებს ხალხს.

„კოსმოპოლიტიზმი სა პატრიოტიზმი“. მე ვიზიარებ ვაჟას მოსაზრებას. თუ ბავშვს ამას ვასწავლით, ის კარგ მოქალაქედ ჩამოყალიბდება.

ღირებულებების ჩამოყალიბება. უფრო ადრე, რა თქმა უნდა, „შვლის ნუკრის ნაამბობმა“ შეძრა ჩემი გული, ასევე ძალიან მიყვარს „მთის წყარო“, „ია“. „ბახტრიონის“ ლუხუმი არის სიკეთის, კაცთმოყვარეობის, მგრძნობელობის იდეალი, რომელიც განუმეორებელია.

9) თამაზ ტყემალაძე

გეოგრაფიული გარემო. ისტორიული და ლიტერატურული პარალელები. მოსწავლემ ზედმიწევნით, გამოწვლილვით უნდა იცოდეს ნებისმიერი ნაწარმოების ისტორია. ამ შემთხვევაში, ეს ნაწარმოები ეფუძნება 1659 წლის კახეთის აჯანყებას. აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა დაწვრილებით იცოდნენ ამ აჯანყების შესახებ, ვინ არიან მისი ისტორიული გმირები, სად მოხდა ეს ბრძოლა, რა შედეგი და მნიშვნელობა ჰქონდა მას საქართველოსათვის. მთლიანად პოემა არის ამ ბრძოლის ანარეკლი. ნაწარმოებში გადმოტანილია ამბავი, თუ როგორ განდევნეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა, თუშ-ფშავ-ხევსურებმა, მტერი, თუმცა რეალურად მას კახეთის აჯანყება ჰქვია. აუცილებელია, რომ იყოს შედარებითი დისკუსია ვაჟა-ფშაველას ,,ბახტრიონსა“ და აკაკი წერეთლის ,,ბაში-აჩუკს“ შორის. ძალიან კარგად უნდა იყოს ეს ორივე ნაწარმოები შესწავლილი. ბავშვები უნდა სვამდნენ კითხვებს და

უდარებდნენ ნაწარმოებებს ერთმანეთს. შემდეგ მასწავლებელმა უნდა გაანალიზოს, თუ რატომ მოინდომა ვაჟა-ფშაველამ, რომ ამ კუთხით აღეწერა ეს ფაქტი.

მოსწავლემ აუცილებლად ზედმიწევნით უნდა იცოდეს აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფია, სად არის ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, საიდან მოვიდა მზირი, ანუ ობოლ კვირია.

ბევრ წიგნში ვაჟას ხელგაშლილს ხატავენ: „მოგესალმებით, ქედებო...“ ეს სინამდვილეში კვირიას სიტყვებია. ნაწარმოების შესავალში ალეგორიულად არის ნაჩვენები მთის ხალხის აჯანყება,

ჩემს წიგნში ყოველი თავის ბოლოდ იქნება ლექსიკონი. ალექსი ჭინჭარაულის მიერ შედგენილ ვაჟა-ფშაველას ლექსიკონში გარკვეული ცვლილებებია შასატანი, მაგ., არ არის განმარტყბული სიტყვა „ბერი“ („ბერი ლუხუმი“).

სანათა – ილიას უკვე შედგენილი ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონცეფცია და მას ჯერ ვერ მოეძებნა, რა უნდა ყოფილიყო საფუძველი ამ კონცეფციისა. ეს მან იპოვა ცარსკოე სელოში, როცა ეკატერინე ჭავჭავაძემ გამოუტანა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერთა კრებული, მათ შორის პოემა „ბედი ქართლისა“. აქ ნახა მან ქართველი ქალის სახე, სოლომონის ცოლი – სოფიო ლეონიძე. ამის შემდეგ ილიამ ქართველი ქალი წარმოსახა განმათავისუფლებელი მოძრაობის ფუნდამენტად და დუღაბად, დაწერა ლექსები: „ქართვლის დედას“, სწორუპოვარი „ნანა“, სცადა, აღედგინა ქართველი დედის ინსტიტუტი. შემდეგ დედის ფენომენი გამოჩნდა აკაკისთან და ვაჟასთან. ასე რომ, ეს ყველაფერი მოდის ნიკოლოზ ბარათაშვილიდან და ილია ჭავჭავაძიდან.

მოსწავლემ უნდა იცოდეს ფოლკლოლური ძირები ნაწარმოებისა. აქ არა ერთი და ორი ფოლკლორული გმირია: სუმელჯი, ხოშარაული. სანათა არის აფხუშოური ქალი და სინამდვილეში მტრის კი არა, თუშების შემოსევისას დაკარგა ქმარ-შვილი.

უნდა იცოდეს, რა არის ხატი, საჯარე, ბეღელი, ქადაგი, ხევისბერი, სად მდებარეობს ეს სოფლები, საიდან მოდიან ეს ვაჟკაცები. აქ ვაჟა ხელგაშლილი დგას და იძახის: „რა საამური დრო არის, რა საამური წამია!“ ისინი შეიკრიბებიან ლაშარის გორზე, რომელიც დაკავშირებულია თამართან, ლაშა-გიორგისთან.

ქადაგის ინსტიტუტი მსოფლიოს ყველა ერისთვის მნიშვნელოვანია, ბრძოლის წინ ის ხატში ორი კვირა გამუდმებით ლოცულობს, წვიმაშიც, ავდარშიც და ამიტომაც ხდება ხატის პირისპირ ხილვის ღირსი. ეს ხატი წმინდა გიორგია, ლურჯსა და ცისფერში შემოსილი („ბეღლის კარს მოდგა მზებურა“). აქ წმინდა გიორგის კულტია.

ლელა ბაჩლელს ხმალი ან ხანჯალი არა აქვს, ვაჟას შემოჰყავს ხელშუბიანი მებრძოლი ქალი – ეს არის ვაჟას განუმეორებელი ესთეტიკა. ერთადერთი, ვინც მოუგურგურა ამ ქალს, არის ლუხუმი, ხოლო შემდეგ – ობოლ კვირია.

ლუხუმი. აფხუშოელებს ბერი ლუხუმი მოუძღვის. პოემაში ნათქვამია: „ბერი მოვიდა ლუხუმი, ლურჯამ მაიღო თქერანი“. ეს „ბერი“ არ ნიშნავს მოხუცს და არც საეკლესიო გაგებითაა განსამარტავი. „ბერი“ ნიშნავს, რომ ნაწილიანი გმირია. ის არის წმინდა გიორგის ჰიპოსტასი. მანამდე ქადაგი ეუბნება ხალხს, რომ მათ წინ წაუღვება ლურჯ ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგი, ლუხუმიც ლურჯ ცხენზე ზის. ის არის სულში ჩამწვდომი ადამიანი, ჩასწვდება კვირიას ფიქრებს, მის სიზმარს, რომელიც აკაკის პერსონაჟის, კირილე მღვდლის სიზმართან ერთადაა განსამარტავი.ლუხუმმა იცის, რომ ამ ომში მოკვდება კვირია.

ლუხუმი არის ერთადერთი შეუმცდარი ადამიანი. პირველად სწორედ ის ხედავს წმინდა გიორგის, „გაუკვალავს გზას“ ლაშქარს და შემდეგ ყველა დაინახავს ხატს. ამაღლებული ხედავს ამაღლებულს. ლურჯითაა შემოსილი წმინდა გიორგი, ბერი ლუხუმი ლურჯაზე ზის. ლუხუმი განასახიერებს სამშობლოს დაცვის იდეას. ის საერთოდ წინააღმდეგია ადამიანის სიკვდილისა. ზეზვას მიერ გახსენებულ ამბავში (როცა „ლეკები აცხვეს ქადადა“), ჩანს, როგორ შეებრალა მას მოკლული ლეკი, „მაუწყლიანდა თვალები“. ლუხუმი ვერასდროს მოკლავს მტერს.

ომის შემდეგ პოემაში ანტიკური ნაწარმოების მსგავსი ქორო ჩანს, ლაშქარი ეუბნება მას, ვინ გამოიდო თავი ბრძოლაში, პირველ რიგში, ასახელებენ ობოლ კვირიასა და ლელას – ისინი აქ მთელ საქართველოს განასახიერებენ, ქალსაც და მამაკაცსაც. მესამე გმირი არის ლუხუმი, რომელიც აატირებს გველეშაპს. კაცობრიობის მოდგმის მტერი იწყებს ტირილს. ლუხუმი ლაშარის გორიდან გადმოსული წმინდა გიორგია და იმიტომაც უჩინარდება, რომ ისევ ბრუნდება იქ.